

# სამართლის მაცნე

სამართლის მეცნიერთა კავშირის სერთიფიცირებული  
სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი

# Herald of Law

International Scientific refereed and peer-reviewed  
Journal of Union of Law Scientists

7/2021 #3

E ISSN 2667-9434



სამართლის მეცნიერთა კავშირი  
UNION OF LAW SCIENTISTS





სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ზურაბ ჭყონია, პროფესორი, ადვოკატი

რედაქტორი

მაია ცქიტიშვილი, სამართლის დოქტორი

მიხეილ ბრენერი, სამართლის დოქტორი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის გერმანული და ევროპული საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი (გერმანია)

ბერნდ ჰაინრიხი, სამართლის დოქტორი, თიუბინგენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (გერმანია)

ჰარალდ ქრისტიან შოი, სამართლის დოქტორი, პრალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი (ჩეხეთი)

ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხი, სამართლის დოქტორი, პროფესორი (გერმანია)

გიორგი თოდრია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გია მეფარიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი იუსტიციის გადამდგარი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, უმაღლესი კვალიფიკაციის გადამდგარი მოსამართლე

ვალერი ხრუსტალი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე, სამართლისა და პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი

არჩილ ლორია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გია ლილუაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

შალვა ქურდაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი

ზვიად გაბისონია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

როინ მიგრიაული, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

მერაბ ტურავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე და სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე, სამართლის დოქტორი

ზურაბ ძლიერიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, უზენაესის სასამართლოს მოსამართლე

დოდო ჯულუხაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

მუხრა მაცაბერიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნონა თოდუა, სამართლის დოქტორი, პროფესორი ირმა მერებაშვილი, სამართლის დოქტორი პროფესორი

ზაზა თავაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

თამარ ვეფხვაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ხატიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გიორგი თუმანიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნინო ხუნაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გივი აბაშიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

ეკატერინე ნინუა, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დავით დოლიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ლია ტილაშვილი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი, სამართლის დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი, დეკანი

მარიამ მესხიშვილი - ევაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გონა ოჩიგავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი გიორგი ლორია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ლია ადგიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბექა ქანთარია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

სერგო ჭელიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დავით ჯალაბაძე, სამართლის დოქტორი, ადვოკატი

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალში ნაშრომები ქვეყნდება – creative commons ლიცენზიით (CC BY CA).

აღნიშნული ლიცენზიის თანახმად შესაძლებელია ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომების გამოყენება ნებისმიერი, მათ შორის კომერციული მიზნებისათვის, მაგრამ წყაროს მითითების ვალდებულებით. ამ ლიცენზიით ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გააზიაროს, გაავრცელოს, გაუკეთოს რეპროდუქცია ჟურნალს და ჟურნალის ნაწილებს, მაგრამ ასევე წყაროს მითითების ვალდებულებით (მათ შორის ვებგვერდის მისამართის).

მთავარი რედაქტორი: ზურაბ ჭყონია

რედაქტორი: მაია ცქიტიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ლევან ყაშლაშვილი

ქართული ტექსტის კორექტორი: მკაპ ბურღინაშვილი

ინგლისური ტექსტის კორექტორი: სალომე კუპატაძე

დიზაინი და დაკაბადონება: გამომცემლობა მერიდიანი ყდის დიზაინი: ბიორბი ლორია,

თბილისი 07/2021 #3

E ISSN 2667-9434  
www.heraldoflaw.com  
Email: info@heraldoflaw.com



საერთაშორისო კავშირი UNION OF LAW SCIENTISTS

## EDITORIAL BOARD

### EDITOR IN CHIEF

**Zurab Chkonia**, Professor, attorney

### EDITOR

**Maia Tskitishvili**, PhD in Law

**Michael Brenner**, PhD in Law, Professor of German and European Constitutional and Administrative Law at Friedrich-Schiller-University of Jena (Germany)

**Bernd Heinrich**, PhD in Law, Professor Faculty of Law at Eberhard-Karls-University Tübingen (Germany)

**Harald Christian Scheu**, doc. Dr. iur., Mag. phil., Ph.D. / Charles University, Prague (Czech Republic)

**Ketewan Mtschedlishvili-HÄdrich**, PhD in Law (Germany)

**Giorgi Todria**, PhD in Law, Professor

**Gia Meparishvili**, PhD in Law, Professor Faculty of Law at Caucasus International University, Retired main state adviser of Justice, Retired judge with supreme qualification

**Valeri Khrustali**, PhD in Law, Professor, Former First Deputy at Supreme Court of Georgia

**Jemal Gakhokidze**, Doctor of Law and Politics sciences, Professor, The former Minister of State Security Lieutenant General

**Archil Loria**, PhD in law, Professor

**Gia Liluashvili**, PhD in law, Professor

**Shalva Qurdadze**, PhD in law, Professor, Attorney

**Zviad Gabisonia**, PhD in Law, Professor Roin Migriauli, PhD in Law, Professor, Attorney

**Merab Turava**, PhD in Law, Professor, President of the Constitutional Court of Georgia, Former

Vice President and Chairman of the Chamber of Criminal Cases of the Supreme Court of Georgia

**Inga Beridze**, PhD in law

**Zurab Dzierishvili**, PhD in Law, Professor, Judge of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia

**Dodo Julukhadze**, PhD in Law, Professor

**Zukhra Matsaberidze**, PhD in law, Professor

**Nona Todua**, PhD in Law

**Irma Merebashvili**, PhD in Law, Professor

**Zaza Tavadze**, Professor, Former President of the Constitutional Court of Georgia

**Tamar Vefkhvadze**, PhD in Law, associate Professor

**George Khatidze**, PhD in Law, Associate Professor

**George Tumanishvili**, PhD in Law, Professor (Czech Republic)

**Nino Khunashvili**, PhD in Law, Professor

**Givi Abashidze**, PhD in Law, Attorney

**Ekaterine Ninua**, PhD in Law, Assotiated Professor

**Davit Dolidze**, PhD in Law, Associate Professor

**Lia Chiglashvili**, PhD in Law, Professor

**Marina Meskishvili-Ephadze**, PhD in Law, Professor

**Gocha Ochigava**, PhD in Law, Professor

**Giorgi Loria**, PhD in Law

**lia adeishvili**, PhD in Law, Assotiated Professor

**Beka Kantaria**, Phd in Law, Professor

**Sergo Tchelidze**, PhD in Law, Assotiated Professor

**Davit Jalabadze**, PhD in Law, Attorney

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles. Their respective views do not necessarily coincide with the views of the Editorial Board.

The articles will be published under creative commons license (CC BY CA).

According to this license, the published work may be used for any purposes, including commercial purposes, provided that the original source is indicated.

This license permits any person to share, distribute, reproduce the journal or its parts, provided that the original source is appropriately indicated (including the address of web-page).

Chief Editor:  
ZURAB CHKONIA

Editor:  
MAIA TSKITISHVILI

Technical Editor:  
LEVAN KAULASHVILI

Proof-reader of Georgian text:  
MAKA BURDIASHVILI

Proof-reader of English text:  
SALOME KUPATADZE

Design and Imposer:  
PUBLISHING HAUS MERIDIANI

Design of Cover:  
GIORGI LORIA

Tbilisi  
07/2021 #3

E ISSN 2667-9434  
www.heraldoflaw.com  
Email: info@heraldoflaw.com

<b>მთავარი რედაქტორის მისალმება</b>	<b>6</b>
<b>მიხეილ ბიჭია</b>	<b>8</b>
მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს	
<b>თამარ ვეფხვაძე</b>	<b>23</b>
საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჰაერო გადაყვან- გადამზიდველისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან	
<b>ლაშა ცერცვაძე</b>	<b>38</b>
სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გამოყენების ფარგლები	
<b>ეკატერინე ფიფია</b>	<b>51</b>
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ცნების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი	
<b>ირაკლი კაკავა</b>	<b>71</b>
ევროპის კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის (მონაწილეობის) სამართლებრივი ასპექტები	
<b>თამარ ავალიანი</b>	<b>93</b>
„უფლებრივი სახელმწიფოს“ იდეა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში	
<b>ვახტანგ მურადაშვილი</b>	<b>105</b>
ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში	
<b>ია მახარაძე</b>	<b>125</b>
პირადი ცხოვრების უფლების დაცვისა და ცილისწამების რეგულირების პრობლემა თანამედროვე მედიაში	
<b>გიორგი გამხიტაშვილი</b>	<b>147</b>
განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თავსებადობის საკითხი საფრთხის დელიქტებში	

<b>GREETING OF EDITOR IN CHIEF</b>	<b>6</b>
<b>MIKHEIL BICHIA</b>	<b>9</b>
The importance of using mediation in business disputes during a pandemic	
<b>TAMAR VEPKHVADZE</b>	<b>24</b>
Compliance of the Requirements for Air Carriers Provided Under the Legislation of Georgia with the European Union Legislation	
<b>LASHA TSERTSVADZE</b>	<b>39</b>
Applicability of Mandatory Tender offer	
<b>EKATERINA PIPIA</b>	<b>52</b>
Comparative Legal Analysis of the Concept of the Limited Liability Company Share	
<b>IRAKLI PAPA VA</b>	<b>72</b>
Legal Aspects of eu Membership (Participation) in international organizations	
<b>TAMAR AVALIANI</b>	<b>94</b>
The idea of a “rule of law” in Georgia In the First Constitution of the Democratic Republic	
<b>MURADASHVILI VAKHTANGI</b>	<b>106</b>
Legal Regulations of Domestic Violence in Georgia	
<b>IA MAKHARADZE</b>	<b>126</b>
The Problem of Regulating Libel and Protection of Right to Privacy in modern media	
<b>GIORGI GAMKHITASHVILI</b>	<b>148</b>
The Issue of the Compatibility of intent and Negligence in Torts of Danger	



## მთავარი რედაქტორის მისალმება

ძვირფასო მკითხველო,  
სიხარულით წარმოგიდგენთ საერთაშორისო სამეცნიერო  
ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ უკვე მესამე ნომერს!

## GREETING OF EDITOR IN CHIEF

Dear reader,  
we are happy the third issue of international scientific  
journal "Herald of Law"!

ძვირფასო მკითხველო, მაქვს პატივი წარმო-  
გიდგინოთ ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ მესამე  
გამოცემა.

ჟურნალში მკითხველი გაეცნობა თანამედროვე  
გამოწვევებზე მორგებულ სამეცნიერო  
ლირებულების სტატიებს სხვადასხვა აქტუალურ  
თემებზე. მესამე ნომრისათვის კონკურსის შედეგად  
გამოსაქვეყნებლად შეირჩა 9 ნაშრომი.

„სამართლის მაცნე“ არის საუკეთესო სინთეზი და  
თანამედროვეობის მოთხოვნების გათვალისწინებით  
შექმნილი ინტერდისციპლინური, კვალიფიციური  
და კონკურენტუნარიანი სამეცნიერო ნაშრომთა  
კრებული, რომელიც, ამავე დროს, ემსახურება  
საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს  
საზოგადოებაში მართლშეგნების დონის ამაღლებას,  
სამართლის მეცნიერებისა და იურიდიული  
განათლების განვითარებას.

ჩვენ ვქმნით მაღალ აკადემიურ/სამეცნიერო  
სივრცეს, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი  
წერტილიდან ნებისმიერი ქვეყნის მეცნიერს  
მისცემს შესაძლებლობას, გაეცნოს ან გააცნოს  
საზოგადოებას საკანონმდებლო სიახლეები და  
მეცნიერული კვლევები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მცირე დროში  
ჟურნალი უკვე სამ მსხვილ საერთაშორისო  
სამეცნიერო ბაზაშია ინდექსირებული, კერძოდ, ISI  
(International scientific indexing) - ში, ROAD-სა და  
HeinOnline -ში.

ჩვენი ამოცანაა, ჟურნალში დადგენილი ყველა  
წესი სრულად შევუსაბამოთ საერთაშორისო  
სამეცნიერო ბაზა „Scopus“- ის მოთხოვნებს,  
ამიტომ ნაზვასმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაღალი  
ხარისხის სტანდარტებიდან გამომდინე, სტატიების  
გამოქვეყნების დროს მათი გაფორმების წესი

Dear reader,

I have the honor of introducing to you the third issue  
of the journal "Herald of Law".

The journal will give the opportunity to the reader to  
look through the articles of scholarly value on dif-  
ferent current topics and which are complied with  
the modern challenges. During the call for papers  
for the third issue, 9 articles were chosen for pub-  
lication.

"Herald of Law" is the best synthesis and interdis-  
ciplinary, qualified and competitive collection of  
scholarly articles created considering the modern  
challenges. This collection, moreover, serves as  
the tool for raising consciousness, development of  
legal theory and legal education in society of legal  
state in Georgia.

We create high academic/scholarly area which will  
enable any scholar from any country of the world  
to introduce to and get acquainted to scientific re-  
searches and news regarding legislation.

It is of great importance that our journal is already  
indexed in three big international scholarly data-  
base, in particular, in ISI (International Scientific In-  
dexing), ROAD and HeinOnline.

Our goal is to make the rules of the journal com-  
pletely in compliance with the requirements of the  
international scholarly database "Scopus", there-  
fore, it may be said that, due to the high standards,  
formatting articles is strictly controlled during publi-  
cation, which requires more diligence and attention  
from the authors.

It should be noted that this year "Herald of Law",  
with cooperation of "Union of Law Scientists" or-

მკაცრად კონტროლდება, რაც ავტორთა მხრიდან მეტ გულისხმიერებას და ყურადღებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს „სამართლის მაცნესა“ და „სამართლის მეცნიერთა კავშირის“ თანაორგანიზებით გაიმართა ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიები – თემებზე: „საზოგადოებათა სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში“ (გერმანული მოდელის მაგალითზე) და „ევთანაზიის სისხლის სამართლებრივი პრობლემები სამართალშედარებით ჭრილში“. დისკუსიებს ესწრებოდნენ ქართველი და გერმანელი სამართლის დარგის მეცნიერები, ქართული უნივერსიტეტების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო სასამართლოს მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, პენიტენციური სისტემის და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლები.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 18 მარტს ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ უცხოელ სარედაქციო კოლეგიის წევრს და თიუბინგენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ ბერნდ ჰაინრიხს სამართლის მეცნიერთა კავშირის საპატიო წევრის სტატუსი მიენიჭა.

დასასრულ, მადლიერება მინდა გამოვხატო „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმის“ და „ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის“ ხელმძღვანელობის მიმართ ჟურნალის მესამე გამოცემის სტატიების უსასყიდლოდ ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმებისათვის. შეგახსენებთ, რომ მეორე გამოცემის ნაშრომების ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმება ასევე განხორციელდა კონსორციუმის და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანადგომით.

ასევე მადლიერებას გამოვხატავ რეცენზენტებისა და ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მუშაობდნენ მესამე ნომრის გამოცემაზე.

პატივისცემით,  
მთავარი რედაქტორი  
**ზურაბ ჭყონია**

ganized online international scholarly discussions on the following topics: “Organizational Law in Legal System” (according to German model)” and “Problems of Euthanasia in terms of Comparative Criminal Law”. Discussions were attended by Georgian and German legal scholars, representatives of Georgian universities, judges from Constitutional Court of Georgia and City Courts, prosecutors, attorneys, representatives of penitentiary system and Notary Chamber.

Moreover, foreign member of the editorial board of the journal, professor at law faculty at University of Tbingen, Bernd Heinrich was awarded the status of honored member of the Union of Law Scientist in March 18, 2021.

At last, I would like to express my gratitude towards the administration of “Georgia Integrated Library Information System Consortium” – GILISC and “National Science Library” for checking the articles of the third issue of journal for plagiarism for free. Articles for the second issue of the journal were also checked for plagiarism with the help of Consortium and National Science Library.

Furthermore, I would like to express my gratitude towards reviewers and each other person who contributed in publication of third issue of the journal.

*Best wishes,  
Editor in chief  
Zurab Chkonia*

# მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს

## მიხეილ ბიჭია

სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი  
ელფოსტა: [bichiamichael@yahoo.com](mailto:bichiamichael@yahoo.com)

## აბსტრაქტი

პანდემიის პირობებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბიზნესდავების დროული განხილვა-გადაწყვეტა, რაც მიიღწევა მედიაციის დახმარებით.

კვლევის მიზანია, დადგინდეს, როგორია მედიაციის ინსტიტუტის მნიშვნელობა კორონავირუსის გავრცელებისა და სასამართლოებში ბიზნესდავებზე საქმეების გადატვირთულობის პირობებში. საკითხი საინტერესოა მედიაციაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.

კვლევამ აჩვენა, რომ კორონავირუსის გავრცელების დროს მედიაცია განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა ბიზნესისთვის. ეს განაპირობა შემდეგმა თავისებურებებმა: სასამართლოში საქმის განხილვისგან განსხვავებით, მედიაცია არაა დროში გაწელილი, არის იაფი, მშვიდი და ეფექტიანი პროცესი, რომელიც მხარეთა ინტერესების გათვალისწინებაზე დაფუძნებული; ამასთან, მედიაციის კონფიდენციალობის მიზანია როგორც საიდუმლო მონაცემების დაცვა და მხარეთა შორის მიმდინარე ურთიერთობის შენარჩუნება, ისე მხარეთა ნდობის გამყარება მედიაციის მიმართ.

ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით, საქართველოში შეიქმნა ახალი რეალობა. 2020 წლის დასაწყისიდან ქალაქში შევიდა ახალი კანონი „მედიაციის შესახებ“, რომლითაც უკვე რამდენიმე ბიზნესსუბიექტმა წარმატებით ისარგებლა და წლების განმავლობაში მიმდინარე დავები მოაგვარა.

ამასთან, კორონავირუსის გავრცელების საფრთხეების პირობებში აქტუალური გახდა დისტანციური მედიაციის გამოყენება. პანდემიის დროს სასამართლო პროცესების გაჭიანურებამ შეიძლება დიდი უარყოფითი ეკონომიკური შედეგები გამოიწვიოს ბიზნესსუბიექტებისთვის. ამიტომ უარყოფითი ეფექტების პრევენციისა და დავების დროული განხილვის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მედიაციის ინსტრუმენტის გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსი, მედიაცია, სამართალწარმოება



# THE IMPORTANCE OF USING MEDIATION IN BUSINESS DISPUTES DURING A PANDEMIC

**Mikheil Bichia**

*Doctor of Law, Invited Lecturer at Ivane Javakishvili Tbilisi State University, Chief Researcher at the Research Institute for Economic and Social Problems of Globalization, Higher Education Accreditation Expert*

Email: [bichiamichael@yahoo.com](mailto:bichiamichael@yahoo.com)

## ABSTRACT

In the conditions of the pandemic, the timely settlement of business disputes, which is achieved with the help of mediation, became especially important.

The aim of the study is to determine the importance of the institution of mediation in the context of the spread of the coronavirus and the overload of business dispute cases in the courts. The issue is interesting given the legislative changes in mediation.

Research has shown that mediation has become particularly attractive to businesses during the spread of the coronavirus. This was due to the following features: Unlike litigation, mediation is faster, cheaper, calmer and more effective process focused on the interests of the parties. Mediation confidentiality is aimed at protecting confidential data and maintaining the ongoing relationship between the parties, as well as strengthening the parties' trust in mediation.

By European standards, Georgia has created a new reality. In 2020, a new law on mediation came into force, which has already been successfully used by several businesses and resolved ongoing disputes over the years.

However, the use of remote mediation has become urgent in the face of the threat of the spread of the coronavirus. Procrastination in litigation during a pandemic can have major negative economic consequences for businesses. Therefore, in terms of prevention of negative effects and timely review of disputes, it is advisable to use a tool of mediation.

**KEYWORDS:** Coronavirus, Mediation, Litigation

## შესავალი

კორონავირუსის გავრცელების შედეგად მსოფლიოში შეიქმნა ახალი რეალობა, რომელიც პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას ვერ გაუთანაბრდება. საქმე ისაა, რომ კორონავირუსმა თითოეული ადამიანის ცხოვრების წესი და ყოფითი ურთიერთობა შეცვალა. ამ პირობებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა წარმოშობილი ბიზნესდავების სწრაფად გადაწყვეტამ, მით უმეტეს, რომ პანდემიის გამო სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურებამ პერმანენტული ხასიათი მიიღო. შესაბამისად, გასარკვევია, რა ეკონომიკური ეფექტი ჰქონდა პანდემიას ბიზნესსუბიექტების საქმიანობაზე და როგორი იყო სასამართლოებში საქმეების გადატვირთულობის როლი ამ პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის მიზანია, დადგინდეს, ერთი მხრივ, კორონავირუსის გავრცელების ეკონომიკური და სამართლებრივი შედეგები, მეორე მხრივ კი, მედიაციის როლი ბიზნესდავების გადაწყვეტის საქმეში.

მართალია, დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი გავრცელებული გზაა სასამართლოში საქმის განხილვა, მაგრამ მას, გარდა დადებითი ასპექტებისა, გარკვეული უარყოფითი მხარეებიც აქვს. ამ კონტექსტში დასადაგენია, რითია მედიაციის ინსტიტუტი გამორჩეული სასამართლოში საქმის განხილვისგან და როგორია მედიაციის მნიშვნელობა. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, განისაზღვროს, რა სპეციფიკით ხასიათდება ბიზნესდავების განხილვა სასამართლოსა და მედიაციაში, როგორია მათი უპირატესობები თუ უარყოფითი მხარეები, მით უფრო, პანდემიის დროს. პრობლემა კიდევ უფრო საყურადღებოა მაშინ, როდესაც გასათვალისწინებელია, რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესდავების დროული განხილვა როგორც მძიმე ეკონომიკური იურიდიული შედეგების თავიდან აცილების, ისე მართლმსაჯულების მიზნებისთვის. აქვე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორია სტატისტიკური მონაცემები პანდემიის დროს მედიაციის ფარგლებში განხილული საქმეების, განსაკუთრებით კი, ბიზნესდავების შესახებ.

საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა მედიაციაში ფილტვიური ურთიერთობის დაცვის თავისებურებებისა და ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით. ამ კონტექსტში კარგი იქნება, განისაზღვროს, როგორი ეფექტი აქვს გატარებულ რეფორმებს მედიაციის სფეროში,

რამდენად სათანადოდაა გაანალიზებული მედიაციის გავრცელების მასშტაბები თუ მიზნები და რა როლს ითამაშებს ის ბიზნესდავების გადაწყვეტის პროცესში.

## 1. პანდემიის შედეგების მოკლე მიმოხილვა

პანდემიის შედეგად სამოგადობრივი ურთიერთობები მსოფლიოში არსებითად შეიცვალა. ცვლილებები და შემლუდვები შეეხო ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, განსაკუთრებით ბიზნესს. შემლუდვების შედეგად ძალიან დაზარალდა სასტუმროს ბიზნესი, სატრანსპორტო და დასვენების, ტურიზმისა და სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზების ინდუსტრია.<sup>1</sup> მაგალითად, პანდემიის გამო აშშ-ში ბიზნესის სხვადასხვა სექტორის 43% დაიხურა გარკვეული დროით. პანდემიას შოკური ეფექტი ჰქონდა შედარებით პატარა საწარმოებისთვის, რომლებსაც პანდემიამდე ცოტა ფული ჰქონდათ. დადგინდა, რომ მათ მოუწევდათ ან ხარჯების მკვეთრად შემცირება, ან დამატებითი სესხის აღება, ან თავის გაკოტრებულად გამოცხადება.<sup>2</sup> ამასთან, მართალია, ეს შემლუდვები ადამიანთა ცხოვრებაზე უარყოფითი ზეგავლენის შეჩერების ძლიერი ინსტრუმენტი იყო, მაგრამ, ამავე დროს, პანდემიის შედეგად სამართლებრივი სისტემებიც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, კერძოდ, კონტრაქტები შეწყდა, სასამართლო მომსახურებანი შეჩერდა და სხვა.<sup>3</sup>

ამასთან, დადგინდა, რომ, თუ საქმიანობის შეჩერება გაგრძელდა, ვერ იქნება სერიოზული უარყოფითი ეკონომიკური შედეგები თავიდან აცილებული. საქმიანობის შეჩერების შედეგად იზრდება გაკოტრების ფაქტები და სამსახურის დაკარგვის შემთხვევები. სიმდიდრის დაკარგვა შეეხო ადამიანთა ფართო სპექტრს, არადა დაზარალებულთა უმეტესობას აქვს მხოლოდ შემლუდული რეზერვი. ამასთან, თავს იჩენს

<sup>1</sup> იხ. Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina, 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie \_ Die Krise nachhaltig überwinden. 13. April, გვ. 15.

<sup>2</sup> იხ. Bartik, A.W. and others, 2020. The impact of COVID-19 on small business outcomes and expectations. Proceedings of the National Academy of Sciences, 117 (30), გვ. 17666. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://doi.org/10.1073/pnas.2006991117>> [წვდომის თარიღი 4 მაისი 2021].

<sup>3</sup> Boon, G.-J. and others, 2020. The Covid-19 Pandemic and Business Law: A Series of Posts from the Oxford Business Law Blog. Oxford Legal Studies Research Paper, 15, გვ. 2.

კორონავირუსის პანდემიის დროს სოციალური უთანასწორობაც კონტაქტის და დაინფიცირების რისკი, შემდეგ კი კრიზისის ფსიქოლოგიური და ეკონომიკური შედეგები არათანაბრად ნაწილდება სამოგადოების სხვადასხვა წევრზე.<sup>4</sup> შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ბიზნესდავის დროულად და სწრაფად გადაწყვეტას, რათა უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ამ კუთხით შესასწავლია მედიაციის ინსტიტუტის მნიშვნელობა.

## 2. მედიაციის ინსტიტუტის ძირითადი მიზანი

ზოგადად, მედიაცია არის დავის გადაწყვეტის არასასამართლო პროცესი, რომელშიც ნეიტრალური მესამე მხარე (მედიატორი) ეხმარება მოდავე მხარეებს მათ მიერ ნებაყოფლობით და მკაცრად კონფიდენციალური მოლაპარაკებების წარმოებაში. მედიაციის დროს საქმის განხილვა ატარებს არაფორმალურ ხასიათს და კონკრეტული შედეგის მიღწევაც დამოკიდებულია მხოლოდ მხარეებზე. მედიატორმა ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უნდა დაიცვას როგორც სამართლიანობა, ისე დამოუკიდებლობა.<sup>5</sup>

„მედიაციის შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, საქართველოშიც მედიაციის ინსტიტუტის განვითარება და გაძლიერება სამოქალაქო დავებზე სასამართლოს განტვირთვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ჩაითვალია. მართალია, მედიაცია ვერ ჩაანაცვლებს დავის გადაწყვეტას სასამართლოს ან არბიტრაჟის დახმარებით, მაგრამ ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს, გაზრდის მართლმსაჯულების ეფექტიანობას და მაქსიმალურად განტვირთავს სასამართლო სისტემას ისეთი საქმეებისგან, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. ხაზგასმით გამოიკვეთა მედიაციის დადებითი ფაქტორებიც: მედიაცია ხელს უწყობს დავების ურთიერთშეთანხმებით, სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებას. გარდა ამისა, მედიაციის პროცესი მოქნილია, კერძოდ, მისი გამოყენება შეიძლება დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან (სასამართლო, არბიტრაჟი)

ერთად, რაც წარმოაჩენს საერთო მიზნის მიღწევისთვის მედიაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.<sup>6</sup>

ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით საქართველომ იკისრა ვალდებულება, განევიტარებინა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, მათ შორის მედიაცია და არბიტრაჟი, ასევე, შეექმნა ამ მექანიზმების გამოყენებისთვის ხელსაყრელი პირობები. „მედიაციის შესახებ“ კანონის მიღების ძირითადი მიზანი იყო სწორედ მოცემული მოთხოვნის უზრუნველყოფა. ამდენად, 2020 წლის პირველ იანვარს ძალაში შევიდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც გაჩნდა კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის ახალი საშუალება. ეს კანონი გამოიყენება მედიაციის შესახებ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმართული მედიაციისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსკ-ის) XXI<sup>1</sup> თავით გათვალისწინებული სასამართლო მედიაციის დროს, კოდექსის სპეციფიკური თავისებურებების დაცვით. ამასთან, კანონის წესები არ მოქმედებს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული მედიაციის დროს. ეს განპირობებულია საქმის თავისებურებებით, რაც დარეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით.<sup>7</sup>

ამასთან, თუ არსებობს მხარეთა თანხმობა, კანონით დაიშვება მედიაციის გავრცელება ნებისმიერი კატეგორიის დავის მიმართ და საქმის მედიატორისთვის გადაცემა განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. კანონმდებლობით ცალკეა განსაზღვრული საგალდებულო მედიაცია საოჯახო (გარდა შვილად აყვანისა და მშობელთა უფლებებთან დაკავშირებული საქმეებისა), სამემკვიდრეო და სამემზობლო დავების მიმართ.<sup>8</sup>

<sup>4</sup> Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina, 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie \_ Die Krise nachhaltig überwinden. 13. April, გვ. 15.

<sup>5</sup> ob. Gulló, A., 2006. Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin: Rhombos-Verlag, გვ. 25.

<sup>6</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“. რეგისტრაციის N07-2/319/9.

<sup>7</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“. რეგისტრაციის N07-2/319/9.

<sup>8</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის) 187<sup>3</sup> - ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები. პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

### 3. სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებები მედიაციასა და სასამართლოში

პანდემიის გავრცელების პირობებში საყურადღებოა სასამართლოსა და მედიაციის ფარგლებში საქმის განხილვის თავისებურებების გამოვლენა, რაც სხვადასხვა წესს ეფუძნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესის სპეციფიკის გამოკვეთა, რათა მისი მნიშვნელობა დადგინდეს.

მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს შორის სასამართლოსთან შედარებით არაფორმალური<sup>9</sup> და დავის მოქნილი, არასავალდებულო გადაწყვეტის პროცესია, რომლის დროსაც ნეიტრალური მესამე მხარე (მედიატორი) ეხმარება ორ ან მეტ მოდავეს, მიაღწიონ მათ შორის არსებული დავის ნებაყოფლობით გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით.<sup>10</sup> მედიაციის დროს გამოიყენება გარკვეული „ძირითადი წესები“, რომლებიც ჩვეულებრივ მოქმედებს ყვირილის, მხარეთა მიერ თანაბარი დროის გამოყენების ხელშეშლისა და სხვა ხელშეშლური მოქმედებების საწინააღმდეგოდ. თუმცა საკვანძო საკითხია ის, რომ მედიაციის ე.წ. „ძირითადი წესებით“ არ არიან მხარეები შემზღველნი იმასთან დაკავშირებით, რასაც მედიაციის დროს მნიშვნელობა აქვს. მოცემულ შემთხვევაში არაა დაწესებული პროცედურული შემზღვევები, რის გამოც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თვითონვე განსაზღვრონ რას აქვს მნიშვნელობა მათი მიზნების მისაღწევად. ამ კონტექსტში „ძირითადი წესები“ სასამართლო განხილვებისთვის დადგენილი საპროცესო ნორმები კი არაა, არამედ არაფორმალურად შემუშავებული წესების ერთობლიობა.<sup>11</sup> შესაბამისად, მოდავე მხარეებს შორის მოლაპარაკებების წარმოებისას მედიაცია ეფუძნება მხარეთა საერთო ინტერესს და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტას.<sup>12</sup> თუმცა მხარეები, როგორც პროცესის მთავარი ფიგურანტები, ღებულობენ დავის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას

და აყალიბებენ მათ შორის არსებული დავის რეგულირების პირობებს. მედიაცია შემუშავებულია იმისათვის, რომ დაეხმაროს მხარეებს, გაარკვიონ ძირითადი მოტივი ან ინტერესი. ამიტომ მედიაცია განიხილება პროცესად, რომელიც დაფუძნებულია მხარეთა ინტერესებზე და არა უფლებებზე.<sup>13</sup>

რაც შეეხება მოსამართლეს, ის იღებს სავალდებულო სახით გადაწყვეტილებას, მედიაციის შემთხვევაში არაა სავალდებულო საბოლოო შეთანხმების მიღწევა, მაგრამ შეთანხმების მიღწევისას ეს შედეგი ორივე მხარის ინტერესებს პასუხობს და, ამავე დროს, ეს მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა.<sup>14</sup> მედიატორი ეხმარება მხარეებს იმაში, რომ, ერთი მხრივ, შეიმუშავონ მისაღები შედეგები და გადაწყვეტილებები, მეორე მხრივ კი, შეისწავლონ მათთვის მისაღები მიზნის მიღწევის გზები. თუმცა მოლაპარაკებისთვის შექმნილი გარემო მედიაციაში პოზიტიურ ხასიათს ატარებს. მხარეები მოტივირებულნი არიან, მიაღწიონ საკუთარ მიზანს. შესაბამისად, გამოსავლის ძიებაზე დაფუძნებული მოდელი ეხმარება მხარეებსა და მედიატორს, შექმნან თავიანთი „საუკეთესო მომავალი“.<sup>15</sup>

საქმე ისაა, რომ მედიაციის დროს მედიატორი იყენებს სხვადასხვა უნარსა და მეთოდს, რათა დაეხმაროს მხარეებს შეთანხმების მიღწევაში, მაგრამ მას არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამ პროცესში მხარეები რჩებიან პირებად, რომლებიც ღებულობენ დავის მოწესრიგების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას.<sup>16</sup>

კანონით აღიარებულია სასამართლო მედიაცია და კერძო მედიაცია. სასამართლო მედიაცია წარმართება სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ, თუ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლომ საქმე მედიატორს გადასცა („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი). კანონით სასამართლო მედიაციის ვადა არის 45 დღე, თუმცა უნდა მოიცავდეს სულ მცირე ორ შეხვედრას.

<sup>9</sup> ob. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5.th edition, London: Cavendish Publishing, გვ. 95.

<sup>10</sup> Rozdeicer, L. and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. გვ. 5.

<sup>11</sup> Rubinson, R., 2010. Mapping the World: Facts and Meaning in Adjudication and Mediation. Maine Law Review, 63 (1), გვ. 80.

<sup>12</sup> ob. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5.th edition, London: Cavendish Publishing, გვ. 95 - 96.

<sup>13</sup> Rozdeicer, L. and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. გვ. 5.

<sup>14</sup> ყანდაშვილი, ი., 2017. მედიაცია - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 116.

<sup>15</sup> Bannink, F. P., 2007. Solution-Focused Mediation: The Future with a Difference. Conflict Resolution Quarterly, 25 (2), გვ. 181, DOI: 10.1002/crq.

<sup>16</sup> Rozdeicer, L. and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. გვ. 5.

ამასთან, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით მხოლოდ მხარეთა შეთანხმების არსებობისას.<sup>17</sup> ვადა კიდევ უფრო აქტუალურია პანდემიის გავრცელების პირობებში. საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, წლები გრძელდება სასამართლოში საქმის განხილვა, მეორე მხრივ კი, კორონავირუსით გამოწვეული მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ საქმე მეპირი განხილვის გარეშე ვერ წყდება, სასამართლო უმეტესწილად საქმის განხილვის გადადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამართალწარმოების გაჭიანურებას და, ამავე დროს, მხარეთა შორის არსებულ დაძაბულ ფონს არ აქარწყლებს, რადგან საქმის განხილვის გადავადებით დავის გადაწყვეტაც გარკვეული ვადით ხანგრძლივდება.

პანდემიის პირობებში უმეტესწილად მოგვბაც მცირდება და ბიზნესსუბიექტისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ წარმოშობილი დავა მოაგვაროს შედარებით ნაკლები ხარჯებით. მაგალითად, სახელმწიფო ბაჟი სასამართლო მედიაციის დროს არის დავის საგნის ღირებულების 1%, თუმცა ის უნდა იყოს მინიმუმ 50 ლარი. თუ დავა შეთანხმებით არ დასრულდა, საქმის სასამართლოში წარმოების განახლების დროს მოსარჩელემ დამატებით უნდა წარადგინოს დავის საგნის ღირებულების 2%-ის, მაგრამ სულ მცირე 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.<sup>18</sup> ამასთან, თუ სასამართლო მედიაცია დასრულდა მხარეთა შეთანხმებით, კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.<sup>19</sup>

რაც შეეხება კერძო მედიაციას, ის მხარეთა ინიციატივით ხორციელდება მედიაციის შესახებ შეთანხმების საფუძველზე იმის გარეშე, რომ სასამართლოში საქმე მედიატორს გადასცეს („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები). ამდენად, კერძო მედიაცია მაქსიმალურად დისპოზიციურ ხასიათს ატარებს. აქვე საგულისხმოა, რომ 2019 წლის სექტემბრიდან საკანონმდებლო ცვლილების შედეგად „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კერძო მედიაციის დაწყება ჩაითვალია ხანდამულოდ ვადის დენის შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად (სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის გ<sup>1</sup> პუნქტი). შესაბამისად, კერძო მედიაციის დაწყების

მომენტიდან ჩერდება მოთხოვნის ხანდამულოდ ვადის დენა („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი).

მედიაციის პროცესი შეიძლება წარმართოს ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა. მხარეები შეთანხმებით განსაზღვრავენ, ვინ უნდა იყოს მედიატორი (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). მედიაციის პროცესი გამოირჩევა თავისი პრინციპებით, რომლებიც მის ძირითად არსს განსაზღვრავს. ამ პრინციპებს განეკუთვნება: ნებაყოფლობითობა, მედიატორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, მხარეების მიერ პროცესის გაკონტროლება და კონფიდენციალობის დაცვა.<sup>20</sup> საქმე ისაა, რომ მედიატორისთვის დაუშვებელია მიკერძოება. ამასთან, მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტებით მედიატორს ენიჭება უფლება, უარი თქვას პროცესში მონაწილეობაზე და ნებისმიერ ეტაპზე პროცესიდან გავიდეს მაშინ, როცა იქმნება მედიატორის მიერ მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე.<sup>21</sup> აქვე კანონით მედიაციის დროს გასათვალისწინებელია თვით-გამორკვევის, კეთილსინდისიერებისა და თანა-სწორობის პრინციპები („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი).

დღევანდელი საკანონმდებლო მდგომარეობის მიხედვით, მედიაციას აქვს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც: ა) აუცილებელია მოდავე სუბიექტთა კომუნიკაცია და დავის მოგვარების ნება; ბ) არაკეთილსინდისიერმა მხარემ შეიძლება მედიაცია გამოიყენოს, როგორც დავის გაჭიანურების საშუალება.<sup>22</sup> მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე „Egan v. Motor Services (Bath) LTD“ დავა ეხებოდა ნივთობრივად ნაკლები მანქანის შეძენას და, ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობების მიუხედავად, მყიდველი უკმაყოფილო რჩებოდა, რამაც განაპირობა ხარჯების გაზრდა და დავის გაჭიანურება. სახელდობრ, დავის ფასი შეადგენდა 6 000 ფუნტ სტერლინგს, ხოლო მხარეებმა სასამართლო განხილვისას დახარჯეს 100 000 ფუნტი სტერლინგი.<sup>23</sup> ეს ის შემთხვევაა, როცა მედიაციის

<sup>20</sup> იხ. Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. Afro Eurasian Studies Journal, 6 (1&2), Spring & Fall, გვ. 18-19.

<sup>21</sup> იხ. ჩიტაშვილი, ნ., 2016. მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის აღრესატები. სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 32.

<sup>22</sup> ცერცვაძე, გ., 2010. მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა). თბილისი: მერიდიანი, გვ. 42.

<sup>23</sup> Egan v Motor Services (Bath) Ltd [2007] EWCA Civ 1002.

<sup>17</sup> სსსკ-ის 187<sup>5</sup> -ე მუხლი. პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

<sup>18</sup> სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“<sup>3</sup> პუნქტი, პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

<sup>19</sup> სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> ნაწილი, პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

დროს მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ამიტომ საქმის განხილვა სასამართლოში გაგრძელდა; გ) უარყოფითად ფასდება, როცა მედიაციის პროცესი ზედმეტად დაწვრილებით არის დარეგულირებული. ამით ფაქტობრივად მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, კარგავს იმ ლავირებად ხასიათს, რაც მას განასხვავებს სამართლებრივ ფარგლებში მოქცეულ სასამართლო განხილვისა და დავის გადაწყვეტის ნებისმიერი სხვა ალტერნატიული ფორმისგან; დ) მედიაციის დამკვიდრებამ შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების „პრივატიზაცია“ და მართლმსაჯულება კერძო პირებმა განახორციელონ, რაც სამართლის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის. თუმცა ეს ალბათ უფრო ჰიპოთეტური ხასიათის მოსაზრებაა და მედიაციის თაობაზე ნაკლები ინფორმირებულობით შეიძლება აიხსნას;<sup>24</sup> ე) ამასთან, ცალკე შეიძლება გამოიყოს ის, რომ მედიაცია აფერხებს სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, მედიაცია რამდენიმე საყურადღებო პოზიტიური ასპექტით ხასიათდება, რის გამოც მედიაციისადმი დაინტერესება უფრო და უფრო ზრდადი ხდება. მიზანშეწონილია ამ დეტალების გაანალიზება:

სასამართლო პროცესის დროს მოსამართლე საქმის ბედს წყვეტს ერთპიროვნულად. მედიაციის შემთხვევაში მოიაზრება კომუნიკაცია, რომელსაც უძღვება მესამე ნეიტრალური პირი (მედიატორი).<sup>25</sup> მედიატორი ეხმარება მოდავე მხარეებს მათ შორის წარმოშობილი უთანხმოების მოგვარებაში. სასამართლოსთან შედარებით, მედიატორი არ ფლობს უფლებამოსილებას, მხარეებს გადაწყვეტილება დააკისროს, მას შეუძლია ამ პროცესის მხოლოდ ხელშეწყობა, ფასილიტაცია.<sup>26</sup> ამდენად, მედიატორი მოქმედებს როგორც ფასილიტატორი.<sup>27</sup> ჩვეულებრივი სასამართლო პროცესებისგან განსხვავებით, მედიაციის დროს მხარეებს აქვთ კომუნიკაცია იმ მოლოდინის გარეშე, რომ მათ შემდგომ ისევ ექნებათ ერთმანეთთან

კავშირი. ასეთი მოლაპარაკებებისას მიღებული ინფორმაციის გამოყენების შედეგად შეიძლება უსამართლოდ დადგეს ზიანი. მედიატორს ევალება, იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და არ უნდა დაიცვას რომელიმე მხარის ინტერესები. მედიაცია განიხილება მხარის უმთავრეს მოტივატორად, რადგან სურს, დაგა მშვიდად და გასაჯაროების გარეშე დაარეგულიროს. ასევე, მედიატორი და მედიაციის პროგრამა ხელყოფისგან დაცვას ემსახურება.<sup>28</sup> მედიატორის ზეგავლენის შესაძლებლობები შეიძლება ფართო იყო, ამიტომ მან ისე უნდა განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები, რომ მედიაციის პროცესზე გავლენა არ მოახდინოს. აქედან გამომდინარე, მედიატორის ნეიტრალიტეტით შეიძლება აიხსნას მისი პასიური როლი. ამიტომ მედიატორი, რომელიც მოდერატორის ფუნქციას ასრულებს, ცდილობს, დაიცვას ბალანსი მოლაპარაკებების წარმოებისას და ამ პროცესის შინაარსზე არ მოახდინოს ზეგავლენა, თუმცა ასეთი პასიურობა არ გულისხმობს, რომ მედიატორს არ მოუწევს აქტიური მოქმედებების შესრულება. მედიატორი ხელმძღვანელობს მედიაციის პროცესს და პასუხისმგებელია ამ პროცესის სათანადოდ წარმართვაზე, რაც გარკვეულწილად გამოწვევაცაა.<sup>29</sup>

ასევე, სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, მედიაციის გამოყენება შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ საქმის სასამართლო წესით განხილვა ატარებს სტრესულ, ძვირადღირებულ და არაპროგნოზირებად ხასიათს. რაც შეეხება მედიაციას, ის მიიჩნევა დავის გადაწყვეტის გაცილებით იაფ და ქმედით საშუალებად.<sup>30</sup> სასამართლო პროცესების ხანგრძლივად წარმართვა ქმნის მხარეთათვის სტრესულ გარემოს. ასევე, მედიაციის დროს არ გვხვდება სასამართლო ხარჯები და, კონფიდენციალობის პრინციპის გათვალისწინებით, მედიაცია მხარეთათვის მიიჩნევა დავის განხილვის მომხიბლავ ალტერნატიულ საშუალებად.<sup>31</sup>

სასამართლოში საქმის განხილვა

<sup>24</sup> ყანდაშვილი, ი., 2017. მედიაცია - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მონქსრიგების პერსპექტივა საქართველოში. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 54.

<sup>25</sup> ცერცვაძე, გ., 2010. მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა). თბილისი: მერიდიანი, გვ. 26-28.

<sup>26</sup> Riskin, L. L., 1982. Mediation and Lawyers. Ohio State Law Journal, 43, გვ. 29.

<sup>27</sup> Rubinson, R., 2010. Mapping the World: Facts and Meaning in Adjudication and Mediation. Maine Law Review, 63 (1), გვ. 79.

<sup>28</sup> ib. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, გვ. 37- 38.

<sup>29</sup> ib. Gullo, A., 2006. Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin: Rhombos -Verlag, გვ. 11-12.

<sup>30</sup> ib. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, 2013. მედიაციის სამართლებრივ რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი გვ. 13, 60, 100.

<sup>31</sup> ib. Foster, T. N. and Prentice, S., 2009. The Promise of Confidentiality in Mediation: Practitioners' Perceptions. Journal of Dispute Resolution, გვ. 1.

ძირითადად საჭაროა, მედიაციის პროცესი კი საიდუმლო ხასიათს ატარებს<sup>32</sup> და წარმართება კონფიდენციალობის მაქსიმალური დაცვით. ამასთან, სასამართლოში ყველა მტკიცებულება საჭაროდ გამოქვეყნებას მოითხოვს.<sup>33</sup> სწორედ ეს ასპექტი ბიზნესკომპანიებს უბიძგებს, მიმართონ დავის გადანწყვტას მედიაციის გზით, რადგან ხანგრძლივმა და გახმაურებულმა სასამართლო პროცესებმა შეიძლება მათი ინტერესები ხელყოს.<sup>34</sup>

თუ სასამართლო ორგანოები გარკვეულწილად ვერდიქტებს გამოსცემენ, მედიატორები მიისწრაფვიან შეთანხმების მიღწევისკენ. მედიატორის ინსტრუმენტი რეალური პოზიციებისა და ინტერესების გამოვლენა, სასამართლო კი ეძებს ფაქტებს.<sup>35</sup> ამასთან მედიატორი აქცენტს აკეთებს მხარეთა ურთიერთობის პოზიტიურ ასპექტებზე, ეს კი უზრუნველყოფს მხარეთა შორის არსებული დაძაბულობის ჩაცხრობას. ასევე, დახურული სხდომის დროს მედიატორი თითოეულ მხარეს ცალკე, კონფიდენციალურად ხვდება. შესაძლოა, მხარეებს არ უნდოდეთ ყველა მონაწილის თანდასწრებით გულახდილობა, თუმცა მედიაციის პროცესი ხშირად მოიცავს მხარეთა პირდაპირობას. დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად ან ალტერნატივების გამოსაკვლევად მედიატორს შეიძლება დასჭირდეს უშუალოდ მხარეებთან ცალკე შეხვედრა. ასეთი შეხვედრების პოზიტიურ მხარედ შეიძლება განიხილებოდეს ისიც, რომ მხარეს აძლევს საშუალებას, მოეშვას, დამშვიდდეს და აიცილოს სამომავლოდ ურთიერთობის დაძაბვა. ასევე უშუალოდ მხარეებთან ცალკე შეხვედრამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს ერთი მხარის მიერ მეორის მიმართ მანიპულაციის განხორციელებას.<sup>36</sup>

მედიაციის ამოცანაა, მხარეებს შორის მიმდინარე ურთიერთობები შეინარჩუნოს. მედიაციისგან განსხვავებით, სასამართლო პროცესში მხარე თავისი პოზიციის დასაბუთებისას ცდილობს, გააბათილოს და უარყოს მეორე მხარის მოთხოვნები, რათა დაასაბუთოს მათი

უსაფუძვლობა. მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა მხარეებს უქმნის ისეთ გარემოს, რომ მათ შეძლონ ობიექტურად საკუთარი პოზიციისთვის არასასურველი მომენტების შეფასება და მოლაპარაკების წარმოება პოზიტიური მოლოდინით. სასამართლოში საქმის განხილვის დროს უმეტესწილად მხარეთა შორის ურთიერთობა დაძაბულია, ატარებს სტრესულ და უარყოფით ხასიათს.<sup>37</sup>

#### 4. მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა

„მედიაციის შესახებ“ კანონით მედიაციის ერთ-ერთ უმთავრესი პრინციპია კონფიდენციალობა, რომლის თანახმად, მედიაციის პროცესი არის კონფიდენციალური, ხოლო მედიაციის მონაწილეებმა უნდა დაიცვან ინფორმაცია, რომელიც მათ გაიგეს მედიაციის პროცესში, ან ძირითადად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან. კანონით განისაზღვრა, რომ კონფიდენციალობის დაცვის ეს კანონისმიერი ვალდებულება გრძელდება უშუალოდ მედიაციის დასრულების შემდგომაც, თუ ეს მხარეებსა და მედიატორს შორის წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ დარეგულირდა („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი).<sup>38</sup>

კონფიდენციალობა ფაქტობრივად ხელს უწყობს მხარეებს, რომ ერთმანეთს შორის ინფორმაცია გაცვალონ, პრობლემები მოაგვარონ და მოლაპარაკებების წარმოებაც მათ ინტერესებს დააფუძნონ.<sup>39</sup> ამ დროს მედიატორი მხარეებს აცნობს კონფიდენციალობის დაცვის პირობებსა და საფუძვლებს. მედიაციის კონფიდენციალობა იწვევს და განამტკიცებს ნდობას მხარეებსა და მედიატორებს შორის. როცა მედიაციის დროს მიწოდებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა არაა მეორე მხარისა და მედიატორის მიერ დაცული, ეს განაპირობებს მედიაციის პროცესის ეფექტიანობის ხარისხის შემცირებას.<sup>40</sup>

<sup>32</sup> Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, გვ. 5.

<sup>33</sup> Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, გვ. 45.

<sup>34</sup> Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, p. 5.

<sup>35</sup> Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, გვ. 45.

<sup>36</sup> დავის ალტერნატიული გადანწყვტის ნაციონალური ცენტრი. 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი, გვ. 209, 224.

<sup>37</sup> Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, გვ. 4 - 5.

<sup>38</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“. რეგისტრაციის N07-2/319/9.

<sup>39</sup> Callahan, R., 2012. Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending? Pepperdine Dispute Resolution Law Journal, 12, გვ. 96.

<sup>40</sup> Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, გვ. 3.

კონფიდენციალურობა მხარეებს სთავაზობს მოლაპარაკებების გასაიდუმლოებულ სივრცეს.<sup>41</sup> ამის წყალობით საქმის ყველა არსებითი გარემოება განიხილება გულდიად და საფუძვლიანად. მხარეები მსჯელობენ და ლაღად ამხელენ ინფორმაციას, ვინაიდან სწამთ, რომ მედიაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია არ იქნება მათ წინააღმდეგ გამოყენებული.<sup>42</sup>

კონფიდენციალობა ბევრისთვის არის სტიმული, აირჩიონ მედიაცია, მაგალითად, კომერციული საიდუმლოების დაცვის დროს. მედიაცია მხარის უპირველესი მოტივატორია, რადგან სურს, დავა მშვიდად და გასაჯაროების გარეშე მოაწესრიგოს.<sup>43</sup>

გარდა ამისა, სწორედ კონფიდენციალობა არის ინსტრუმენტი, რომელიც მედიატორის მიუკერძოებლობის რწმენას აძლიერებს. მიუხედავად ნდობაზე დაფუძნებული გარემოს არსებობისა, მედიატორი არ უნდა მიემხროს რომელიმე მხარეს და უნდა იყოს ნეიტრალური.<sup>44</sup> შესაბამისად, მედიაციის პროცესის აუცილებელი ელემენტებია კონფიდენციალობისა და ნეიტრალურობის დაცვა.<sup>45</sup>

მხარეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება კონფიდენციალობის დაცვა კომერციულ ურთიერთობებში. თუ მესამე პირმა იცის, რომ მხარეებს აქვთ სერიოზული საქმიანი ურთიერთობები და მათ შორის დავაა განსაკუთრებით დიდ თანხაზე, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით შეიძლება ბაზარზე მათი რეპუტაციის ხელყოფა და საქმიანი ურთიერთობებისთვის ვნების მიყენება. ასევე,

შესაძლოა, ორივე მხარეს არ უნდოდეს გარკვეული საიდუმლო მონაცემების გასაჯაროება. ზოგჯერ კონფიდენციალობის დაცვის პრინციპი განიხილება მედიაციის წარმოების უმნიშვნელოვანეს უპირატესობად.<sup>46</sup> ამ შემთხვევაში შეიძლება მხარეებმა მათთვის არასასურველი ან პოტენციური საფრთხის შემცველი ინფორმაცია გაამჟღავნონ. ამდენად, მოცემულ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა.<sup>47</sup>

გარდა ამისა, კონფიდენციალობა მხარეებს უქმნის სამართლიანობის უზრუნველყოფის შეგრძნებას. მედიაციის პროცესში განსახილველ საკითხთა ნუსხა იმაზე მეტია, ვიდრე ეს სასამართლოში საქმის განხილვისას გვხვდება.<sup>48</sup> მედიაციის პროცესში გადასაცემი მონაცემები შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ ინფორმაციას. შესაბამისად, შესაძლოა, მედიაციის დროს კომუნიკაციას მოჰყვეს პირადი თუ ძალიან მგრძობიარე მონაცემების გამჟღავნება, მაგრამ მათი დამუშავებისას უნდა იყოს კანონით დადგენილი წესები მკაცრად დაცული, ხოლო ზიანის მიყენებისას - ზიანი ანაზღაურებული.<sup>49</sup> ეს ყველაფერი, ცხადია, უფრო ზრდის გამჟღავნებული ინფორმაციის გამოყენების საფრთხეს მხარეთათვის ზიანის მიყენების მიზნით. თუმცა აქ გასათვალისწინებელია კონფიდენციალობა, რომლის წყალობითაც დავის მონაწილეებს არ აქვთ მედიაციის პროცესში გაცხადებული ინფორმაციის მეორე მხარის საწინააღმდეგოდ გამოყენების უფლება. ეს ქმნის მხარეთა შორის ინტერაქციული მოლაპარაკებების წარმოების შედარებით უსაფრთხო პირობებს.<sup>50</sup>

<sup>41</sup> Zhao, Y. and Koo, A.K.C., 2011. The Development of Legal Protection for Mediation Confidentiality in Hog Kong. Common Law World Review, გვ. 264. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comllwr40&div=17&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comllwr40&div=17&g_sent=1&casa_token=&collection=journals)> [წვდომის თარიღი 11 თებერვალი 2021].

<sup>42</sup> Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, American Journal of Trial Advocacy, 19, გვ. 412. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)> [წვდომის თარიღი 12 აპრილი 2021].

<sup>43</sup> Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, გვ. 37 - 38.

<sup>44</sup> Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. American Journal of Trial Advocacy, 19, გვ. 415. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)> [წვდომის თარიღი 12 აპრილი 2021].

<sup>45</sup> In re Marriage of Anna and Maciej Kieturakis, California Appeal Court 4th, 2006.

<sup>46</sup> Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. Afro Eurasian Studies Journal, 6 (1&2), Spring & Fall, გვ. 28.

<sup>47</sup> დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი: გვ. 31- 32.

<sup>48</sup> Brown, K. L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. Journal of Dispute Resolution, 2, გვ. 310-311. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/>> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2021].

<sup>49</sup> იხ. ბიჭია, მ., 2017. პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა ინტერნეტსამყაროში. VIII საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის კონფერენციის „ინტერნეტი და სამოგადოება“ მასალები, 7- 8 ივლისი, 2017, ქუთაისი: გვ. 36-41.

<sup>50</sup> Brown, K.L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. Journal of Dispute Resolution“, 2, გვ. 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/>> [წვდომის თარიღი 10 მაისი 2021].



ამდენად, მედიაციის მონაწილეებს აქვთ მათი კომუნიკაციის კონფიდენციალობის დაცვის მოლოდინი. თუ მათ ამის რწმენა არ ექნებათ, ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ მხარეთა მონაწილეობა იქნება შედეგიანი.<sup>51</sup>

თუმცა კონფიდენციალურობის პრივილეგიასაც აქვს გამონაკლისები,<sup>52</sup> კერძოდ, არაერთი მედიაციის აქტით განსაზღვრულია კონფიდენციალობის შეზღუდვის დასაშვებობა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვეთილია სერიოზული ფიზიკური ძალადობისა და ხელყოფის საფრთხე.<sup>53</sup> მედიაციის უნიფიცირებული აქტის თანახმად, მედიატორს ენიჭება უფლება, დაარღვიოს კონფიდენციალობა, თუ ეს ემსახურება მკვლევლობის ან სხვა სერიოზული საფრთხის პრევენციას. თუმცა არის შემთხვევები, როცა ინფორმაციის გამჟღავნება სავალდებულო ხასიათს იძენს. ასეთია, მაგალითად, ბავშვზე ძალადობის ან სპეციფიკური და გარდაუვალი საფრთხის არსებობა.<sup>54</sup>

საქართველოს კანონმდებლობაში 2020 წლამდე სხვა სურათი იყო, კერძოდ, არ იყო ასახული კონფიდენციალობის დაცვის შეზღუდვის შემთხვევები, თუმცა ისინი დადგენილი იყო ევროპულ დირექტივაში.<sup>55</sup> შემდგომ საქართველომ ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, კანონით აღიარა მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის შეზღუდვის საგამონაკლისო

შემთხვევებიც. სახელდობრ, კონფიდენციალობის შეზღუდვა შეიძლება, თუ ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან თავისუფლება არის დასაცავი, ანდა დღის წესრიგში დგას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის აუცილებლობის საკითხი. ამასთან, კონფიდენციალობა შეიძლება შეიზღუდოს მაშინ, როცა: ინფორმაცია უნდა იყოს წარდგენილი სამედიაციო მორიგების მიღწევის ფაქტის დასამტკიცებლად, თუ მეორე მხარემ სადავოდ აქცია ან უარყო ეს ფაქტი; ასევე, ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვის და სხვა. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით უნდა იყოს გამჟღავნებული, რის თაობაზეც შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება. გასათვალისწინებელია სხვა მოთხოვნაც, კერძოდ, ამ საგამონაკლისო შემთხვევებშიც ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით იმგვარად, რომ ინფორმაციის კონფიდენციალობა მაქსიმალურად იყოს დაცული გარეშე პირებისაგან.<sup>56</sup>

## 5. მედიაციით განხილულ საქმეთა სტატისტიკა და დისტანციური მედიაცია

დღესდღეობით სასამართლო ხშირად სთავაზობს მხარეებს დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის საშუალებას. ამას ადასტურებს მედიაციის ფარგლებში საქმეთა განხილვის შესახებ არსებული პრაქტიკა. საქმე ისაა, რომ 2021 წლის აპრილის მონაცემების მიხედვით, 2013 წლიდან 2021 წლის 15 აპრილამდე სასამართლო მედიაციაში განხილული იყო 337 საქმე. მათგან ნაწილი ეხებოდა სანივთო, ვალდებულებით, საოჯახო, მემკვიდრეობისა და პირადი უფლებების დაცვას.<sup>57</sup>

<sup>51</sup> Gray, O. V., 1998. Protecting the Confidentiality of Communications in Mediation. *Osgoode Hall Law Journal*, 36, november 4, გვ. 668.

<sup>52</sup> Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. *American Journal of Trial Advocacy*, 19, გვ. 426-427. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrd19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)> [წვდომის თარიღი 12 აპრილი 2021].

<sup>53</sup> Kirtley, A., 1995. The Mediation Privilege's Transition from Theory to Implementation: Designing a Mediation Privilege Standard to Protect Mediation Participants, the Process and the Public Interest. *Journal of Dispute Resolution*, No1 გვ. 48.

<sup>54</sup> Burnley, R. and Lascelles, G., 2004. Mediator Confidentiality – Conduct and Communications, *Arbitration. The International Journal of Arbitration, Mediation and Dispute Management*, 70(1), გვ. 8.

<sup>55</sup> წულაძე, ა., 2016. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 132-133.

<sup>56</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, რეგისტრაციის N07-2/319/9; „მედიაციის შესახებ“ კანონი.

<sup>57</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის პასუხი მედიაციის ცენტრის მიერ განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემების შესახებ N2-0434/4553058.

სასამართლო მედიაციაში განხილული საქმეები									
დავის კატეგორია	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.
სანივთოსამართლებრივი დავა	1	10	14	5	8	10	4	6	2
ვალდებულებითსამ. (სასესხო, მიკროსაფინანსო/ საბანკო) დავა	1	1	1	10	30	22	10	61	25
საოჯახო დავა	1	2	8	7	10	14	4	3	0
სამემკვიდრეო დავა	0	0	4	2	2	3	7	3	2
შრომითი დავა	0	0	0	0	1	2	4	27	6
პატივის, ღირსების და სხვა პირადი სიკეთის შელახვის შესახებ	0	0	0	0	0	0	2	2	0
სულ	3	13	27	24	51	51	31	21	35
საერთო ჯამი - 337 საქმე									

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სასამართლო მედიაციით განხილული 337 საქმიდან 75-80% (სულ 261 საქმე) ბიზნესდავებზე მოდის. ამასთან, მედიაციის ფარგლებში განხილული 337 საქმიდან 70%-მდეა მორიგების მაჩვენებელი. მედიაცია განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევა კომერციული, მიკროსაფინანსო და შრომითი დავების გადაწყვეტისას. 2020 წლის აგვისტომდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებისას<sup>58</sup> იკვეთება, რომ პანდემიის პირობებში 2020 წლის აგვისტოდან 2021 წლის აპრილამდე (ანუ 7-8 თვეში) მედიაციით განხილული იყო დაახლოებით 100-მდე ბიზნესდავა და მზარდად მედიაციით დაინტერესება, არადა წინა წლებში ასეთი დინამიკა არ იყო გამოკვეთილი. შესაბამისად, ბიზნესის წარმომადგენლებისთვის უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება მედიაციის გზით დავის გადაწყვეტა.

ამჟამად მსოფლიოში ურთიერთობები განვითარდა და წინა პლანზე იწვეს დისტანციური მედიაცია. ფაქტობრივად ონლაინმედიაცია აღიარებულ იქნა, როგორც ელექტრონული ვაჭრობის გლობალურ ბაზარზე დავის გადაწყვეტის სამართლიანი, ეფექტიანი, მოქმედი, ხელსაყრელი და იაფი საშუალება.<sup>59</sup>

პანდემიის პირობებში აქტუალურია ონლაინმედიაცია. კიბერსივრცეში მედიაციის გამოყენებასთან დაკავშირებით დაახლოებით ოცი

წლის წინ დაისვა საკითხი იმაზე, თუ რამდენად მზად ვიყავით დავის დისტანციურად გადაწყვეტისთვის. მე-20 საუკუნის მიწურულს მსჯელობა ეხებოდა ამ საშუალების გამოყენებისას გარკვეული საფრთხეების არსებობას; მიუთითებდნენ, რომ დიდი ყურადღება იყო გასამახვილებელი იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდებოდა კომუნიკაციას, კომპიუტერული რესურსების ასიმეტრიასა და მედიატორის როლს მანამ, ვიდრე მედიატორები ეცდებოდნენ, გადაწყვიტონ დავა ონლაინრეჟიმში მულტიპარტიულ (მრავალი პირის) წრეში.<sup>60</sup> დღესდღეობით, კორონავირუსის გავრცელების პირობებში, ქართულ რეალობაშიც გაჩნდა ონლაინმედიაციის გამოყენების მექანიზმი და წესები.<sup>61</sup> კარგი იქნება, თუ ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში მეტი ყურადღება მიექცევა დისტანციური მედიაციის განვითარებას.

## დასკვნა

კვლევით დადგინდა, რომ პანდემიის პირობებში მედიაციამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. დავების გადაწყვეტისთვის მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების ეფექტიანობა განაპირობებელია იმით, რომ მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევისას მაქსიმალურად გათვალისწინებულია მხარეთა ინტერესები.

კორონავირუსის გავრცელების დროს მედიაცია

<sup>58</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 აგვისტოს პასუხი მედიაციის ცენტრის მიერ განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემების თაობაზე N3920129.

<sup>59</sup> Lavi, D., 2016. Three is not a Crowd: Online Mediation-Arbitration in Business to consumer Internet Disputes. U. Pa. J. Int'l L., 37(3), გვ. 940.

<sup>60</sup> Eisen, B. J., 1998. Are we ready for Mediation in Cyberspace? Brigham Young University Law Review, გვ. 1305-1307.

<sup>61</sup> საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი. 2020. „ონლაინ“ (დისტანციური) მედიაციისა და ფასილიტაციის პროტოკოლი. თბილისი, გვ. 1-6.

განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა ბიზნესისთვის. ეს შეიძლება აიხსნას იმ ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებით, რომლებითაც იმიჯება სასამართლოსა და მედიაში საქმის განხილვა: მედიაში არაა დროში განვლილი. სასამართლოში საქმის განხილვასთან შედარებით, ის არის იაფი, მშვიდი და ეფექტიანი პროცესი. თუ სასამართლოში დავის დროს მხარეებს შორის ურთიერთობა დაძაბულია, მედიაციის კონფიდენციალობა უზრუნველყოფს მხარეთა შორის მიმდინარე ურთიერთობის შენარჩუნებას. ეს ყველაფერი არსებითია ბიზნესში ჩართული მოდავე მხარეებისთვის პანდემიის დროს, რადგან ისედაც დიდია შეზღუდვების ნეგატიური ეკონომიკური ეფექტები, ხოლო სამენარმეო საქმიანობის მშვიდად და ქმედითად წარმართვა მიიღწევა მედიაციის დროს დავების ოპტიმალურად სწრაფ ვადებსა და არასტრესულ პირობებში გადაწყვეტით.

მართალია, დასახელებული გარემოებები შესაძლოა, შეეხოს მხარეთა მიერ სხვადასხვა სახის საიდუმლო ინფორმაციის გაცემას, მაგრამ მხარეებს აქვთ მოლოდინი, რომ მედიაციის პროცესში გაცემული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი სხვებისთვის. კონფიდენციალობის დაცვა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს და ზრდის მხარეთა ნდობას მედიაციის მიმართ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ბიზნესსუბიექტებისთვის, რათა მათი კომერციული საიდუმლოება სათანადოდ იყოს დაცული. ამასთან, მედიაციის დროს როგორც ინდივიდუალური შეხვედრების, ისე კონფიდენციალობის დახმარებით შესაძლებელია მხარეებს შორის ურთიერთობის დაძაბვის პრევენცია და პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიება.

ამდენად, სწორედ მედიაციის მოქნილი ხასიათისა და პროცესის კონფიდენციალობის გამო ხდება მომხიბვლელი ეს ინსტიტუტი ბიზნესში ჩართული სუბიექტებისთვის, მით უფრო პანდემიის პირობებში.

ასევე, პანდემია უარყოფითად აისახება ბიზნეს-სექტორზე, რადგან მას თან სდევს ნეგატიური ეკონომიკური ეფექტი. პრობლემა კიდევ უფრო რთულ ხასიათს იძენს დღეს, როცა პანდემიის პირობებში სასამართლო პროცესები ჭიანჭღდება, ან ზოგიერთი სამენარმეო საქმიანობა ჩერდება. ამ დროს დავების გახანგრძლივებულად განხილვა პირდაპირპროპორციულად ინვესტს ბიზნესში ჩართული სხვადასხვა სუბიექტის მოგების ძლიერ

შემცირებას, ხარჯების გაზრდას. ამასთან, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ამოქმედებული შეზღუდვები განაპირობებს ბიზნეს სუბიექტთა სამენარმეო საქმიანობის დროებით შეჩერებას ან საერთოდ დახურვას. შესაბამისად, ნეგატიური ეკონომიკური ეფექტის პრევენციისთვის ბიზნესდავები უნდა გადაწყდეს უსწრაფეს ვადებში და ნაკლები დანახარჯებით, რაც მიიღწევა მედიაციის გზით.

ამასთან, დადგინდა, რომ საქართველომ გაითვალისწინა ევროპული გამოცდილება და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რასაც მოჰყვა „მედიაციის შესახებ“ ახალი კანონის მიღება. კანონში აისახა მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა და მისი შეზღუდვის საგამონაკლისო შემთხვევები; შეზღუდვაც კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესის მეტი მნიშვნელობით უნდა იყოს განპირობებული. ასეთ შემთხვევებში მონაცემების გამჟღავნება დაიშვება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით ისე, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს ინფორმაციის კონფიდენციალობა გარეშე პირებისგან (განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, რეგისტრაციის N07-2/319/9; „მედიაციის შესახებ“ კანონი). როგორც კვლევამ აჩვენა, მედიაციით უკვე რამდენიმე ბიზნესსუბიექტმა წარმატებით ისარგებლა და წლების განმავლობაში მიმდინარე დავები მოაგვარა. სტატისტიკური მონაცემებიდანაც ცხადია, რომ პანდემიის დროს ბიზნესსუბიექტთა ნდობა საგრძნობლად გაზრდილია მედიაციის მიმართ. მედიაციის გზით განხილულ საქმეთა შორის ბიზნესდავების ხვედრითი წილი 80%-მდეა. ამდენად, კომერციული დავების გადაწყვეტის საქმეში განსაკუთრებით დიდია მედიაციის როლი და მნიშვნელობა.

გარდა ამისა, აქტუალური ხდება ონლაინ-მედიაცია, განსაკუთრებით კორონავირუსის გავრცელების საფრთხეების პირობებში. ამიტომ მიზანშეწონილია დისტანციური მედიაციის მექანიზმების დახვეწა და მათი დადებითი მხარეების ეფექტიანად გამოყენება. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, პანდემიით განპირობებული ნეგატიური ეკონომიკური თუ სამართლებრივი შედეგების მინიმუმამდე დაყვანას, მეორე მხრივ კი, მომავალში პანდემიის ან სხვა საფრთხეების დროს დავის უსწრაფესად და ქმედითად გადაწყვეტას.

**ბიბლიოგრაფია:** \_\_\_\_\_**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბიჭია, მ., 2020. კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი მედიაციის პროცესში და მისი მნიშვნელობა. სამართალი და მსოფლიო, 2 (15), გვ. 188 - 206.
2. გურიელი, ა., 2020. მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, მისი კონცეპტუალური მახასიათებლები და მისი გავლენა მოსამართლის როლზე მედიაციის წარმართვის პროცესში. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება - წელიწადური. სპეციალური გამოცემა, გვ. 203 - 211.

**ნორმატიული მასალა:**

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სსკ), პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, N786-II ს.
2. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ პარლამენტის უწყებანი, 18/09/2019, N4954-I ს.

**BIBLIOGRAPHY:** \_\_\_\_\_**Used Literature:**

1. Bichia, M., 2020. Legal Regime of Confidentiality Protection in the Mediation Process and its Meaning. Law and World. 15 (2), pp. 188 - 206. (in Georgian)
2. Gurieli, A., 2020. The Legal Nature of the Mediation Institute, its Conceptual Characteristics and Their Impact on the Judge's Role in Conducting Mediation. Journal of Alternative Dispute Resolution - Annual, Special Issue, pp. 203-211. (in Georgian)

**Normative Materials:**

1. Civil Code of Georgia (CCG). Parliamentary Gazette, 26/06/1997, N786-IIs. (in Georgian)
2. Law of Georgia on Mediation. Parliamentary Gazette, 18/09/2019, N4954-Is. (in Georgian)

**REFERENCES:** \_\_\_\_\_

1. Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina. 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie - Die Krise nachhaltig überwinden. 13. April, S. 15. (in German)
2. Bartik, A.W. and others, 2020. The impact of COVID-19 on small business outcomes and expectations. Proceedings of the National Academy of Sciences, 117 (30), p. 17666. [Online] Available at: <<https://doi.org/10.1073/pnas.2006991117>> [Accessed 4 May 2021]. (in English)
3. Boon, G. J. and others, 2020. The Covid-19 Pandemic and Business Law: A Series of Posts from the Oxford Business Law Blog. Oxford Legal Studies Research Paper, 15, pp. 2. (in English)
4. Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina. 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie - Die Krise nachhaltig überwinden, 13. April, p. 15. (in German)
5. Gullo, A., 2006. Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin: Rhombos-Verlag, p. 25. (in German)
6. Explanatory card on the draft Law of Georgia on Mediation, 2019. September 18, N4954-I. (in Georgian)
7. Explanatory card on the draft law of Georgia "On Mediation". registration N07-2 / 319/9. (in Georgian)
8. Article 187<sup>3</sup> (1), subparagraph "a" and "b", Civil Procedure Code of Georgia (CPCG), Parliamentary Gazette, 14/11/1997, N1106. (in Georgian)
9. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5.th edition, London: Cavendish Publishing, p. 95. (in English)
10. Rozdeiczer, L., and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. p. 5. (in English)
11. Rubinson, R., 2010. Mapping the World: Facts and Meaning in Adjudication and Mediation. Maine Law Review, 63 (1), p. 80. (in English)
12. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law, 5. th edition, London: Cavendish Publishing, pp. 95 - 96. (in English)
13. Rozdeiczer, L., and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. p. 5. (in English)
14. Kandashvili, I., 2017. Mediation - a New Form of Alternative Dispute Resolution and the Perspective of Its Legislative Settlement in Georgia, Journal of

- Law, 2, p. 116. (in Georgian)
15. Bannink, F. P., 2007. Solution-Focused Mediation: The Future with a Difference. *Conflict Resolution Quarterly*, 25 (2), p. 181, DOI: 10.1002/crq. (in English)
  16. Rozdeiczner, L., and de la Campa, A. A., 2006. *Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation*. The World Bank Group. p. 5. (in English)
  17. Article 187<sup>3</sup>, CPCG, *Parliamentary Gazette*, 14/11/1997, N1106. (in Georgian)
  18. Ibid. article 39 (1), “ა”<sup>3</sup>.
  19. Ibid. article 49 (2<sup>1</sup>).
  20. Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. *Afro Eurasian Studies Journal*, 6 (1&2), Spring & Fall, pp. 18 - 19. (in English)
  21. Chitashvili, N., 2016. Framework for Regulation of Mediation Ethics and Targets of Ethical Binding, *Journal of Law*, 1, p. 32. (in Georgian)
  22. Tsertsvadze, G., 2010. *Mediation - Alternative Dispute Resolution Form (General Overview)*. Tbilisi: Meridiani, p. 42. (in Georgian)
  23. *Egan v Motor Services (Bath) Ltd [2007] EWCA Civ 1002*. (in English)
  24. Kandashvili, I., 2017. Mediation - a New Form of Alternative Dispute Resolution and the Perspective of Its Legislative Settlement in Georgia. *Journal of Law*, 2, p. 54. (in Georgian)
  25. Tsertsvadze, G., 2010. *Mediation - Alternative Dispute Resolution Form (General Overview)*. Tbilisi: Meridiani, pp. 26 - 28. (in Georgian)
  26. Riskin, L. L., 1982. Mediation and Lawyers. *Ohio State Law Journal*, 43, p. 29. (in English)
  27. Rubinson, R. 2010, Mapping the World: Facts and Meaning in Adjudication and Mediation. *Maine Law Review*, 63 (1), p. 79. (in English)
  28. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. *Journal on Dispute Resolution*, 2, pp. 37- 38. (in English)
  29. Gullo, A., 2006. *Mediation unter der Herrschaft des Rechts?* Berlin: Rhombos - Verlag, pp. 11-12. (in German)
  30. National Center for Alternative Dispute Resolution. 2013. *Perspectives on Legal Regulation of Mediation in Georgia*. Tbilisi: pp. 13, 60, 100. (in Georgian)
  31. Foster, T. N. and Prentice, S., 2009. The Promise of Confidentiality in Mediation: Practitioners’ Perceptions. *Journal of Dispute Resolution*, p. 1. (in English)
  32. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. *Bond University Student Law Review*, 4, p. 5. (in English)
  33. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. *Journal on Dispute Resolution*, 2, p. 45. (in English)
  34. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. *Bond University Student Law Review*, 4, p. 5. (in English)
  35. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. *Journal on Dispute Resolution*, 2, p. 45. (in English)
  36. National Center for Alternative Dispute Resolution. 2013. *Perspectives on Legal Regulation of Mediation in Georgia*. Tbilisi: pp. 209, 224. (in Georgian)
  37. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. *Bond University Student Law Review*, 4, pp. 4 - 5. (in English)
  38. Explanatory card on the draft law of Georgia “On Mediation”. registration N07-2 / 319/9. (in Georgian)
  39. Callahan, R., 2012. Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending? *Perpperdine Dispute Resolution Law Journal*, 12 (63), p. 96. (in English)
  40. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. *Bond University Student Law Review*, 4, p. 3. (in English)
  41. Zhao, Y. and Koo, A.K.C., 2011. The Development of Legal Protection for Mediation Confidentiality in Hog Kong. *Common Law World Review*, p. 264. [Online] Available at: [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comlwr40&div=17&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comlwr40&div=17&g_sent=1&casa_token=&collection=journals) [Accessed 11 February 2021]. (in English)
  42. Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. *American Journal of Trial Advocacy*, 19, p. 415. [Online] Available at: [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals) [Accessed 12 April 2021]. (in English)
  43. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. *Journal on Dispute Resolution*, 2, pp. 37 - 38. (in English)
  44. Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, *American Journal of Trial Advocacy*, 19, p. 412. [Online] Available at: [http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals) [Accessed 12 April 2021]. (in English)
  45. *In re Marriage of Anna and Maciej Kieturakis*, California Appeal Court 4th, 2006
  46. Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. *Afro Eurasian Studies Journal*, 6 (1&2), Spring & Fall, p. 28. (in English)
  47. National Center for Alternative Dispute Resolution. 2013. *Perspectives on Legal Regulation of Mediation in Georgia*. Tbilisi: pp. 31- 32. (in Georgian)

48. Brown, K. L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. *Journal of Dispute Resolution*. 2, p. 310-311. [Online] Available at: <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/>> [Accessed 10 may 2021]. (in English)
49. Bichia, M., 2017. The Problem of Civil Legal Protection of Personal Data in the Internet Universe, In: VIII Proceedings of the International Scientific-Practical Communication Conference "Internet and Society", July 7- 8, Kutaisi: pp. 36 - 41. (in Georgian)
50. Brown, K. L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. *Journal of Dispute Resolution*. 2, p. 310-311. [Online] Available at: <<https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/>> [Accessed 10 may 2021]. (in English)
51. Gray, O. V., 1998. Protecting the Confidentiality of Communications in Mediation. *Osgoode Hall Law Journal*, 36, november 4, p. 668. (in English)
52. Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. *American Journal of Trial Advocacy*, 19, pp. 426-427. [Online] Available at: <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)> [Accessed 12 April 2021]. (in English)
53. Kirtley, A., 1995. The Mediation Privilege's Transition from Theory to Implementation: Designing a Mediation Privilege Standard to Protect Mediation Participants, the Process and the Public Interest. *Journal of Dispute Resolution*. p. 48. (in English)
54. Burnley, R. and Lascelles, G., 2004. Mediator Confidentiality – Conduct and Communications, Arbitration. *The International Journal of Arbitration. Mediation and Dispute Management*. 70 (1), p. 8. (in English)
55. Tsuladze, A., 2016. Georgian Model of Court Mediation in Euro-American Prism (Dissertation). Tbilisi: University Publishing, pp. 131- 132. (in Georgian)
56. Explanatory card on the draft law of Georgia "On Mediation". registration N07-2 / 319/9; Law of Georgia on Mediation, 2019. September 18, N4954-I. (in Georgian)
57. Tbilisi City Court, April 16, 2021 Response to the Statistical Data of Cases Reviewed by the Mediation Center N2-0434/45535058. (in Georgian)
58. Tbilisi City Court, August 11, 2020 Response to the Statistical Data of Cases Reviewed by the Mediation Center N3920129. (in Georgian)
59. Lavi, D., 2016. Three is not a Crowd: Online Mediation-Arbitration in Busines to consumer Internet Disputes. *U. Pa. J. Int'l L.*, 37 (3), pp. 940. (in English)
60. Eisen, B. J., 1998. Are we ready for Mediation in Cyberspace? *Brigham Young University Law Review*, pp. 1305 - 1307. (in English)
61. Georgian International Arbitration Center. 2020. Online (Remote) Mediation and Facilitation Protocol. Tbilisi: pp. 1- 6. (in Georgian)

# საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჰაერო გადაყვან- გადაზიდვის სადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან

## თამარ ვეფხვაძე

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის  
ასოცირებული პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი  
ელფოსტა: [tamarvepkhvadze@gmail.com](mailto:tamarvepkhvadze@gmail.com)

## აბსტრაქტი

საქართველოს ინტეგრაცია ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში მოითხოვს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას. იმისათვის, რომ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებში მოიპოვოს ბაზარზე ოპერირების უფლება, აუცილებელია იგი აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს. წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები შეადაროს ევროკავშირის კანონმდებლობას და გამოავლინოს არსებული შეუსაბამობები.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამართლის ნორმების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი შეგვიძლია დავყოთ ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდს (2010 წლამდე), ხოლო მეორე - მის შემდგომ წლებს. პირველ ეტაპზე მიღებულ სამართლის ნორმებში ნაკლებად შეიმჩნევა ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მეორე ეტაპზე კი იწყება ქართული საავიაციო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და რეგულირების ერთიანი წესების შემუშავება, კერძოდ, ქართულ კანონმდებლობაში განხორციელდა სარეგისტრაციო, ფინანსური, სადაზღვევო, მმართველობის, საკუთრებისა და კონტროლის განმსაზღვრელი ნორმების იმპლემენტაცია.

ჩატარებული კვლევით გამოვლინდა, რომ გადაყვანა-გადაზიდვების სფეროში მოქმედი სამართლის ნორმები, მეტწილად, შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას.

საკვანძო სიტყვები: ჰარმონიზაცია, გადაყვანა-გადაზიდვები, ინტეგრაცია

# COMPLIANCE OF THE REQUIREMENTS FOR AIR CARRIERS PROVIDED UNDER THE LEGISLATION OF GEORGIA WITH THE EUROPEAN UNION LEGISLATION

Tamar Vepkhvadze

*Doctor of law, Associate professor at the school of law at Grigol Robakidze University, Member of the Union of Law Scientists*

Email: [tamarvepkhvadze@gmail.com](mailto:tamarvepkhvadze@gmail.com)

## ABSTRACT

Integration of Georgia into a Single European Sky requests harmonization of the Georgian legislation with European Union's legislation. In order to obtain a right to operation at market, air service air carriers has to meet the certain requirements. The purpose of this article is to compare the Georgian air carriage legislation with EU legislation in terms of air carrier requirements and identify existing inconsistencies.

According to the opinion formulated in the paper, the process of harmonization of Georgian legislation with EU legislation could be divided into two periods. First stage includes the period from the time Georgia became independent to the time of signing the Single European Sky Agreement. The compliance of Georgian legislation with EU legislation is less observed at the first stage. In the second stage, the Georgian aviation legislation is gradually being brought in line with the EU legislation and EU rules have been adopted. In particular, the registration, financial, insurance, governance, ownership and control norms have been implemented.

According to the research carried out, the current Georgian air carriage legislation more or less is in compliance with EU legislation.

**KEYWORDS:** harmonization, air carriage, integration



## შესავალი

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები სავალდებულოა შესრულდეს სახელმწიფოსაგან დაწესებული მთელი რიგი მოთხოვნების საფუძველზე, რაც არ შეიძლება არსებობდეს ლოკალურად, არამედ ისინი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ვინაიდან, სამოქალაქო ავიაცია სწრაფად პროგრესირებადი დარგია, სამართლის ნორმებიც მუდმივად განიცდის მოდერნიზებას. ამასთან, სამოქალაქო ავიაციაში მეტად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებს შორის დაწესდეს ერთიანი ქვეყნის წესები, რომლებიც ერთ სისტემაში მოაქცევს გადაყვანა-გადაზიდვებს და ურთიერთობებსაც უფრო კომფორტულს გახდის.

„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება“ ძალაში შევიდა 2020 წლის 2 აგვისტოს. საქართველომ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე დაიწყო აქტიური მუშაობა და კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების გატარება შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შესრულების მიზნით. სამოქალაქო ავიაციის სფეროში ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის სრულყოფილი წევრობისათვის აუცილებელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, საჭიროა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია შემდეგი მიმართულებებით: საავიაციო უსაფრთხოება, ბაზარზე დაშვება, საჰაერო მოძრაობის მართვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და სხვა. რეგულაციებისა და ღირებულებების ჩამონათვალი ექვემდებარება რეგულარულ გადახედვასა და განახლებას. ამ ეტაპზე საქართველოს მხრიდან გაანალიზდა შეთანხმებით გათვალისწინებული 80-მდე რეგულაცია და შემუშავდა მათი იმპლემენტაციის გეგმა, ხოლო დანერგილ რეგულაციათა რაოდენობა ოცდაათამდეა<sup>1</sup>.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმო-

ნიზაციის პროცესი დღემდე გრძელდება. საქართველოს მხარე აქტიურად ცდილობს შეასრულოს ის რეკომენდაციები, რომლებსაც ევროკავშირი გვთავაზობს. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგვა მეტად რთული და შრომატევადია, რადგანაც ჰარმონიზაციის პროცესში უნდა გაითვალისწინონ ორივე მხარის ინტერესები<sup>2</sup>.

სტატიაში გაანალიზებული და შედარებულია ევროკავშირისა და საქართველოს ის სამართლის ნორმები, რომლებითაც გადამყვან-გადაზიდვებებს ენიჭებათ გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელების უფლება.

## საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესის ევოლუცია

ევროპის ერთიანი საავიაციო ბაზრის ჩამოყალიბებამ განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. შემუშავდა მთელი რიგი სამართლის ნორმები, რომლებიც მიმართული იყო ევროპის ტერიტორიაზე გადაყვანა-გადაზიდვების ერთიანი წესების დაწესებისაკენ.<sup>3</sup> ეს ნორმები წლების განმავლობაში იხვეწებოდა და დღესდღეობით ჩამოყალიბდა ისეთი სისტემა, რომელიც უკვე მსოფლიოს სახელმწიფოებისათვის სამაგალითო გახდა.

თავდაპირველად ევროკავშირის მიერ ჩამოყალიბებული ნორმები მხოლოდ მის წევრებზე ვრცელდებოდა, მაგრამ მოგვიანებით ევროპის ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რეგიონული სამართლის ნორმების მოქმედების არეალი უნდა გაეფართოებინათ.<sup>4</sup> 2003 წლის 11 მარტს ევროკავშირის კომისიამ მიიღო კომუნიკე “გაფართოებული ევროპა – მეზობლობა: ახალი ჩარჩო აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობისათვის”. ამ

<sup>1</sup> საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა, 2019. თბილისი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. გვ. 72. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/ROADMAP2EUG-01-03-2019.pdf.aspx>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>2</sup> ვეფხვაძე, თ., 2015. საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების რეგულირება საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით და ჰარმონიზაციის პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. გვ. 2.

<sup>3</sup> Dempsey, S., 2004. European Aviation Law. Kluwer Law International. გვ. 51.

<sup>4</sup> ვეფხვაძე, თ., 2015. საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების რეგულირება საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით და ჰარმონიზაციის პრობლემები. სადოქტორო დისერტაცია. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. გვ. 73.

დოკუმენტის მიხედვით, ევროკავშირის უნდა შეექმნა განვითარებისა და კეთილმეზობლობის ზონა, ე.წ. “მეგობართა სარტყელი”, ჩამოეყალიბებინა ახალი სამეზობლო მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით.<sup>5</sup>

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს ევროკავშირის მეზობლებისათვის საერთო ბაზაში თანდათანობითი განვითარების პერსპექტივას და ევროკავშირის ოთხი ფუნდამენტური თავისუფლების (მუშახელი, კაპიტალი, მომსახურება და საქონელი) შემოსვლას. ევროპის კომუნიკები წერია, რომ ყველა მეზობელ ქვეყანას უნდა მიეცეს საშუალება, თავისი სიტყვა თქვას ევროკავშირის შიდა ბაზარზე, მოახდინოს შემდგომი ინტეგრაცია და ლიბერალიზაცია მუშახელის, კაპიტალის, მომსახურებისა და საქონლის თავისუფალ მიმოქცევასთან დაკავშირებით.<sup>6</sup> ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებში სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სამეზობლო პოლიტიკის აუცილებლობა განსაკუთრებით საპაერო სამართალში გამოიხატება, რადგანაც სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირება ლოკალურად წარმოუდგენელია.

სატრანსპორტო სფეროში სამეზობლო პოლიტიკის შემადგენელი ელემენტია ერთიანი საპაერო სივრცის შექმნა, რომელშიც განვითარებული იქნება როგორც ევროკავშირის, ასევე მისი სამხრეთითა და აღმოსავლეთით მოსაზღვრე, მეზობელი ქვეყნები. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ევროკავშირი ინტენსიურ მოლაპარაკებებს მართავს არაწევრ ქვეყნებთან და ახორციელებს პროგრამებს ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად. მოლაპარაკებების შედეგად დაიდო მთელი რიგი ორმხრივი შეთანხმებანი ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის.

1996 წელს ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის დადებულ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მხარეები ვალდებული არიან სამართლებრივი კუთხით ითანამშრომლონ ერთმანეთთან, რაც გულისხმობს საქართველოს არსებული და მომავალი კანონმდებლობის

ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას.<sup>7</sup> კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი ეტაპობრივად ხორციელდება და, თავის მხრივ, მასში განსაზღვრულია პრიორიტეტული სფეროები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრანსპორტის სფეროს, კერძოდ, სამოქალაქო ავიაციას.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფესორ ბესარიონ ზოიძის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ „ქვეყანაში მოქმედი სამართალი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთიანი სხეული, რომლის ეფექტური ფუნქციონირება ჰარმონიზაციის სწორი პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია“<sup>8</sup>. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია საავიაციო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის სწორად წარმართვა.

2006 წლის „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში“ აღნიშნულია, რომ საქართველომ უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტის მდგრადი ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და დახვეწა, რაც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობისა და მარეგულირებელი სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების გზით, საკანონმდებლო და სარეგულაციო სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებით.<sup>9</sup>

2006 წლის 17 მაისს დაიდო ხელშეკრულება “საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის საპაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ”. იგი ძალაში შევიდა 2006 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციის შედეგად. აღნიშნული ხელშეკრულებით ცვლილებები და დამატებები შევიდა საქართველოსა და ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის მანამდე დადებულ ხელშეკრულებებში. ცვლილებები შეეხო ევროგაერთიანების წევრ

<sup>5</sup> Communication from the Commission to the Council and the European Parliament Wider Europe – Neighborhood: A New Framework for relations with our Eastern and Southern Neighbors [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <Microsoft Word - en 104-4Corbert.doc (europa.eu)> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>6</sup> გაბრიჩიძე, გ., 2012. ევროპის კავშირის სამართალი. თბილისი: ევროპული შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, გვ. 168.

<sup>7</sup> მუხლი 43 (1), საქართველოსა და ევროპის გაერთიანებას შორის დადებული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 22 აპრილი 1996. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020].

<sup>8</sup> ზოიძე, ბ., 2005. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, გვ. 169.

<sup>9</sup> თავი 4.6.1., სამოქმედო გეგმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ, 14 ნოემბერი 2006. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472032515\\_evropuli-samezoblo-politikis-samoqmedo-gegma-evrokavshiri-saqarthvelo-2006.pdf](http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472032515_evropuli-samezoblo-politikis-samoqmedo-gegma-evrokavshiri-saqarthvelo-2006.pdf)> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

სახელმწიფოებთან (ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი) დადებული ხელშეკრულებების მუხლებს, რომლებიც შეეხება: წევრ სახელმწიფოთა მიერ გადაწყვეტილების მიღების დანიშნულად; ნებართვებისა და უფლებამოსილებების მინიჭების უარყოფას, ანუღირებას, შეჩერებას ან შეზღუდვას; რეგულირების კონტროლს; საავიაციო სანჯავის დაბეგრას; ევროგაერთიანების ფარგლებში გადაზიდვის ტარიფებს<sup>10</sup>.

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მანამდე ხელმოწერილ ხელშეკრულებებთან კოლიზიისას, უპირატესობა ენიჭება 2006 წლის ხელშეკრულებას "საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ".

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროპის გაერთიანებას შორის დადებული ხელშეკრულების მიზანს არ წარმოადგენს ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის მთლიანი მოცულობის გაზრდა, გადაზიდვების ბალანსზე გავლენა ან არსებული ორმხრივი საჰაერო მომსახურების ხელშეკრულებების დებულებებში მიმოსვლის უფლებასთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანა.

2004 წლის 10 მარტს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად მიღებულ იქნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩარჩო-რეგულაცია სამოქალაქო ავიაციის სფეროში - #549/2004 „ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის ფორმირების შესახებ“. მასში მიეთითა, რომ უნდა შეიქმნას ევროპის ერთიანი საავიაციო ბაზარი, სადაც გადაწყვეტილება-გადაზიდვები ოპერირების ერთიანი წესებით იხელმძღვანელებენ<sup>11</sup>. თავდაპირველად ეს ნორმები მხოლოდ წევრ სახელმწიფოებზე ვრცელდებოდა, მაგრამ მოგვიანებით ევროკავშირმა დაიწყო თანამშრომლობა მეგობარ ქვეყნებთან. თანამშრომლობის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, რომ ამ ქვეყნებმა შეძლონ ეტაპობრივი განვითარება ევროპის ერთიანი საჰაერო

სივრცეში.

2010 წლის 2 დეკემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას "საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 2 ავისტოს. წინამდებარე ხელშეკრულება შეგვიძლია მივიჩნიოთ საჰაერო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გარდამტეხ დოკუმენტად. იგი ორიენტირებულია ღრმა თანამშრომლობასა და საქართველოს ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცეში განვითარებაზე. ამ ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები თანხმდებიან, რომ მიზანშეწონილია ერთიანი საჰაერო სივრცის მარეგულირებელი ნორმები დაეფუძნოს ევროკავშირის ფარგლებში მოქმედ კანონმდებლობას<sup>12</sup>. სამართის ერთიანი ნორმების დანერგვა ხელს შეუწყობს მხარეებს, ერთმანეთის ბაზარზე დამატებითი დაბრკოლებების გარეშე შეაღწიონ. აღნიშნული კი სარგებელს მოუტანს როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის მოქალაქეებს, მრეწველობის დარგებსა და მუშახელს. ამ ყველაფრის განხორციელება კი წარმოუდგენელია გარდამავალი ხასიათის ზომების გატარებისა და ევროკავშირის ადეკვატური დახმარების გარეშე.

### საჰაერო გადაწყვეტილების გადაწყვეტილებისათვის წყვეტილებული ახალი მოთხოვნები

2010 წლის შეთანხმებაში მითითებულია, რომ საქართველოს ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცეში განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. საჰაერო გადაწყვეტილება-გადაზიდვების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. იგი პირობითად შეგვიძლია დავყოთ ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდს (2010 წლამდე), ხოლო მეორე - მის შემდგომ წლებს. პირველ ეტაპზე

<sup>10</sup> დანართი 1, საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ ხელშეკრულება. 17 მაისი 2006. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204453?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020].

<sup>11</sup> Regulation 549/2004 of the European Parliament and the European Council laying down the framework for the creation of the single European sky. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2004R0549:20091204:EN:PDF>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>12</sup> დანართი III, საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება, 2 დეკემბერი 2010. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4980519?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

მიღებულ სამართლის ნორმებში ნაკლებად შეიმჩნევა ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მეორე ეტაპზე კი, ეტაპობრივად დაიწყო ქართული საავიაციო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. თავდაპირველად განხორციელდა საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების ნორმების ჰარმონიზაცია, რომელსაც მოჰყვა გადაწყვეტილებებისადმი შედარებით მკაცრი რეგულირების ერთიანი წესების შემუშავება.

იმისათვის, რომ სუბიექტმა მოიპოვოს გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელების უფლება, აუცილებელია მან დააკმაყოფილოს მთელი რიგი მოთხოვნები. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი რეგულაცია #1008/2008 დადგინდა კავშირის ტერიტორიაზე საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ერთიანი წესები. 2010 წლის „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმებაში მითითებულია, რომ საქართველო ვალდებულია მოახდინოს ამ რეგულაციით გათვალისწინებული ნორმების იმპლემენტაცია შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, კერძოდ, როგორცაა: ავიაგადამზიდველი კომპანიების შესაფერისობის, საკუთრებისა და კონტროლის განმსაზღვრელი ნორმების ჰარმონიზაცია.

„საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მონუმბის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის #98 ბრძანების მიხედვით, იმისათვის, რომ სუბიექტმა მოიპოვოს კომერციული მიზნით მგზავრთა გადაყვანის, ბარგის, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვის უფლება, იგი უნდა ფლობდეს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მონუმბას<sup>13</sup>. აღნიშნული დოკუმენტი გაიცემა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ საქართველოში რეგისტრირებულ სანარმოზე, რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი საქართველოა. სანარმოს 50%-ზე მეტი წილის მფლობელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო და/ან საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირი (სადაც წილის 50%-ზე მეტი წილის მფლობელები არიან საქართველოს მოქალაქეები).<sup>14</sup>

აღნიშნული ნორმა მომდინარეობს

ევროკავშირის 1008/2008 რეგულაციიდან, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია გაერთიანებაში დაფუძნებული ნებისმიერი გადამზიდველის მიერ მგზავრების გადაყვანა, ფოსტის და/ან ტვირთის გადაზიდვა კომერციული მიზნით, თუ მასზე არ არის გაცემული ოპერირების მონუმბა<sup>15</sup>. რეგულაციის მიხედვით, მონუმბა გაიცემა იმ სანარმოზე, რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილია ევროკავშირი და წილის 50%-ზე მეტს ფლობენ წევრი სახელმწიფოები, მისი მოქალაქეები ან სანარმოები. მონუმბის უფლებამოსილი გამცემია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური მასერტიფიცირებელი ორგანო.<sup>16</sup>

საქართველოს კანონმდებლობით, იმისათვის, რომ სუბიექტმა მოიპოვოს საჰაერო გადაყვანა-გადამზიდველის სტატუსი, აუცილებელია იგი ფლობდეს ფრენისათვის ვარგის ერთ ან მეტ საჰაერო ხომალდს, საკუთრების ან იჯარის (ლიზინგის) წესით<sup>17</sup>. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ლიზინგის მრავალი სახე<sup>18</sup>, მაგრამ საჰაერო გადაზიდვებში ძირითადად გვხვდება ორი სახის ლიზინგის ხელშეკრულება: მშრალი და სველი ლიზინგი. სველი ლიზინგის დროს საჰაერო ხომალდს ქირაობენ ეკიპაჟთან ერთად და მისი ექსპლუატაცია წარმოებს მეიჯარის საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მოქმედი სერტიფიკატის (AOC) შესაბამისად.<sup>19</sup> მშრალი ლიზინგის დროს კი, სახეზე გვაქვს საჰაერო ხომალდის ქირავნობა ეკიპაჟის გარეშე, საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია კი წარმოებს მოიჯარის ექსპლუატანტის სერტიფიკატის შესაბამისად.<sup>20</sup>

ლიზინგის წესით საჰაერო ხომალდით სარგებლობა საკმაოდ აქტუალურია ავიაციაში

<sup>15</sup> Article 3 (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>16</sup> იქვე, article 3 (3.f).

<sup>17</sup> მუხლი 4 (3.8), სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება #142 საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/Aircraft-Operator-Certification-Rule-GCAA.pdf>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>18</sup> გეფეროიძე, დ., 2021. საერთაშორისო საჰაერო სამართალი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 280.

<sup>19</sup> მუხლი 2 (ი), სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება #98 საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მონუმბის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>20</sup> იქვე. მუხლი 2 (თ.).

<sup>13</sup> მუხლი 3 (1), სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება #98 საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მონუმბის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>14</sup> იქვე. მუხლი 3 (3).

საჰაერო ხომალდის მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე. ლიზინგის ხელშეკრულებათა უმეტესობაში ჩადებულია მოიჯარის მიერ საჰაერო ხომალდის უპირატესი შესყიდვის უფლება, რაც, თავის მხრივ, კომერციული თვალსაზრისით საკმაოდ ხელსაყრელია დამქირავებლისათვის. საქართველოში პირველი პრეცედენტი ორი ათეული წლის წინ იყო, როდესაც „აირზენა საქართველოს ავიახაზებმა“ “Boeing 737” ტიპის საჰაერო ხომალდები იჯარის წესით აიღო. აღნიშნული გარიგება საკმაოდ მომგებიანი გამოდგა ავიაკომპანიისათვის, რადგან მან შეძლო დამატებით აეთვისებინა ევროპის მიმართულებით ის რეისები, რომლებზეც ოპერირებულის უფლება მხოლოდ ევროკავშირის მიერ ახალი სტანდარტების შესაბამისად დაწესებული მოდერნიზებული საჰაერო ხომალდებით გახდა შესაძლებელი. ასეთ ხომალდებს კი იმ პერიოდში ქართული ავიაკომპანიებიდან, მხოლოდ „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ ფლობდა.

საჰაერო ხომალდის ფრენისათვის ვარგისობა დასტურდება საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატით (AOC), რომელსაც საქართველოში გასცემს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, ხოლო ევროკავშირის ტერიტორიაზე - წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ან წევრი სახელმწიფოების რამდენიმე უფლებამოსილი ორგანო ერთობლივად, ან ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული სერტიფიკატის გაცემის წესი დადგენილია სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის #142 ბრძანებაში „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ, ხოლო ევროკავშირის ტერიტორიაზე წევრი ქვეყნები ხელმძღვანელობენ 1008/2008 და 2018/1139 რეგულაციებით. ექსპლუატანტის სერტიფიკატი არის საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის მიერ საჰაერო ხომალდის უსაფრთხოდ ექსპლუატაციის შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი<sup>21</sup>. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატი პირველადი სერტიფიცირებისას გაიცემა ერთი წლის ვადით. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის საქმიანობაზე მუდმივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, რომელსაც უფლება აქვს გეგმიურად

ან არაგეგმიურად შეამოწმოს ექსპლუატანტი. ეს ყველაფერი გარანტია იმისა, რომ მომხმარებელი უფრო მეტად იქნება დაცული და გადაამყვან-გადამზიდველების მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება უფრო უსაფრთხო მომსახურება.

საჰაერო გადაყვანა-გადამზიდვის მოწმობის მისაღებად როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, განმსაზღვრელ ფაქტორს თამაშობს ფინანსური რესურსის არსებობა. 1008/2008 რეგულაციის მე-5 მუხლის მიხედვით, საჰაერო გადაყვანა-გადამზიდვის მოწმობის გაცემისას, აპლიკანტმა განაცხადის შეტანიდან 24 თვის განმავლობაში უნდა შეძლოს არსებული და პოტენციური ვალდებულებების შესრულება, უნდა წარადგინოს 3 წლის ბიზნესგეგმა და ამ გეგმის შესაბამისად უნდა გასწიოს ძირითადი და საექსპლუატაციო ხარჯები კომერციული საქმიანობის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში, ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინების გარეშე. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს #98 ბრძანების მესამე მუხლის მიხედვით, გადაამყვან-გადამზიდველსაც ანალოგიური ფინანსური მოთხოვნები აქვს დაწესებული და ეს ნორმა სრულად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. აღსანიშნავია, რომ არც ევროკავშირსა და არც საქართველოში აღნიშნული ფინანსური მოთხოვნები არ წაყენებათ „ბ“ კატეგორიის საწარმოებს\*, თუ ისინი დაასაბუთებენ, რომ მათი წმინდა აქტივების ღირებულება შეადგენს სულ მცირე 100 000 ევროს ექვივალენტს ლარში.

მომდევნო ვალდებულება, რომელიც საჰაერო გადაამყვან-გადამზიდველებს მოეთხოვებათ, არის საწარმოს მმართველი რგოლის დადგენილი წესების შესაბამისად ფორმირება. ამ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. 1008/2008 რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პირს, რომელიც მუდმივად უძღვება კომპანიას, უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია ან არ უნდა ფიქსირდებოდეს მის

\* ევროკავშირის და საქართველოს სამართალი, გადაამყვან-გადამზიდველებს ყოფს ორ კატეგორიად: „ა“ კატეგორიის საწარმოებად და „ბ“ კატეგორიის საწარმოებად. „ა“ კატეგორიის საწარმოა ისეთი საწარმო, რომელიც ახორციელებს იმ საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა არის ან აღემატება 10 ტონას და/ან რომლის ადგილების რაოდენობა არ აღემატება 20-ს. „ბ“ კატეგორიის საწარმოა საწარმო, რომელიც ახორციელებს ისეთი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა ნაკლებია 10 ტონაზე და/ან ადგილების რაოდენობა ნაკლებია 20-ზე.

<sup>21</sup> მუხლი 1 (1. დ), საქართველოს კანონი საქართველოს საჰაერო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/33298?publication=29>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

მიერ კომპანიის გაკოტრებულად გამოცხადება. განსხვავებული ჩანაწერი გვაქვს #98 ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მიმღებ ხელმძღვანელ პირს არ უნდა ჰქონდეს ცუდი საქმიანი რეპუტაცია, რომელიც გულისხმობს მძიმე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ან ეკონომიკური ქმედებისათვის, ან ისეთი ქმედებისათვის ნასამართლეობას, რომელმაც პირის მმართველობის დროს საწარმოს გადახდისუნარიანობა გამოიწვია<sup>23</sup>. ამის დასტურად ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ორივე შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანოში წარდგენილი უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, პირის დაწესებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ. საქართველოს შემთხვევაში ასეთად მიიჩნევა ცნობა ნასამართლეობის შესახებ, რომელიც წარდგენილია მისი გაცემიდან სამი თვის განმავლობაში.<sup>24</sup>

საქართველოს კანონმდებლობით გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა გაიცემა უვადოდ.<sup>25</sup> სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ახორციელებს მუდმივ ზედამხედველობას გადაყვანა-გადაზიდვების საქმიანობაზე და შეუძლია იგი შეუჩეროს ან გაუქმოს. ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით კი გაცემული მოწმობა ძალაშია მანამ, სანამ გადაყვანა-გადაზიდვები აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.<sup>26</sup> ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოწმობის გამცემი ორგანო ყურადღებით აკვირდება, რამდენად ასრულებს სუბიექტი დადგენილ მოთხოვნებს და აქვს ნებისმიერ დროს გადახედვის/შემოწმების უფლება. ჩამონათვალი იმ შემთხვევებისა, როდესაც მაკონტროლებელ ორგანოს აქვს მოწმობის გადახედვის უფლება, ქართული და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, თითქმის იდენტურია, კერძოდ, ორივე შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს შეამოწმოს

გადამყვან-გადაზიდველი, თუ მოწმობის გაცემიდან გასულია ორი წელი და არსებობს ეჭვი პოტენციური ფინანსური პრობლემების შესახებ.<sup>27</sup>

ევროკავშირის მიერ მასერტიფიცირებული ორგანოს მიერ მოწმობის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა შეადგენს 3 თვეს.<sup>28</sup> აღნიშნულ ნორმას სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობაც. 98-ე ბრძანების მე-7 მუხლში მითითებულია, რომ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება, მოწმობის გაცემის ან უარის თქმის შესახებ, განაცხადის წარდგენიდან სამ თვეში მიიღება.

შემდეგი მოთხოვნა, რომელსაც კანონმდებელი გადაყვანა-გადაზიდვებს ან საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტს უწესებს, არის საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რომელიც შეიძლება მიადგეს მგზავრს, ბარგს, ტვირთის ან საფოსტო გზავნილის გამგზავნს ან/და მესამე პირებს. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის #95 ბრძანება მიღებულ იქნა 2010 წლის შეთანხმების საფუძველზე. იმისათვის, რომ გადაზიდვებში მოიპოვოს გადაყვანა-გადაზიდვის უფლება, ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი საბუთები საგალდებულო დაზღვევის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

თუ გადავხედავთ ევროპულ პრაქტიკას, ერთიანი საავიაციო ბაზრის შექმნას თან სდევდა პატარა, სუსტი ავიაკომპანიების ბაზრიდან გაქრობა, ან მათი ალიანსებში გაწევრიანება.<sup>29</sup> ანალოგიური შემთხვევა ქართულ ბაზარზეც. 15 წლის წინ რეგისტრირებულ ქართულ ავიაკომპანიათა რიცხვი დაახლოებით 50-მდე იყო, ამჟამად კი მათი რიცხვი 12 შეადგენს.<sup>30</sup>

<sup>23</sup> მუხლი 3 (3. დ.), სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება #98 საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < <https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf> > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>24</sup> იქვე. მუხლი 3 (4).

<sup>25</sup> იქვე. მუხლი 5 (1).

<sup>26</sup> Article 8 (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN> > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>27</sup> მუხლი 5 (2), სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება #98 საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < <https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf> > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021]. Article 10 (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN> > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>28</sup> იქვე, article 8 (2).

<sup>29</sup> Dempsey, S., 2004. European Aviation Law. The Hague: Kluwer Law International. გვ. 149.

<sup>30</sup> სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემები - საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < [www.Gcaa.ge](http://www.Gcaa.ge) > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ისაა, რომ გამკაცრდა მოთხოვნები გადაყვანა-გადაბმის დროს მიმართ და ის სუბიექტები, რომლებიც უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს, ქრებიან ბაზრიდან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკმაოდ გაიზარდა უცხოური ავიაკომპანიების ხვედრითი წილი ქართულ ბაზარზე და ამ ეტაპზე ოპერირებს 37 უცხოური ავიაკომპანია.<sup>31</sup>

## საჯარო გადაყვანა-გადაბმის შესრულების ვალდებულება

ევროკავშირის სამართალი იცნობს საჯარო გადაყვანა-გადაბმის (მომსახურების) შესრულების ვალდებულებას იმ რეგულარულ ფრენებთან მიმართებით, რომლებიც გადაყვანა-გადაბმის დროს შეიძლება რენტაბელური არ იყოს, მაგრამ აუცილებელია იმ რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.<sup>32</sup> ამ შემთხვევაში ევროკავშირი აწესებს განსხვავებული ქცევის წესებს და ეს არ ითვლება გადაყვანა-გადაბმისათვის პრივილეგიების მინიჭებად და სახელმწიფო დახმარებად, რაც კატეგორიულად იკრძალება ევროპული კანონმდებლობით. ასევე ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს უფლება მიუთითოს ბილეთის ტარიფზე, რაც არ არღვევს ევროკავშირის ბაზრისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ პრინციპს - ფასების თავისუფლად დაწესებას. აღნიშნულთან დაკავშირებით მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ “Vueling Airlines”-ის საქმეზე - C-487/12 მეტად საინტერესო განმარტება გააკეთა და აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სამართალი კრძალავს ფასების დაწესებაზე კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან და 1008/2008 რეგულაცია მიმართულია საავიაციო ბაზრის ლიბერალიზაციისა და დერეგულაციისაკენ, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი გადაყვანა-გადაბმის განხორციელებისას იმ

რეისებზე, რომლებიც გამოცხადებულია ასეთად.<sup>33</sup> აღნიშნული ნორმა საკმაოდ საინტერესოა თავისი არსიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე და მისი იმპლემენტაციის ვალდებულება არ არის განსაზღვრული 2010 წლის შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობაში მისი ასახვა მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კერძოდ, ჩვენ გვაქვს ისეთი ტერიტორიული რეგიონები, რომლებთან კავშირი აუცილებელია ამ რეგიონის ეკონომიკური (ტურისტული) და სოციალური განვითარებისათვის, ამიტომ, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება, სახელმწიფომ წახალისოს ამ მიმართულებით გადაყვანა-გადაბმის და გადაყვანა-გადაბმის დროს დაუწესოს ქცევის განსხვავებული წესები.

## დასკვნა

სტატიის ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის მიმოხილვისა და გაანალიზების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ჰარმონიზაციის პირველ ეტაპზე (2010 წლამდე) ევროკავშირი საპაერო გადაყვანა-გადაბმის ერთიანი წესების შემოღებისაგან თავს იკავებდა და ორმხრივი ხელშეკრულებებით აწესრიგებდა ურთიერთობებს. „ერთიანი საპაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ კი, საქართველოს განვითარებამ ევროპის საპაერო სივრცეში თავისთავად გარდაუვალი გახადა ევროკავშირის მიერ დადგენილი სამართლის ნორმების იმპლემენტაციის აუცილებლობა. ამ ეტაპზე გადაყვანა-გადაბმის დროს დადგენილი მოთხოვნების მარეგულირებელი ნორმები მეტწილად შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შიდა-სახელმწიფოებრივ სამართალში დანერგილია: საკუთრების, სარეგისტრაციო, მმართველობის, ფინანსური, კონტროლისა და სადამღვევო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები.

ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაცია ქართულ სამართალში უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაყვანა-გადაბმის და მომხმარებელთა უფლებების დაცვას. ამასთან, ევროპული ნორმების დანერგვა საქართველოს

<sup>31</sup> სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემები - უცხოური ავიაკომპანიები, რომლებიც ოპერირებენ ქართულ ბაზარზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < [www.Gcaa.ge](http://www.Gcaa.ge) > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>32</sup> Article 16 (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN> > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>33</sup> Vuelin Airlines SA v Instituto Galego de Consumo de Ia Xunta de Galicia, 23 January 2014 (case C-487/12) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62012CC0487&from=DE> > [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

გადამყვან-გადამზიდველებისაგან დამატებითი ფინანსებისა და რესურსების მობილიზაციას მოითხოვს, გზას უხსნის უცხო ქვეყნის ავიაკომპანიებს ქართულ ბაზარზე და ამძაფრებს კონკურენციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ჰარმონიზაციის პროცესის

ეტაპობრივად წარმართვა, ევროკავშირის სამართლის ნორმების საფუძველზე დამკვიდრება, რათა საქართველოს გადამყვან-გადამზიდველებს მიეცეთ ადაპტაციისა და ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობა.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბრიჩიძე, გ., 2012. ევროპის კავშირის სამართალი. თბილისი: ევროპული შედარებითი სამართლის ინსტიტუტი.
2. გეფერიძე, დ., 2021. საერთაშორისო საჰაერო სამართალი. თბილისი: მერიდიანი.
3. გეფერიძე, დ., 2008. საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ასპექტები. თბილისი: სადოქტორო დისერტაცია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ევროკავშირი, 2013. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში. თბილისი: მწვანე ალტერნატივა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI\\_gzamkvlevi.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI_gzamkvlevi.pdf) [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
5. ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის მექანიზმი (ENPI) გზამკვლევი, 2013. თბილისი: მწვანე ალტერნატივა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI\\_gzamkvlevi.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI_gzamkvlevi.pdf) [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
6. ვეფხვაძე, თ., 2006. სამგზავრო ავიაგადაყვანის სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემა. სამართალი, 1-2, გვ. 66 - 68.
7. ვეფხვაძე, თ., 2012. საქართველოს ინტეგრაცია ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში. მართლმსაჯულება და კანონი, 2 (33), გვ. 105 - 115.
8. ვეფხვაძე, თ., 2015. საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების რეგულირება საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით და ჰარმონიზაციის პრობლემები. დისერტაცია. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
9. ვეფხვაძე თ., 2015. საჰაერო გადაყვანა-გადამზიდველის ქონებრივი პასუხისმგებლობა სამგზავრო გადაყვანისას ვარშავის, მონრეალის, ევროპისა და საქართველოს სამართლის ნორმების ანალიზის შედეგად. სამართალი და მსოფლიო, 3, გვ. 84 - 97.
10. ზოიძე, ბ., 2005. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი.

11. კაკულია, მ., ბოლქვაძე, ბ., ჩოხელი, ნ. და სოლოლოვსკი, ი., 2014. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2012 წელს ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სფეროში. თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი. ალტერნატივა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/10/report\\_final\\_geo\\_2012.pdf](http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/10/report_final_geo_2012.pdf) [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
12. ლენარდი, დ., 2002. ევროკავშირი. თბილისი: ჯისიაი.
13. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა, 2019. თბილისი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://mfa.gov.ge/getattach ment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/ROADMAP2EU-GE-01-03-2019.pdf.aspx> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
14. Dempsey, S., 2004. European Aviation Law. The Hague: Kluwer Law International.
15. Moens, G. and Trone, J., 2010. Commercial Law of the European Union. Springer Science + Business Media.
16. Каргалова, М. В. и другие, 2005. Европейское Право. Москва: Норма.

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოსა და ევროპის გაერთიანებას შორის დადებული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 22 აპრილი 1996. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
2. სამოქმედო გეგმა ევროკავშირისა და საქართველოს



- შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ, 14 ნოემბერი 2006. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472032515\\_evropuli-samezoblo-politikis-samoqmedo-gegma-evrokavshiri-saqarthvelo-2006.pdf](http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472032515_evropuli-samezoblo-politikis-samoqmedo-gegma-evrokavshiri-saqarthvelo-2006.pdf)> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
- ასოციაციის შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევს სახელმწიფოებს შორის, 27 ივნისი 2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის საპაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ ხელშეკრულება. 17 მაისი 2006. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204453?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საპაერო სივრცის შესახებ შეთანხმება, 2 დეკემბერი 2010. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4980519?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - საქართველოს კანონი საქართველოს საპაერო კოდექსი, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/33298?publication=29>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ღირებულების ბრძანება #98 საპაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ღირებულების ბრძანება #95 საპაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საპაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-of-Civil-Liability-Insurance-of-the-AOC-OL-Certificate-Holder-GCAA.pdf>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ღირებულების ბრძანება #142 საპაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/Aircraft-Operator-Certification-Rule-GCAA.pdf>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - Regulation No 549/2004 of the European Parliament and the European Council laying down the framework for the creation of the single European sky. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2004R0549:20091204:EN:PDF>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - Communication from the Commission European Neighborhood Policy [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - Communication from the Commission to the Council and the European Parliament Wider Europe – Neighborhood: A New Framework for relations with our Eastern and Southern Neighbors [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[Microsoft Word-en 104-4Corbert.doc \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN)> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
  - Regulation No 2018/1139 of the European Parliament and the European Council on Common Rules in the Field of Civil Aviation and Establishing a European Union Safety Agency, and amending regulations 1008/2008 and others. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32018R1139&from=EN>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

### სასამართლო პრაქტიკა:

- Vuelin Airlines SA v Instituto Galego de Consumo de Ia Xunta de Galicia, 23 January 2014 (case -487/12) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62012CC0487&from=DE>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
- Boeing/McDonnell Douglas (case No IV/M.887) Commission Decision 97/816/EC [1997] OJ L 336/16 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31997D0816&from=EN>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
- LH/SAS (case number IV/35.545) Commission Decision 96/180/EC [1996] OJ L 54/28 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31996D0180&from=en>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
- British Midland v Aer Lingus (case number

IV/33.544) Commission Decision 92/213/EC [1992] OJ L 96/34 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31992D0213&from=EN>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

5. TAT \_ Paris(Orly)-Marseille and Paris(Orly)-

-Toulouse (case number VII/AMA/IV/93) Commission Decision 94/291/EC [1994] OJ L 127/32 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31994D0291&from=EN>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Gabrichidze, G., 2012. European Union Law. Tbilisi: Institute of European Comparative Law. (in Georgian)
2. Geperidze, D., 2021. International Aviation Law. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
3. Geperidze, D., 2008. Aspects of International Legal Regulation of International Air Carriage. (in Georgian)
4. European Union. 2013. European Neighborhood Policy EU-Georgia Civic Plan Monitoring Report. Tbilisi: Green Alternative. [Online] Available at: <[http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI\\_gzamkvlevi.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI_gzamkvlevi.pdf)> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
5. European Neighborhood and Partnership Instrument (ENPI) Guide, 2013. Tbilisi: Green Alternative. [Online] Available at: <[http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI\\_gzamkvlevi.pdf](http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/11/ENPI_gzamkvlevi.pdf)> [Access at 20 May 2021]. (in Georgia)
6. Vepkhvadze, T., 2006. The Problem of Legal Regulation of Passenger Air Carriage. Law, 1-2, pp. 66 - 68. (in Georgian)
7. Vepkhvadze, T., 2012. Integration of Georgia into the European Common Aviation Area. Justice and Law, 2 (33), pp. 105 -115. (in Georgian)
8. Vepkhvadze, T., 2015. Regulation of Air Carriage in Accordance with the Legislation of Georgia and the European Union and the Problems of Harmonization. Doctoral Dissertation. Grigol Robakidze University. (in Georgian)
9. Vepkhvadze, T., 2015. Property Liability of Air Carriers in Passenger Carriage as a Result of Analysis of Warsaw, Montreal, European and Georgian legislature. Law and the World, 3, pp. 84 -97. (in Georgian)
10. Zoidze, B., 2005. European Private Law Reception in Georgia. Tbilisi: Publishing Training Center. (in Georgian)
11. Kakulia, M., Bolkvadze, B., Chokheli, N. and Sololovski, I., 2014. Implementation of the European Neighborhood Policy Action Plan in Georgia in 2012 in trade and some related areas. Tbilisi: Eurasia Partnership Foundation. Alternative. [Online] Available at: <[\[ge/wp-content/uploads/2016/10/report\\\_final\\\_geo\\\_2012.pdf\]\(http://www.epfound.org/wp-content/uploads/2016/10/report\_final\_geo\_2012.pdf\)> \[Access at 20 May 2021\]. \(in Georgian\)](http://www.epfound.</a></li>
</ol>
</div>
<div data-bbox=)

12. Leonardi, D., 2002. European Union. Tbilisi: Jisiai. (in Georgian)
13. Road Map for Georgia's Integration into the European Union. 2019. Tbilisi: Ministry of Foreign affairs. [Online] Available at: <<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%-A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/ROADMAP2EU-GE-01-03-2019.pdf.aspx>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
14. Dempsey, S., 2004. European Aviation Law. The Hague: Kluwer Law International. (in English)
15. Moens, G. and Trone, J., 2010. Commercial Law of the European Union. Springer Science + Business Media. (in English)
16. Kargalova, M. B. and others, 2005. European Law. Moscow: Norma. (in Russian)

### Normative materials:

1. Agreement on Partnership and Cooperation between Georgia and the European Union, 22 April 1996. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
2. Action Plan on the European Neighborhood Policy between the EU and Georgia, 14 november 2006. [Online] Available at: <[http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472032515\\_evropuli-samezoblo-politikis-samoqmedo-gegma-evrokavshiri-saqarthvelo-2006.pdf](http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472032515_evropuli-samezoblo-politikis-samoqmedo-gegma-evrokavshiri-saqarthvelo-2006.pdf)> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
3. Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and the member states, of the one part, and

- Georgia, of the other part. 27 June 2014. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
4. Agreement between the Government of Georgia and the European Union on certain aspects of air services. 17 May 2006. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204453?publication=0>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
  5. EU-Georgia Common Aviation Area Agreement Between Georgia and the European Union and its Member States, 2 December 2010. [Online] Available at: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4980519?publication=0>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
  6. Air Code of Georgia.[Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/33298?publication=29>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
  7. Order # 98 of the Director of the Civil Aviation Agency on the approval the Rules for Issuing an Air Transportation Certificate. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
  8. Order of the Director of the Civil Aviation Agency # 95 on the approval of the Rule of Civil Liability Insurance of the Aircraft Operator / Holder/ Owner of the Air Transportation Certificate. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-of-Civil-Liability-Insurance-of-the-AOC-OL-Certificate-Holder-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
  9. Order of the Director of the Civil Aviation Agency # 142 on the approval the Rule of Aircraft Operator Certification. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/Aircraft-Operator-Certification-Rule-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
  10. Regulation No 549/2004 of the European Parliament and the European Council laying down the framework for the creation of the single European sky. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2004R0549:20091204:EN:PDF>> [Access at 20 May 2021]. (in English)
  11. Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)
  12. Communication from the Commission European Neighborhood Policy [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [Access at 20 May 2020]. (in English)
  13. Communication from the Commission to the Council and the European Parliament Wider Europe – Neighborhood: A New Framework for relations with our Eastern and Southern Neighbors [Online] Available at: <[Microsoft Word - en\\_104-4Corbert.doc \(europa.eu\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32018R1139&from=EN)> [Access at 20 May 2021]. (in English)
  14. Regulation No 2018/1139 of the European Parliament and the European Council on Common Rules in the Field of Civil Aviation and Establishing a European Union Safety Agency, and amending regulations 1008/2008 and others. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32018R1139&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)

#### Judicial practice:

1. Vuelin Airlines SA v Instituto Galego de Consumo de Ia Xunta de Galicia, 23 January 2014 (case C-487/12) [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62012CC0487&from=DE>> [Access at 20 May 2021]. (in English)
2. Boeing/McDonnell Douglas (case No IV/M.887) Commission Decision 97/816/EC [1997] OJ L 336/16 [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31997D0816&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)
3. LH/SAS (case number IV/35.545) Commission Decision 96/180/EC [1996] OJ L 54/28 [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31996D0180&from=en>> [Access at 20 May 2021]. (in English)
4. British Midland v Aer Lingus (case number IV/33.544) Commission Decision 92/213/EC [1992] OJ L 96/34 [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31992D0213&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)
5. TAT \_ Paris(Orly)-Marseille and Paris(Orly)-Toulouse (case number VII/AMA/IV/93) Commission Decision 94/291/EC [1994] OJ L 127/32 [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:31994D0291&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)

## REFERENCES:

- Road Map for Georgia's Integration into the European Union. 2019. Tbilisi: Ministry of Foreign affairs. p. 72. [online] Available at: <<https://mfa.gov.ge/getattachment/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83-A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/ROADMAP2EU-GE-01-03-2019.pdf.aspx>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Vepkhvadze, T., 2015. Regulation of Air Carriage in Accordance with the Legislation of Georgia and the European Union and the Problems of Harmonization. Doctoral Dissertation. Grigol Robakidze University. p. 2. (in Georgian)
- Dempsey, s., 2004. European Aviation Law. The Hague: Kluwer Law International. p. 51. (in English)
- Vepkhvadze, T., 2015. Regulation of Air Carriage in Accordance with the Legislation of Georgia and the European Union and the Problems of Harmonization. Doctoral Dissertation. Grigol Robakidze University. p. 73. (in Georgian)
- Communication from the Commission to the Council and the European Parliament Wider Europe – Neighborhood: A New Framework for relations with our Eastern and Southern Neighbors [online] Available at: <[Microsoft Word - en 104-4Corbert.doc \(europa.eu\)](https://www.eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN)> [Access at 20 May 2021]. (in English)
- Gabrichidze, G., 2012. European Union Law. Tbilisi: Institute of European Comparative Law, p. 168. (in Georgian)
- Article 43 (1), Agreement on Partnership and Cooperation between Georgia and the European Union, 22 April 1996. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Zoidze, B., 2005. European Private Law Reception in Georgia. Tbilisi: Publishing Training Center, p. 169. (in Georgian)
- Chapter 4.6.1., Action Plan on the European Neighborhood Policy between the EU and Georgia, 14 November 2006. [Online] Available at: <<http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472032515-evropuli-samezoblo-politikis-samoqmedo-gegma-evrovkavshiri-saqarthvelo-2006.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Annex 1, Agreement between the Government of Georgia and the European Union on certain aspects of air services. 17 May 2006. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204453?publication=0>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Regulation No 549/2004 of the European Parliament and the European Council laying down the framework for the creation of the single European sky. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2004R0549:20091204:EN:PDF>> [Access at 20 May 2021]. (in English)
- Annex III, EU-Georgia Common Aviation Area Agreement between Georgia and the European Union and its Member States, 2 December 2010. [Online] Available at: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4980519?publication=0>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Article 3 (1), Order # 98 of the Director of the Civil Aviation Agency on the approval the Rules for Issuing an Air Transportation Certificate. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Ibid. article 3 (3).
- Article 3 (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)
- Ibid. article 3 (3.f).
- Article 4 (3.z), Order of the Director of the Civil Aviation Agency on the approval the Rule of Certification of Aircraft Operator # 142. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/Aircraft-Operator-Certification-Rule-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Geperidze, D., 2021. International Aviation Law. Tbilisi: Meridiani, p. 280. (in Georgian)
- Article 2 (i), Order # 98 of the Director of the Civil Aviation Agency on the approval the Rules for Issuing an Air Transportation Certificate. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
- Ibid. article 2 (t).
- Article 1 (1.d), Air Code of Georgia. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/33298?publication=29>> [Access at 20 May 2021]. (In Georgian)

22. Article 3 (3.d), Order # 98 of the Director of the Civil Aviation Agency on the approval of the Rules for Issuing an Air Transportation Certificate. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
23. Ibid. article 3 (4).
24. Ibid. article 5 (1).
25. Article 8 (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Rules for the Operation of Air Service in Community. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)
26. Article 5 (2), Order # 98 of the Director of the Civil Aviation Agency on the approval the the Rules for Issuing an Air Transportation Certificate. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-on-issuance-of-Operating-Licence-GCAA.pdf>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian).  
Article 10. (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)
27. Ibid. article 8 (2).
28. Dempsey, S., 2004. European Aviation Law. The Hague: Kluwer Law International. p. 149. (in English)
29. Civil Aviation Agency - Airlines registered in Georgia. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
30. Civil Aviation Agency - foreign airlines operating in the Georgian market. [Online] Available at: <<https://gcaa.ge/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>> [Access at 20 May 2021]. (in Georgian)
31. Article 16 (1), Regulation No 1008/2008 of the European Parliament and the European Council on Common Rules for the Operation of Air Service in Community. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32008R1008&from=EN>> [Access at 20 May 2021]. (in English)
32. Vuelin Airlines SA v Instituto Galego de Consumo de Ia Xunta de Galicia, 23 January 2014 (case C-487/12) [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62012CC0487&from=DE>> [Access at 20 May 2021]. (in English)

# სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გამოყენების ფარგლები

## ლაშა ცერცვაძე

სამართლის დოქტორი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, LLM, MLB, ადვოკატი, იურიდიული ფირმა FLS-ის მმართველი პარტნიორი  
ელფოსტა: [tsertsvadzelasha@gmail.com](mailto:tsertsvadzelasha@gmail.com)

### აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გამოყენების საფუძვლები. მისი შინაარსიდან გამომდინარე, სტატია მნიშვნელოვანია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული თვალსაზრისითაც. საკითხები მიმოხილულია შედარებითსამართლებრივი და ლოგიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით, აშშ-ს გერმანიის და საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საკანონმდებლო ნორმა სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შესახებ განთავსებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის სააქციო საზოგადოების თავში, ეს საკითხი კითხვებს ბადებს პრაქტიკოს იურისტებში, კერძოდ, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება ხომ არ უნდა ჰქონდეს ე.წ. დახურული სააქციო საზოგადოების აქციონერსაც, თუ ეს ვალდებულება მხოლოდ ე.წ. ღია სააქციო საზოგადოებების აქციონერებისთვისაა განკუთვნილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიის უმთავრესი მიზანია, მკითხველს შეუქმნას ნათელი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და რა ტიპის საწარმოს არსებობის შემთხვევაში ხდება სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გამოყენება სავალდებულო და როდის არაა ვალდებული აქციონერი გააკეთოს სავალდებულო სატენდერო შეთავაზება სხვა აქციონერთა მიმართ.

საკვანძო სიტყვები: აქცია, ვალდებულება, გამოსყიდვა

# APPLICABILITY OF MANDATORY TENDER OFFER

**Lasha Tsertsvadze**

*Doctor of Law, Associate professor of Law at Tbilisi Free University and East European University of Georgia, LLM, MLB, Attorney, Managing partner of Law firm - "Full Legal Service"*

Email: [tsertsvadzelasha@gmail.com](mailto:tsertsvadzelasha@gmail.com)

## ABSTRACT

The article discusses the basics of using a mandatory tender offer. Due to its content, the article is important from a practical and from theoretical point of view as well. The issues in the article are reviewed using comparative and logical research methods, following the example of US, German and Georgian legislation.

The fact that the legislative norm on mandatory tender offer is placed in the Joint Stock Company chapter of the Law of Georgia on Entrepreneurs, raises questions among practicing lawyers. In particular, should the shareholder of the so-called closed corporation have the obligation to make a mandatory tender offer or not.

Based on above-mentioned, the main purpose of the article is to give the reader a clear idea of when and in which cases mandatory tender offer apply and when the shareholder is not obliged to make a .mandatory tender offer.

**KEYWORDS:** share, commitment, redemption

## შესავალი

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სტატიამი სამართლის ნორმის განმარტებისას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურება მენარმეთა შესახებ კანონის 532-ე მუხლში ჩამოყალიბებული ნორმა, რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს მას, რადგან სწორედ ნორმის მიზნიდან და მისი პრაქტიკული დანიშნულებიდან უნდა განიმარტებოდეს იგი. ნორმის განმარტების ნებისმიერი მეთოდი, იქნება ეს ისტორიული, შედარებითი, კრიტიკული თუ სხვა, მიმართულია ერთი შედეგის მისაღწევად: განმარტოს და თვალსაჩინო გახადოს ის, თუ რა არის ნორმის მიზანი, რას ემსახურება იგი და რა როლი აკისრია პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით იქნება განმარტებული მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 532 -ე მუხლი წინამდებარე დასკვნაში. თუ გავითვალისწინებთ დასმული პრობლემის და თავად განსამარტი ნორმის შინაარსს, სწორედ ამ ნორმის პრაქტიკული გამოყენების ფარგლების დადგენაა რელევანტური, ამდენად, მნიშვნელოვანია, რა არის სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დანიშნულება, მიზანი და ფარგლები.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში 2008 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად გაჩნდა, ხოლო თავის მხრივ აღნიშნული ცვლილებები კი განპირობებული იყო იმით, რომ მომხდარიყო ეროვნული კანონმდებლობის ევრო დირექტივებთან და ევრო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, განვიხილოთ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ინსტიტუტი შედარებით სამართლებრივ ჭრილში. საიდუმლო არავისთვისაა ის ფაქტი, რომ გერმანული კანონმდებლობის გავლენა ევროდირექტივებზე მნიშვნელოვნად დიდია, თავის მხრივ, ცხადია, რომ გერმანული კანონმდებლობა ჰარმონიაშია დირექტივებთან, ამდენად იმისათვის, რომ საკითხი სრულყოფილად იქნეს განხილული და გამოიკვეთოს სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მიზანი და მისი პრაქტიკული დანიშნულება, მიზანშეწონილია განხილული იქნეს გერმანული კანონმდებლობა და თავად ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2004/EC დირექტივა “სანარმოზე კონტროლის მოპოვების შეთავაზებათა შესა-

ხებ” - შედარებით სამართლებრივ ჭრილში. საკითხის სრულფასოვნად წარმოსაჩენად ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორია სატენდერო შეთავაზების რეგულირება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიის პირველი თავი ზოგადად განმარტავს სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას და წარმოაჩენს განსხვავებას სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას და სატენდერო შეთავაზებას შორის; მეორე თავში განხილულია სატენდერო შეთავაზების სამართლებრივი რეგულირება აშშ-სა და გერმანიაში, როგორ არეგულირებს მას ევროდირექტივა; მესამე თავში წარმოდგენილია ქართული კანონმდებლობის ანალიზი წინათავე განხილული იურისდიქციების გამოცდილების გათვალისწინებით შედარებით სამართლებრივ ჭრილში, რის შედეგადაც დასკვნით თავში მოყვანილია ის შედეგები, რა შედეგებამდევ მივიდა წინამდებარე კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის სატენდერო შეთავაზების დანიშნულება, მიზანი და ფარგლები.

## 1. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

### 1.1. შესავალი

სატენდერო შეთავაზება მტრული დაუფლების საუკეთესო მექანიზმია, როდესაც სანარმოს ბევრი მცირე აქციონერი ჰყავს. სატენდერო შეთავაზების გაცემა განთავსებული აქციათა მიმართ ხდება, რაც საჯარო სააქციო საზოგადოებისთვის სახასიათო ელემენტიდან (“ლიაობიდან”) გამომდინარეობს.<sup>1</sup>

არაერთ განვითარებულ ქვეყანაში ღია საზოგადოების დაუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, რასაც ასევე საჯარო დაუფლებაც შეიძლება ეწოდოს, დარეგულირებულია კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დახურული საზოგადოებისაგან განსხვავებით, საჯარო საზოგადოების დაუფლება არ წარმოადგენს მხოლოდ გამყიდველსა და მყიდველს შორის განსახილველ საკითხს და წინა პლანზეა წამოწეული საჯარო,

<sup>1</sup> Directive No. 2004/25/EC on Take-overs Bids of 21 April 2004. მახარობლივილი, გ., 2014. კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორატიულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა შერწყმა) საფუძველზე. თბილისი: გვ. 133.



სახელმწიფო ინტერესი.<sup>2</sup>

ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც, ანგარიშვალდებულ საწარმოებს საქართველოს სახელმწიფოც უწესებს დამატებით მოთხოვნებს და მათ საქმიანობის კანონიერების ფარგლებს ცალკე კანონით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით განსაზღვრავს, ხოლო აღნიშნული კანონის ზედმიწევნით შესრულებაზე კონტროლს კი საქართველოს ეროვნულ ბანკს ავალდებს. სწორედ ამ კანონითაა დარეგულირებული სატენდერო შეთავაზების განხორციელების პროცედურა, რამაც უფრო დეტალურად ქვემოთ შევჩერდებით, თუმცა ის ფაქტი, რომ სატენდერო შეთავაზების შესახებ ნორმები მოცემულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში (მუხლი 15), რომლის მოქმედებაც არ ვრცელდება დახურულ სააქციო საზოგადოებებზე (უფრო სწორად რომ ვთქვათ, დახურული (არაანგარიშვალდებული) კომპანიები არ არიან ვალდებულნი დაიცვან და შეასრულონ ამ კანონის მოთხოვნები), იმის დასტურად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ დახურულ კორპორაციებში არ წარმოიშობა სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება. უფრო დეტალურად ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით.

## 1.2. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება და ნებაყოფლობითი სატენდერო შეთავაზება

განსხვავება ნებაყოფლობით და სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას შორის ის გახლავთ, რომ ნებაყოფლობითი სატენდერო შეთავაზება სახეზეა მაშინ, როდესაც შემძენი განიზრახავს მოიპოვოს კონტროლი სამიზნე კომპანიაზე, ამ დროს მას შეუძლია და არ არის ვალდებული რომ გააკეთოს სატენდერო შეთავაზება, ხოლო სავალდებულო სატენდერო შეთავაზებას ადგილი აქვს მაშინ როდესაც კონტროლი უკვე მოპოვებულია სამიზნე კომპანიაზე, ანუ მაგალითად გერმანიის შემთხვევაში აქციათა 30%, საქართველოს შემთხვევაში 50%-ზე მეტი უკვე შემძენის ხელშია.

ამასთან ნიშანდობლივია, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი კონტროლი სამიზნე კომპანიაზე მოპოვებულია ნებაყოფლობითი სატენდერო შეთავაზების ფარგლებში.

როგორც ნათლად ჩანს, მენარმეთა შესახებ კანონი სატენდერო შეთავაზებასთან დაკავშირებით მითითებას აკეთებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონზე და ადგენს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომისას სავალდებულო სატენდერო შეთავაზება უნდა განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის თანახმად. თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი არ შეიცავს ნორმას სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შესახებ და მხოლოდ ნებაყოფლობით სატენდერო შეთავაზებას არეგულირებს, კერძოდ, კანონის 15.1.-ე მუხლის თანახმად, “პირს, რომელიც აპირებს შეიძინოს ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდები იმ რაოდენობით, რომელმაც შეიძლება საწარმოს კონტროლი გამოიწვიოს, შეუძლია ეს გააკეთოს სატენდერო შეთავაზების საშუალებით, რაც ნიშნავს საწარმოს ფასიანი ქაღალდების სწრაფი შეძენის შესახებ განცხადების გაკეთებას საწარმოზე კონტროლის მოპოვების მიზნით, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.”<sup>3</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა სავალდებულო სატენდერო შეთავაზება მაშინაა, სახეზე, როდესაც პირმა უკვე შეიძინა აქციათა გარკვეული ოდენობა, ხოლო ნებაყოფლობითი სატენდერო შეთავაზება კი - როდესაც პირი აპირებს შეიძინოს აქციათა გარკვეული ოდენობა. ამდენად, ვინაიდან მენარმეთა შესახებ კანონი არ შეიცავს ცალკე ნორმას სავალდებულო სატენდერო შეთავაზების განხორციელების წესის შესახებ, გამოყენებულ უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამისი ნორმანებაყოფლობითი სატენდერო შეთავაზების თაობაზე, თავის მხრივ, ამ ნორმის შესაბამისად პროცედურების განხორციელება კი მხოლოდ, ანგარიშვალდებული საწარმოებისთვისაა სავალდებულო.

<sup>2</sup> Lohner, A. and Schumann, G., 2014. Public Takeovers in Germany. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.freshfields.jp/globalassets/public-takeovers-in-germany.pdf>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>3</sup> მუხლი 15, ნაწილი 1, საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/18196?publication=36>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

## 2. სატენდერო შეთავაზება

### 2.1. (აშშ)

სატენდერო შეთავაზება არის წინადადება სამიზნე კომპანიის განსაზღვრული აქციების შესაძენად. როგორც წესი, სატენდერო შეთავაზებისას აქციის ფასი მის საბაზრო ფასს აღემატება.<sup>4</sup> ფედერალური კანონი ფასიანი ქაღალდების შესახებ მკაცრად არეგულირებს სატენდერო შეთავაზების პირობებს, ვადებს და სხვა იმ გარემოებებს თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სატენდერო შეთავაზების გაკეთება. აღნიშნული მკაცრად კონტროლდება ფასიანი ქაღალდების კომისიის მიერ.<sup>5</sup> (Securities Exchange Commission) (შემდგომში კომისია) შემთავაზებელი ვალდებულია ნათელი გახადოს კომისიისთვის ის, თუ რა სახსრებით აპირებს სატენდერო შეთავაზების დაფინანსებას და ასევე შემძენი კომპანიის გეგმა, შესაძენ კომპანიასთან დაკავშირებით იმ შემთხვევისათვის თუკი დაეუფლება, წარმატებული აღმოჩნდება.

სატენდერო შეთავაზებაზე სამიზნე კომპანიის პასუხი ორგვარი შეიძლება იყოს, პირველი: სამიზნე კომპანიის ბორდი ეთანხმება შეთავაზებას და იწყება ერთობლივი მუშაობა შერწყმის გეგმასთან დაკავშირებით. მეორე: შემძენი კომპანიის ბორდი არ ეთანხმება შეთავაზებას, ამ შემთხვევაში ბორდი ეწინააღმდეგება შეთავაზებას, იყენებს თავდაცვით ღონისძიებებს, ხოლო შემძენი მოლაპარაკებას აგრძელებს აქციონერთან. ასეთ შემთხვევაში მტრულ დაუფლებასთან გვაქვს საქმე. ამ პროცესში დირექტორებს აქვთ ფიდეციური მოვალეობები კომპანიის მიმართ, ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ მხოლოდ კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სატენდერო შეთავაზების წესს და პირობებს ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტი<sup>6</sup> ადგენს, ხოლო კომისია ზედამხედველობას უწევს და აკონტროლებს მის ზედმიწევნით შესრულებას.

კანონი და წესები, რომლებიც მართავენ ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიას აშშ-ში, ნაკარნახევი მარტივი მიზნით, კერძოდ, ყველა ინვესტორი, იქნება ეს მცირე, საშუალო თუ დიდი, უნდა იყოს თანაბარ პირობებში და უნდა ჰქონდეს თანაბარი საშუალება, მოიპოვოს ინფორმაცია ინვესტიციის განხორციელებაში. აღნიშნულის მისაღწევად, კომისია ავალდებულებს ღია (საჯარო/ PUBLIC) სააქციო საზოგადოებებს (კორპორაციებს) რათა მათ გაამჟღავნონ და საჯარო გახადონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპანიის შესახებ, რაც წარმოშობს ბალანსს და თანაბრობას ყველა ინვესტორისათვის, რათა მათ გამოიყენონ საჯარო ინფორმაცია და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება.<sup>7</sup>

როგორც კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა მითითებული, მხოლოდ დროული, ყოვლისმომცველი და ზუსტი ინფორმაციის სტაბილურად მიღების საფუძველზე შეიძლება, რომ ადამიანებმა მიიღონ სასიცოცხლო საინვესტიციო გადაწყვეტილებები.<sup>8</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის გაკეთება რთული არ უნდა იყოს, კერძოდ, როგორც აღინიშნა, კომპანია, რომელიც აპირებს სატენდერო შეთავაზების გაკეთებას, ვალდებულია შეთავაზების შესახებ სრული ინფორმაცია მიანდოს კომისიას<sup>9</sup>, ხოლო კომისია კი, თავს მხრივ, ღია (საჯარო/ PUBLIC), ანუ იმ კომპანიების საქმიანობას აკონტროლებს, რომელთა აქციებიც საჯაროდ სავაჭროდაა დაშვებული. თავის მხრივ დახურული კორპორაციები არ არიან ვალდებულნი საჯარო გახადონ მათ შესახებ ინფორმაცია იმ დოზით, როგორც ეს ღია საზოგადოებებს მოეთხოვებათ. შესაბამისად, დასკვნა ცალსახაა, სატენდერო შეთავაზების ვალდებულება მხოლოდ ღია სააქციო საზოგადოებაში აქციათა გარკვეული

<sup>7</sup> იხ. კომისიის ოფიციალური ვებ გვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.sec.gov/Article/whatwedo.html>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

<sup>8</sup> იხ. კომისიის ოფიციალური ვებ გვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.sec.gov/Article/whatwedo.html>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>9</sup> Securities Exchange Act. 1933, 1934. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-1884/pdf/COMPS-1884.pdf> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

\* Tender offer - An offer to buy some or most of the stock in a publicly-traded company directly from shareholders for a price well above fair market value. სატენდერო შეთავაზება არის შეთავაზება იმასთან დაკავშირებით რომ შესყიდული იქნება საჯარო (ღია) კორპორაციის აქციების უმეტესობა საბაზრო ფასზე მაღალ ფასად. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[www.corporate-actions.net](http://www.corporate-actions.net)> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>4</sup> Clarkson, K., Miller, R. and Cross, F., 2012. Business Law. 12<sup>th</sup> Ed., გვ. 801.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> Securities exchange Act. 1933, 1934. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-1884/pdf/COMPS-1884.pdf>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

\* კომისია ამერიკაში 1929 წლის კრიზის შემდეგ ჩამოყალიბდა. კომისია შედგება პრეზიდენტის მიერ 5 წლის ვადით დანიშნული 5 კომისიონერისგან, რომელთაგანაც დაუშვებელია რომ ერთი და იგივე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი იყოს 3-ზე მეტი წევრი.

ნაწილის შეძენისას შეიძლება წარმოიშვას და იგი არ უნდა გავრცელდეს დახურულ სააქციო საზოგადოებებზე.\*

## 2.2. გერმანია

ძირითადი აქტი, რომელიც გერმანიაში საჯარო დაუფლებას არეგულირებს, "დაუფლების შესახებ" ფედერალური აქტია, რომელიც 2002 წლს იქნა მიღებული<sup>10</sup>. აქტი გადახედილი და განახლებული იქნა 2006 წელს, რათა მომხდარიყო დაუფლების შესახებ ევროპული დირექტივის იმპლემენტაცია და გერმანული კანონმდებლობის დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა.<sup>11</sup>

გერმანიაში, ისე, როგორც არაერთ განვითარებულ ქვეყანაში, ღია საზოგადოების დაუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, რასაც ასევე საჯარო დაუფლებაც შეიძლება ეწოდოს, დარეგულირებულია კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დახურული საზოგადოებისგან განსხვავებით საჯარო საზოგადოების დაუფლება არ წარმოადგენს მხოლოდ გამყიდველსა და მყიდველს შორის განსახილველ საკითხს და წინა პლანზეა წამოწეული საჯარო, სახელმწიფო ინტერესი. შესაბამისად, საჯარო (ღია) კომპანიის დაუფლების შესახებ წესებს გერმანიის ფედერალური კანონი ადგენს.<sup>12</sup>

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელიც მოიპოვებს პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს ღია (საჯარო) საზოგადოებაზე, აღნიშნულის შესახებ უნდა განაცხადოს დაუყოვნებლივ გერმანიის ფედერალურ ფინანსურ

სააგენტოში<sup>13</sup>. (Bafin) კონტროლი მოპოვებულად ითვლება, თუკი ბიდერი დაუფლება სამიზნე კომპანიის ხმების 30% - ს ან მეტს. სამიზნე კომპანიაში კონტროლის ცვლილების შესახებ ინფორმაცია იმავე წესით უნდა გახდეს საჯარო, რა წესებიც დადგენილია დაუფლების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისათვის.<sup>14</sup>

სააგენტოს ფუნქციები მოცემულია ამავე სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე<sup>15</sup>. Bafin-ი (სააგენტო) მონიტორინგს და კონტროლს უწევს საჯარო (ღია) საზოგადოებებს, რომელთა აქციებიც საჯაროდ სავაჭროდაა განთავსებული, უზრუნველყოფს, რომ ასეთი კომპანიების და მათი აქციონერების მიერ დაცული იქნეს შესაბამისი საჯაროობის წესები, რაც თავის თავში ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. სხვა მოთხოვნებს შორისაა მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საჯარო კომპანიაში 30%-ზე მეტი წილის მოპოვების შემთხვევაში აქციონერი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს ბაფინს (სააგენტოს) და ამავე სააგენტოს კონტროლის ქვეშ განახორციელოს სავალდებულო სატენდერო შეთავაზება.

დასკვნა აქაც მარტივია და იგივეობრივია, რაც აშშ-ს შემთხვევაში იყო, კერძოდ, როგორც აღინიშნა, კომპანია, რომელიც აპირებს სატენდერო შეთავაზების გაკეთებას, ვალდებულია, შეთავაზების შესახებ სრული ინფორმაცია მიანოდოს ბაფინს (სააგენტოს)<sup>16</sup>, ხოლო ბაფინი კი, თავს მხრივ, ღია (საჯარო/ PUBLIC), ანუ იმ კომპანიების საქმიანობას აკონტროლებს, რომელთა აქციებიც საჯაროდ სავაჭროდაა დაშვებული. შესაბამისად, დასკვნა ცალსახაა, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება მხოლოდ ღია სააქციო საზოგადოებაში აქციათა გარკვეული ნაწილის შეძენისას შეიძლება წარმოიშვას და იგი ვერ გავრცელდება დახურულ სააქციო საზოგადოებებზე.

\* The term "close corporation" generally connotes a business association in the corporate form, with a small number of shareholders who actively participate in the management of the business, and whose shares are not publicly traded. *ob. Donahue v. Rodd Electrotype Co. of New England, Inc.*, - Mass. -, 328 N.E.2d 505 (1975).

<sup>10</sup> Securities Acquisition and Takeover Act. 2002. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/EN/Aufsichtsrecht/Gesetz/WpUEG\\_en.html;jsessionid=84552DF33FEE662F327C26823E53D97A.1\\_cid501?nn=8379954#doc7857050bodyText1](https://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/EN/Aufsichtsrecht/Gesetz/WpUEG_en.html;jsessionid=84552DF33FEE662F327C26823E53D97A.1_cid501?nn=8379954#doc7857050bodyText1)> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>11</sup> European Takeover Directive (Directive No. 2004/25/EC on Take-overs Bids of 21 April 2004).

<sup>12</sup> Lohner, A. and Schumann, G., 2014. Public Takeovers in Germany. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.freshfields.jp/globalassets/public-takeovers-in-germany.pdf>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>13</sup> *ob. გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური ორგანოს ოფიციალური ვებ გვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bafin.de>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].*

<sup>14</sup> Germany takeover Guide. 2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.freshfields.jp/globalassets/public-takeovers-in-germany.pdf>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>15</sup> *ob. გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური ორგანოს ოფიციალური ვებ გვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[www.bafin.de](http://www.bafin.de)> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].*

<sup>16</sup> გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური ორგანოს ფუნქციები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.bafin.de/SharedDocs/Downloads/EN/Broschuere/dl\\_b\\_bafin\\_stellt\\_sich\\_vor\\_en.pdf?\\_\\_blob=publicationFile&v=4](https://www.bafin.de/SharedDocs/Downloads/EN/Broschuere/dl_b_bafin_stellt_sich_vor_en.pdf?__blob=publicationFile&v=4)> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

## 2.3. მკროდირექტივა

დირექტივა გამოიყენება აქციების/ფასიანი ქაღალდების დაუფლების წინადადებებთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც აღნიშნული აქციები სრულად ან ნაწილობრივ განთავსებულია სავაჭროდ წევრი სახელმწიფოს რეგულირებულ ბაზარზე.<sup>17</sup> რეგულირებული ბაზარი ეს არის ბაზარი, სადაც სახელმწიფო ოფიციალური ორგანოს მეშვეობით ახორციელებს ზედამხედველობას და კონტროლს ვაჭრობაზე.<sup>18</sup> შესაბამისად, ნათელი ხდება, რომ აღნიშნული დირექტივა და მასში მოყვანილი წესები გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი კომპანიების მიმართ, რომელთა აქციებიც სავაჭროდა დაშვებული რეგულირებულ ბაზარზე.

ამდენად, ნათელია, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზება მოქმედებს და გამოიყენება საჯარო (ღია) კორპორაციებში, ხმის უფლების მქონე აქციათა გარკვეული ოდენობის შექენის შემდეგ.

დირექტივის პრეამბულა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დირექტივა გამოიყენება მაშინ, როდესაც კომპანიის აქციები სრულად ან ნაწილობრივ განთავსებულია სავაჭროდ წევრი სახელმწიფოს რეგულირებულ ბაზარზე. რაც შეეხება დახურულ კორპორაციებში უმცირესობაში მყოფი აქციონერების დაცვის საკითხებს, აღნიშნული შესაძლოა მიღწეულ იქნეს აქციონერთა შეთანხმების შედეგად, წესდებაში შესაბამისი ნორმების ასახვის გზით. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს აქციონერთა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, თუკი უმრავლესობაში მყოფი აქციონერი ყიდის თავის საკუთრებაში რიცხულ აქციებს, უმცირესობაში მყოფ აქციონერს წარმოეშობა უფლება, შეუერთდეს აღნიშნულ გარიგებას და საკუთარი აქციებიც იმავე ფასად მიყიდოს მყიდველს. (ე.წ. tag-along right or co-sale right)

<sup>17</sup> The scope of The European Takeover Directive, 2006. (Directive No. 2004/25/EC, overview.) p. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.slaughterandmay.com/media/39335/the\\_european\\_takeovers\\_directive\\_-\\_an%20overview.pdf](https://www.slaughterandmay.com/media/39335/the_european_takeovers_directive_-_an%20overview.pdf)> [წვდომის თარიღი 27 მაისი 2021]. იხ. ასევე, პრეამბულა მუხლი 2, დაუფლების შესახებ ევროპული დირექტივა. It is necessary to protect the interests of holders of the securities of companies governed by the law of a Member State when those companies are the subject of takeover bids or of changes of control and at least some of their securities are admitted to trading on a regulated market in a Member State.

<sup>18</sup> რეგულირებული ბაზრის განმარტება. იხ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.investopedia.com/terms/r/regulated-market.asp>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

## 3. საქართველო

### 3.1. მენარმეთა შესახებ კანონი

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 532 -ე მუხლის თანახმად: თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედი აქციონერთა ჯგუფი (ამ მუხლის მიზნებისთვის – „მყიდველი“) შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს, იგი ვალდებულია, ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 45 დღისა განახორციელოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვის თაობაზე, ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების საერთო რაოდენობის 1/2-ზე ქვევით.<sup>19</sup>

აღნიშნულ ნორმაზე კომენტარის სახით შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულო შეთავაზების ვალდებულება წარმოეშობა პირს, რომლის ხელშიც აღმოჩნდა აქციათა 1/2-ზე მეტი, თავის მხრივ, შეთავაზების ადრესატს არ აქვს ვალდებულება გაასხვისოს აქციები, ანუ სავალდებულო შემთავაზებლის ვალდებულებას ხვდება ოფერტის ადრესატის უფლება, დაეთანხმოს მას ან უარი თქვას მასზე.

ასევე მნიშვნელოვანია განიმარტოს რას გულისხმობს ჩანაწერი “[---]ან იმავე ვადაში (45 დღე) ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების საერთო რაოდენობის 1/2-ზე ქვევით.”<sup>20</sup> როგორ შეიძლება დახურულ საზოგადოებაში აქციონერმა ჩამოიყვანოს მისი კუთვნილი ხმების (აქციების) საერთო რაოდენობა 1/2-ზე ქვევით? ამისთვის მას ერთადერთი გზა აქვს, გაყიდოს აქციები 45 დღეში და ამავე ვადის განმავლობაში არ ისარგებლოს ხმის უფლებით. თუკი გაყიდვაზე საუბარი, მაშინ რატომ იყენებს კანონმდებელი სიტყვას ჩამოიყვანოს ხმები და არა გაასხვისოს აქციები? რაც, თავის მხრივ, ხმების ჩამოყვანას უზრუნველყოფს. ამასთან, არც ისაა განმარტებული, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს აქციონერმა აქციების გაყიდვა. პასუხი მარტივია: ღია სააქციო საზოგადოებაში ხმების (აქციების) ჩამოყვანა 1/2 -ზე ქვევით მოხდება საჭირო ოდენობის აქციების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

<sup>19</sup> მუხლი 532, საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>20</sup> იქვე. მუხლი 532., ნაწილი 2.

(ბირჟაზე) გასაყიდად გამოტანით, პოტენციური მყიდველისათვის საჯარო შეთავაზებით, თავის მხრივ, მსგავსი საჯარო შეთავაზების გაკეთება დახურული კორპორაციის აქციონერისათვის შეუძლებელია, რადგან სადავო არ არის ის ფაქტი, რომ თუკი კომპანია არ აკმაყოფილებს ამა თუ იმ ბირჟის ე.წ. “ლისტინგის” პირობებს, მას არავინ მისცემს უფლებას რომ აქციები სავაჭროდ განათავსოს, თავის მხრივ, “ლისტინგის”, ანუ აქციათა განთავსების წესების დაკმაყოფილება კი დახურული კორპორაციიდან ღია კორპორაციაზე გადასვლას გულისხმობს. (ე.წ. go public) აღნიშნული კიდევ ერთი დასტური შეიძლება იყოს იმისა, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება შეიძლება მხოლოდ ღია სააქციო საზოგადოების პირობებში არსებობდეს და ეს მოთხოვნები არ უნდა გავრცელდეს დახურულ სააქციო საზოგადოებაზე.

ყურადღებამისაქცევია მეწარმეთა შესახებ კანონის 532 -ე მუხლის მე-2 ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული ნორმით დადგენილ აქციათა ფასის განსაზღვრის წესი, კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ ნორმა ეხება ღია სააქციო საზოგადოებებს, კერძოდ, ამ მხრივ მნიშვნელოვანია შემდეგი: “შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი თითოეული კლასის აქცისათვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის აქციაში. აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი დადგინდა.”<sup>21</sup> პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს იმ უდავო გარემოების შესახებ, რომ დახურულ საზოგადოებაში აქციათა ფასი მყიდველს და გამყიდველს შორის მოლაპარაკების შედეგად დგინდება და აისახება ხელშეკრულებაში\*, ამდენად, ამ ფაქტთან მიმართებაში კანონის ნორმის მითითება აუდიტორის და საბროკერო კომპანიის ვალდებულებაზე შეადგინოს ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, რომელთა საფუძველზეც შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი

დადგინდა<sup>22</sup> - საფუძველს მოკლებულია, რადგან ასეთი ერთადერთი დოკუმენტი ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება იყოს. თავის მხრივ, ღია სააქციო საზოგადოების შემთხვევაში, როდესაც აქციებით ვაჭრობა ბირჟაზე ხდება, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა ინფორმაციის საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება აქციათა შეძენის შესახებ მყიდველის მიერ და რას ეყრდნობოდა იგი ფასის შეთავაზებისას, ხოლო საბროკერო კომპანიას კი სწორედ აღნიშნულის დოკუმენტურად დამადასტურებელი მტკიცებულებები ესაჭიროება. აღნიშნულზე უთითებს კიდევ კანონი პირდაპირ და არაორაზროვნად. აქვე, ასევე მნიშვნელოვანია ჩანაწერი, რომლის თანახმადაც “შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი თითოეული კლასის აქცისთვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის აქციაში.”<sup>23</sup> ჩანაწერი 6 თვის განმავლობაში პროცესის განგრძობითობაზე უნდა მიუთითებდეს, რაც იმას გულისხმობს, რომ ღია სააქციო საზოგადოების აქციათა შეძენა შეიძლება მოხდეს ფასიანი ქალაქების ბაზრის (ბირჟის) საშუალებით ეტაპობრივად, მაგალითად, 5%, 10%, და ა.შ. ხოლო მას შემდეგ, რაც შეძენილი აქციების ოდენობა მიაღწევს იმ ზღვარს, რაც კანონითაა დადგენილი, მყიდველს წარმოეშობა სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გაკეთების ვალდებულება.

აღნიშნული მსჯელობის პარალელურად აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას, მაშინ რატომ არის ნორმა მეწარმეთა შესახებ კანონში? ამ კითხვას მარტივი პასუხი აქვს, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქართველოში არ არის ცალკე ნორმატიული აქტი, რომელიც კომპანიის დაუფლების შესახებ ნორმებს დაარეგულირებდა, მაგალითად, როგორც ეს არ იყო გერმანიაში 2002 წლამდე. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ ნორმა განთავსებულია სააქციო საზოგადოების მარეგულირებელ თავში. სააქციო საზოგადოება, როგორც წესი, კორპორაციის სინონიმია, სამწუხაროდ, იმის გამო, რომ საქართველოში არ არის განვითარებული ფასიანი ქალაქების ბაზარი, სააქციო საზოგადოებათა უმრავლესობა დახურული ტიპისაა, მენეჯმენტში აქტიურად ჩართულნი არიან აქციონერები, წარმოადგენენ რა

<sup>21</sup> იქვე. მუხლი 532, ნაწილი 2.

\* ფასის დადგენის პროცესში ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტის ან აუდიტორის შეფასება, თუმცა ესეც მხარეთა მოლაპარაკების პროცესის ნაწილია.

<sup>22</sup> მუხლი 532, ნაწილი 2. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>23</sup> იქვე. მუხლი 532, ნაწილი 2.

ისინი თავად დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. აღნიშნულის პარალელურად ღია სააქციო საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ე.წ. მოწვეული (დამოუკიდებელი) დირექტორების და მენეჯმენტის არსებობა. სწორედ ამიტომ აღინიშნა დასაწყისშივე, რომ კანონის ნორმა მისი მიზნიდან უნდა განიმარტოს და არა მხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. სადავო ნორმა ცალსახად არ უთითებს, რომ იგი დახურულ სააქციო საზოგადოებაზე უნდა გავრცელდეს, რაც სწორიცაა, რადგან განვითარებულ მსოფლიოში ვერ მოიძებნება საკანონმდებლო რეგულირება, სადაც დახურულ კორპორაციაში აქციონერს იგივე ვალდებულებები ჰქონდეს, როგორც ღია კორპორაციაში.

### 3.2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.<sup>24</sup>

ამ კანონის მიზნიდან გამომდინარე, შეუძლებელი და უფრო მეტიც, საღ აზრს მოკლებულია, რომ მისი ნორმები ვრცელდებოდეს დახურულ (არა ანგარიშვალდებული) საწარმოებზე, რადგან დახურული საწარმოები არ არიან ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილენი, ისინი არ ახორციელებენ აქციათა ემისიას და მათ საჯარო შეთავაზებას, საჯაროდ არ ვაჭრობენ აქციებით, არამედ მათი აქციების გასხვისება ხდება მხოლოდ მყიდველსა და გამყიდველს შორის შეთანხმების მიღწევის შედეგად, ამდენად აქ თამაშის წესებს თავად მყიდველი და გამყიდველი განსაზღვრავენ კომპანიის წესდების შესაბამისად, მაშინ, როდესაც აქციათა საჯაროდ ვაჭრობისას წესები, როგორც ზემოთაც აღინიშნა, დადგენილია კანონმდებლის მიერ როგორც აშშ-ში, ასევე გერმანიაში ,

ევროკავშირსა და საქართველოშიც.

ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით, შედარებით მკაცრი რეგულირება განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ბაზარზე საჯაროდ ხდება ვაჭრობა, შესაბამისად, პასუხისმგებლობა იმისა, რომ ყველაფერი სწორად მოხდეს, სახელმწიფოს, ანუ იმ ორგანოს ეკისრება, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კონტროლს და მონიტორინგს ახორციელებს. საქართველოს რეალობაში ეს ეროვნული ბანკია, გერმანიაში ბაფინი, აშშ-ში კი ფასიანი ქაღალდების კომისია. გემოაღნიშნული მსჯელობის ნათელი დასტურია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმადაც:

“ეს კანონი აწესრიგებს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტარების, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების საბროკერო კომპანიების, ბროკერებისა და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის წესებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე დამატებით მოთხოვნებს იმ საწარმოთა საქმიანობის წესისა და პასუხისმგებლობის მიმართ, რომელთა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება და გაყიდვაც ხორციელდება.”<sup>25</sup>

ამავე კანონის 2.1 (ა) მუხლის და მე-9 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებულ საწარმოდ (საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტად) მიიჩნევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა).<sup>26</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს წესს, რომლითაც გარკვეული ტიპის ანგარიშვალდებული საწარმოები თავისუფლდებიან ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-14 და მე-15 მუხლების მოთხოვნათა შესრულებისაგან, თუ საწარმოთა მიერ შესაბამისი ანგარიშების მოსამზადებლად გასაწევი ხარჯები, საწარმოთა საკუთარი კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნული მუხლებით დაცული საჯარო ინტერესის

<sup>24</sup> პრეამბულა, საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. [ინტერეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>25</sup> მუხლი 1, პუნქტი 4, საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. [ინტერეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>26</sup> იქვე. მუხლი 2, პუნქტი 1.

შეუსაბამო აღმოჩნდება.<sup>27</sup> ნიშანდობლივია, რომ მსგავსი სახის გამონაკლისების გაკეთების უფლება აქვს ბაფინსაც.

ამდენად, თუკი დავასკვნით, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შესახებ მოთხოვნა უნდა გავრცელდეს დახურულ საზოგადოებაზეც, მაშინ უნდა გვესმოდეს, რომ აღნიშნულის პარალელურად ცალსახად ვაცხადებთ და ვავრცელებთ იმ წესებს და შეზღუდვებს დახურულ კომპანიებზეც, რაც ზემოთ განხილულ ქვეყნებსა და საქართველოში დადგენილია ღია სააქციო საზოგადოებებისათვის (კორპორაციებისთვის).

გონივრულობას მოკლებულია სატენდერო შეთავაზების გავრცელება დახურულ კომპანიებზე კონტექსტიდან ამოგლეჯილად, მხოლოდ შეთავაზების ნაწილში, მაშინ როდესაც სატენდერო შეთავაზების იდეა და წინაპირობები სრულად დარეგულირებულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ნორმებით მსოფლიოს ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, კერძოდ, ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, მენეჯმენტის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განთავსება და სხვა ვალდებულებები, რაც ანგარიშვალდებული საწარმოს მიმართაა დადგენილი. დახურულ კორპორაციაში, სადაც მყიდველსა და გამყიდველს შორის ხელშეკრულების საფუძველზე ხდება აქციათა საკუთრების გადასვლა, დაუშვებელია სატენდერო შეთავაზების შემოტანა, რადგან, თავის მხრივ, სატენდერო შეთავაზება გულისხმობს საჯაროდ ცნობილი ინფორმაციის საფუძველზე აქციათა შეძენის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დახურულ კორპორაციებსაც იგივე ვალდებულება გააჩნიათ, რაც ღია კორპორაციებს, რაც საღ აზრს მოკლებულია, რადგან დახურულ კორპორაციებში გამყიდველის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია აქციების, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ა.შ. ასეთ დროს, თავის მხრივ, მყიდველს, თუკი ისიც აქციონერია, აქვს ინსაიდერული ინფორმაცია და ამ ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს შესყიდვას და ამ ინფორმაციის საფუძველზე სხვებზე უპირატეს მდგომარეობაშიც იმყოფება და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა დახურული სააქციო საზოგადოებისათვის მაშინ, როდესაც ღია სააქციო საზოგადოებებში ინსაიდერული ვაჭრობა აკრძალულია კანონით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის 45-ე

მუხლითაც.<sup>28</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასურველია მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 532 -ე მუხლი განთავსებული იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში და არა მენარმეთა შესახებ კანონში, რათა არ გამოიწვიოს გაუგებრობა, აღნიშნულის დასტურია თავად მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, სადაც სავალდებულო სატენდერო შეთავაზება აღარ გვხვდება და კანონპროექტის ავტორთა მიერ რეკომენდაციის სახით მითითებულია, რომ “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის ცალკე უნდა მოწესრიგდეს როგორც სავალდებულო მიყიდვის, ისე სავალდებულო სატენდერო შეთავაზების და მინორიტარი აქციონერის მოთხოვნით აქციათა სავალდებულო გამოსყიდვის საკითხები.”<sup>29</sup>

კანონპროექტი კი, თავის მხრივ, მიზნად ისახავს ქართული საკორპორაციო სამართლის ევრო დირექტივებთან და ევრო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას, რაც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებას ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის.“

## დასკვნა

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად გამოიკვეთა, რომ „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 532-ე მუხლის დანაწესი უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოს აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენის შემთხვევებზე და

<sup>28</sup> მუხლი 45, საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. [ინტერეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

<sup>29</sup> კანონპროექტი მენარმეთა შესახებ კანონის შესახებ, გვ.128, სქოლიო 124 - ე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.facebook.com/giz.law.ge/posts/1537281509733072>> <[https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd\\_BI0VP94JAEIEY](https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKd_BI0VP94JAEIEY)> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

\* ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

<sup>27</sup> იქვე. მუხლი 2, პუნქტი 1.

მისი მოთხოვნები არ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად დაფუძნებული ნებისმიერი სააქციო საზოგადოების სანარმოს აქციათა შექმნაზე“.

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია ალინიშნოს იმის შესახებ, რომ დახურულ სააქციო საზოგადოებებში აქციონერთა დაცვის უმთავრეს მექანიზმს წესდება წარმოდგენს, წესდება პარტნიორთა შეთანხმებაა, შესაბამისად, მათ შეუძლიათ წესდებით შეათანხმონ და დაადგინონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მექანიზმი, მაგალითად: აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება, წილების (აქციათა) პროპორციულად გამოსყიდვის უფლება, უმცირესობაში მყოფი აქციონერის უფლება მიუერთდეს უმრავლესობაში მყოფ აქციონერს, თუკი იგი აპირებს აქციების გასხვისებას და ა.შ., რაც შეეხება ღია სააქციო საზოგადოებას, ცხადია,

ამგვარი ჩანაწერი ღია სააქციო საზოგადოების წესდებაში შეუძლებელია არსებობდეს, ამდენად ასეთ შემთხვევაში ღია სააქციო საზოგადოების მინორიტარი აქციონერი დარჩებოდა საკანონმდებლო დაცვის გარეშე, რომ არ იყოს სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შესახებ ნორმა კანონში.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულს მიყვავართ დასკვნამდე, რომ სავალდებულო სატენდერო შეთავაზების გაკეთების ვალდებულება აქციონერს უნდა ეკისრებოდეს ე.წ. ღია სააქციო საზოგადოებაში აქციათა 50% -ზე მეტის შექმნის შემთხვევაში, ხოლო დახურულ სააქციო საზოგადოებაში, სადაც აქციონერთა მცირე (განსაზღვრული) წრეა სახეზე, ასეთი ვალდებულება აქციონერს არ აქვს.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქაძე, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ. და ჯუღელი, გ., 2019. საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი.
2. ბურდული, ი., 2010, სააქციო სამართლის საფუძვლები. ტომი I. თბილისი.
3. თოდუა, უ., “რედ.” 2019. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი.
4. მახარობლიშვილი, გ., 2014. კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორატიულ-სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა შერწყმა) საფუძველზე. თბილისი.
5. ქოჩიაშვილი, ა. და მაისურაძე, დ., “მთარგმნ” 2019. საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა. მესამე გამოცემა. თბილისი.
6. ცერცვაძე, ლ., 2016. დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას. (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). თბილისი: იურისტების სამყარო.
7. ჯუღელი, გ., 2010. კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში. თბილისი.
8. Clarkson, K., Miller, R. and Cross, F., 2012. Business Law. 12th Ed.

9. Lohner, A. and Schumann, G., 2014. Public Takeovers in Germany.
10. Manning, B. and H., J.Jr., 2013. Legal Capital. 4th Ed.
11. Tsertsvadze, L., 2012. Aspects of Corporate Governance Regarding Duties of Directors, Comparative Analysis According the USA (State of Delaware) Corporate Law and Corporate Law of Georgia. Tbilisi: Meridiani.
12. The scope of The European Takeover Directive, 2006. (Directive No. 2004/25/EC, overview).

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].
2. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].
3. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კანონპროექტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].



**სასამართლო პრაქტიკა:**

1. Donahue v. Rodd Electrotype Co. of New England, Inc., - Mass. -, 328 N.E.2d 505 (1975)

[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.lexisnexis.com/community/casebrief/p/casebrief-donahue-v-rodd-electrotype-co> [წვდომის თარიღი 25 მაისი 2021].

**Bibliography:** \_\_\_\_\_**Used Literature:**

1. Bakakuri, N., Gelter, M., Tsertsvadze, L. and Jugeli, G., 2019. Corporate Law, Handbook For Lawyers. Tbilisi. (in Georgian)
2. Burduli, I., 2010, Foundation of the Corporate Law. vol. I. Tbilisi. ( in Georgian)
3. Todua, U., "Red". 2019. Law of Georgia on Entrepreneurs in court decisions. Tbilisi: ( in Georgian)
4. Makhroblishvili, G., 2014. Fundamental Changes in the Structure of Corporation based on M&A transaction. Tbilisi: (in Georgian)
5. Khochiavili, A. and Maisuradze, D., "Translat", 2019. Anatomy of Corporate Law. 3rd Ed. Tbilisi:(in Georgian)
6. Tsertsvadze, L., 2016. Directorate Obligations on Merging of Companies and Acquiring Control. Tbilisi: world of Lawyers. (in Georgian)
7. Jugeli, G., 2010, Protection of Capital in JSC. Tbilisi. (in Georgian)
8. Clarkson, K., Miller, R. and Cross, F., 2012. Business Law. 12th Ed. (in English)
9. Lohner, A., and Schumann, G., 2014. Public Takeovers in Germany. (in English)
10. Manning, B., and Hanks, J, Jr. 2013. Legal Capital. 4th Ed. (in English)
11. Tsertsvadze, L., 2012. Aspects of Corporate Governance Regarding Duties of Directors, Comparative Analysis According the USA (State of Delaware) Corporate Law and Corporate Law of Georgia. Tbilisi: Meridiani. (in English)

12. The scope of The European Takeover Directive, 2006. (Directive No. 2004/25/EC, overview). (in English)

**Normative materials:**

1. Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69> [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)
2. law of Georgia on Securities Market. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36> [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)
3. Draft Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0> > [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)

**Judicial Practice:**

1. Donahue v. Rodd Electrotype Co. of New England, Inc., - Mass. -, 328 N.E.2d 505 (1975) Supreme Judicial Court of Massachusetts [Online] Available at: <https://www.lexisnexis.com/community/casebrief/p/casebrief-donahue-v-rodd-electrotype-co> > [Accessed 25 May 2021]. (in English)

**REFERENCES:** \_\_\_\_\_

1. Makhroblishvili, G., 2014. Fundamental Changes in the Structure of Corporation based on M&A transaction. Tbilisi: p. 133. (in Georgian)
2. Lohner, A. and Schumann, G., 2014. Public Takeovers in Germany. [Online] Available at: <https://www.freshfields.jp/globalassets/public-takeovers-in-germany.pdf> [Accessed 20 May 2021]. (in English)
3. Article 15 (1), Law of Georgia on Securities

- Market. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/document/view/18196?publication=36> [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)
4. Clarkson, K., Miller, R. and Cross, F., Business Law 12th Ed., p. 801. (in English)
5. Ibid. p. 801.
6. Securities exchange Act. 1933, 1934. [Online] Available at: <https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-1884/pdf/COMPS-1884.pdf>>

- [Accessed 25 May 2021]. (in English)
7. Official web of Commission. [Online] Available at: <https://www.sec.gov/Article/whatwedo.html> [Accessed 25 May 2021]. (in English)
  8. Official web of Commission. [Online] Available at: <https://www.sec.gov/Article/whatwedo.html> [Accessed 25 May 2021]. (in English)
  9. Securities Exchange Acticle 1933, 1934. [Online] Available at: <https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-1884/pdf/COMPS-1884.pdf> [Accessed 25 May 2021]. (in English)
  10. Securities Acquisition and Takeover Acticle 2002. [Online] Available at: [https://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/EN/Aufsichtsrecht/Gesetz/WpUEG\\_en.html;jsessionid=84552DF33FEE662F327C26823E53D97A.1\\_cid501?nn=8379954#doc7857050bodyText1](https://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/EN/Aufsichtsrecht/Gesetz/WpUEG_en.html;jsessionid=84552DF33FEE662F327C26823E53D97A.1_cid501?nn=8379954#doc7857050bodyText1) [Accessed 30 May 2021]. (in English)
  11. European Takeover Directive. (Directive No. 2004/25/EC on Take- overs Bids 21 April 2004. (in English)
  12. Lohner A., and Schumann, G., 2014. Public Takeovers in Germany. [Online] Available at: <https://www.freshfields.jp/globalassets/public-takeovers-in-germany.pdf> [Accessed 30 May 2021]. (in English)
  13. Federal Financial Supervisory Authority. [Online] Available at: <https://www.bafin.de> [Accessed 30 May 2021]. (in English)
  14. Germany takeover Guide. 2014. [Online] Available at: <https://www.freshfields.jp/globalassets/public-takeovers-in-germany.pdf> [Accessed 30 May 2021]. (in English)
  15. Federal Financial Supervisory Authority. [Online] Available at: <https://www.bafin.de> [Accessed 30 May 2021]. (in English)
  16. Functions of Federal Financial Supervisory Authority. [Online] Available at: [https://www.bafin.de/SharedDocs/Downloads/EN/Broschuere/dl\\_b\\_bafin\\_stellt\\_sich\\_vor\\_en.pdf?blob=publicationFile&v=4](https://www.bafin.de/SharedDocs/Downloads/EN/Broschuere/dl_b_bafin_stellt_sich_vor_en.pdf?blob=publicationFile&v=4) [Accessed 30 May 2021]. (in English)
  17. The scope of The European Takeover Directive, 2006. (Directive No. 2004/25/EC, overview.) (in English) p. 8 [Online] Available at: [https://www.slaughterandmay.com/media/39335/the\\_european\\_takeovers\\_directive\\_-\\_an%20overview.pdf](https://www.slaughterandmay.com/media/39335/the_european_takeovers_directive_-_an%20overview.pdf) [Accessed 27 May 2021]. (in English)
  18. Definition of Regulated Market. [Online] Available at: <https://www.investopedia.com/terms/r/regulated-market.asp> [Accessed 27 May 2021]. (in English)
  19. Article. 532, Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69> [Accessed 20 May 2021]. (in Georgian)
  20. Ibid. article 532, part 2.
  21. Ibid. article 532., part 2.
  22. Ibid. article 532, part 2.
  23. Ibid. article 532., part 2.
  24. Preamble, Law of Georgia on Securiteis Market. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36> [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)
  25. Article 1.4, Law of Georgia on Securiteis Market. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36> [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)
  26. Ibid. article 2, part 1.
  27. Ibid. article 2. part 1.
  28. Article 45, Law of Georgia on Securiteis Market. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36> [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)
  29. Draft Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <https://www.facebook.com/giz.law.ge/posts/1537281509733072> <<https://drive.google.com/drive/folders/17JUL5iYPa0A0KMQJKdBl0VP94JAEIEY>> [Accessed 25 May 2021]. (in Georgian)

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის ცნების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

## ეკატერინე ფიფია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი  
ელფოსტა: [ekapipia@gmail.com](mailto:ekapipia@gmail.com)

### აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) წილის ცნებას. კვლევის მიზანია გაანალიზოს შპს-ის წილის არსი და ბუნება სტატიაში გამოყენებული იურიდიული ლიტერატურისა და საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე და, შედეგად, ჩამოაყალიბოს შპს-ის წილის ცნება. ამ მიზნით, ნაშრომში გაანალიზებულია შპს-ის წილის მომწესრიგებელი ნორმები, შპს-ის წილი, როგორც სუბიექტური უფლება და მოვალეობა, შპს-ის წილი, როგორც მიმოქცევადი უფლება, მისი მიმართება შპს-ის კაპიტალთან, ასევე, შპს-ის წილი შედარებულია სს-ის აქციასთან და დახასიათებულია შპს-ის წილთა სახეები და კლასები. ამასთან, ნაშრომი შეიცავს საქართველოს, გერმანიის, რუსეთის, აშშ-სა და ინგლისის სამართლის შედარებით-სამართლებრივ და ნორმატიულ-სამართლებრივ ანალიზს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შპს-ის წილი არის შპს-ის პარტნიორის სტატუსიდან გამომდინარე შპს-ში მონაწილეობის სუბიექტური უფლება, რომელიც პარტნიორის უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობისაგან შედგება. შპს-ში მონაწილეობის (პარტნიორის უფლებებისა და მოვალეობების) ფარგლები დამოკიდებულია პარტნიორის წილის მოცულობაზე, თუმცა შპს-ის წესდებით შესაძლებელია მასში დისბალანსის შეტანა (მაგალითად, სხვადასხვა კლასის წილების გამოშვების გზით). შპს-ის წილი მიმოქცევადი უფლებაა - სამოქალაქო ბრუნვის განსაკუთრებული ობიექტი. მიმოქცევისას შპს-ის წილით პარტნიორისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობები განუყოფელია და გადადის ერთობლივად, ანუ ამ უფლება-მოვალეობათა ცალ-ცალკე გადასვლა (გადაცემა) დაუშვებელია. შპს-ის წილის განკარგვასთან დაკავშირებით სამართალში განმტკიცებულია თავისუფალი მიმოქცევის პრინციპი. თუმცა ამ პრინციპის შეზღუდვა შესაძლებელია როგორც სპეციალური კანონმდებლობით, ისე შპს-ის წესდებით. ასეთი შეზღუდვის გავრცელებული სახეა საზოგადოების თანხმობა და უპირატესი შესყიდვის უფლება. შპს-ის წილი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტის ხასიათთან დაკავშირებით სს-ის აქციის მსგავსია. ამასთან, მათ შორის არსებობს განსხვავებები, რომლებიც გამოიხატება მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის სახეში და ზომაში, სს-ის აქციონერებთან შედარებით შპს-ის პარტნიორთა უფრო მჭიდრო, პირად კავშირში.

საკვანძო სიტყვები: პარტნიორი, უფლებამოსილება, კაპიტალი

# Comparative Legal Analysis of the Concept of the Limited Liability Company Share

**Ekaterina Pipia**

*PhD student at Faculty of law at Caucasus International University, Attorney*

*Email: [ekapipia@gmail.com](mailto:ekapipia@gmail.com)*

## ABSTRACT

The paper deals with the concept of share of a limited liability company (LLC). The aim of the research is to analyze the essence and nature of LLC share on the basis of used legal literature and legislative norms and, as a result, to form the concept of LLC share. For this purpose, the paper analyzes the norms regulating LLC share, LLC share as a subjective right and duty, the LLC share as a transferable right, its relation to the capital of LLC, additionally, LLC share is compared to the JSC stock and the types and classes of LLC share is characterized. Furthermore, the paper contains a comparative-legal and normative-legal analysis of Georgian, German, Russian, American and English laws.

As a result of the study, it is established that LLC share is a subjective right to participate in LLC based on the status of LLC shareholder, which consists of a combination of the rights and responsibilities of a shareholder. The scope of participation (rights and duties of a shareholder) in LLC depends on the size of the shareholder's share, although LLC charter may lead to an imbalance in it (for example, by issuing different classes of shares). LLC share is a transferable right - a special object of civil turnover. During the transfer, the rights and duties assigned to the shareholder from LLC share are inseparable and are transferred jointly, thus, the transfer (assignment) of these rights and duties separately is not permitted. In relation to transfer of LLC share, the principle of free transferability is reinforced by the legislation. However, this principle can be restricted by special regulation as well as by the charter of LLC. A common form of such restriction is consent of the company and the right of first refusal. In respect of the nature of the object of civil turnover, LLC share is similar to the share of the JSC. However, there are differences between them, which are manifested in the type and size of participation right, in the closer personal union of LLC shareholders compared to JSC shareholders.

**KEYWORDS:** shareholder, authority, capital

## შესავალი

შპს-ის წილის სამართლებრივი ბუნების გარკვევას არსებითი ხასიათის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შპს-ის წილის არასწორ გაგებას პრაქტიკაში ხშირად უკავშირდება შპს-ის პარტნიორის გაიგივება თვით შპს-თან, შპს-ის წილის გათანაბრება შპს-ის კაპიტალის შესაბამის ნაწილთან, შპს-სა და შპს-ის პარტნიორის ვალდებულებების გაიგივება, შპს-ის წილისა და ქონების გათანაბრება.

საქართველოს კანონმდებლობა შპს-ის წილის მხოლოდ ზოგადი რეგულირებით შემოიფარგლება, ხოლო ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში წილის ცნება არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. ასევე, მწირია ქართული სასამართლო პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში განიხილება კანონპროექტი, რომლის მიღებით შესაძლოა გაფართოვდეს წილთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება.

მოცემული სტატია წარმოადგენს სამართლებრივ კვლევას, რომლის მიზანია სტატიაში გამოყენებული საკანონმდებლო ნორმების, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე დაახასიათოს შპს-ის წილის სამართლებრივი ბუნება და ჩამოაყალიბოს დასკვნები შპს-ის წილის ცნებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე. სტატია ეფუძნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაცულ პირველ კოლოკვიუმს.

## I. შპს-ის წილი, როგორც სუბიექტური უფლება და მოვალეობა

პირს შპს-ის წილის ფლობით აქვს მისი პარტნიორის სტატუსი. წილის ფლობით განპირობებულია შპს-ში მისი პარტნიორობა (წევრობა, მონაწილეობა) და პარტნიორობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები. შპს-ის წილი არის მისი პარტნიორის სუბიექტური უფლება და მოვალეობა\*, რომელიც პარტნიორის უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობისაგან

შედგება.

საქართველოს კანონმდებლობაში წილზე, როგორც პარტნიორის სუბიექტურ უფლებასა და მოვალეობაზე, სპეციალურად აქცენტი არ კეთდება. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს წილზე, როგორც მიმოქცევად უფლებაზე,<sup>1</sup> მაგრამ ეს წილს განმარტავს მხოლოდ სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით და არ განმარტავს მას სამენარმეთა-სამართლებრივი კუთხით.

„მენარმეთა შესახებ“ ახალ კანონპროექტში ჩამოყალიბებულია წილის როგორც ზოგადი, ისე კერძო განმარტებები. ზოგადი განმარტება მოცემულია კანონპროექტის 30-ე მუხლში, რომლის თანახმად, „წილი არის უფლება, რომელიც გულისხმობს პირის მონაწილეობას სამენარმეთა სამოვალეობის კაპიტალში და რომელთანაც დაკავშირებულია უფლებები და მოვალეობები. წილი არის საკუთრების საგანი“.<sup>2</sup> შპს-ის წილის კერძო განმარტება მოცემულია კანონპროექტის 135-ე მუხლის 1-ელ პუნქტში, რომლის თანახმად, შპს-ის „წილი წარმოადგენს უფლების საგანს, რომელიც განსაზღვრავს პირის მონაწილეობას შემლუდული პასუხისმგებლობის სამოვალეობის კაპიტალში“.<sup>3</sup> ამდენად, კანონპროექტი წილს განსაზღვრავს როგორც უფლებას, რომელიც ვლინდება შპს-ის კაპიტალში წილის მესაკუთრის მონაწილეობით და მასთან დაკავშირებულია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები.<sup>4</sup>

საყურადღებოა, რომ „მენარმეთა შესახებ“ მოქმედი კანონიდან, სპეციალური ხაზგასმის მიუხედავად, იკითხება, რომ წილი უფლება-მოვალეობათა ერთობლიობას წარმოადგენს.<sup>5</sup> ამაზე მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „სამოვალეობის წილად მიიჩნევა უფლებებისა და

<sup>1</sup> მუხლი 44, პუნქტი 3, საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>2</sup> მუხლი 30, საქართველოს კანონის პროექტი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>3</sup> იქვე. მუხლი 135, პუნქტი 1.

<sup>4</sup> გიგუაშვილი, გ. და ჯუღელი, გ., 2021. განმარტებები „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით). თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სამოვალეობა (GIZ), გვ. 152.

<sup>5</sup> ლილუაშვილი, გ., 2005. შემლუდული პასუხისმგებლობის სამოვალეობა (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: ჯისიი, გვ. 212.

\* ზოგადად, იურიდიულ ლიტერატურაში სუბიექტურ უფლებაში იგულისხმება საკუთარი ქმედების უფლება, სხვისგან მოთხოვნის უფლება და სამართლებრივი დაცვის უფლება, ხოლო მოვალეობაში - საკუთარი ქმედების მოვალეობა, იხ. Суханов, В. А., 1998. Гражданское право. Учебник, Том I. 2-е издание, Москва: Издательство БЕК, გვ. 92- 93.

მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს შპს-ის წევრობიდან გამომდინარე.<sup>6</sup>

ქვემოთ მოყვანილი სამღვარგარეთის ქვეყნების სამართალშიც შპს-ის წილი გაგებულა, როგორც შპს-ის პარტნიორობიდან (წევრობიდან, მონაწილეობიდან) გამომდინარე უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა.

გერმანიაში ქართული შპს-ის მსგავს სამენარმეო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს Gesellschaft mit beschränkter Haftung (GmbH)\*. მისი მარეგულირებელი აქტია გერმანიის შპს-ის შესახებ კანონი (GmbHG), რომლის თანახმადაც შპს-ის წილი (Geschäftsanteil) მოიცავს ყველა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მოჰყვება შპს-ში პარტნიორობას.<sup>7</sup> საზოგადოების წილის სინონიმად ხშირად მოიხსენიება შპს-ის წევრობა,<sup>8</sup> რაც ადასტურებს იმას, რომ შპს-ის წილი განიხილება, როგორც წევრობის უფლება.

რუსეთის общества с ограниченной ответственностью (ООО) ბევრ მსგავსებას ჰპოვებს ქართულ შპს-სთან. შპს-ის წილს ეწოდება «доля в уставном капитале» (ქართულად - წილი საწესდებო კაპიტალში). მას არეგულირებს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი\* და სპეციალური კანონი - შპს-ის შესახებ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონი\*, თუმცა არცერთ მათგანში მოცემული არ არის შპს-ის წილის იურიდიული განმარტება.

აშშ-ში ქართული შპს-ის მსგავს სამენარმეო საზოგადოებას წარმოადგენს Limited Liability Company (LLC)\*. თუმცა მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ქართულ შპს-სა და აშშ-ის შპს-ს შორის არის ის, რომ იგი მიიჩნევა ამხანაგობის ერთ-ერთ სახედ, იმის მიუხედავად, რომ მისი სამართალსუბიექტობა ცალსახად დადგენილია.<sup>9</sup> აშშ-ში შპს-ის წილის

აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი interest, რომელიც, ასევე, აღნიშნავს კომპანიასთან ურთიერთობისადმი ინტერესს.<sup>10</sup>

ინგლისის სამართალში ქართული შპს-ის მსგავს სამენარმეო სუბიექტს წარმოადგენს Private Limited Company (Ltd.)\*, რომელსაც არეგულირებს კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტი\*. ინგლისში არ განასხვავებენ წილებსა და აქციებს, ამდენად, ნებისმიერი წილი იწოდება როგორც „share“, და ნებისმიერ „წილით შემზღულ კომპანიას“ (Limited Company) ბიზნეს კორპორაციად განიხილავენ.<sup>11</sup> კომპანიების შესახებ 2006 წლის აქტი არ არის მოცემული შპს-ის წილის განმარტება, მაგრამ ყველაზე ხშირად ციტირებულია ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს მიერ საქმეზე Borlands Trustee v. Steel გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმადაც „წილი არის კომპანიის მენილეს პროცენტი, რომელიც იზომება თანხით, პირველ რიგში, პასუხისმგებლობის მიზნებისათვის და, მეორე რიგში, პროცენტისთვის, თუმცა ასევე შედგება მთელი რიგი ორმხრივი შეთანხმებებისაგან, რომლებიც დადებულ იქნა ყველა მენილის მიერ“.<sup>12</sup>

შპს-ის წილი წარმოიშობა შპს-ის რეგისტრაციის მომენტიდან, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ შპს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (სამენარმეო რეესტრში) რეგისტრაციის მომენტიდან წარმოიშობა. გერმანიაშიც, შპს-ის წილი იურიდიულად წარმოიშობა სავაჭრო რეესტრში (Handelsregister) შპს-ის რეგისტრაციიდან ან, შესაბამისად, შპს-ის საწესდებო კაპიტალის გაზრდის საფუძველზე.<sup>13</sup>

შპს-ის წილი, ფაქტობრივად, არის ერთგვარი შპს-ში მონაწილეობის უფლება, ვინაიდან სამენარმეო საზოგადოებასა და მის მონაწილეებს შორის ურთიერთობის შინაარსი სწორედ

<sup>6</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 ოქტომბრის განჩინება (საქმე №3კ/613-01).

\* ქართულად - შემზღული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

<sup>7</sup> Römermann, V., „Hrsg.“, 2018. Münchener Anwaltshandbuch GmbH-Recht. 4. Auflage, München: C. H. Beck, გვ. 320.v

<sup>8</sup> შეფერი, ვ., 2019. საზოგადოებათა სამართალი. მე-5 გამოცემა. თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, გვ. 443.

\* Гражданский кодекс Российской Федерации. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_5142/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/)> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

\* Федеральный закон Российской Федерации об обществах с ограниченной ответственностью. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_17819/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_17819/)> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

\* ქართულად - შემზღული პასუხისმგებლობის კომპანია.

<sup>9</sup> ბაქაქერი, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ. და ჭულელი, გ., 2019. საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისთვის. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 17.

<sup>10</sup> Фатхутдинов, Р. С., 2009. Уступка доли в уставном капитале ООО: теория и практика. Москва: Волтерс Клувер, გვ. 5.

\* ქართულად - ვერძო შემზღული კომპანია.

\* The Companies Act (2006). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/contents>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>11</sup> Суханов Е. А., 2014. Сравнительное корпоративное право. Москва: Статут, გვ. 22.

<sup>12</sup> Decision of the High Court on the case Borland's Trustee v. Steel Brothers & Co Ltd, 14 November 1900, [1901] 1 Ch 279; Section 33 (1), The Companies Act (2006). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/contents>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>13</sup> Altmeynen, H., „Hrsg.“, 2019. Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung: GmbHG. 9. Auflage. München: C.H. Beck, გვ. 334-335.

მონაწილეობის უფლება.<sup>14</sup> მაგალითად, შპს-ის დაფუძნებისას პარტნიორი კარგავს თავის შენატანებზე საკუთრების უფლებას და, ამის სანაცვლოდ, იგი იღებს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს შპს-ში, მის მართვაში, მის მოგებაში და ა.შ. შპს-ის პარტნიორობაში (წევრობაში) არსებითი ელემენტია არა ფორმალურად წილის ფლობა, არამედ პარტნიორის უფლებამოსილებები. გამომდინარე იქიდან, რომ შპს არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია წევრობის პრინციპზე, ლოგიკური იქნება დავასკვნათ, რომ კაპიტალში შენატანის შეტანით შპს-ის წევრის (პარტნიორის) მიერ ხდება ამ შპს-ში მონაწილეობის უფლების შექმნა.

რა არის შპს-ში მონაწილეობის უფლება? მონაწილეობის უფლება\* არის სუბიექტური უფლება, რომლის მთავარი კომპონენტია უფლებამოსილი პირის (პარტნიორის) მიერ გარკვეული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა, რომელთა შედეგები გავლენას ახდენენ გარკვეულ პასიურ სუბიექტებზე.<sup>15</sup> როგორც სუბიექტური უფლება, მონაწილეობის უფლება შპს-ის პარტნიორის უფლებამოსილებათა (უფლება-მოვალეობათა) განუყოფელ კომპლექსს წარმოადგენს.<sup>16</sup>

შპს-ის წილი პარტნიორს ანიჭებს შემდეგ ძირითად უფლებებს: მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მოგებაში; ლიკვიდაციის შემთხვევაში, თავისი წილის პროპორციულად მიიღოს, კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩენილი ქონების ნაწილი; საზოგადოებიდან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია; პარტნიორთა გადაწყვეტილებით კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, თავისი წილის პროპორციულად მიიღოს შემცირებული კაპიტალის კუთვნილი ნაწილი; ნაწილობრივ ან მთლიანად გაასხვისოს წილი საზოგადოების სხვა წევრებზე ან ნებისმიერ სხვა პირზე.

ჩამოთვლილ უფლებათაგან, მოგებაში

მონაწილეობის მიღების, სალიკვიდაციო ამონაგებში მონაწილეობის მიღების, კომპენსაციის მიღებისა და შემცირებული კაპიტალის მიღების უფლებები - წარმოადგენენ ქონებრივი ხასიათის უფლებებს,<sup>17</sup> ვინაიდან მათ საფუძველზე შპს-ის პარტნიორი იღებს გარკვეულ ქონებას, კერძოდ, მოგებაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, პარტნიორი იღებს შპს-ის წლიური მოგების ნაწილს (დივიდენდს) თავისი წილის პროპორციულად. შპს-ის ლიკვიდაციის შემთხვევაში

პარტნიორი იღებს შპს-ის ქონების ნაწილს თავისი წილის პროპორციულად მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება შპს-ის კრედიტორთა მოთხოვნები. შპს-დან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, პარტნიორს აუნაზღაურდება წილის ღირებულება სათანადოდ დადგენილი წესით, ხოლო შპს-ის კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, პარტნიორი იღებს შემცირებული კაპიტალის ნაწილს თავისი წილის პროპორციულად, ამდენად, შპს-ის პარტნიორის ქონებრივი უფლებები მიმართულია საზოგადოების ქონებისკენ, ძირითადად კი, ამ ქონებიდან დაკმაყოფილებისკენ.<sup>18</sup> გერმანიაშიც იმავე ქონებრივ უფლებებს (Vermögensrechte) მოიცავს შპს-ის წილი - დივიდენდის მიღების, სალიკვიდაციო ამონაგების მიღების და წილის კომპენსაციის (შპს-დან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში) მიღების უფლებებს.<sup>19</sup>

შპს-ის წილი მოიცავს არაქონებრივი ხასიათის უფლებებსაც. შპს-ის პარტნიორთა კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლება და ინფორმაციის მიღების უფლება წარმოადგენენ არა ქონებრივ, არამედ არაქონებრივი ხასიათის უფლებებს.<sup>20</sup> მსგავს არაქონებრივ უფლებებს უზრუნველყოფს შპს-ის წილი, რომელსაც გერმანიაში კონტროლისა და მართვის უფლებებს (Herrschaftsrechte) უწოდებენ. ასეთი უფლებებია: პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, კენჭისყრაში მონაწილეობის, ინფორმაციის მიღებისა და აქტების გაცნობის უფლებები.<sup>21</sup> ამასთან, ქართული შპს-ის წილისგან განსხვავებით,

<sup>14</sup> Фатхутдинов, Р. С., 2009. Уступка доли в уставном капитале ООО: теория и практика. Москва: Волтерс Клувер, გვ. 16.

\* “მონაწილეობის უფლების” სინონიმად ლიტერატურაში, ასევე, გამოიყენება ტერმინი «წევრობის უფლება». იხ. მაგალითად, შუფერი, კ., 2019. საზოგადოებათა სამართალი. მე-5 გამოცემა. თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, გვ. 443; ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ., 2019. შემღვდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 106.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> მიგრიაული, რ., 2021. სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: სეზანი, გვ. 179.

<sup>18</sup> იქვე. გვ. 180.

<sup>19</sup> Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. München: C.H. Beck, გვ. 28.

<sup>20</sup> მიგრიაული, რ., 2021. სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: სეზანი, გვ. 179.

<sup>21</sup> Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. München: C. H. Beck, გვ. 28.

გერმანული შპს-ის წილი დამატებით მოიცავს პარტნიორის მოვალეობებს შპს-ის წინაშე, კერძოდ, შენატანის შეტანის, ვალაუვალობის განცხადების წარდგენისა და სხვა მოვალეობებს.<sup>22</sup>

ზემოთ ჩამოთვლილ არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით რუსეთში არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული უფლებებიც კი ქონებრივი ხასიათისაა.<sup>23</sup> სახელდობრ, იმის გათვალისწინებით, რომ შპს წარმოადგენს კაპიტალური ტიპის საზოგადოებას, რომლის მთავარი მიზანია მიიღოს მოგება, მისი წევრის მთავარ მიზანს წარმოადგენს, მიიღოს მოგების ნაწილი (დივიდენდი), ხოლო დანარჩენი უფლებები ისევ და ისევ ემსახურებიან საზოგადოებისთვის მოგების მოტანას. ამდენად, აღნიშნული უფლებებით სარგებლობა პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია მათი მფლობელების ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ. ამიტომაც ასეთი უფლებებიც უნდა ჩაითვალოს პარტნიორის ქონებრივ უფლებებად.<sup>24</sup>

შპს-ში მონაწილეობის უფლება ითვალისწინებს პარტნიორის მოვალეობებსაც. შპს-ის პარტნიორის მოვალეობებში შედის კაპიტალში შენატანის შეტანის ვალდებულება, კეთილსინდისიერების მოვალეობა, ფიდუციური მოვალეობები, რომლებიც მოიცავენ ერთგულებისა და გულმოდგინების (ბრუნვის) მოვალეობებს.<sup>25</sup>

შპს-ის თითოეული პარტნიორისათვის მინიჭებული უფლება-მოვალეობები ხასიათდებიან იმით, რომ ისინი განუყოფლად არიან დაკავშირებულნი და ისინი შეიძლება სამოქალაქო ბრუნვის ობიექტები გახდნენ მხოლოდ ერთობლივად, როგორც შპს-ის წილი. შეუძლებელია ცალკეული უფლებამოსილებების სხვა პირზე გასხვისება.<sup>26</sup>

მონაწილეობის უფლების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მას აქვს გარკვეული ზომა და ღირებულება. შპს-ში მონაწილეობის უფლებების ფარგლები დამოკიდებულია პარტნიორის წილის მოცულობაზე. მაგალითად,

<sup>22</sup> იქვე. გვ. 29-30.

<sup>23</sup> Илюшина, М. Н., 2015. Сделки с долями в уставном капитале общества с ограниченной ответственностью, учебное пособие. 2-е издание. Москва: РПА Минюста России, гв. 10.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> ბურდული, ი. და ჩიტაშვილი, ნ., 2020. მნიშვნელოვანი საფუძვლით პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 9, გვ. 13.

<sup>26</sup> Криволапова, Л. В., 2011. Оборотоспособность доли в уставном капитале общества с ограниченной ответственностью. Правовые Науки, гв. 393.

რაც მეტია წილის მოცულობა, მით მეტად აქვს პარტნიორს საზოგადოების საქმიანობასა და მართვაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, მეტი დივიდენდის მიღების შესაძლებლობა და ა.შ., წილის მოცულობა, რომელიც შეიძლება დამოკიდებული იყოს ან არ იყოს კაპიტალში შენატანის ოდენობაზე, გამოიყენება მისი მონაწილეობის უფლების ფარგლების დასადგენად. ჩვეულებრივ, კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, შპს-ის წილის ზომა განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულების კაპიტალთან თანაფარდობით. რუსეთში შპს-ის წილი განისაზღვრება განხორციელებული შენატანის ოდენობის შესაბამისად და გამოიხატება მყარ ნომინალურ ღირებულებაში (თანხაში).<sup>27</sup>

## II. შპს-ის წილი, როგორც მიმოქცევადი უფლება

შპს-ის პარტნიორის სტატუსი პირს აქვს შპს-ის წილის ფლობით. წილზე მფლობელობა (საკუთრება) მას შეუძლია მოიპოვოს, გადასცეს ან დაკარგოს გარიგებით ან სხვა საფუძვლით. ნებისმიერ შემთხვევაში წილი პირებს შორის მიმოქცევას ექვემდებარება. ამ თვალსაზრისით, იგი მიმოქცევადი უფლებაა.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს წილზე, როგორც მიმოქცევად უფლებაზე, რაც გულისხმობს მასზე საკუთრების უფლების გადაცემას ერთი პირიდან მეორე პირისათვის.<sup>28</sup> „მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონპროექტის 30-ე მუხლში მითითებულია, რომ „წილი არის საკუთრების საგანი“.

შპს-ის წილი თავისი იურიდიული ბუნებით უნდა ჩაითვალოს საკუთრების უფლების ობიექტად.\* ის წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სიკეთეს,\* რაც სახელმწიფოს მხრიდან საკანონმდებლო წესით მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით გადაცემის საყოველთაო უფლების გაუქმებას კრძალავს. თუმცა ეს ვალდებულება არ ვრცელდება შპს-ის პარტნიორთა შორის ურთიერთობაზე, რადგან აღნიშნულ ურთიერთობას აქვს კერძოსამართლებრივი ხასიათი და პარტნიორებს

<sup>27</sup> Статья 14, абзац 4, Федеральный закон Российской Федерации об обществах с ограниченной ответственностью. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_17819/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_17819/)> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>28</sup> მიგრიაული, რ., 2021. სამენარმეთო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: სეზანი, გვ. 176.



შეუძლიათ შპს-ის წესდებით შემღებონ წილზე საკუთრების უფლება.\*

შპს-ის წილზე საკუთრების უფლება, ასევე, ექცევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი №1-ის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებშიც.<sup>29</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განმარტება 1982 წელს საქმეში *Bramelid and Malmström v. Sweden*, სადაც კომისიამ აღნიშნა, რომ ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს საწარმოს წილებზე საკუთრების უფლებას, ვინაიდან წილებს საწარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა.<sup>30</sup>

კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით, იმისათვის, რომ შპს-ის წილი მოვიპოვოთ, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი, იგი უნდა წარმოადგენდეს ქონებას სანივთო სამართლებრივი გაგებით. ქონება კი განიშარტება, როგორც ყველა სახის ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება მნებრივ ნორმებს.<sup>31</sup>

ნივთი, თავის მხრივ, იყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად. სამოქალაქო კოდექსი განმარტავს მხოლოდ უძრავი ნივთების ცნებას, რომელსაც მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები,

\* „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 30-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ წილი წარმოადგენს საკუთრების ობიექტს.

\* შედარებისთვის იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №2/1-370,382,390,402,405).

\* შედარებისთვის იხ. ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ., 2002. მწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 317.

<sup>29</sup> მუხლი 1, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი 1. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000168006377c>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინება (საქმე №ას-1412-1332-2017).

<sup>31</sup> მუხლი 147, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

ასევე, შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.<sup>32</sup> რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, ყველა ნივთი (პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი სხეულებრივი საგანი<sup>33</sup>), რომლებიც არ შედის უძრავი ნივთის კატეგორიაში, უნდა ჩაითვალოს მოძრავ ნივთად.

სამოქალაქო კოდექსი არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს განმარტავს, როგორც იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც შეიძლება გადაეცეთ სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძლოს მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.<sup>34</sup>

მოთხოვნები და უფლებები არც მოძრავი და არც უძრავი ნივთების კატეგორიაში ექცევა. ამიტომაც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ცალკე კატეგორიად უნდა იქნას მიჩნეული, რომელიც, თავის მხრივ, მოთხოვნებად და უფლებებად იყოფა.<sup>35</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეში მოიაზრებს, ასევე წილებსა და აქციებს.<sup>36</sup> შესაბამისად შპს-ში წილი უფლებრივ კატეგორიას განეკუთვნება და არ განიხილება როგორც მოთხოვნა.<sup>37</sup>

შპს-ის წილი რუსული კანონმდებლობით არ არის მიკუთვნებული სამოქალაქო ბრუნვის რომელიმე ობიექტს,<sup>38</sup> ამიტომაც, შპს-ის წილის ცნება და მისი იურიდიული ბუნება რუსი მეცნიერების ხშირი განხილვის თემაა.<sup>39</sup>

<sup>32</sup> იქვე. მუხლი 149.

<sup>33</sup> ჭანტურია, ლ., „რედ.“, 2018. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი II. სანივთო (ქონებრივი) სამართალი. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 4.

<sup>34</sup> მუხლი 152, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>35</sup> ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ., 2019. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 125.

<sup>36</sup> მუხლი 39, საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/112588?publication=45>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>37</sup> ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ., 2019. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 125.

<sup>38</sup> Фатхутдинов, Р. С., 2009. Уступка доли в уставном капитале ООО: теория и практика. Москва: Волтерс Клувер, гв. 19.

<sup>39</sup> Платунова, Т. Л., 2016. Сделки по отчуждению долей в уставном капитале общества с ограниченной ответственностью. УДК 347.13 ББК 67. 404. 04, гв. 137.

შპს-ის წილის სამოქალაქო სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით მიიჩნევა, რომ მას აქვს როგორც სანივთო სამართლებრივი, ისე ვალდებულებით სამართლებრივი ელემენტები. თუმცა თანამედროვე მიდგომით, შპს-ის საწესდებო კაპიტალში წილად მიიჩნევა პირის საზოგადოებაში მონაწილეობის სუბიექტური უფლება, რომელიც შედგება საზოგადოების მონაწილეთა ერთიანი და განუყოფელი უფლებამოსილებისგან.<sup>40</sup>

თავისუფლად მიმოქცევადი წილები შპს-ის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, რომელიც მას არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობისგან განასხვავებს. წილების თავისუფალი მიმოქცევადი ბუნება შპს-ის საშუალებას აძლევს, შეუფერხებლად განაგრძოს საქმიანობა, მესაკუთრეთა ვინაობის ცვლილების მიუხედავად, რითაც თავიდან იცილებს პარტნიორის გასვლასთან დაკავშირებულ შესაძლო სირთულეებს.<sup>41</sup> წილის თავისუფალი მიმოქცევა იმას გულისხმობს, რომ პარტნიორის მიერ წილის გადაცემა ან უფლებრივი დატვირთვა არ მოითხოვს შპს-ის პარტნიორთა ან თავად შპს-ის თანხმობას. თუმცა აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს შპს-ის წესდებაში შესაბამისი ჩანაწერით. ამდენად, წილზე საკუთრების უფლება არაა აბსოლუტური უფლება. წილის გასხვისების შემდგომ ორ მთავარ ფორმას გამოარჩევენ - წილის გასხვისებაზე თანხმობის აუცილებლობა და წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.<sup>42</sup>

შპს-ის წილის გასხვისება შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე.<sup>43</sup> ამგვარი შეზღუდვა შეიძლება ემსახურობდეს შპს-ის პარტნიორთა ინტერესის დაცვას, შპს-ში არ შემოვიდეს არასასურველი პარტნიორი და არ მოხდეს შპს-ის ინტერესების ხელყოფა. შპს-ის წილის გასხვისების ეს შეზღუდვა უნდა განისაზღვროს შპს-ის წესდებით და შესაძლებელია, ასევე, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება სამენარმეო რეესტრის ამონაწერში, შემდგომების გრაფაში. წესდება უნდა აწესრიგებდეს შპს-ის წილის

გასხვისებაზე თანხმობის გაცემის პროცედურასა და ამ თანხმობის გაცემაზე უფლებამოსილ ორგანოს. იურისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შპს-ის წილის გასხვისებაზე თანხმობა უნდა გასცეს დირექტორმა, რადგან ის ახორციელებს შპს-ის ყოველდღიურ საქმიანობას და პასუხისმგებელია საწარმოს გაუძღვს კეთილსინდისიერად,<sup>44</sup> თუმცა შეიძლება უფრო ლოგიკური იყოს პარტნიორთა კრებას გააჩნდეს თანხმობის გაცემის უფლებამოსილება შპს-ის წილის გასხვისებაზე.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას. შპს-ის პარტნიორის მიერ წილის გაყიდვისას, დანარჩენ პარტნიორებს თავიანთი წილების პროპორციულად აქვთ ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.<sup>45</sup> თუმცა განსხვავებული წესი შეიძლება დადგინდეს შპს-ის წესდებით. შპს-ის პარტნიორის მიერ წილის უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზების დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პარტნიორთა თანასწორობის პრინციპი. შპს-ის წესდებაში უპირატესი შესყიდვის უფლება თანაბრად უნდა იყოს გარანტირებული უკლებლივ ყველა პარტნიორისთვის.<sup>46</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის განჩინებაში<sup>47</sup> განმარტა პარტნიორის მიერ შპს-ის წილის შეძენის უპირატესი უფლების რეალიზაციის პროცედურა. კერძოდ, პარტნიორმა აღნიშნული უფლების გამოყენების მიზნით საზოგადოებას უნდა მიმართოს განცხადებით, რომელსაც განიხილავს პარტნიორთა კრება და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ პარტნიორი დაინტერესებული არ არის წილის შეძენით.<sup>48</sup> „გარიგება, წილის გასხვისების შესახებ, მანამ, სანამ პარტნიორს, რომელსაც გააჩნია წილის უპირატესი შესყიდვის უფლება, დაამუფლებით არ უსარგებელია, მერყევად ბათილი გარიგებაა, ხოლო მას შემდეგ, რაც წილის უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> მუხლი 461, პუნქტი 1, საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>42</sup> ბურდული, ი., 2019. სამენარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერად მოპოვება. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2, გვ. 27.

<sup>43</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის განჩინება (საქმე №3კ/530-02).

<sup>44</sup> თოდუა, უ., 2019. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებებში. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 63.

<sup>40</sup> Фатхутдинов, Р. С., 2009. Уступка доли в уставном капитале ООО: теория и практика. Москва: Волтерс Клуверс, гв. 19.

<sup>41</sup> კრაკმანი, რ. და სხვები, 2017. საკორპორაციო სამართლის ანატომია, შედარებითი და ფუნქციური მიდგომა. მე-3 გამოცემა. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 14.

<sup>42</sup> ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ., 2002. მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 276-277.

<sup>43</sup> ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ., 2019. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 116.

პარტნიორი პრეტენზიას განაცხადებს მასზე მინიჭებული უფლების რეალიზაციის შესახებ, ანუ წილის შეძენის უპირატესი უფლების გამოყენების თაობაზე, ასეთი გარიგება წილის ნასყიდობის შესახებ ბათილი იქნება, თუ წილის უპირატესი შეძენის უფლების მქონე პარტნიორი ამ უფლების რეალიზაციის წარმოშობის დროიდან გონივრულ ვადაში არ განაცხადებს ან არ განახორციელებს მასზე მინიჭებული უპირატესობის გამოყენების სურვილს, ივარაუდება, რომ წილის შეძენის გარიგება, რომელიც მერყევად ბათილ გარიგებად ითვლებოდა, უკვე აღარაა მერყევად ბათილი და შეცილების საფუძველი აღარ არსებობს.<sup>49</sup>

ინგლისის სამართალიც განამტკიცებს წილების თავისუფალ მიმოქცევას. ინგლისშიც გვხვდება წილის გასხვისების შემლუღვა. მაგრამ აქ სიტუაცია გარკვეულწილად განსხვავებულია. ინგლისში კომპანიის ხელმძღვანელობის თანხმობას მოითხოვს არა წილის გადაცემა სხვა პირზე, არამედ კომპანიის წევრთა რეესტრში პარტნიორის ცვლილების რეგისტრაცია. ამრიგად, შემძენი ავტომატურად არ იძენს პარტნიორის სტატუსს, ამიტომ, თუ წილის გასხვისების შედეგად ახალი მესაკუთრის რეგისტრაციაზე უარი განაცხადა შპს-ის ხელმძღვანელობამ, სახეგა „ბენეფიციური საკუთრება“ (beneficial ownership) და არა პარტნიორის სტატუსი.<sup>50</sup> ინგლისში შპს-ის ხელმძღვანელობას უფლება აქვს უარი თქვას წილის მესაკუთრის პარტნიორად რეგისტრაციაზე იმ შემთხვევებში, როდესაც პარტნიორის მიერ შენატანები სრულად არ არის გადახდილი და როდესაც მათთვის მისაღებ კანდიდატს არ წამოადგენს წილის შემოთავაზებული მიმღები. შპს-ის ხელმძღვანელობა ვალდებულია აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს შპს-ის ინტერესებიდან გამომდინარე. შპს-ის წესდებით ხელმძღვანელობას შესაძლოა მიენიჭოს შეუზღუდავი დისკრეტია, თავისი შეხედულებისამებრ გასცეს ან არ გასცეს რეგისტრაციის თანხმობა. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ხელმძღვანელობა ყოველთვის უნდა იცავდეს კომპანიის ინტერესებს, მაგრამ სასამართლო განხილვა მხოლოდ მაშინ განიხილავს ამ საკითხს, თუ წილის მიმღები დაადასტურებს, რომ ხელმძღვანელობამ რეგისტრაციაზე უარი არაკეთილსინდისიერად და კომპანიის საუკეთესო ინტერესების

საწინააღმდეგოდ განაცხადა.<sup>51</sup>

წილის მიმოქცევისათვის საჭიროა სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი გარიგების ან სხვა საფუძვლის რეგისტრაცია.<sup>52</sup> „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქცია კონკრეტულად არ მიუთითებს, რა მომენტიდან უნდა ჩაითვალოს წილი ახალ მესაკუთრეზე გადასულად. თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონპროექტი ამ ხარვეზს ავსებს და შპს-ის წილის გადასვლის მომენტად აწესებს ახალი წილის მესაკუთრის სამეწარმეო რეესტრში შესაბამის რეგისტრაციას.<sup>53</sup> ამასთან, შპს-ის წილის კეთილსინდისიერი შემძენის უფლებები დაცულია კეთილსინდისიერი შემძენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.<sup>54</sup>

შპს-ის წილი შეიძლება დაიყოს და ახალ მესაკუთრეზე გადავიდეს ნაწილობრივ. ამ შემთხვევაში შპს-ის პარტნიორობას ინარჩუნებს წილის თავდაპირველი მესაკუთრე და შპს-ის პარტნიორის სტატუსს იძენს, ასევე ახალი მესაკუთრე. სხვა საქმეა, რომ მათი წილების ჯამი წინა მესაკუთრის წილის ოდენობის ტოლი იქნება. წილის დაყოფის შედეგად მიღებული ორი ან რამდენიმე წილი ჩვეულებრივ გასხვისდება წილის გასხვისების ზოგადი წესების შესაბამისად.<sup>55</sup>

### III. შპს-ის წილის მიმოქცევის მომწესრიგებელი ნორმები

შპს-ის პარტნიორის მიერ შპს-ის დაფუძნებისას წილის მიღება, პარტნიორის მიერ წილის დაკარგვა გარიცხვით, პარტნიორის წილის გაუქმება მისი

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> მუხლი 5<sup>1</sup>, პუნქტი 5<sup>1</sup>, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>53</sup> მუხლი 143, საქართველოს კანონის პროექტი მეწარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>54</sup> გიგუაშვილი, გ. და ჯუღელი, გ., 2021. განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით). თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 161.

<sup>55</sup> ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ., 2002. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 275.

\* საქართველოში „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, გერმანიაში - შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონით, რუსეთში - შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონით, ინგლისში - 2006 წლის კომპანიების აქტი.

<sup>49</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის განჩინება (საქმე №3კ/530-02).

<sup>50</sup> Kalss, S., 2004. The Transfer of Shares of Private Companies. European Company and Financial Law Review (ECFR), 1, გვ. 352.

გასვლით და სხვა მსგავსი საკითხები წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით,\* ხოლო წილის გადასვლა ნასყიდობით, ჩუქებით, მემკვიდრეობით, განქორწინებით ან სხვა სამოქალაქო სამართლებრივი საფუძვლით, როგორც წესი, წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით. თუმცა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია დამატებით არსებობდეს, ასევე, სპეციალური მონესრიგება (მაგალითად, უპირატესი შესყიდვის წესი).

პრაქტიკაში ხშირად იდება გარიგებები შპს-ის წილის გასხვისების შესახებ, რაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ ინვესტორების ინტერესშია განხორციელებული ინვესტიციის სანაცვლოდ შპს-ის წილის საკუთრებაში მიღება. შპს-ის წილის მიღებით, ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, დივიდენდის სახით, წილის გასხვისებით ან სხვა გზით, მიიღონ შემოსავლები და, ასევე, გააკონტროლონ შპს-ის მიერ ამ ინვესტიციის გამოყენება. ასეთ შემთხვევებში წარმოშობილ ურთიერთობათა განსაკუთრებული ბუნების გამო, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობა ზუსტად ადგენდეს პარტნიორის მიერ წილზე საკუთრების უფლების გადაცემის მექანიზმებსა და იურიდიულ შედეგებს. ამდენად, მთავარი კითხვა, რომელიც წილთან დაკავშირებით ისმის, არის ის, თუ მონესრიგების რა რეჟიმს უნდა დაექვემდებაროს მასზე საკუთრების უფლების გადაცემა.

წილზე საკუთრების უფლების გადაცემა ექვემდებარება უფლებაზე საკუთრებისა და მსგავსი უფლების გადაცემის წესს.<sup>56</sup> სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი არეგულირებს არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სხვა პირებზე გადაცემის საკითხს.<sup>57</sup> ხოლო 147-ე მუხლი, ზოგადად, ქონების ფლობას, სარგებლობას და განკარგვას მოიცავს.<sup>58</sup> ქონებაში ზოგადად არამატერიალურ ქონებრივი სიკეთეც იგულისხმება, რასთან დაკავშირებითაც მასზე სამართლებრივი სტატუსის ცვლილება ისევე განხორციელდება, როგორც ნივთებზე.<sup>59</sup> იმ

შემთხვევაში, თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთების სამართლებრივი მონესრიგება სპეციალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, სპეციალურ კანონთან ერთად გამოიყენება, ასევე, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები.<sup>60</sup>

მსგავსი მონესრიგება მოქმედებს გერმანიაშიც. შპს-ის წილის გასხვისების გარიგებაზე მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი ეფუძნება GmbHG-ის § 15-ს, ხოლო იმ საკითხებისთვის, რომლებიც ამ ნორმაში არ არის მონესრიგებული, გამოიყენება BGB-ის §§ 398 და 413.<sup>61</sup>

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ წილი ქონებრივი უფლებების კატეგორიას განეკუთვნება და მისი გაყიდვა ან გასხვისება უნდა განხორციელდეს უფლებების დათმობის გზით რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 24-ე თავის წესების მიხედვით.<sup>62</sup> თუმცა დოქტრინაში დღესდღეობით გაბატონებული მოსაზრების თანახმად, შპს-ის წილის შესახებ გარიგებები სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს უნდა დაექვემდებაროს და ამიტომაც გამოყენებული უნდა იყოს არა რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 24-ე თავი, არამედ შპს-ის შესახებ კანონის სპეციალური ნორმები.<sup>63</sup>

აშშ-ში შპს-ის წილის გასხვისება თავისთავად არ ინვესტორის საზოგადოებიდან გასვლას და შემძენის საზოგადოების წევრობას.<sup>64</sup> მიუხედავად იმისა, რომ შპს-ის წილები მიმოქცევადა და მათი განკარგვა შესაძლებელია, ამხანაგური ტიპის საზოგადოებების მსგავსად, წილის გადაცემა ავტომატურად არ უზრუნველყოფს შპს-ის მართვის უფლებამოსილების მინიჭებას.<sup>65</sup> ამ მხრივ, სხვადასხვა შტატების კანონმდებლობა საკმაოდ განსხვავდება. რამდენიმე შტატის რეგულაციებით გათვალისწინებულია, რომ შპს-ის წილის მიმღები არ იქნეს უფლებებს მონაწილეობა მიიღოს შპს-ის მართვაში, თუ დანარჩენი ყველა წევრის

<sup>56</sup> ბურდული, ი., 2008. „ქონებრივი ურთიერთობები სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე.“ სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 126.

<sup>57</sup> მუხლი 152, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>58</sup> იქვე. მუხლი 147.

<sup>59</sup> ჭანტურია, ლ., „რედ.“, 2018. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი II. სანივთო (ქონებრივი) სამართალი. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 23.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> შეფერი, ვ., 2019. საზოგადოებათა სამართალი. მე-5 გამოცემა. თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, გვ. 465.

<sup>62</sup> Платунова, Т. Л., 2016. Сделки по отчуждению долей в уставном капитале общества с ограниченной ответственностью. УДК 347.13 ББК 67.404.04, გვ. 138.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> Section 502, The Uniform Limited Liability Company Act (ULLCA). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bia.gov/sites/bia.gov/files/assets/as-ia/ieed/bia/pdf/idc1-032743.pdf>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>65</sup> Maizes, R., 1996. Limited Liability Companies: A Critique. St. John's Law Review, 3 (70), გვ. 586.

თანხმობა არ არის მიღებული.<sup>66</sup> შემძენს ენიჭება მხოლოდ სარგებლის (distributions) მიღებისა და, შპს-ის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სალიკვიდაციო ამონაგების მიღების უფლება.<sup>67</sup>

ინგლისში, ჩვეულებრივ, წილების გადაცემა ხდება წილების გადაცემის აქტში (The Stock Transfer Act) მოცემული ფორმების გამოყენებით, რომლებსაც სრულად გადახდილი წილების შემთხვევაში, გამყიდველი ავსებს, ხელს აწერს და გადასცემს მყიდველს წილის მონაწილასთან ერთად.<sup>68</sup>

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ წილზე საკუთრების უფლების გადაცემა სამოქალაქო ბრუნვის ზოგად მონესრიგებაში ექცევა, მასზე ასევე გავლენას ახდენს სპეციალური ნორმები. ამის გარდა, შპს-ის პარტნიორები ასევე შეიძლება წესდებაში შეთანხმდნენ გარკვეულ წესებზე წილის გადასვლასთან დაკავშირებით როგორც სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების, ისე მემკვიდრეობის ან წილის ერთობლივი ფლობის (მაგალითად, მეუღლეების მიერ) შემთხვევებში.

#### IV. შპს-ის წილის შპს-ის კაპიტალთან მიმართება

შპს-ის პარტნიორს წილის ფლობიდან გამომდინარე აქვს შპს-ში მონაწილეობის უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ასევე აქვს შპს-ის კაპიტალის შექმნაში (გაზრდაში) და შემცირებაში მონაწილეობის უფლებამოსილება, მაგრამ მოცემული არ ნიშნავს იმას, რომ პარტნიორი მისი წილის პროპორციულად იყოს შპს-ის კაპიტალის მესაკუთრე.

შპს-ის პარტნიორის საკუთრების უფლება შპს-ის წილზე აბსტრაქტული სიკეთეა. წილის უკან უნდა იდგეს გარკვეული ქონება, რათა მას ეკონომიკური ღირებულება შესძინოს. სხვაგვარად, წილს მატერიალური ღირებულება არ გააჩნია.<sup>69</sup>

<sup>66</sup> Goforth, C. R., 1994. Why Limited Liability Company Membership Interests Should Not be Treated as Securities and Possible Steps to Encourage this Result. *Hastings Law Journal*, 45, გვ. 1238.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 1238-1239.

<sup>68</sup> Kalss, S., 2004. The Transfer of Shares of Private Companies. *European Company and Financial Law Review (ECFR)*, 1, გვ. 354.

<sup>69</sup> ზუბიტაშვილი, ნ., 2014. პარტნიორის გარიცხვა შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. საკორპორაციო სამართლის კრებული II. თბილისი: მერიდიანი, გვ. 184.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „შემდგომი პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად“. <sup>70</sup> თუმცა მოცემული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პარტნიორის წილი კაპიტალის იდენტური ნაწილია. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ პარტნიორს კაპიტალთან მიმართებაში უფლება-მოვალეობები აქვს თავისი წილის პროპორციულად (თუ პარტნიორები შეთანხმებული არ არიან სხვა რამეზე). მაგალითად, საქართველოში შპს შეიძლება დაფუძნდეს კაპიტალის გარეშე. ამ შემთხვევაში რისი ნაწილია პარტნიორის წილი? სხვა საქმეა, რომ კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, პარტნიორებს კაპიტალთან მიმართებაში აქვთ თავიანთი წილების შესაბამისად „დაყოფილი“ უფლებები და ვალდებულებები.

მოსაზრება, რომ წილი არის საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების იდეალური ნაწილი, არაერთხელ გაუღერებულა უცხოურ ლიტერატურასა თუ სასამართლო გადაწყვეტილებაში. მაგალითად, რუსეთში არსებობს გარკვეულ მეცნიერთა ნაწილი, რომელიც იზიარებს ამ მოსაზრებას,<sup>71</sup> ასევე აშშ-ში არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც მოსამართლე წილს მიიჩნევს, როგორც საერთო საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობას (proprietary relationship).<sup>72</sup> თუმცა, საკითხავია, მისაღებია თუ არა ეს პოზიცია, წილის, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტის დასახასიათებლად.

გემოხსენებული პოზიცია არასწორად უნდა მივიჩნიოთ. შპს-ის წილი, როგორც შპს-ის კაპიტალის ნაწილი, შეიძლება გაგებული იყოს მხოლოდ ეკონომიკური (ღირებულებითი) თვალსაზრისით.<sup>73</sup> ეკონომიკური თვალსაზრისით, პარტნიორის წილი არის საზოგადოების კაპიტალის ნაწილი, რაც პარტნიორმა შპს-ში წილის სანაცვლოდ შენატანის სახით გაიღო,<sup>74</sup> თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შპს-ის პარტნიორს გააჩნია საკუთრების უფლება კაპიტალის ნაწილზე. შპს-ის კაპიტალში შენატანის შეტანით, პარტნიორი

<sup>70</sup> მუხლი 44, პუნქტი 3, საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>71</sup> Фатхутдинов, Р. С., 2009. Уступка доли в уставном капитале ООО: теория и практика. Москва: Волтерс Клувер, გვ. 9.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>74</sup> იქვე.

შენატანის საგანზე საკუთრების უფლებას გადასცემს შპს-ს და თავად კარგავს აღნიშნულ უფლებას ამ ქონების მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ იურიდიული პირის, როგორც ფიზიკური პირის თვისებებით მართლწესრიგის მიერ აღჭურვილი სუბიექტის, ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია უნარი, ჰქონეს საკუთარი ქონება. „იურიდიული პირის ქონება განსხვავდება მისი ინსაიდერების ქონებისაგან და იგი, როგორც სუბიექტი, თავისთავად არ წარმოადგენს ქონებას მისი ინსაიდერების ხელში. კოროპორაციის ქონებრივი ავტონომია გულისხმობს წევრებისა და გაერთიანების ქონების სწორედ მკაცრ გამიჯვნას, ე. ი. თუკი იგი, როგორც სუბიექტი, სრულყოფილი „არსება“ ქონებრივი უნარისა თუ შესაძლებლობის თვალსაზრისით, მაშინ არ არსებობს საჭიროება, რომ მისი ქონება რეალურად ან წევრთა ქონებად ითვლებოდეს და/ან თავად იყოს მუდმივად დამოკიდებული საკუთარ წევრებზე, ვინაიდან მას ისევე სრულფასოვნად შეუძლია იქონიოს ქონება, როგორც ნებისმიერ უფლებაუნარიან ფიზიკურ პირს.“<sup>75</sup> იგივე მიდგომაა გაზიარებული რუსეთშიც. რუსეთის ამჟამინდელი კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს, რომ კომპანიის ქონების შესაკუთრე თავად საზოგადოებაა.<sup>76</sup>

ამრიგად, ვინაიდან შპს-ის, როგორც იურიდიულ პირს, აქვს საკუთარი ქონების ფლობის უნარი და პარტნიორის შენატანები შპს-ის საკუთრებაში გადაეცემა, მართებულია მოსაზრება, რომ შპს-ის წილი სანივთო სამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს შპს-ის კაპიტალის ნაწილს. მართალია, შპს-ის პარტნიორს საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში, უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია (რაც შეიძლება გამოიხატოს შენატანების დაბრუნებაში), ამ უფლებას გააჩნია მხოლოდ ვალდებულებითი ხასიათი (საზოგადოების წინააღმდეგ პრეტენზიის უფლება) და არ შეიძლება ჩაითვალოს შპს-ის საკუთრებაზე ნამდვილ უფლებად. შპს-ის ქონების შესაკუთრე არის თავად შპს და არა შპს-ის პარტნიორი.

საბოლოო ჯამში, იურიდიული თვალსაზრისით,

შპს-ის ქონების განკარგვა პარტნიორის მიერ ხორციელდება გაშუალებულიად - შპს-ის მართვაში მონაწილეობის მიღებით (მათ შორის შპს-ის მართვის ორგანოებში გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენით). ამიტომაც შპს-ის პარტნიორს არ აქვს სუბიექტური უფლებები შპს-ის ქონების მიმართ.

#### IV. შპს-ის წილის შედარება სს-ის აქციასთან

შპს-ის წილსა და აქციას მსგავსი იურიდიული ბუნება აქვს, რადგან ორივე სამეწარმეო საზოგადოების წევრობის სუბიექტური უფლების მატარებელია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შპს-ის წილისა და სს-ის აქციის მსგავსება სულაც არ ნიშნავს ამ ობიექტების იდენტურობას. საუბარია მხოლოდ მათ ფუნდამენტურ ერთგვაროვნებაზე - ორივე წარმოადგენს უფრო ფართო კონცეფციის - მონაწილეობის უფლების სახეობას.

სს-ის აქცია წარმოადგენს არამატერიალიზებულ სახელობით ფასიან ქალაქს, რომელიც ადასტურებს სს-ის ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სს-ში.<sup>77</sup> ცხადია, ერთ-ერთი მთავარი განსხვავება შპს-ის წილისა და სს-ის აქციას შორის ისაა, რომ შპს-ის წილი, აქციისგან განსხვავებით არ წარმოადგენს ფასიან ქალაქს. ფასიანი ქალაქი არის გარკვეული ქონებრივი უფლების გამოხატველი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მისი კანონიერი წარმდგენი უფლებამოსილია, მოითხოვოს მასში გამოხატული ქონებრივი უფლება, ხოლო მისი გამცემი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელება.<sup>78</sup> ფასიანი ქალაქები ძირითადად ბირჟაუნარიანი ობიექტებია. ფასიანი ქალაქებს ძირითადად აწესრიგებს „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

შპს-ის წილის საფონდო თუ სხვა ტიპის ბირჟებზე გასხვისება მიღებული პრაქტიკაა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ამიტომაც

<sup>75</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-28-25-2017); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-75-408-09).

<sup>76</sup> Статья 48, абзац 1, Гражданский кодекс Российской Федерации. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_5142/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/)> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>77</sup> მუხლი 51, პუნქტი 1, წინადადება 2, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>78</sup> ბურდული, ი., 2008. „ქონებრივი ურთიერთობები სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე.“ სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 134-135.

შპს-ის წილის ბუნებიდან გამომდინარე, შპს-ის წილი შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ფასიანი ქაღალდი, თუმცა ეს არასწორი იქნებოდა. ფასიანი ქაღალდი დამოუკიდებელი ობიექტია, რომელიც ადგენს მისი მესაკუთრის უფლებამოსილებას და შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად განკარგოს იგი, ეს კი არ ახასიათებს შპს-ის წილს.<sup>79</sup> შპს-ის წილთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში. თუმცა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი მხოლოდ პარტნიორის შპს-ში წევრობას ადასტურებს და არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს.<sup>80</sup>

გერმანიასა და აშშ-ში იგივე მიდგომაა. შპს-ის წილიც, ზოგადად, არ უნდა შეფასდეს, როგორც ფასიანი ქაღალდები, რადგან ფედერალური უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის მიზნები ამგვარად არსებითად არ მიიღწევა.\* რუსული შპს-ის წილი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. ფასიანი ქაღალდების ტიპები ამომწურავადაა განსაზღვრული რუსეთის კანონმდებლობით, რომელშიც არ შედის შპს-ის წილი.<sup>81</sup>

სხვადასხვა ქვეყნის სამართალი ითვალისწინებს შპს-ის წილის სერტიფიკატს, როგორც წილზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, მაგალითად, აშშ-ის კორპორაციაში საკუთრების უფლების აღმნიშვნელი აქციების (stock) მსგავსად, წევრებზე გაცემული სერტიფიკატები (member certificate) განსაზღვრავს ორგანიზაციაში თითოეული წევრის წილს. შპს თავად გასცემს წევრის სერტიფიკატებს, განსაზღვრავს გაცემული ერთეულების რაოდენობას, წარმოშობის მდგომარეობას და სერტიფიკატის მიმღები წევრის სახელს. მიუხედავად იმისა, რომ წევრთა სერტიფიკატების უმეტესობა გაცემა შპს-ის რეგისტრაციის დროს, შპს-ის წევრების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი სერტიფიკატების გაცემა და ძველი სერტიფიკატების გაუქმება.<sup>82</sup>

<sup>79</sup> იქვე. გვ. 135.

<sup>80</sup> მუბიტაშვილი, ნ., 2014. პარტნიორის გარიცხვა შებენიური პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. საკორპორაციო სამართლის კრებული II. თბილისი: მერიდიანი, გვ. 272.

\* უფრო ვრცლად იხ. Goforth, C. R., 1994. Why Limited Liability Company Membership Interests Should Not be Treated as Securities and Possible Steps to Encourage this Result. *Hastings Law Journal*, 45, გვ. 1278 -1291.

<sup>81</sup> Статья 143, Гражданский кодекс Российской Федерации. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_5142/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/)> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>82</sup> Section 502, the Uniform Limited Liability Company Act (ULLCA). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bia.gov/sites/bia.gov/files/assets/as-ia/ieed/bia/pdf/idc1-032743.pdf>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

ინგლისის სამართალიც იცნობს წილის სერტიფიკატს. შპს-ის წილზე გაცემა საკუთრების სერტიფიკატი (Share Certificate), რომელიც წარმოადგენს სერტიფიკატში მითითებული პირის წილზე საკუთრების უფლების მტკიცებულებას, თუმცა ის არ აძლევს სერტიფიკატის მფლობელს წილზე აბსოლუტურ უფლებას.<sup>83</sup> მაგალითად, წილის სერტიფიკატის უკანონოდ მიღების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ბათილად იქნება ცნობილი, ხოლო წილის კანონიერი მესაკუთრე მიიღებს ახალი წილის სერტიფიკატს. თუ წილის სერტიფიკატის მიღება მოხდა კეთილსინდისიერად, სერტიფიკატის კეთილსინდისიერ მიმღებს შეუძლია მოითხოვოს შპს-გან ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არა თავად წილის საკუთრებაში გადაცემა.<sup>84</sup>

გერმანიაში არ მოითხოვება წილის სერტიფიკატის გამოშვება, თუმცა შპს-ის წესდება შეიძლება შეიცავდეს მოთხოვნას წილის სერტიფიკატის გამოშვების თაობაზე,<sup>85</sup> რასაც ნაკლებად ვხვდებით პრაქტიკაში. წესდებით წილის სერტიფიკატების გამოცემის გათვალისწინების მიუხედავად, იგი ვერ ჩაანაცვლებს წილის გასხვისებისთვის დადგენილ სავალდებულო პროცედურას და ასევე ვერ გახდება წილზე საკუთრების უტყუარი მტკიცებულება.<sup>86</sup> შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნებთან ერთად, წესდება შესაძლებელია დამატებით წილის სერტიფიკატის გაცემას ითვალისწინებდეს, წილის განკარგვის დროს კი წილის სერტიფიკატის გადაცემა პარტნიორის მიერ წილის ახალი მესაკუთრის წილიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განხორციელების წინაპირობა იყოს.<sup>87</sup>

საქართველოსა და რუსეთში წილის სერტიფიკატის საკანონმდებლო მოწესრიგება არ გვხვდება და არც ჩვეულების სახითაა დანერგილი პრაქტიკაში.

ამდენად, შპს-ის წილი არ გამოიხატება დამოუკიდებელი დოკუმენტით და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა მოითხოვს სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილების განხორციელებას, რაც ართულებს მის სამოქალაქო

<sup>83</sup> Topham, A. F. and Palmer, F. B., 1949. *Palmer's Company Law: A Practical Book for Lawyers and Business Men*. 19th edition. London: Stevens & Sons Ltd., გვ. 122.

<sup>84</sup> Gore-Browne, F., 1900. *Concise Precedents under the Companies Acts*. 2nd edition. London: Jordan & Sons, გვ. 344.

<sup>85</sup> Ziemons, H., Jaeger, C. und Pöschke, M., „Hrsg.“, 2020. *BeckOK GmbHG*. 45. Edition. München: C.H.Beck, გვ. 80.

<sup>86</sup> Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. *The German Limited Liability Company*. 9th edition. Munich: C.H. Beck, გვ. 26 - 27.

<sup>87</sup> იქვე. გვ. 27.

ბრუნვაუნარიანობას.<sup>88</sup>

სს-ის აქციასა და შპს-ის წილს შორის კიდევ ერთი განსხვავება, რუსული კანონმდებლობის მიხედვით, არის ის, რომ სს-ის ყველა აქციის ნომინალური ღირებულება, როგორც წესი, იგივეა, ხოლო აქციონერის მიერ სს-ის კაპიტალში შენატანები განისაზღვრება მის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობით; შპს-ში კი თითოეული პარტნიორი ფლობს ერთ წილს, რომლის სიდიდე და ღირებულება დამოკიდებულია მონაწილის მიერ განხორციელებულ შენატანებზე<sup>89</sup> ან პარტნიორთა შეთანხმებაზე. საქართველოში ამგვარი რეგულაცია მოქმედებდა: „მენარმეთა შესახებ“ კანონის 51-ე მუხლის 1-ელ პუნქტში 2008 წლის 14 მარტის №5913 კანონით ცვლილების განხორციელებამდე.

გემოლიზებულიდან გამომდინარე, შპს-ის წილსა და სს-ის აქციას შორის განსხვავებები გამოიხატება: (1) მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის სახეში; (2) მონაწილეობის უფლების ზომის უზრუნველყოფაში; (3) სს-ის აქციონერებთან შედარებით შპს-ის პარტნიორთა უფრო მჭიდრო პირად კავშირში, რაც გავლენას ახდენს წილის ბრუნვაზე.<sup>90</sup> თუმცა ეს განსხვავებები არ მოქმედებს შპს-ში მონაწილეობის უფლების, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტის ხასიათზე.<sup>91</sup>

დასკვნის სახით, შპს-ის წილი უნდა განვიხილოთ, როგორც შპს-ის პარტნიორის სუბიექტური უფლება (წევრობის უფლება), რომელიც თავისი შინაარსით მოიცავს როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ელემენტებს. წილი არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური განსახიერება და წარმოადგენს საკუთრებისა და არაქონებრივი უფლებების ერთიან და განუყოფელ წყობას და აქვს გარკვეული ღირებულებითი მნიშვნელობა.<sup>92</sup>

## V. შპს-ის წილთა სახეები და კლასები

შპს-ის წილები შეიძლება დაიყოს სახეებად და კლასებად. „მენარმეთა შესახებ“ კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციით წილის სახეებად და კლასებად დაყოფა არ არის განსაზღვრული. აღნიშნული შეიძლება გათვალისწინებულ იქნას შპს-ის წესდებით.

„მენარმეთა შესახებ“ კანონპროექტი შპს-ის პარტნიორებს ანიჭებს უფლებას<sup>93</sup>, შპს-ის წესდებით განსაზღვრონ წილების განსხვავებული კლასები, ასევე უფლებას, შემოიღონ შემდეგი სახის შპს-ის წილები: 1) ნებადართული; 2) გამოშვებული და 3) განთავსებული წილი.<sup>94</sup> წილების აღნიშნულ სახეებად დაყოფა არ წარმოადგენს საკვალდებულოს და შპს-ის წესდებით შესაძლებელია სხვაგვარი რეგულირების შემოღება.

კანონპროექტის თანახმად, წილი, რომელიც პარტნიორთა გადაწყვეტილებით შესაძლოა მომავალში იქნას გამოშვებული და განთავსდეს, წარმოადგენს ნებადართულ წილს. ნებადართული წილების ოდენობა, კლასები, შესაბამისი წილი შპს-ის კაპიტალში, ასევე ნომინალური ღირებულება, მისი დადგენის შემთხვევაში, უნდა აისახოს შპს-ის წესდებაში.<sup>95</sup> ამ წილების გამოშვება ხდება პარტნიორების ან წესდებით განსაზღვრული ორგანოს მიერ შპს-ის წილების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად. ამ ეტაპზე წილი იქმნება, როგორც საკუთრებისა და ფლობის ობიექტი, მიუხედავად ამისა, არის თუ არა ის კონკრეტული პირის საკუთრებაში.<sup>96</sup> გამოშვებული წილები აღირიცხება სამენარმეთა რეესტრში და ისინი განთავსებამდე უფლებებსა და მოვალეობებს არ წარმოშობს. წილების განთავსებას ახორციელებს შპს-ის ხელმძღვანელი ორგანო.<sup>97</sup> წილი განთავსებულად ითვლება, თუ ის გაიცა შპს-ის მიერ სხვა პირისთვის გარკვეული

<sup>88</sup> ბურდული, ი., 2008. „ქონებრივი ურთიერთობები საქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში), ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე.“ სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 134 -135.

<sup>89</sup> Жевняк, О. В., Шаблова, Е. Г., Рьжковская, Е. А. и Тиховская, П. Г., 2019. Корпоративное право. Учебное пособие. Екатеринбург: Издательство Уральского университета, გვ. 147.

<sup>90</sup> Фатхутдинов, Р. С., 2009. Уступка доли в уставном капитале ООО: теория и практика. Москва: Волтерс Клувер, გვ. 16.

<sup>91</sup> იქვე.

<sup>92</sup> Илюшина, М. Н., 2015. Сделки с долями в уставном капитале общества с ограниченной ответственностью. учебное пособие. 2-е издание. Москва: РПА Минюста России, გვ. 18.

<sup>93</sup> მუხლი 137, საქართველოს კანონის პროექტი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

<sup>94</sup> იქვე. მუხლი 138.

<sup>95</sup> იქვე. მუხლი 138, პუნქტი 3.

<sup>96</sup> გიგუაშვილი, გ. და ჯუღელი, გ., 2021. განმარტებები „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით). თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 156.

<sup>97</sup> მუხლი 138, პუნქტი 2, საქართველოს კანონის პროექტი მენარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].



საზღაურის სანაცვლოდ, მიუხედავად ამისა, ეს საზღაური მიღებული აქვს შპს-ის თუ არა.<sup>98</sup>

წილის კლასი მიაჩნდება წილთა კატეგორიაზე, რომელიც პარტნიორებს ანიჭებს თანაბარ უფლებებს.<sup>99</sup> ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნების სამართალში გამოარჩევენ წილების ორ კლასს: ჩვეულებრივსა და პრივილეგირებულს, თუ საზოგადოების წესდება არ აწესრიგებს წილების კლასებთან დაკავშირებულ საკითხებს, ნაგულისხმებია, რომ საზოგადოებამ უნდა გამოუშვას ჩვეულებრივი წილები.<sup>100</sup> პრივილეგირებულ წილებს, როგორც წესი, დივიდენდის მიღებისა და საზოგადოების ლიკვიდაციის დროს ქონების განაწილების დროს აქვთ უფრო მაღალი პრიორიტეტი, ჩვეულებრივ წილებთან შედარებით.<sup>101</sup> თუმცა, ამის საპირისპიროდ - აღნიშნულ წილებს, როგორც წესი, არ ენიჭებათ ხმის უფლება. პრივილეგირებული წილების შემთხვევაში გადასახდელი დივიდენდის ოდენობა (მოგების პროცენტი), ლიკვიდაციის დროს პრივილეგიის სახე და სხვა უფლებები უნდა განისაზღვროს წესდებით.<sup>102</sup>

გერმანიაში წილები ჩვეულებრივ შპს-ში უზრუნველყოფენ იგმავე უფლებებსა და მოვალეობებს. ამასთან, წესდების შესაბამისი დებულებით, შეიძლება შეიქმნას წილები, რომლებიც ანიჭებენ განსხვავებულ უფლებებს და განსაზღვრავენ განსხვავებულ ვალდებულებებს. წილები, რომლებიც თითოეულ პარტნიორს ანიჭებს ერთსა და იმავე უფლებებსა და ვალდებულებებს, ქმნის ერთ კლასს (Gattung).<sup>103</sup> როდესაც წესდება ითვალისწინებს დამატებით ან არაპროპორციულად უპირატეს უფლებებს კონკრეტული წილისთვის, როგორც მასში შემავალი უფლებები, ასეთ წილებს ეწოდება „პრივილეგირებული წილები“ (Vorzugsgeschäftsanteile), ხოლო შესაბამის უფლებებს - „პრივილეგირებული უფლებები“ (Vorzugsrechte). თუკი წესდებით დამატებით ან არაპროპორციულად უპირატესი უფლებები გათვალისწინებულია,

როგორც პარტნიორის პირადი უფლებები, ეწოდება „სპეციალური პრივილეგიები“ (Sondervorteile).<sup>104</sup> პრივილეგირებული უფლებები ან წილები და სპეციალური პრივილეგიები შეიძლება წარმოიშვას წესდებით შპს-ის დაფუძნების პროცესში ან დაფუძნების შემდეგ, შპს-ის წესდებაში შესაბამისი ცვლილების დადგენილი წესით განხორციელებით.<sup>105</sup>

მსგავსი მდგომარეობაა ინგლისში. შპს უფლებამოსილია გამოუშვას სხვადასხვა კლასის წილები იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია მისი დაფუძნების შესახებ მემორანდუმით (memorandum of association), წესდებით (articles of association) ან ცალკე პარტნიორთა შეთანხმებით.<sup>106</sup> თუკი წილების კლასებად დაყოფა არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ აქტებში, ზოგადად, ყველა წილი თანაბრად მიიჩნევა.<sup>107</sup>

## დასკვნა

შპს-ის წილის ცნების შედარებით-სამართლებრივი კვლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

1. შპს-ის წილი არის შპს-ის პარტნიორის სტატუსიდან გამომდინარე შპს-ში მონაწილეობის სუბიექტური უფლება, რომელიც პარტნიორის უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობისაგან შედგება. შპს-ში მონაწილეობის (პარტნიორის უფლებებისა და მოვალეობების) ფარგლები დამოკიდებულია პარტნიორის წილის მოცულობაზე.

2. შპს-ის წილი არის მიმოქცევადი უფლება - სამოქალაქო ბრუნვის განსაკუთრებული ობიექტი. მის განსაკუთრებულობაში იგულისხმება წილის მიმოქცევისას პარტნიორისათვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა განუყოფლობა და ერთობლივი გადასვლა, ამ უფლება-მოვალეობათა ცალ-ცალკე გადასვლის (გადაცემის) დაუშვებლობა.

3. შპს-ის წილის განკარგვასთან დაკავშირებით სამართალში განმტკიცებულია თავისუფალი

<sup>98</sup> იქვე. მუხლი 138, პუნქტი 1.

<sup>99</sup> გიგუაშვილი, გ., 2017. „კორპორაციის კაპიტალიზაციის მექანიზმების მონწესრიგება კაპიტალის ბაზრის სამართლის მიხედვით.“ სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 80 - 81.

<sup>100</sup> Avilov, G., Black, B., Carreau, D. and Kozyr, O., 1999. General Principles of Company Law for Transition Economies. the Journal of Corporation Law, 24, გვ. 242.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> Ziemons, H., Jaeger, C. und Pöschke, M., „Hrsg.“, 2020. BeckOK GmbHG. 45. Edition. München: C.H. Beck, გვ. 34.

<sup>104</sup> Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. Munich: C.H.Beck, გვ. 29-30.

<sup>105</sup> იქვე. გვ. 30.

<sup>106</sup> Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Andrews v. Gas Meter Company, 6 February 1897, [1896 A. 525.] [1897] 1 Ch. 361; Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Harman v BML Group Ltd [1994] 1 WLR 893.

<sup>107</sup> Decision of House of Lords on the case Birch v Copper, 9 August 1889, [1889] 14 AC 525.

მიმოქცევის პრინციპი. თუმცა ამ პრინციპის შეზღუდვა შესაძლებელია როგორც სპეციალური კანონმდებლობით, ისე შპს-ის წესდებით. ასეთი შეზღუდვის გავრცელებული სახეა სამოგადოების თანხმობა და უპირატესი შესყიდვის უფლება.

4. შპს-ის წილზე საკუთრების უფლების გადაცემა როგორც სამოქალაქო ბრუნვის, ზოგად, ისე სპეციალურ მონესრიგებაში ექცევა. შპს-ის პარტნიორები ასევე შეიძლება წესდებაში შეთანხმდნენ გარკვეულ წესებზე წილის გადასვლასთან დაკავშირებით როგორც გარიგებებით, ისე სხვა საფუძვლებით წილის გადასვლის შემთხვევებში.

5. შპს-ის წილი, ეკონომიკური გაგებით, არის შპს-ის კაპიტალის შესაბამისი ნაწილი, მაგრამ იურიდიული გაგებით, შპს-ის კაპიტალთან (შპს-ის ქონებასთან) მიმართებაში პარტნიორს არ აქვს სუბიექტური უფლება. პარტნიორი კაპიტალის

(ქონების) განკარგვას ახორციელებს შპს-ის მართვის მეშვეობით.

6. შპს-ის წილი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტის ხასიათთან დაკავშირებით სს-ის აქციის მსგავსია. ამასთან, მათ შორის არსებობს განსხვავებები, რომლებიც გამოიხატება მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის სახესა და ზომაში, სს-ის აქციონერებთან შედარებით შპს-ის პარტნიორთა უფრო მჭიდრო პირად კავშირში, ასევე იმაში, რომ აქციისაგან განსხვავებით, შპს-ის წილი არ არის ფასიანი ქაღალდი.

7. შპს-ის პარტნიორის უფლებამოსილება ძირითადად მისი წილის პროპორციულია. თუმცა შესაძლებელია, წესდების დებულებების საფუძველზე მასში დისბალანსის შეტანა (მაგალითად, სხვადასხვა კლასის წილების გამოშვების გზით).

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქაძე, ნ., გელტერი, მ., ცერცვაძე, ლ. და ჯუღელი, გ., 2019. საკორპორაციო სამართალი. სახელმძღვანელო იურისტებისთვის. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
2. ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ., 2019. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო.
3. შეფერი, კ., 2019. საზოგადოებათა სამართალი. მე-5 გამოცემა. თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.
4. Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. München: C.H.Beck.
5. Münchener Kommentar zum Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung: GmbHG. 2018. 3. Auflage. München C.H. Beck.
6. Илюшина, М. Н., 2015. Сделки с долями в уставном капитале общества с ограниченной ответственностью, учебное пособие. 2-е издание. Москва: РПА Минюста России.
7. Суханов, Е. А., 2014. Сравнительное корпоративное право. Москва: Статут.
8. Фатхутдинов, Р. С., 2009. Уступка доли в уставном капитале ООО: теория и практика. Москва: Волтерс Клувер.

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].
2. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].
3. საქართველოს კანონის პროექტი მეწარმეთა შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [წვდომის თარიღი 26 აპრილი 2021].

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №2/1-370,382,390,402,405).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინება (საქმე №ას-1412-1332-2017).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-28-25-2017).
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-243-228-2014).
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009

- წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №ას-75-408-09).
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 21 მაისის განჩინება (საქმე №3კ/530-02).
  7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 ოქტომბრის განჩინება (საქმე №3კ/613-01).
  8. The decision of European Court of Human Rights, Bramelid and Malmström v. Sweden, 12/12/1983, applications 8588/79 and 8589/7.
  9. Decision of House of Lords on the case Birch v Copper, 9 August 1889, [1889] 14 AC 525.
  10. Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Harman v BML Group Ltd [1994] 1 WLR 893.
  11. Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Andrews v. Gas Meter Company, 6 February 1897, [1896 A. 525.] [1897] 1 Ch. 361.
  12. Decision of the High Court on the case Borland's Trustee v. Steel Brothers & Co Ltd, 14 November 1900, [1901] 1 Ch 279.

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Bakakuri, N., Gelter, M., Tsertsvadze, L. and Jugheli, G., 2019. Corporate Law. Handbook for Lawyers. Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ). (in Georgian)
2. Burduli, I., Makharoblishvili, G. and Maghradze, G., 2019. Limited Liability Company in Georgia: Existing Reality and Regulatory Deficit. Tbilisi: World of Lawyers. (in Georgian)
3. Schäfer, C., 2019. Organizational Law. 5<sup>th</sup> edition. Tbilisi: LEPL Notary Chamber of Georgia. (in Georgian)
4. Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9<sup>th</sup> edition. München: C.H. Beck. (in English)
5. Münchener Kommentar zum Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung: GmbHG. 2018. 3. Auflage. München C. H. Beck. (in German)
6. Ilyushina, M. N., 2015. Transactions with Shares in the Authorized Capital of a Limited Liability Company. a Handbook. 2<sup>nd</sup> edition. Moscow: RPA Ministry of Justice of Russia. (in Russian)
7. Sukhanov, E. A., 2014. Comparative corporate law. Moscow: Statute. (in Russian)
8. Fatkhutdinov, R. S., 2009. Assignment of Share in the Chartered Capital of LLC: Theory and Practice. Moscow: Walters Kluver. (in Russian)
3. Draft Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)

### Judicial Practice:

1. Decision of the Constitutional Court of Georgia, 18 May 2007 (case №2/1-370,382,390,402,405). (in Georgian)
2. Decision of the Supreme Court of Georgia, 14 November 2018 (case №as-1412-1332-2017). (in Georgian)
3. Decision of the Supreme Court of Georgia, 28 January 2018 (case №as-28-25-2017). (in Georgian)
4. Decision of the Supreme Court of Georgia, 26 January 2015 (case №as-243-228-2014). (in Georgian)
5. Decision of the Supreme Court of Georgia, 02 July 2009 (case №as-75-408-09). (in Georgian)
6. Decision of the Supreme Court of Georgia, 21 May 2002 (case №3k/530-02). (in Georgian)
7. Decision of the Supreme Court of Georgia, 26 October 2001 (case №3k/613-01). (in Georgian)
8. Decision of European Court of Human Rights, Bramelid and Malmström v. Sweden, 12/12/1983, applications 8588/79 and 8589/7. (in English)
9. Decision of House of Lords on the case Birch v Copper, 9 August 1889, [1889] 14 AC 525. (in English)
10. Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Harman v BML Group Ltd [1994] 1 WLR 893. (in English)
11. Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Andrews v. Gas Meter Company, 6 February 1897, [1896 A. 525.] [1897] 1 Ch. 361. (in English)
12. Decision of the High Court on the case Borland's Trustee v. Steel Brothers & Co Ltd, 14 November 1900, [1901] 1 Ch 279. (in English)

### Normative Materials:

1. Civil Code of Georgia. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
2. Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)

## REFERENCES:

1. Article 44, Paragraph 3, Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
2. Article 30, Draft Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
3. Ibid. article 135, Paragraph 1.
4. Giguashvili, G. and Jugheli, G., 2021. Explanations on the Draft Law of Georgia on Entrepreneurs (as of 09.02.2021). Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 152. (in Georgian)
5. Liluashvili, G., 2005. Limited Liability Company (Theory and Practice). Tbilisi: GCI, p. 212. (in Georgian)
6. Decision of the Supreme Court of Georgia, 26 October 2001 (case №33/613-01). (in Georgian)
7. Römermann, V., „Hrsg.“, 2018. Münchener Anwaltshandbuch GmbH-Recht. 4. Auflage. München: C.H. Beck, p. 320. (in German)
8. Schäfer, C., 2019. Organizational Law. 5<sup>th</sup> edition. Tbilisi: LEPL Notary Chamber of Georgia, p. 443. (in Georgian)
9. Bakakuri, N., Gelter, M., Tsertsvadze, L. and Jugheli, G., 2019. Corporate Law. Handbook for Lawyers. Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 17. (in Georgian)
10. Fatkhutdinov, R. S., 2009. Assignment of Share in the Chartered Capital of LLC: Theory and Practice. Moscow: Walters Kluver, p. 5. (in Russian)
11. Sukhanov, E. A., 2014. Comparative corporate law. Moscow: Statute, p. 22. (in Russian)
12. Decision of the High Court on the case Borland's Trustee v. Steel Brothers & Co Ltd, 14 November 1900, [1901] 1 Ch 279. (in English); Section 33(1), The Companies Act (2006). [Online] Available at: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/contents> [Accessed 26 April 2021]. (in English)
13. Altmeppen, H., „Hrsg.“, 2019. Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung: GmbHG. 9. Auflage. München: C.H.Beck, pp. 334-335. (in German)
14. Fatkhutdinov, R. S., 2009. Assignment of Share in the Chartered Capital of LLC: Theory and Practice. Moscow: Walters Kluver, p. 16. (in Russian)
15. Ibid.
16. Ibid.
17. Migriauli, R., 2021. Brief Manual of Entrepreneurial Law. Tbilisi: Cezanne, p. 179. (in Georgian)
18. Ibid. p. 180.
19. Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. München: C.H.Beck, p. 28. (in English)
20. Migriauli, R., 2021. Brief Manual of Entrepreneurial Law. Tbilisi: Cezanne, p. 179. (in Georgian)
21. Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. München: C.H.Beck, p. 28. (in English)
22. Ibid. pp. 29 - 30.
23. Ilyushina, M. N., 2015. Transactions with Shares in the Authorized Capital of a Limited Liability Company. a Handbook. 2<sup>nd</sup> edition. Moscow: RPA Ministry of Justice of Russia, p. 10. (in Russian)
24. Ibid.
25. Burduli, I. and Chitashvili, N., 2020. Withdrawal of a Shareholder from a Limited Liability Company on Substantial Grounds. German-Georgian Journal for Comparative Law, 9, p. 13. (in Georgian)
26. Krivolapova, L. V., 2011. The Turnover of a Share in the Chartered Capital of Limited Liability Company. Legal Sciences, p. 393. (in Russian)
27. Article 14, Paragraph 4, Federal Law of the Russian Federation on Limited Liability Companies. [Online] Available at: [http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_17819/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_17819/) > [Accessed 26 April 2021]. (in Russian)
28. Migriauli, R., 2021. Brief Manual of Entrepreneurial Law. Tbilisi: Cezanne, p. 176. (in Georgian)
29. Article 1, Protocol No.1 to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. [Online] Available at: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168006377c> [Accessed 26 April 2021]. (in English)
30. Decision of the Supreme Court of Georgia, 14 November 2018 (case №as-1412-1332-2017). (in Georgian)
31. Article 147, Civil Code of Georgia. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
32. Ibid. article 149.
33. Chanturia, L., „Ed.“, 2018. Commentary on the Civil Code. Book II. Law of Things (Property). Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 4. (in Georgian)
34. Article 152, Civil Code of Georgia. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113> [Accessed 26 April 2021]. (In Georgian)
35. Burduli, I., Makharoblishvili, G. and Maghradze, G., 2019. Limited Liability Company in Georgia: Existing Reality and Regulatory Deficit. Tbilisi: World of Lawyers, p. 125. (in Georgian)
36. Article 39, Law of Georgia on State Property. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112588?publication=45> [Accessed

- 26 April 2021]. (in Georgian)
37. Burduli, I., Makharoblishvili, G. and Maghradze, G., 2019. Limited Liability Company in Georgia: Existing Reality and Regulatory Deficit. Tbilisi: World of Lawyers, p. 125. (in Georgian)
  38. Fatkhutdinov, R. S., 2009. Assignment of Share in the Chartered Capital of LLC: Theory and Practice. Moscow: Walters Kluver, p. 19. (in Russian)
  39. Platunova, T. L., 2016. Transactions on Alienation of Shares in the Chartered Capital of Limited Liability Company. UDC 347.13 BBK 67.404.04, p. 137. (in Russian)
  40. Fatkhutdinov, R. S., 2009. Assignment of Share in the Chartered Capital of LLC: Theory and Practice. Moscow: Walters Kluver, p. 19. (in Russian)
  41. Kraakman, R. and others, 2017. Anatomy of Corporate Law, Comparative and Functional Approach. 3rd edition. Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 14. (in Georgian)
  42. Ninidze, T. and Chanturia, L., 2002. Commentary to the Law on Entrepreneurs. Tbilisi: Samartali, pp. 276-277. (in Georgian)
  43. Burduli, I., Makharoblishvili, G. and Maghradze, G., 2019. Limited Liability Company in Georgia: Existing Reality and Regulatory Deficit. Tbilisi: World of Lawyers, p. 116. (in Georgian)
  44. Ibid.
  45. Article 46<sup>1</sup>, Paragraph 1, Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
  46. Burduli, I., 2019. Acquiring a Share in the Entrepreneurial Company in a Good Faith. Georgian-German Journal of Comparative Law, 2, p. 27. (in Georgian)
  47. Decision of the Supreme Court of Georgia, 21 May 2002 (case №3k/530-02). (in Georgian)
  48. Todua, U., 2019. Law of Georgia on Entrepreneurs in Court Decisions. Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 63. (in Georgian)
  49. Decision of the Supreme Court of Georgia, 21 May 2002 (case №3k/530-02). (in Georgian)
  50. Kalss, S., 2004. The Transfer of Shares of Private Companies. European Company and Financial Law Review (ECFR), 1, p. 352. (in English)
  51. Ibid.
  52. Article 5<sup>1</sup>, Paragraph 5<sup>1</sup>, Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
  53. Article 143, Draft Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
  54. Giguashvili, G. and Jugheli, G., 2021. Explanations on the Draft Law of Georgia on Entrepreneurs (as of 09.02.2021). Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 161. (in Georgian)
  55. Ninidze, T. and Chanturia, L., 2002. Commentary to the Law on Entrepreneurs. Tbilisi: Samartali, p. 275. (in Georgian)
  56. Burduli, I., 2008. "Property Relations in Joint Stock Company (especially in the process of its formation), on the example of Georgian and Austrian law." Dissertation .Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing, p. 126. (in Georgian)
  57. Article 152, Civil Code of Georgia. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=113>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
  58. Ibid. article 147.
  59. Chanturia, L., "Ed.", 2018. Commentary on the Civil Code. Book II. Law of Things (Property). Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 23. (in Georgian)
  60. Ibid.
  61. Schäfer, C., 2019. Organizational Law. 5<sup>th</sup> edition. Tbilisi: LEPL Notary Chamber of Georgia, p. 465. (in Georgian)
  62. Platunova, T. L., 2016. Transactions on Alienation of Shares in the Chartered Capital of Limited Liability Company. UDC 347.13 BBK 67.404.04, p. 138. (in Russian)
  63. Ibid.
  64. Section 502, The Uniform Limited Liability Company Act (ULLCA). [Online] Available at: <<https://www.bia.gov/sites/bia.gov/files/assets/as-ia/ieed/bia/pdf/idc1-032743.pdf>> [Accessed 26 April 2021]. (in English)
  65. Maizes, R., 1996. Limited Liability Companies: A Critique. St. John's Law Review, 3 (70), p. 586. (in English)
  66. Goforth, C. R., 1994. Why Limited Liability Company Membership Interests Should Not be Treated as Securities and Possible Steps to Encourage this Result. Hastings Law Journal, 45, p. 1238. (in English)
  67. Ibid. p p. 1238 -1239.
  68. Kalss, S., 2004. The Transfer of Shares of Private Companies. European Company and Financial Law Review (ECFR), 1, p. 354. (in English)
  69. Zubitashvili, N., 2014. Withdrawal of a Shareholder from Limited Liability Company. Collection of Works on Corporate Law II. Tbilisi: Meridian, p. 184. (in Georgian)
  70. Article 44, Paragraph 3, Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
  71. Fatkhutdinov, R. S., 2009. Assignment of Share in

- the Chartered Capital of LLC: Theory and Practice. Moscow: Walters Kluver, p. 9. (in Russian)
72. Ibid.
73. Ibid. p. 10.
74. Ibid.
75. Decision of the Supreme Court of Georgia, 28 January 2018 (case №as-28-25-2017). (in Georgian)
- Decision of the Supreme Court of Georgia, 02 July 2009 (case №as-75-408-09). (in Georgian)
76. Article 48, Paragraph 1, Civil Code of the Russian Federation. [Online] Available at: <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_5142/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/)> [Accessed 26 April 2021]. (in Russian)
77. Article 51, Paragraph 1, Sentence 2, Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
78. Burduli, I., 2008. "Property Relations in Joint Stock Company (especially in the process of its formation), on the example of Georgian and Austrian law." Dissertation. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, pp. 134 -135. (in Georgian)
79. Ibid. p. 135.
80. Zubitashvili, N., 2014. Withdrawal of a Shareholder from Limited Liability Company. Collection of Works on Corporate Law II. Tbilisi: Meridian, p. 272. (in Georgian)
81. Article 143, Civil Code of the Russian Federation. [Online] Available at: <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_5142/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_5142/)> [Accessed 26 April 2021]. (in Russian)
82. Section 502, the Uniform Limited Liability Company Act (ULLCA). Available at: <<https://www.bia.gov/sites/bia.gov/files/assets/as-ia/ieed/bia/pdf/idc1-032743.pdf>> [Accessed 26 April 2021]. (in English)
83. Topham, A. F. and Palmer, F. B., 1949. Palmer's Company Law: A Practical Book for Lawyers and Business Men. 19th edition. London: Stevens & Sons Ltd., p. 122. (in English)
84. Gore-Browne, F., 1900. Concise Precedents under the Companies Acts. 2nd edition. London: Jordan & Sons, p. 344. (in English)
85. Ziemons, H., Jaeger, C. und Pöschke, M., „Hrsg.“, 2020. BeckOK GmbHG. 45. Edition. München: C.H.Beck, Rn. 80. (in German)
86. Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. Munich: C.H.Beck, pp. 26-27. (in English)
87. Ibid. p. 27.
88. Burduli, I., 2008. "Property Relations in Joint Stock Company (especially in the process of its formation), on the example of Georgian and Austrian law." Dissertation. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, pp. 134 -135. (in Georgian)
89. Zhevnyak, O. V., Shablova, E. G., Ryzhkovskaya, E. A. and Tikhovskaya, P. G., 2019. Corporate Law, Handbook. Yekaterinburg: Ural University Publishing House, p. 147. (in Russian)
90. Fatkhutdinov, R. S., 2009. Assignment of Share in the Chartered Capital of LLC: Theory and Practice. Moscow: Walters Kluver, p. 16. (in Russian)
91. Ibid.
92. Ilyushina, M. N., 2015. Transactions with Shares in the Authorized Capital of a Limited Liability Company, a Handbook. 2<sup>nd</sup> edition. Moscow: RPA Ministry of Justice of Russia, p. 18. (in Russian)
93. Article 137, Draft Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
94. Ibid. Article 138.
95. Ibid. Article 138, Paragraph 3.
96. Giguashvili, G. and Jugheli, G., 2021. Explanations on the Draft Law of Georgia on Entrepreneurs (as of 09.02.2021). Tbilisi: German Agency for International Cooperation (GIZ), p. 156. (in Georgian)
97. Article 138, Paragraph 2, Draft Law of Georgia on Entrepreneurs. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>> [Accessed 26 April 2021]. (in Georgian)
98. Ibid. Article 138, Paragraph 1.
99. Giguashvili, G., 2017. "Regulation of Corporation Capitalization Mechanisms according to Capital Market Law." Dissertation. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House, pp. 80-81. (in Georgian)
100. Avilov, G., Black, B., Carreau, D. and Kozyr, O., 1999. General Principles of Company Law for Transition Economies. the Journal of Corporation Law, 24, p. 242. (in English)
101. Ibid.
102. Ibid.
103. Ziemons, H., Jaeger, C. und Pöschke, M., „Hrsg.“, 2020. BeckOK GmbHG. 45. Edition. München: C.H.Beck, rn. 34. (In German)
104. Rosengarten, J., Frank Burmeister, F. and Klein, M., 2020. The German Limited Liability Company. 9th edition. Munich: C.H.Beck, pp. 29-30. (in English)
105. Ibid. p. 30.
106. Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Andrews v. Gas Meter Company, 6 February 1897, [1896 A. 525.] [1897] 1 Ch. 361. (in English); Decision of the Court of Appeal of England and Wales on the case Harman v BML Group Ltd [1994] 1 WLR 893. (in English)
107. Decision of House of Lords on the case Birch v Copper, 9 August 1889, [1889] 14 AC 525. (in English)

# ევროპის კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციაში წევრობის (მონაწილეობის) სამართლებრივი ასპექტები

## ირაკლი პაპავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ იურისტი  
ელფოსტა: [irakli.sdkg@gmail.com](mailto:irakli.sdkg@gmail.com)

### აბსტრაქტი

საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსტრუქციული ურთიერთქმედება ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც სრულად შეესაბამება მის მისწრაფებას, თავი დაიმკვიდროს როგორც გავლენიანმა საერთაშორისო აქტორმა. მსგავსი ურთიერთქმედების მეშვეობით, იგი თანმიმდევრულად და შეგნებულად უწყობს ხელს საკუთარი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას საერთაშორისო სივრცეში, რითაც ცდილობს, ეს ველი უფრო ერთგვაროვანი და თავისთვის უფრო ხელსაყრელი გახადოს. ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე მის აქტიურობას, ხელშეკრულებების დადებას და საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობას წევრი სახელმწიფოების მიერ სუპრანაციონალურ დონეზე ევროკავშირის შიდა სფეროში გადაცემული უფლებამოსილებების დიდი მოცულობა განსაზღვრავს.

თავისთავად, საერთაშორისო ორგანიზაციებში ევროპის კავშირის მონაწილეობა და ასეთი მონაწილეობის იურიდიული გაფორმება განპირობებულია თვითონ ევროკავშირის, როგორც სახელმწიფოთა გაერთიანების, სპეციფიკით, მისი ინსტიტუტების უფლებამოსილებებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი და წევრი ქვეყნების პარალელური მონაწილეობის ფენომენით, აგრეთვე კონკრეტულ საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართლებრივი თავისებურებებით. სწორედ ეს საკითხები წარმოადგენს წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს. ვარდა ამისა, სტატიის მეორე ნაწილში მოცემულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ევროპის კავშირის ურთიერთობათა ტიპოლოგია, სადაც მთავარ კრიტერიუმად აღებულია მისი სტატუსი საერთაშორისო ორგანიზაციებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტატიაში, ევროკავშირის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონტექსტში, გაანალიზებულია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, მათ შორის ამ უკანასკნელის ბოლოდროინდელი სასამართლო აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, აგრეთვე ევროკავშირის სამართლის მკვლევართა ნაშრომები.

საბოლოო ჯამში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ევროპის კავშირის ურთიერთობების კვლევის შედეგად, გამოიკვეთა ამგვარი ურთიერთქმედების მთავარი (ზოგადი) სპეციფიკა: რაც უფრო მეტი და ქმედითი სახელისუფლებო რესურსი და ინსტიტუციური პოტენციალია კონცენტრირებული ევროკავშირის დონეზე ამა თუ იმ სფეროში, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ იგი მეტი უფლებამოსილებით იყოს წარმოდგენილი იმავე პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციაში, რაც, როგორც წესი, ზრდის ასეთ ორგანიზაციასთან მისი ურთიერთქმედების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: სამართალსუბიექტობა, ორგანიზაციები, ურთიერთქმედება

# LEGAL ASPECTS OF EU MEMBERSHIP (PARTICIPATION) IN INTERNATIONAL ORGANIZATIONS

**Irakli Papava**

*Master of Ivane Javakishvili Tbilisi State University, International Law Expert,*

*Lawyer at the Democratic Development Union of Georgia*

Email: [irakli.sdqk@gmail.com](mailto:irakli.sdqk@gmail.com)

## ABSTRACT

Interaction and cooperation with international organizations (IOs) is an important component of the European Union's foreign policy. Through such interaction, it consistently and consciously promotes the introduction of its own norms and standards in international space, thereby trying to make this field more uniform and most favorable for itself. Its activity in the international arena including, signing of international agreements and participation (membership) in IOs is determined by the wide range of internal powers transferred by member states to the EU at the supranational level.

The EU's participation in IOs and the legal execution of such participation are conditioned by the specifics of the EU as a consolidated international actor, the powers of the EU institutions and the phenomenon of the parallel representation when both the EU itself and its member states are full members of the IOs. Exactly these matters are the subject of research in this article. Besides, the article presents the typology of EU relations with IOs, where the main criterion is the status of the EU in international organizations, which varies from full membership with the right to vote to the absence of any formal status. Accordingly, the article analyzes the case law of the Court of Justice of the European Union (in the context of the EU's international personality) including recent judgments, as well as international agreements and works of the EU-law researchers.

As a result of analysis of EU relations with various international organizations, it becomes possible to identify the main (general) character of such interaction; the more power resources and institutional capacity are concentrated at EU level in a particular area, the more likely it is to have more authority in an international organization of the same profile. Naturally, this increases the degree of institutionalization of its interaction with such an organization.

KEYWORDS: Personality, Organizations, Interaction



## შესავალი

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედება ევროპის კავშირის (შემდგომში – „ეკ“, „კავშირი“, „ევროკავშირი“) საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე მის აქტიურობას, ხელშეკრულებების დადებას და საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობას წევრი სახელმწიფოების მიერ სუბრანაციონალურ დონეზე, ეკ-ის შიდა სფეროში გადაცემული უფლებამოსილებების დიდი მოცულობა განსაზღვრავს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგად მოცემულობაში ცალკეულ ქვეყნებთან კავშირის თანამშრომლობა გაცილებით უფრო შორს წავიდა, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ამ ორგანიზაციებთან კონსტრუქციული ურთიერთქმედება ევროკავშირისთვის სასურველ მიზნად რჩება, ვინაიდან იგი სრულად შეესაბამება მის მისწრაფებას, თავი დაიმკვიდროს როგორც გავლენიანმა საერთაშორისო აქტორმა. გარდა ამისა, მისთვის გაცილებით მოსახერხებელია, დიალოგი ერთ ორგანიზაციასთან აწარმოოს, ვიდრე მასში გაერთიანებულ თითოეულ წევრ სახელმწიფოსთან ცალ-ცალკე.

ბუნებრივია, საერთაშორისო ორგანიზაციებში ეკ-ის მონაწილეობა და ასეთი მონაწილეობის იურიდიული გაფორმება განპირობებულია ევროპის კავშირის, როგორც სახელმწიფოთა გაერთიანების, სპეციფიკით, მისი ინსტიტუტების უფლებამოსილებებით, საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი და წევრი ქვეყნების პარალელური მონაწილეობის ფენომენით, აგრეთვე კონკრეტულ საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართლებრივი თავისებურებებით. სწორედ ეს საკითხებია წინამდებარე სტატიის კვლევის საგანი. მის მეორე ნაწილში კი მოცემულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ევროკავშირის ურთიერთობების ტიპოლოგია, სადაც მთავარ კრიტერიუმად აღებულია კავშირის სტატუსი ამ ორგანიზაციებში. შესაბამისად, სტატიაში, ეკ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის ჭრილში, გაანალიზებულია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში – ასევე „ECJ“, „ლექსემბურგის სასამართლო“) პრაქტიკა, საერთაშორისო შეთანხმებები, აგრეთვე ევროპის კავშირის სამართლის მკვლევართა ნაშრომები.

## 1. ზოგადი დებულებები ევროპის კავშირის, როგორც სამართაშორისო ორგანიზაციის, უფლებაუნარიანობის შესახებ

ევროკავშირის საერთაშორისო უფლებაუნარიანობა მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის შემადგენელი საკვანძო ელემენტია. საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებაუნარიანობა, როგორც წესი, მისი დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომელიც მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს. სწორედ იგი აძლევს საერთაშორისო ორგანიზაციას არა მარტო „დაბადების“, არამედ მისი „მშობლებისგან“ (ე.ი. დამფუძნებელი ქვეყნებისგან) განცალკევებული „პირის“ სტატუსის შექმნის შესაძლებლობას, უნარს, – დაამყაროს ურთიერთობები საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან. საბოლოო ჯამში, ეს თვისება განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანიზაციის სამართალსუბიექტობას, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ მისი დამფუძნებელი დოკუმენტის პირობებზეა დამოკიდებული. თუმცა ყველაზე ხშირად იგი მაინც საკუთრივ ამ ორგანიზაციის უფლებამოსილებებით ან მიზნებით, აგრეთვე მისი პრაქტიკით არის ნაკარნახევი.<sup>1</sup>

სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1986 წლის კონვენციის<sup>2</sup> მე-6 მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ „საერთაშორისო ორგანიზაციის უფლებაუნარიანობა, – დადოს ხელშეკრულებები, – რეგულირდება ამ ორგანიზაციის წესებით“. ეს უკანასკნელი გულისხმობს, კერძოდ, „ორგანიზაციის დამფუძნებელ აქტებს, მათ შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებს, აგრეთვე ორგანიზაციის დამკვიდრებულ პრაქტიკას“ (იხ. მუხ. 2, პუნ. 1, „j“ ქვეპუნქტი). მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ჯერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება

<sup>1</sup> Shaw, M., 2017. International Law. 8th ed. Cambridge: Cambridge University Press, გვ. 991.

<sup>2</sup> Vienna Convention on the Law of Treaties between States and International Organizations or between International Organizations. Adopted on 21 March 1986 (ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1\\_2\\_1986.pdf](https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_2_1986.pdf)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

EEC-ის შესახებ) 210-ე მუხლის, ხოლო შემდეგ ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების (შემდეგი – ხელშეკრულება EC-ის შესახებ) 281-ე მუხლის დებულებები ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ან მოგვიანებით – ევროპის გაერთიანების სამართალსუბიექტობის თაობაზე მუდამუნდოვანი იყო. გაუგებარი რჩებოდა, ეს დებულებები სამართალსუბიექტობას წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის შესაბამისად გულისხმობდა, თუ ისინი საერთაშორისო სამართალსუბიექტობასაც მოიცავდა. პრაქტიკაში კი ევროპის გაერთიანებასაც და „ლისაბონის ხელშეკრულებამდე“<sup>\*</sup> კავშირსაც გააჩნდა უდავო საერთაშორისო სამართალსუბიექტობა, რომლის რეალიზაციაც მათ მიერ დადებულ მრავალ საერთაშორისო შეთანხმებაში ხდებოდა;<sup>3</sup> ამასთან, „ევ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტობას კომპლექსური (სეგმენტური) ხასიათი ჰქონდა“.<sup>4</sup>

ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებაში გაჩნდა ახალი შინაარსის 47-ე მუხლი, რომელიც ძალზე ლაკონური ფორმულირებით ადგენს, რომ „კავშირს გააჩნია სამართალსუბიექტობა“, ანუ ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის ერთიანი სამართალსუბიექტობის აღიარების მიმართულებით წავიდა; შესაბამისად, იგი საერთაშორისო სამართლის ერთიანი სუბიექტი ხდება. მანამდე, დამფუძნებელი ხელშეკრულებები მხოლოდ მისი სამართლებრივი წინამორბედის – ევროპის გაერთიანების სამართალსუბიექტობაზე მითითებას შეიცავდა (იხ. ხელშეკრულება EEC-ის შესახებ, მუხ. 210, მოგვიანებით – ხელშეკრულება EC-ის შესახებ, მუხ. 281). ამასთან, ევროპის კავშირის

შესახებ ხელშეკრულების 47-ე მუხლს განვრცობითი ახსნა-განმარტების დიდი პოტენციალი აქვს, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ იგი ერთდროულად ევ-ის როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სამართალსუბიექტობის იურიდიულ საფუძვლად იქნეს განხილული. კავშირის სამართალსუბიექტობის საკითხის ამგვარი ახსნა-განმარტება ხელს უწყობს მისი უფლებაუნარიანობის გაძლიერებას, აწარმოოს მოლაპარაკებები საერთაშორისო პარტნიორებთან, რაც მას საერთაშორისო ასპარეზზე უფრო ეფექტიან და წონად პოლიტიკურ აქტორად წარმოაჩენს მესამე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში.

მოკლედ, მემოლნიშნულ 47-ე მუხლთან ერთად, თუკი ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაში არსებულ ევროკავშირის საგარეო კომპეტენციის განმსაზღვრელ დებულებებსაც გავითვალისწინებთ (იხ. მუხ. 3(2), მუხ. 216(1)), აშკარა ხდება, რომ კავშირის უფლებაუნარიანობა დღეისთვის არა მარტო შიდა, არამედ საგარეო პოლიტიკის საკითხებსაც მოიცავს.<sup>5</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ევ-ის დამფუძნებელმა დოკუმენტებმა, ფაქტობრივად, გაიზიარეს მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობის განვრცობითი ახსნა-განმარტება, რომელიც ლუქსემბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ჯერ კიდევ 1970-იან წლებში იქნა ჩამოყალიბებული.<sup>6</sup>

## 2. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ევ-ის საგარეო პოლიტიკური კომპეტენციის შესახებ

დამფუძნებელი ხელშეკრულებების ნორმები ევროპის გაერთიანებისა და ევროკავშირის კომპეტენციის შესახებ, მათ შორის საგარეო პოლიტიკის სფეროში, ხშირად ქცეულა ECJ-ს ახსნა-განმარტების საგნად, რომელმაც ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი დებულება ჩამოაყალიბა.

\* იგულისხმება „ლისაბონის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე“ (მისი მოკლე სახელწოდებაა – „ლისაბონის ხელშეკრულება“). ხელმოწერილ იქნა 2007 წლის 13 დეკემბერს, ძალაშია 2009 წლის 1 დეკემბრიდან. მის საფუძველზე ევ-ის სამართლებრივი საწყისების ძირული რეფორმა განხორციელდა. მისი ოფიციალური სრული ტექსტის სანახავად იხ. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C:2007:306:FULL&from=EN>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>3</sup> Kuijper, P. J. and others, 2013. The Law of EU External Relations. Oxford: Oxford University Press, გვ. 1.

<sup>4</sup> Кашкин, С. Ю., 2016. Право Европейского Союза: В 2 томах. Т. 1: Общая часть: Учебник для бакалавриата и магистратуры. М.: Юрайт, გვ. 292.

<sup>5</sup> Лифшиц, И. М., 2019. Членство Европейского союза в международных организациях в контексте его правосубъектности. Московский журнал международного права. 1, გვ. 57.

<sup>6</sup> პაპავა, ი., 2017. ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები. თბილისი, გვ. 133.

ეკ-ის საგარეო კომპეტენციასთან დაკავშირებული პირველი „კლასიკური“ საქმე იყო 1970 წლის დაგა, რომელშიც ევროკომისია ასაჩივრებდა წევრი ქვეყნების უფლებას, დაედოთ ევროპის შეთანხმება საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ (EART case).<sup>7</sup> მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა კომისიის სარჩელი, მან ამ გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი ფუნდამენტური დებულებები ჩამოაყალიბა ევროპის გაერთიანების საგარეო კომპეტენციის შესახებ, რომლებიც კავშირის ინსტიტუტების საქმიანობას დღემდე განსაზღვრავს.

ერთ-ერთი ასეთი დებულების თანახმად, „საგარეო ურთიერთობებში გაერთიანება სარგებლობს უფლებამოსილებით, სახელშეკრულებო კავშირები დაამყაროს მესამე ქვეყნებთან, ხელშეკრულების პირველ ნაწილში განსაზღვრული მიზნების ყველა სფეროში“.<sup>8</sup> ამ დასკვნის ფორმულირებისას ECJ-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების მთელი სტრუქტურა (the whole scheme) მის მატერიალურ-სამართლებრივ დებულებებზე არანაკლებად უნდა იქნას გათვალისწინებული“.<sup>9</sup> საერთაშორისო შეთანხმებათა დადების უფლებამოსილება, სასამართლოს აზრით, გამომდინარეობდა არა მარტო ხელშეკრულების დებულებებიდან, რომლებიც გაერთიანების ინსტიტუტებს უშუალოდ ანიჭებდა ასეთ უფლებას (როგორც, მაგალითად, ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების შემთხვევაში), არამედ ხელშეკრულების სხვა დებულებებიდანაც, აგრეთვე გაერთიანების ინსტიტუტების მიერ ასეთი დებულებების ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტებიდან.<sup>10</sup> ამრიგად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ გაერთიანების ინსტიტუტებს საგარეო პოლიტიკური კომპეტენცია ხელშეკრულებებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ გათვალისწინებული შიდა კომპეტენციიდან გამომდინარე მიანიჭა. ამ ბოლო შემთხვევაში აუცილებელია, რომ გაერთიანების ინსტიტუტებმა დაიწყონ შესაბამისი სფეროს

რეგულირება მეორადი სამართლის აქტებით. ასეთი შორს მიმავალი დასკვნების დამატებით საფუძვლად EC-ის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლი\* იქცა. იგი ითვალისწინებს, რომ წევრი სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას იღებენ იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ხელშეკრულებიდან ან გაერთიანების ინსტიტუტების ქმედებებიდან (უპირველეს ყოვლისა, მათი სამართლებრივი აქტებიდან) გამომდინარეობს და თავს იკავებენ ნებისმიერი ისეთი ღონისძიების გატარებისგან, რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუშალონ ხელშეკრულების მიზნების მიღწევას. შესაბამისად, ECJ-ს აზრით, წევრ ქვეყნებს არ შეუძლიათ გაერთიანების ინსტიტუტების ფარგლებს მიღმა საკუთარ თავზე აიღონ ვალდებულებები (ე.ი. დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები), რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ წესებზე ან შეცვალოს მათი ფარგლები. ამასთან, ეს უკანასკნელი დადგენილია გაერთიანების მიზნების მისაღწევად.<sup>11</sup>

სწორედ აღნიშნული დებულება დაედო საფუძვლად გაერთიანების შიდა და საგარეო კომპეტენციის „პარალელიზმის“ კონცეფციას, ანუ EART-ის პრინციპს (სასამართლოს მიერ განხილული საქმის სახელწოდებიდან გამომდინარე), რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გაერთიანების საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს რეგულირების შიდა კომპეტენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების საგარეო კომპეტენციასაც გულისხმობს. ამრიგად, ECJ-მ, როგორც გაერთიანების ინსტიტუტმა, დამფუძნებელი ხელშეკრულების ახსნა-განმარტების მეშვეობით, ფაქტობრივად, წევრი ქვეყნების ხარჯზე, გააფართოვა ამ ორგანიზაციის საგარეო პოლიტიკური კომპეტენცია; ანუ გაერთიანებამ დამატებითი უფლებამოსილებები საკუთარი ინსტიტუტის აქტის საფუძველზე შეიძინა.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საშინაო სფეროში ნაგულისხმევი უფლებამოსილებების დოქტრინა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ პირველად ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების (ჩშჩ) უმაღლესი მმართველი ორგანოს მიმართ გამოიყენა ჯერ კიდევ 1956 წელს,<sup>12</sup> ე.ი. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაფუძნებამდე. ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ხელშეკრულების

<sup>7</sup> Judgment of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Council of the European Communities. - European Agreement on Road Transport, 31/03/1971, Case 22-70. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61970CJ0022>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>8</sup> იქვე. § 14.

<sup>9</sup> იქვე. § 15.

<sup>10</sup> იქვე. § 16.

\* ამჟამად ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლი.

<sup>11</sup> იქვე. § 22.

<sup>12</sup> Horspool, M. and others, 2006. European Union Law. 4th ed. New York: Oxford University Press, 93-92.

მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ ჩშჩ-ის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-8 მუხლის ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ეს ორგანო „გარკვეული დამოუკიდებლობით“ სარგებლობს იმ ღონისძიებების განსაზღვრასთან მიმართებით, რომელთა გატარება აუცილებელია ასეთი მიზნების პრაქტიკაში განხორციელებისთვის.<sup>13</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის ნაგულისხმევი უფლებამოსილებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ორგანიზაციის განვითარებას, დღეისთვის ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352-ე მუხლში\* არის განმტკიცებული; მის თანახმად, საბჭოს შეუძლია ერთხმად მიიღოს აუცილებელი ზომები (ე.ი. სამართლებრივი აქტები) დამფუძნებელი ხელშეკრულების ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად (ეკ-ის სამართლის ცნობილი მკვლევარი პროფესორი რობერტ შუტცე 352-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს „ნარჩენ კომპეტენციას“ უწოდებს).<sup>14</sup> ეს მიზნები შეიძლება მოიცავდეს თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცის შექმნასაც, შიდა ბაზრის საკითხებსაც, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე ევროკავშირის ფასულობების წინ წამოწევისაც (იხ. დამფუძნებელი დოკუმენტებისადმი თანდართული N41 დეკლარაცია).<sup>15</sup> ამავე დროს, წევრმა ქვეყნებმა N42 დეკლარაციაში<sup>16</sup> ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 352-ე მუხლი არ შეიძლება იყოს ხელშეკრულების შეცვლისა და კომპეტენციათა მინიჭების

პრინციპისთვის გვერდის აგლის ფარული საშუალება. ზოგადი საერთაშორისო სამართლის სფეროში ნაგულისხმევი უფლებამოსილებათა დოქტრინა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენციას მის ფუნქციებს უკავშირებს, განისაზღვრა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 1949 წლის საკონსულტაციო დასკვნაში საქმეზე – „გაეროში სამსახურისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“.<sup>17</sup>

EART-ის საქმეზე ECJ-ს გადაწყვეტილების ზოგიერთი ფორმულირება 2007 წელს თითქმის უცვლელად იქნა გადატანილი ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3(2) მუხლსა და 216(1)-ე მუხლში. შესაბამისად, კავშირს გააჩნია მესამე ქვეყნებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებების დადების კომპეტენცია, თუ ეს უფლებამოსილება დამფუძნებელი დოკუმენტებით არის გათვალისწინებული, ასევე სამ სხვა შემთხვევაში: როდესაც შეთანხმების დადება: (1) აუცილებელია დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, (2) გათვალისწინებულია იურიდიულად სავალდებულო ეკ-ის სამართლებრივი აქტებით ან (3) ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს საერთო წესებზე, ან შეცვალოს მათი მოქმედების სფერო.<sup>18</sup>

ევროპის შიდა წყლის სატრანსპორტო გემების კონსერვაციის ფონდის დაფუძნების შესახებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით 1977 წლის 26 აპრილის N1/76 დასკვნაში<sup>19</sup> ევროპის

<sup>13</sup> Judgment of the European Court of Justice, *Fédération Charbonnière de Belgique v. High Authority of the European Coal and Steel Community*, 16/07/1956, Case 8-55. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61955CJ0008>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

\* ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე – EC-ის შესახებ ხელშეკრულების 308-ე მუხლი.

<sup>14</sup> Schütze, R., 2018. *European Union Law*. 2 nd ed. New York: Cambridge University Press, გვ. 235.

<sup>15</sup> Dokument 12016L/AFI/DCL/41. A. DECLARATIONS CONCERNING PROVISIONS OF THE TREATIES 41. Declaration on Article 352 of the Treaty on the Functioning of the European Union. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12016L%2FAFI%2FDCL%2F41>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>16</sup> Dokument 12016L/AFI/DCL/42. A. DECLARATIONS CONCERNING PROVISIONS OF THE TREATIES 42. Declaration on Article 352 of the Treaty on the Functioning of the European Union. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12016L/AFI/DCL/42>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>17</sup> Advisory Opinion of the International Court of Justice, *Reparation for injuries suffered in the service of the United Nations*, 11/04/1949. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.icj-cij.org/public/files/case-related/4/004-19490411-ADV-01-00-EN.pdf>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021]. კერძოდ, გაეროს საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული ერების „ორგანიზაცია განხილულ უნდა იქნეს როგორც ისეთი უფლებამოსილებების მქონე, რომლებიც თუმცა არ არის მითითებული წესდებაში, მაგრამ დასკვნა მათი არსებობის შესახებ ორგანიზაციის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებისთვის მიჩნეულია როგორც სავალდებულო, არსებითი“. ამით, ფაქტობრივად, დასაბამი მიეცა ნაგულისხმევი კომპეტენციის დოქტრინას.

<sup>18</sup> Лифшиц, И. М., 2018. Некоторые аспекты взаимодействия международного финансового права и права Европейского союза. Вестник Балтийского федерального университета им. И. Канта. Серия: гуманитарные и общественные науки, 2, გვ. 9.

<sup>19</sup> Opinion of the European Court of Justice, *Opinion given pursuant to Article 228 (1) of the EEC Treaty – “Draft Agreement establishing a European laying-up fund for inland waterway vessels”*, 26/04/1977, Opinion 1/76. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CV0001>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

მართლმსაჯულების სასამართლომ კვლავ მიუთითა, რომ საერთაშორისო ვალდებულებების აღების უფლებამოსილება შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ხელშეკრულების პირდაპირი მითითების შედეგად, არამედ იგი ასევე შეიძლება არაპირდაპირ (implicitly) გამომდინარეობდეს მისი დებულებებიდან (იყოს ნაგულისხმევი). სასამართლომ ასევე აღიარა გაერთიანების მიერ საგარეო კომპეტენციის განხორციელების შესაძლებლობა იმ შემთხვევებშიც, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული მიზანი, მაგრამ შესაბამისი სამართლებრივი აქტი ჯერ არ არის მიღებული.<sup>20</sup> ამასთან, გაერთიანების ვალდებულებები შეიძლება გამოიხატებოდეს არა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულების დადებაში, არამედ სხვა სახელმწიფოსთან ისეთ ურთიერთქმედებაში, რაც საერთაშორისო ორგანოს შექმნას გულისხმობს.<sup>21</sup>

2006 წლის 7 თებერვლის N1/03 დასკვნაში ECJ-მ აღიარა, რომ ევროპის გაერთიანებას გააჩნია ექსკლუზიური კომპეტენცია, დადოს ლუგანოს კონვენცია სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის საქმეებზე სასამართლო განსჯადობის, სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ.<sup>22</sup> მსგავსი შეთანხმების დადების თაობაზე გაერთიანების უფლებამოსილების არსებობის დადასტურების მიზნით, ლუქსემბურგის სასამართლომ აღნიშნულ დასკვნაში გაერთიანების კომპეტენციისა და საერთაშორისო შეთანხმების საგნის გაანალიზების დეტალური მეთოდოლოგია დაადგინა. კერძოდ, მან მიუთითა, რომ ამგვარი ანალიზის განხორციელებისას, „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ გაერთიანების წესებისა და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების დებულებების მოქმედების სფერო“, არამედ ასევე „ამ წესებისა და დებულებების არსი და შინაარსი, რათა არ მოხდეს გაერთიანების წესების ერთგვაროვანი და თანმიმდევრული გამოყენებისა და მის მიერ ჩამოყალიბებული სისტემის ჯეროვანი ფუნქციონირების დონის შემცირება“.<sup>23</sup>

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის 90-იან

წლებში სასამართლომ Open Skies საქმეთა სერიიში გადახედა შეუზღუდავი „პარალელიზმის“ კონცეფციას, რომლის დროსაც კავშირის საგარეო უფლებამოსილებები ენიჭებოდა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შიდა კომპეტენციის განხორციელებას საჭიროებდა. შედეგად, ჩამოყალიბებულ იქნა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ შიდა კომპეტენცია საგარეო კომპეტენციის მინიჭების საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუკი ისინი ერთდროულად ხორციელდება.<sup>24</sup>

თუმცა ECJ-ს მიერ განხილული ბოლო საქმეები ნათლად მოწმობს, რომ ნაგულისხმევი უფლებამოსილებების დოქტრინა ამჟამად, ფაქტობრივად, „მეორედ დაბადებას“ განიცდის.<sup>25</sup> ერთ-ერთ ბოლოდროინდელ დასკვნაში მან დაადგინა, რომ ეკ-ს გააჩნია ექსკლუზიური კომპეტენცია, დადოს მარაკემის ხელშეკრულება გამოქვეყნებული ნაშრომებისადმი უსინათლო, მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ინფორმაციის აღქმისას სხვა სახის შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეთანხმება არ განეკუთვნება ევროკავშირის საერთო სავაჭრო პოლიტიკას, მასში გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების არსი კავშირის საერთო ნორმების დიდ რაოდენობას მოიცავს. ამიტომ მისმა დადებამ შეიძლება გავლენა იქონიოს ასეთ ნორმებზე ან შეცვალოს მათი შემადგენლობა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3(2) მუხლის თვალსაზრისით.<sup>26</sup>

ცოტა ხნის წინ განხილულ საქმეში – „გერმანია საბჭოს წინააღმდეგ“ – ლუქსემბურგის სასამართლომ შორსმიმავალი დასკვნა გააკეთა

<sup>24</sup> Judgment of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Federal Republic of Germany, 05/11/2002, Case C-476/98. § 83. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61998CJ0476\\_SUM](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61998CJ0476_SUM)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>25</sup> Лифшиц, И. М., 2019. Членство Европейского союза в международных организациях в контексте его правосубъектности. Московский журнал международного права. 1, 83. 59.

<sup>26</sup> Opinion of the Court of Justice of the European Union, Opinion on the Marrakesh Treaty to Facilitate Access to Published Works for Persons who are Blind, Visually Impaired or Otherwise Print Disabled, 14/02/2017, Opinion 3/15 of the Court (Grand Chamber). § 129. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62015CV0003>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>20</sup> იქვე. § 4.

<sup>21</sup> იქვე. § 5.

<sup>22</sup> Opinion of the European Court of Justice, Competence of the Community to conclude the new Lugano Convention on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, 07/02/2006, Opinion 1/03. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62003CV0001>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>23</sup> იქვე. § 133.

იმასთან დაკავშირებით, რომ „ევროპის კავშირის შეიქმნება შქონდეს საგარეო კომპეტენცია, რომელიც სცდება იმ შემთხვევათა ფარგლებს, როდესაც მას ექსკლუზიური კომპეტენცია გააჩნია ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-3(2) მუხლის საფუძველზე“<sup>27</sup> ვინაიდან „ევროპის კავშირის უფლებამოსილება საერთაშორისო შეთანხმებების დადების თაობაზე შეიქმნება წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრულებებით პირდაპირ გათვალისწინებული დელეგირების საფუძველზე, არამედ არაპირდაპირ გამომდინარეობდეს ხელშეკრულებების სხვა დებულებებიდან, აგრეთვე ამ დებულებების ფარგლებში ეკ-ის ინსტიტუტების მიერ გატარებული ღონისძიებებისაგან“.<sup>28</sup>

ეკ-ის, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, პოტენციური გავლენა საერთაშორისო სამართლის ნორმათა ფორმირებაზე, მეტწილად, დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესახებ მის უფლებამოსილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში ფორმალური სტატუსის მიღების შესაძლებლობასთან. ქვემოთ განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი მონაწილეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საკითხი.

### 3. ევროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის სამართლებრივი სპეციფიკა

ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 216(1)-ე მუხლი უფლებას ანიჭებს ევროკავშირს, დადოს შეთანხმებები არა მხოლოდ მესამე ქვეყნებთან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც; 220(1)-ე მუხლის თანახმად, „კავშირი ნებისმიერი სახის მიზანშეწონილ თანამშრომლობას ამყარებს გაეროს ორგანოებთან და მის სპეციალიზირებულ დაწესებულებებთან: ევროპის საბჭოსთან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და

ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან“, ამასთან, იგი „სათანადო ურთიერთობებს ინარჩუნებს ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან“. ფაქტობრივად, ხელშეკრულება ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებს ყოფს ევროკავშირისთვის პრიორიტეტულ (გაერო, ევროპის საბჭო, ეუთო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) და დანარჩენ ორგანიზაციებად.<sup>29</sup> გაერთიანების უფლება, ითანამშრომლოს მესამე ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის მიზნით, ECJ-მ ჯერ კიდევ 1977 წელს აღიარა ევროპის შიდა სანაოსნო ტრანსპორტის ხომალდთა კონსერვაციის ფონდის შექმნის შესახებ შეთანხმების პროექტის თაობაზე ზემოხსენებულ დასკვნაში.<sup>30</sup>

მეორე მხრივ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება როდი უშვებს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროპის კავშირის წევრობას. თუმცა ასეთი წევრობა შეიძლება პირდაპირ იყოს გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციის ფუძემდებელი დოკუმენტით. მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) დაფუძნების შესახებ მარაკეშის შეთანხმების XI და XIV მუხლები ადგენს, რომ ევროპის გაერთიანებები ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრები ხდებიან.<sup>31</sup> ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და მისი მონაწილე სახელმწიფოების წევრობა ასევე ოფიციალურად დაუშვა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO), საკუთარი წესდების II მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე<sup>32</sup> და 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.

<sup>29</sup> Кашкин, С. Ю., „Ред.“ 2016. Право Европейского Союза: В 2 томах. Т. 1: Общая часть: Учебник для бакалавриата и магистратуры. М.: Юрайт, г. 292.

<sup>30</sup> Opinion of the European Court of Justice, Opinion given pursuant to Article 228 (1) of the EEC Treaty – “Draft Agreement establishing a European laying-up fund for inland waterway vessels”, 26/04/1977, Opinion 1/76. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CV0001>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>31</sup> Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization. Adopted on 15 April 1994. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/04-wto\\_e.htm](https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/04-wto_e.htm)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>32</sup> გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წესდების სანახავად იხ. Basic Texts of the Food and Agriculture Organization of the United Nations. Volumes I and II, 2017 edition. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.fao.org/3/K8024E/K8024E.pdf>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>27</sup> Judgment of the Court of Justice of the European Union, Federal Republic of Germany v. Council of the European Unions, 05/12/2017, Case C-600/14. § 51. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62014CJ0600>> წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>28</sup> იქვე. § 45.

საინტერესოა, რომ FAO-ს წესდების II მუხლის მე-4 პუნქტი ორგანიზაციის წევრობის პრეტენდენტი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ გარკვეულ მოთხოვნებს აყენებს: იგი უნდა იყოს: (1) სუვერენული ქვეყნების მიერ დაფუძნებული (2) სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, (3) რომელსაც წევრმა სახელმწიფოებმა გადასცეს კომპეტენცია FAO-ს რეგულირების სფეროში შემავალ საკითხებში, (4) მათ შორის ასეთ საკითხებზე ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების ჩათვლით; გარდა ამისა, (5) განწევრიანების მსურველი ორგანიზაციის სახელმწიფოების უმრავლესობა FAO-ს წევრი უნდა იყოს. წევრობის პრეტენდენტი საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ იმავე კრიტერიუმებს ადგენს გაეროს 1982 წლის კონვენციაც საზღვაო სამართლის შესახებ.<sup>33</sup>

ევროპის კავშირის წევრობა შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებაში შეტანილი შესწორებებით. ასე, მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 2004 წლის 13 მაისის N14 ოქმით (ძალაშია 2010 წლის 1 ივნისიდან) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 59-ე მუხლს დაემატა ახალი შინაარსის მქონე მე-2 პუნქტი, რომელიც კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესაძლებლობას ადგენს.<sup>34</sup> ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის წესდებაში ცვლილებები ევროპის გაერთიანების მიმართვის შემდეგ შეიტანეს, იმისათვის, რომ მასში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა დაეშვა.<sup>35</sup>

საერთოდ, „კლასიკურ“ საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო ხელ-

შეკრულების საფუძველზე შექმნილ ორგანოებში დაუშვებელია რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი წევრი ქვეყნების ერთდროული მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში. როგორც წესი, რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციას ხმების გარკვეული რაოდენობა ენიჭება, რაც მისი მონაწილეების რაოდენობის ტოლია, რომლებიც იმავე დროს საერთაშორისო ორგანიზაციის ან სახელშეკრულებო ორგანოს წევრები არიან (იხ. WTO-ს დამფუძნებელი შეთანხმება, მუხ. IX, პუნ. 1, FAO-ს წესდება, მუხ. II, პუნ. 10, ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის რეგლამენტი,<sup>36</sup> მუხ. 2).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია თევზჭერის მარეგულირებელი საერთაშორისო ორგანიზაციები, სადაც ევროკავშირის ასევე სრული წევრობა გააჩნია. მათ შორისაა ატლანტიკური ტუნასის კონსერვაციის საერთაშორისო კომისია (ICCAT), ჩრდილო-აღმოსავლეთის ატლანტიკური ოკეანის თევზჭერის კომისია (NEAFC) და სხვ. ამასთან, პრინციპული სხვაობა არსებობს WTO-სა და FAO-ს მსგავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და თევზჭერის მართვის ამ ორგანიზაციებში ეკ-ის წევრობას შორის: პირველ შემთხვევაში კავშირი ორგანიზაციის წევრი თავის მონაწილე ქვეყნებთან ერთად არის, ანუ ადგილი აქვს პარალელურ წარმომადგენლობას მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში პარალელური მონაწილეობა არ არსებობს და ევროკავშირი, როგორც კონსოლიდირებული საერთაშორისო აქტორი, საკუთარი წევრი სახელმწიფოების გარეშე იცავს ორგანიზაციის ინტერესებს.<sup>37</sup>

გაეროში ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ 1974 წელს მოიპოვა გენერალური ასამბლეის დამკვირვებლის სტატუსი, რაც ნიშნავს როგორც სესიების საქმიანობაში, ისე კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების მუშაობაში მონაწილეობის შესაძლებლობას.<sup>38</sup> 2011 წლის 3 მაისს, 88-ე პლენარულ სხდომაზე, გენერალურმა ასამბლეამ

<sup>33</sup> გაეროს 1982 წლის 10 დეკემბრის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.un.org/depts/los/convention\\_agreements/texts/unclos/unclos\\_e.pdf](https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021]. კერძოდ, კონვენციაში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობას მისი 305-ე მუხლი განამტკიცებს, ხოლო ის კრიტერიუმები, რომლებსაც განწევრიანების მსურველი საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს, კონვენციის IX დანართშია განსაზღვრული.

<sup>34</sup> მუხლი 17, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი N14 „კონვენციის საბედაობედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ“.

<sup>35</sup> ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციაში გაერთიანების განწევრიანების ისტორია დანერგულითაა აღწერილი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების პრეამბულაში. – იხ. Council Decision 2006/719/EC of 5 October 2006 on the accession of the Community to the Hague Conference on Private International Law.

<sup>36</sup> იხ. Rules of Procedure. Hague Conference on Private International Law. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.hcch.net/en/instruments/conventions/rules-of-procedure>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>37</sup> Моисеева, Д. Э., 2018. Взаимодействие Европейского союза с международными организациями в контексте организационной теории. Вестник Пермского университета. Серия: Политология, Т. 12, 4, с. 156.

<sup>38</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 11 ოქტომბრის 3208 (XXIX) რეზოლუცია გენერალური ასამბლეაში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სტატუსის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://undocs.org/en/A/RES/3208%28XXIX%29>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

აღნიშნა, რომ „ევროპის კავშირმა შეცვალა ევროპის გაერთიანება“ და, რომ ეკ-ის წევრმა სახელმწიფოებმა საგარეო წარმომადგენლობის ფუნქციები ინსტიტუტების წარმომადგენლებს (ევროპული საბჭოს თავმჯდომარეს, კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ევროპის კომისიას და ევროკავშირის დელეგაციებს) დაააკისრეს. ამ სხდომაზე მიღებული 65/276 რეზოლუცია ითვალისწინებს დამკვირვებლის რანგში ეკ-ის მონაწილეობის ფორმებს გენერალური ასამბლეის მუშაობაში,<sup>39</sup> რაც მკვლევართა მიერ შეფასებულია როგორც „გაფართოებული ან გაძლიერებული დამკვირვებლის“ სტატუსის მინიჭება.<sup>40</sup> ამავე დროს, გაეროში სრულფუნქციონირებელი წევრად კავშირის მიღების ალბათობა მიმერულია, ვინაიდან იგი მთლიანად სახელმწიფოებზეა ორიენტირებული, წევრობას მხოლოდ სუვერენული ქვეყნებისთვის ითვალისწინებს და არა ეკ-ის მსგავსი სუპრანაციონალური გაერთიანებებისთვის. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ევროკავშირისთვის, გაეროს 50-ზე მეტი მრავალმხრივი შეთანხმების ხელმომწერი და მისი ზოგიერთი სტრუქტურის სრულფასოვანი მონაწილე გამხდარიყო. კერძოდ, მას საკუთარი დელეგაციები ჰყავს გაეროს ისეთ სააგენტოებსა და სტრუქტურებში, როგორებიცაა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და სხვ. ამასთან, თანამშრომლობა მხოლოდ პოლიტიკურ დიალოგს როდი ემყარება; კავშირი მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას უწევს გაეროს პროგრამებსა და პროექტებს, რომლებიც საფინანსო და ადმინისტრაციული ჩარჩო შეთანხმებების საფუძველზე ხორციელდება. შესაბამისად, ყოველწლიურად მხარეებს შორის 1000-ზე მეტი შიდა საკოორდინაციო შეხვედრა იმართება ნიუ-იორკში, ჟენევაში და ვენაში, საერთო

<sup>39</sup> Resolution 65/276. Participation of the European Union in the work of the United Nations, pp. 31-33. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://undocs.org/pdf?symbol=en/A/65/49%20\(VOL.%20III\)>](https://undocs.org/pdf?symbol=en/A/65/49%20(VOL.%20III)>) [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021]. რეზოლუციის თანახმად, ევროკავშირის სტატუსი გაფართოვდა; ამიერიდან მის წარმომადგენლებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ზოგად დებატებში, წინასწარი შეთანხმების გარეშე სიტყვიერ გამოვიდნენ გენერალური ასამბლეის სხდომებზე და, რაც მნიშვნელოვანია, დაიცვან ეკ-ის, როგორც საერთაშორისო აქტორის, პოზიცია.

<sup>40</sup> Kuijper, P. J. and others, 2013. The Law of EU External Relations. Oxford: Oxford University Press, გვ. 208.

პოზიციის შემუშავების მიზნით.<sup>41</sup>

იმ შემთხვევებში, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები ერთდროულად არიან როგორც ევროპის კავშირი, ისე მისი მონაწილე ქვეყნები (ე.წ. შერეული წევრობა), ისინი ახორციელებენ დამფუძნებელი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ და პრინციპის რანგში აყვანილ ვალდებულებას იმის თაობაზე, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს „ლოიალური თანამშრომლობა“ კავშირსა (მის ინსტიტუტებსა) და წევრ სახელმწიფოებს შორის. მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საერთაშორისო შეთანხმებების დადების თაობაზე გაერთიანების კომპეტენციასთან დაკავშირებით 1994 წლის 15 ნოემბრის N1/94 დასკვნაში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ „თანამშრომლობის ვალდებულება გამომდინარეობს გაერთიანების საერთაშორისო წარმომადგენლობის ერთიანობის მოთხოვნიდან“.<sup>42</sup>

ცალკეულ შემთხვევებში კავშირის (გაერთიანების) სამართლებრივი აქტი ადგენს საერთაშორისო ორგანოსთან ამ ევროპული გაერთიანებისა და მისი წევრი ქვეყნების ურთიერთქმედების წესებს. მაგალითად, „კოდექს ალიმენტარიუსის“ კომისიასთან (FAO-სა და WHO-ს ერთობლივ კომისიასთან) ევროპის გაერთიანების შეერთების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების დანართში მოცემული იყო შეთანხმება საბჭოსა და კომისიას შორის აღნიშნული კოდექსის მომზადების თაობაზე.<sup>43</sup> ამ დოკუმენტის 2.2 პუნქტით, წევრ ქვეყნებს დაევალებათ კოდექსის მიხედვით კომისიის ცირკულარებზე დამოუკიდებელი პასუხისგან თავის შეკავება, – მაშინ, როცა კომისია დაადგენს, რომ საჭიროა ერთობლივი პასუხი.

როდესაც ესა თუ ის საკითხი ევროკავშირის

<sup>41</sup> Павельева, Э. А., 2011. Формирование международной правосубъектности Европейского союза. Сибирский юридический вестник, 2 (53), გვ. 130.

<sup>42</sup> Opinion of the European Court of Justice, Competence of the Community to conclude international agreements concerning services and the protection of intellectual property - Article 228 (6) of the EC Treaty, 15/11/1994, Opinion 1/94. § 108. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A61994CV0001>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>43</sup> Arrangement between the Council and the Commission regarding preparation for Codex Alimentarius. - Meetings and statements and exercise of voting rights (Annex III to Council Decision 2003/822/EC of 17 November 2003 on the accession of the European Community to the Codex Alimentarius Commission). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/eli/dec/2003/822/oj>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].



ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება, მაგრამ ეს უკანასკნელი არ არის საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ან საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მაშინ კავშირის ინტერესებს გამოხატავს ეკ-ის წევრი სახელმწიფო, რომელიც გაერთიანების ერთგვარ წარმომადგენლად გამოდის.<sup>44</sup> მეტიც, ასეთ შემთხვევაში წევრი ქვეყანა არაა უფლებამოსილი, განახორციელოს თავისი მონაწილეობის უფლება. მაგალითად, საქმეში – „ევროპის გაერთიანების კომისია საბერძნეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ – ECJ-მ მიუთითა, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში (საუბარი იყო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაზე) თუნდაც არამავალდებულებელი წინადადების წარდგენა არამართლზომიერი ქმედებაა, მაშინაც კი, როდესაც თვითონ გაერთიანება ამ ორგანიზაციის წევრი არ არის.<sup>45</sup>

პერფლოროოქტანის სულფონატის საქმეში (PFOS case) სასამართლომ მიუთითა, რომ ლოიალური თანამშრომლობის ვალდებულება ვრცელდება წევრი სახელმწიფოს ქმედებებზე კონვენციის საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციის შემთხვევებში, როცა ეს ქვეყანა მოქმედებს თავისი (ეკ-ისთვის არადელეგირებული) კომპეტენციის ფარგლებში.<sup>46</sup> სხვა საქმეში ECJ-მ მხარი დაუჭირა კომისიას, რომლის მტკიცებით, ირლანდიის უფლება არ ჰქონდა საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალში შეეტანა სარჩელი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს გაერთიანების სამართლებრივი სისტემის ავტონომიას.<sup>47</sup> სასამართლომ აღნიშნა,

რომ ის წესები, რომლებიც ირლანდიამ დიდი ბრიტანეთის მიმართ თავის პრეტენზიებს დაუდო საფუძველად, სრულად არის მოცული გაერთიანების სამართლებრივი აქტებით და, შესაბამისად, ისინი გაერთიანების კომპეტენციას, მის მართლწესრიგს, აგრეთვე ECJ-ს ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება, EC-ის შესახებ ხელშეკრულების 292-ე მუხლის\* საფუძველზე.<sup>48</sup> ამასთან, თვით საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციის 282-ე მუხლიც დავების გადაწყვეტისას პრიორიტეტს კონვენციის მონაწილეებს შორის ცალკე შეთანხმებით (მოცემულ შემთხვევაში – EC-ის შესახებ ხელშეკრულებით) გათვალისწინებულ პროცედურას ანიჭებს.

ეკ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის კონტექსტში, გამორჩეულად საინტერესოა მისი ურთიერთქმედების სპეციფიკა ევროპის რეგიონში მოქმედ „კონკურენტ“ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროპის საბჭოსა და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები ამ უკანასკნელის დაფუძნებისთანავე დამყარდა – 1957 წელს. თუმცა მრავალი ათწლეულის განმავლობაში საქმე ორმხრივი დეკლარაციების იქით არ წასულა. მხოლოდ 1992 წელს დაიწყო პირველი ერთობლივი პროგრამები ადამიანის უფლებების დაცვისა და განათლების სფეროში. თანამშრომლობის უახლესი ეტაპი 2007 წელს ურთიერთგაგების მემორანდუმის<sup>49</sup> ხელმოწერით აღინიშნა. დღეისთვის ამ ორ ორგანიზაციას შორის ურთიერთქმედება განზრახვათა შესახებ 2014 წელს ხელმოწერილ დეკლარაციას<sup>50</sup> ეფუძნება. მართალია, ეკ-ს თავისი დელეგაცია ჰყავს ევროპის საბჭოში, მაგრამ დამკვირვებლის ფორმალური სტატუსი მას არ გააჩნია. მეტიც, იგი უგულებელყოფს ასეთი სტატუსის შეძენის შესაძლებლობას (ამის მიზეზზე საუბარი ქვემოთ

<sup>44</sup> Cremona, M., 2009. Member States as Trustees of the Community Interest: Participating in International Agreements on Behalf of the European Community. EUI Working Papers. LAW 2009/17. Department of Law, გვ. 13. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/12881/LAW\\_2009\\_17.pdf?sequence=1&isAllowed=y](https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/12881/LAW_2009_17.pdf?sequence=1&isAllowed=y)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>45</sup> Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Hellenic Republic, 12/02/2009, Case 45/07. § 26, 31, 38. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62007CJ0045>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>46</sup> Judgment of the Court of Justice of the European Union, European Commission v. Kingdom of Sweden, 20/04/2010, Case C-246/07. § 103-105. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62007CJ0246>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>47</sup> Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Ireland, 30/05/2006, Case 459/03. § 124. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=eccli:ECL:EU:C:2006:345>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

\* ამჟამად – ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 344-ე მუხლი.

<sup>48</sup> Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Ireland, 30/05/2006, Case C-459/03. § 119-123. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=eccli:ECL:EU:C:2006:345>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>49</sup> Memorandum of Understanding between the Council of Europe and the European Union. Signed in Strasbourg on 23 May 2007. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://eeas.europa.eu/sites/default/files/mou\\_2007\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/sites/default/files/mou_2007_en.pdf)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>50</sup> Statement of Intent for the cooperation between the Council of Europe and the European Commission. Signed in Brussels on 1 April 2014. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/168066b99e>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

გვექნება). თუმცა ეს გარემოება ხელს არ უშლის ამ ორ ორგანიზაციას, ათეულობით ერთობლივი პროექტი განახორციელოს.

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ურთიერთობებში „შებრკოლების ლოდად“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (შემდეგში – „კონვენცია“) იქცა, რომლის მონაწილე ეკ-ის ყველა წევრი სახელმწიფოა, მაგრამ არა – თავად ევროპის კავშირი. ამასთან, კონვენციასთან შეერთება სულაც არ ნიშნავს, რომ კავშირი ავტომატურად ხდება ევროპის საბჭოს წევრი. ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების საფუძველზე, ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-6(2) მუხლით ევროკავშირმა აიღო კონვენციასთან შეერთების ვალდებულება, რისი პირობებიც მისი დამფუძნებელი ხელშეკრულებებისადმი თანდართული N8 ოქმით<sup>51</sup> წინასწარ იქნა შეთანხმებული. მთავარი პირობა იყო, რომ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს შეენარჩუნებინა წევრ ქვეყნებს შორის კავშირის სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე წამოჭრილი დავების განხილვის ექსკლუზიური უფლება, – მაშინაც კი, თუ საერთაშორისო დავების მოგვარების სხვა მექანიზმები გამოიყენება. კონვენციასთან შეერთების შემთხვევაში კი, პირიქით, კავშირის ინსტიტუტები საგარეო კონტროლის ობიექტი გახდება. ამას მოჰყვება, მაგალითად, ის, რომ კომისიის გადაწყვეტილებები ჯარიმების დაკისრების შესახებ, ან თავად ECJ-ს გადაწყვეტილებები, თეორიულად, შეიძლება გასაჩივრდეს. სწორედ ამიტომ ევროპის პარლამენტის, საბჭოსა და წევრი ქვეყნების მხარდაჭერის მიუხედავად, 2014 წლის ბოლოს ლუქსემბურგის სასამართლომ, ეკ-ის დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან შეუსაბამობის საბაბით, უარყოფითი დასკვნა გამოიტანა კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით.<sup>52</sup>

<sup>51</sup> Protocol no. 8 relating to Article 6 (2) of the Treaty on European Union on the accession of the Union to the European Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. OJ C 326, 26.10.2012, p. 273. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://data.europa.eu/eli/treaty/tfeu\\_2012/pro\\_8/oj](http://data.europa.eu/eli/treaty/tfeu_2012/pro_8/oj)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>52</sup> Opinion of the Court of Justice of the European Union, Opinion pursuant to Article 218(11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 18/12/2014, Opinion 2/13. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62013CV0002>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

ასეთი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მოტივი თანამოქალაქეობის მექანიზმის შემოღების თავიდან აცილება იყო, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, განეხილა დავები ევროკავშირისა და წევრ სახელმწიფოებს შორის კომპეტენციების განაწილების თაობაზე, რისი ექსკლუზიური უფლებაც ამჟამად მხოლოდ ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს აქვს. არსებითად, ეს მექანიზმი ხელყოფს კავშირის მართლწესრიგის ავტონომიურ ხასიათს და შესაძლებლობას აძლევს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომ ECJ-ს პრაქტიკის ინტერპრეტაცია მოახდინოს, რაც საფრთხეს უქმნის ამ უკანასკნელის ექსკლუზიურ კომპეტენციას.<sup>53</sup> დაბოლოს, სასამართლომ მნიშვნელოვანი დასკვნა ჩამოაყალიბა: „[...] თვით ეკ-ის სამართლის არსი [...] მოითხოვს, რომ ურთიერთობები წევრ ქვეყნებს შორის რეგულირდებოდეს ევროკავშირის სამართლით, ნებისმიერი სხვა სამართლის გამორიცხვით, თუკი ამას ეკ-ის სამართალი ითხოვს“.<sup>54</sup>

ჰელსინკის პროცესის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე, ევროპის კავშირი (1993 წლამდე – ევროპის გაერთიანებები), გადაჭარბების გარეშე, წამყვან როლს ასრულებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (თავდაპირველად – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭო) მუშაობაში. საგულისხმოა, რომ 1975 წელს ევროპის გაერთიანებების საბჭოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ჰელსინკის დასკვნით აქტს;<sup>55</sup>

<sup>53</sup> Исполинов, А. С., 2015. Суд Европейского Союза против присоединения ЕС к Европейской Конвенции по правам человека (причины и следствия). Международное правосудие, 1 (13), 88-126.

<sup>54</sup> ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის N2/13 დასკვნა, § 212. ამ დასკვნაში სასამართლოს მიერ გამოყენებული არგუმენტების დეტალური ანალიზი იხ.: პაპავა, ი., 2018. ევროპის კავშირის შეერთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან: ობიექტური აუცილებლობა თუ შეუთავსებელი შეთავსების მცდელობა? ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2/13 დასკვნის ანალიზი. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 12, გვ. 97-118; Douglas-Scott, S., 2016. Autonomy and Fundamental Rights: The ECJ's Opinion 2/13 on Accession of the EU to the ECHR. Europarättslig tidskrift, 1, გვ. 29 - 44; Eeckhout, P., 2015. Opinion 2/13 on EU Accession to the ECHR and Judicial Dialogue: Autonomy or Autarky? Fordham International Law Journal, 38 (4), გვ. 955-992 და სხვ.

<sup>55</sup> Helsinki Final Act (1975). Final act of the 1st CSCE Summit of Heads of State or Government. 1 August 1975. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.osce.org/helsinki-final-act>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

მოგვიანებით ევროპის კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილ იქნა პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის (1990 წელს)<sup>56</sup> და ევროპის უსაფრთხოების ქარტია (1999 წელს).<sup>57</sup> 2006 წლიდან, ეუთოს პროცედურის წესების თანახმად, კავშირის წარმომადგენელს ყველა სხდომაზე ცალკე ადგილი აქვს განკუთვნილი ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის გვერდით (იხ. ნაწილი IV).<sup>58</sup> ეკ-ის ყველა წევრი სახელმწიფო ეუთოს მონაწილეა; სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის თითქმის 70%-ს, ასევე არასაბიუჯეტო დაფინანსების ძირითად ნაწილს. ამასთან, ევროპის კავშირის ოფიციალური სტატუსი ორგანიზაციაში განსაზღვრული არაა.\*

ევროკავშირის ასევე მჭიდრო და მრავალმხრივი თანამშრომლობა აქვს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), რომლის 35 მუდმივი წევრი სახელმწიფოდან 21 ეკ-ის შემადგენლობაში შედის, მაგრამ ოფიციალური სტატუსი მას არც აქ გააჩნია. მართალია, პარიზში, OECD-ის შტაბ-ბინაში, მუშაობს ევროპის კავშირის მუდმივი დელეგაცია, რომელშიც, დიპლომატებისა და ევროპის კომისიის თანამშრომლების გარდა, ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენელიც შედის, მაგრამ, იმის გამო, რომ კავშირის ოფიციალური სტატუსი არ აქვს, დელეგაციის ხელმძღვანელი, სამართლებრივი აქტების მიღებისას, კენჭისყრაში არ მონაწილეობს. OECD-სა და ევროპის გაერთიანებას შორის განსაკუთრებული კავშირი ეკონომიკური თანამშრომლობისა და

განვითარების ორგანიზაციის შესახებ პარიზის 1960 წლის კონვენციის<sup>59</sup> მე-13 მუხლსა და კონვენციის N1 დამატებით ოქმშია<sup>60</sup> ხაზგასმული.

#### 4. ევროპის კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების ტიპოლოგია

ზოგადად, ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ურთიერთქმედება გარკვეული ფორმალური სტატუსის (წევრი, დამკვირვებელი, კანდიდატი, ან სხვ.) არსებობას გულისხმობს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში ეკ-ის სტატუსის გათვალისწინებით შესაძლებელია შედგეს კონკრეტული ტიპოლოგია, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში მისი ჩართულობის მასშტაბის შესახებ მთელ მსოფლიოში და ამავე დროს შესაძლებელს ხდის შეფასდეს და განისაზღვროს ამ ორგანიზაციებთან ევროკავშირის ურთიერთქმედების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი.

1. სრული წევრობა ხმის უფლებით. სიტუაცია, როდესაც ევროპის კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრის სტატუსი გააჩნია, წესიდან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს; ეს სწორედ ისაა, რასაც კავშირი, ფაქტობრივად, ყველა ორგანიზაციასთან ურთიერთობაში ესწრაფვის. აქ თავს ერთი თავისებურება იჩენს, რაც მეტი სახელისუფლებო რესურსი და ინსტიტუციური პოტენციალი გააჩნია ევროკავშირს ამა თუ იმ სფეროში, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ იგი მეტი უფლებამოსილებებით იყოს აღჭურვილი იმავე პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციაში.<sup>61</sup>

<sup>56</sup> Charter of Paris for New Europe. Adopted on 21 November 1990 by the heads of State and government of the Conference on Security and Cooperation in Europe. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.osce.org/files/f/documents/0/6/39516.pdf>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>57</sup> Charter for European Security (Istanbul, November 1999). The Charter was adopted at the 6th OSCE Summit of Heads of State or Government in Istanbul and is part of the Istanbul Document 1999. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.osce.org/files/f/documents/4/2/17502.pdf>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>58</sup> Rules of Procedure of the Organization for Security and Co-operation in Europe. MC.DOC/1/06. 1 November 2006. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.osce.org/files/f/documents/5/0/22775.pdf>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

\* თანამედროვე ეტაპზე ეკ-სადაეუთოს შორის თანამშრომლობა შემდეგ სფეროებზე ვრცელდება: სასამართლო სისტემის რეფორმირება, სახელმწიფო მმართველობა, არჩევნები, კორუფციასთან ბრძოლა, დემოკრატიზაცია, ინსტიტუციური განვითარება და ადამიანის უფლებები, საზღვრების მართვა, მედიის განვითარება და სხვ.

<sup>61</sup> Convention on the Organisation for Economic Co-operation and Development (Paris, 14 December 1960). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.oecd.org/general/conventiononthetheorganisationforeconomicco-operationanddevelopment.htm>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>60</sup> Supplementary Protocol No.1 to the Convention on the OECD (Paris, 14 December 1960). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.oecd.org/general/supplementaryprotocolno19Epk8Nwm-ceRwRALsJpuu2K2TJgkcFsZps.htm>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>61</sup> Моисеева, Д. Э., 2018. Взаимодействие Европейского союза с международными организациями в контексте организационной теории. Вестник Пермского университета. Серия: Политология, Т. 12 (4) 83. 155.

ამის ნათელი მაგალითი WTO და FAO-ა, სადაც ეკ-ის სრულყოფილიანი წევრობა, დიდწილად, ერთიანი ევროპული ბაზრის მშენებლობის საქმეში მიღწეული წარმატებებითაა განპირობებული. ამასთან, ის მაქსიმუმი, რასაც კავშირმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობაში შეიძლება მიაღწიოს, – არის სრული წევრობა ხმის უფლებით და პარალელური წარმომადგენლობის არარსებობა, როგორც ეს, მაგალითად, თევზჭერის მართვის საერთაშორისო ორგანიზაციების (ICCAT, NEAFC) შემთხვევაშია, რაც, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, მეტისმეტად იშვიათი მოვლენაა.

2. „გაძლიერებული“ დამკვირვებელი. გაძლიერებული დამკვირვებელი, ანუ სრულ წევრობასთან მიახლოებული დამკვირვებლის სტატუსი არ გულისხმობს კენჭისყრის პროცესში მონაწილეობას. თუმცა კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციიდან გამომდინარე, კავშირს შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს ისეთი პრივილეგიები, როგორებიცაა: წინასწარ შემათანხმებულ პლენარულ სხდომაზე გამოსვლა, ადგილი სამუშაო ჯგუფებში, შესწორებების შეტანის შესაძლებლობა და ა.შ. ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, სადაც ეკ-ს „გაძლიერებული“ დამკვირვებლის სტატუსი გააჩნია, არის გაერო. სრულ წევრობასთან მიახლოებული დამკვირვებლის სტატუსით ევროკავშირი სარგებლობს ასევე მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაში (WCO). თეორიულად ორივე ამ ორგანიზაციაში სრულფასოვანი წევრის სტატუსის მოპოვებისთვის აუცილებელია, შესაბამისი ცვლილებები შევიდეს მათ წესდებაში (ქარტიაში), რაც ამ ორგანიზაციების ყველა წევრის მხარდაჭერას საჭიროებს და, ბუნებრივია, ძალზე რთული მისაღწევია, მით უმეტეს, რომ, მაგალითად, WCO-ს წევრი ქვეყნები დიდად კეთილგანწყობილნი არ არიან ორგანიზაციის შიგნით ეკ-ის უფლებამოსილებების გაფართოების საკითხის მიმართ. ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში კავშირის უფლებამოსილების გაფართოება მუდამ ერთიანი ევროპის წარმომადგენელთა ხანგრძლივი, რუტინული მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

3. მუდმივი დამკვირვებელი. ევროკავშირის მუდმივი დამკვირვებლის სტატუსი გააჩნია, მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ILO), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში (WHO), საერთაშორისო სავალუტო ფონდში (IMF), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში (IMO) და ა.შ. მისთვის ამ ტიპის წარმომადგენლობის არცთუ მთლად სასიამოვნო თავისებურებას ერთი საერთაშორისო

ორგანიზაციის ფარგლებში საკუთარ წევრ ქვეყნებთან თანაარსებობის აუცილებლობა წარმოადგენს. უსიამოვნება კი იმაში მდგომარეობს, რომ მსგავსი ორგანიზაციების ფორმატში ეკ-ის სახელმწიფოებს უფრო მაღალი სტატუსი აქვთ, ვიდრე, საკუთრივ, ევროკავშირს და ისინი ამ უკანასკნელისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, ე.ი. ადგილი აქვს არა მარტო პარალელურ წარმომადგენლობას, არამედ შიგადაშიგ – ინტერესთა შესაძლო კონკურენციასაც.<sup>62</sup> საერთაშორისო ორგანიზაციაში მუდმივი დამკვირვებლის სტატუსისას, კავშირი ცდილობს მის ამაღლებას, მაგრამ ეს ყოველთვის როდი გამოსდის. ამასთან, ხშირად თვით მისი წევრი ქვეყნები არ არიან დაინტერესებულნი საერთაშორისო ორგანიზაციებში კავშირის როლის გაძლიერებით, არ არიან მზად, საკუთარი საგარეო პოლიტიკური წარმომადგენლობის უფლებამოსილებები სუპრანაციონალურ დონეზე გადასცენ.\* ამრიგად, საერთაშორისო ორგანიზაციაში ევროპის კავშირის უფლებამოსილებების გაფართოებას შეიძლება ხელს უშლიდეს (ენინააღმდეგებოდეს) როგორც მესამე ქვეყნები, ისე ეკ-ის სახელმწიფოებიც.

4. „მოჩვენებითი“ სტატუსი. მსგავსი სტატუსი გულისხმობს საერთაშორისო ორგანიზაციაში ევროკავშირის ოფიციალური სტატუსის (მაგრამ არა – აქტიური ურთიერთქმედების) ფაქტობრივ არარსებობას. ასეთი სიტუაცია, ძირითადად, დამახასიათებელია ეკ-ის ურთიერთობებისთვის „კონკურენტ“ ორგანიზაციებთან – ევროპის საბჭოსთან, ეუთოსთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD). ევროპის კავშირის ურთიერთობები ამ ორგანიზაციებთან ძალზე არაერთგვაროვანია: ერთი მხრივ, მათ არ შეუძლიათ ერთმანეთის იგნორირება, – თუნდაც იმიტომ, რომ ერთ რეგიონში არსებობენ; მეორე მხრივ, ევროკავშირის ოფიციალური განცხადება ამ ორგანიზაციებში მათი პირველობის აღიარება იქნებოდა, რასაც გადაჭრით ენინააღმდეგებიან ეკ-ის ინსტიტუტები, რომლებსაც არ სურთ თავიანთი ექსკლუზიური კომპეტენციის დაკარგვა. შესაბამისად,

<sup>62</sup> იქვე. 88-158.

\* ასეთი სიტუაციის მაგალითად შეიძლება დასახელდეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO), სადაც ევროპის გაერთიანებების კომისიამ დამკვირვებლის სტატუსი ჯერ კიდევ 1974 წელს მოიპოვა. 2002 წელს ევროკავშირის კომისიამ რეკომენდაციით მიმართა საბჭოს, რომ სტატუსის ხმის მიცემის უფლებით სრულ წევრობამდე გაზრდის ინიციატივით გამოსულიყო. თუმცა ეს ინიციატივა საბჭოში განხილვის ეტაპზევე წააწყდა ეკ-ის წევრი ქვეყნების წინააღმდეგობას. მას შემდეგ IMO-ში კომისიის სტატუსი არ შეცვლილა.

ამ ორგანიზაციებთან კავშირის ურთიერთქმედება პრინციპული „გაუწევრიანებლობის“ ფარგლებში ხორციელდება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ევროპის საბჭოსა და ეუთოსგან განსხვავებით, OECD-სთან მიმართებით ევროკავშირი თავისი სტატუსის გაზრდის მიღწევას გეგმავს (ხმის უფლების მქონე სრულფასოვან წევრობამდე, როგორც ეს მას WTO-სა და FAO-ში აქვს). ეს ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ OECD, თავისი საქმიანობის ხასიათით, უფრო აზრთა გაცვლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ფორუმს მოგვავსებს, სავალდებულო წესებისა და რეგულაციების მიღების გარეშე. მუდმივი წევრების გარდა, იგი მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანასთან თანამშრომლობს, რაც მას საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის მეტად მიმზიდველ პლატფორმად აქცევს თანამედროვე გლობალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების პირობებში. თუმცა მთავარ დაბრკოლებად აქვს წესდებაში შესწორების შეტანის აუცილებლობა რჩება, ვინაიდან მოცემულ ეტაპზე ორგანიზაციის წევრობა მხოლოდ სუვერენული ქვეყნებისთვისაა შესაძლებელი.

5. სტატუსის არარსებობა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, სიტუაცია, როდესაც ეკ-ს სურს, მაგრამ ვერ აღწევს საერთაშორისო ორგანიზაციაში სტატუსის (ვერც სრულფასოვანი მონაწილის და ვერც თუნდაც დამკვირვებლის) მიღებას, – სულაც არაა იშვიათობა საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO) – გავლენიანი სატრანსპორტო სტრუქტურა, სადაც ევროკავშირმა ვერაფრით მოახერხა თუნდაც დამკვირვებლის სტატუსით შესვლა, ტრანსპორტის სფეროში მისი საკმაოდ მოცულობითი და ვრცელი სუპრანაციონალური კანონმდებლობის მიუხედავად. ამიტომაცაა, რომ ევროპის კავშირი ICAO-სთან თანამშრომლობას ორგანიზაციაში ოფიციალური წევრობის მიღმა ავითარებს.<sup>63</sup>

<sup>63</sup> ICAO-ს ოფიციალურ ჟურნალში ეკ-ის წევრობის შუქ-ლებლობის შესახებ შემდეგი განმარტებაა მოცემული: „ამ დრომდე კონვენცია არ ითვალისწინებს ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციების (REIOs) როლს, – ისეთების, როგორცაა ევროპის გაერთიანება. მიუხედავად ამისა, ორივე ორგანიზაცია აღიარებს, პრაგმატული მიდგომის საფუძველზე, მჭიდრო პარტნიორობით მუშაობის მნიშვნელობას, ასევე იმას, რომ თანამშრომლობისა და მისი აუცილებლობის იგნორირება უფრო ფართო საერთაშორისო სამოქალაქო საავიაციო საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა“. – იხ. The EC and ICAO: Celebrating accomplishments. 2009. ICAO Journal. 4 (64), გვ. 29. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.icao.int/publications/journalsreports/2009/6404\\_en.pdf](https://www.icao.int/publications/journalsreports/2009/6404_en.pdf)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

კიდევ ერთ მაგალითს გაეროს უშიშროების საბჭო წარმოადგენს, სადაც კავშირის ინტერესებს ნომინალურად მონაწილე ქვეყნები წარმოადგენენ, რაც ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების 34-ე მუხლშია განმტკიცებული: „წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრებიც არიან, კოორდინირებულად მოქმედებენ და სრულად აწვდიან ინფორმაციას დანარჩენ წევრ ქვეყნებს, აგრეთვე უმაღლეს წარმომადგენელს. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც უშიშროების საბჭოს წევრები არიან, თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას იცავენ კავშირის პოზიციებსა და ინტერესებს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას“.<sup>64</sup>

საერთაშორისო ორგანიზაციაში ეკ-ის შუამავლობითი მონაწილეობის შემთხვევაა ასევე ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (IAEA), სადაც ევროკავშირს არ აქვს დამკვირვებლის ოფიციალური სტატუსი, თუმცა შესაბამისი სტატუსი გააჩნია ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას (ევროატომს).<sup>65</sup>

## დასკვნა

ეკ-ის საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საკითხების განხილვის შედეგად, შეიძლება მნიშვნელოვანი განზოგადებული დასკვნები გაკეთდეს:

პირველი, ევროპის კავშირის საერთაშორისო სამართალსუბიექტობა საერთაშორისო მართლ-წესრიგზე მისი ზემოქმედების წინაპირობას წარმოადგენს. ამასთან, გარკვეულ სფეროებში ეს სამართალსუბიექტობა გამომდინარეობს როგორც დამფუძნებელი ხელშეკრულებების პირდაპირი მითითებიდან, ისე კავშირის ნაგულისხმევი უფლებამოსილებებიდან, რომლებიც, თავის მხრივ,

<sup>64</sup> მუხლი 34 (2), აბზაცი-2, ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012M%2F1XTI>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

<sup>65</sup> Papadimitropoulos, T., 1987. Co-operative networks for international development: Since its beginnings, the IAEA has maintained a special status with the UN... and among international organizations. IAEA Bulletin, 3, გვ. 17. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.iaea.org/sites/default/files/publications/magazines/bulletin/bull29-3/29301081418.pdf>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

შეიძლება დამფუძნებელი დოკუმენტების მიზნების მიღწევის აუცილებლობით იყოს განპირობებული. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ECJ იმგვარად განმარტავდა ხელშეკრულებებს ევროპის გაერთიანების შესახებ, რომ მათი საგარეო კომპეტენცია შეიძლება „მიდა კომპეტენციის“ მარეგულირებელი გაერთიანების სამართლებრივი აქტით იყოს განსაზღვრული. ამ დებულებას „EART-ის პრინციპი“ ეწოდა. შესაბამისად, ევროპის გაერთიანების კომპეტენცია, ფაქტობრივად, მისივე ინსტიტუტის მიერ იქნა გაფართოებული, დამფუძნებელი ხელშეკრულების ასხნა-განმარტების გზით. მოგვიანებით (2007 წელს) ECJ-ს მიერ ჩამოყალიბებული ეს დებულებები – კავშირის კომპეტენციის შესახებ – თითქმის უცვლელად იქნა გადატანილი ხელშეკრულებაში ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ.

მეორე, საერთაშორისო ასპარეზზე ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების კონსოლიდირებული მოქმედების საჭიროება გამომდინარეობს „ლოიალური თანამშრომლობის“ პრინციპიდან, რომელიც ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლშია განმტკიცებული. ამასთან, იმ შემთხვევებში, როდესაც კავშირს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად არ შეუძლია სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ან საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე გახდეს, ეკ-ის ინსტიტუტები მოუწოდებენ წევრ ქვეყნებს, იმოქმედონ, როგორც მთელი გაერთიანების ინტერესების წარმომადგენლებმა.

მესამე, კავშირის ინსტიტუტების, პირველ რიგში, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ევროპის კომისიის საქმიანობა წევრი სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლებრივი

პოზიციის კონსოლიდაციას იწვევს. ამასთან, სასამართლო დიდი მონდომებით იცავს მის მონოპოლიურ მდგომარეობას ევროკავშირის სამართლებრივ წესრიგში და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ უშვებს ისეთი საერთაშორისო შეთანხმებების დადებას, რომლებიც საერთაშორისო მართლმსაჯულების სხვა ორგანოების იურისდიქციას ითვალისწინებს. მის მიერ ჩამოყალიბებული პოზიციის თანახმად, წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ექსკლუზიურად ეკ-ის სამართლით უნდა რეგულირდებოდეს.

მეოთხე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების მეშვეობით, კავშირი აქტიურად და შეგნებულად უწყობს ხელს საკუთარი ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას საერთაშორისო სივრცეში, რითაც ცდილობს, რომ ეს ველი უფრო ერთგვაროვანი და თავისთვის უფრო ხელსაყრელი გახადოს. თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მისი ურთიერთობების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ამბიციები სრულად მხოლოდ იშვიათ (რამდენიმე) შემთხვევაში ხორციელდება, დანარჩენ სიტუაციებში კი ევროკავშირს ან არ აქვს ხელშესახები წარმატება, ან წინააღმდეგობას აწყდება. ამასთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკ-ის ურთიერთქმედების მთავარი (ზოგადი) სპეციფიკა ისაა, რომ რაც უფრო მეტი და ქმედითი სახელისუფლებო რესურსი და ინსტიტუციური პოტენციალია კონცენტრირებული კავშირის (სუპრანაციონალურ) დონეზე ამა თუ იმ სფეროში, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ იგი მეტი უფლებამოსილებებით იყოს წარმოდგენილი იმავე პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციაში, რაც, თავისთავად, ზრდის ასეთ ორგანიზაციასთან მისი ურთიერთქმედების ინსტიტუციონალიზაციის ხარისხს.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, ლ., 2010. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: ინოვაცია.
2. გაბრიჩიძე, გ., 2012. ევროპული კავშირის სამართალი. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. ოპერმანი, თ., კლასენი, კ. დ. და ნეთესჰაიმი, მ., 2020. ევროპული სამართალი: სასწავლო სახელმძღვანელო. მე-8, განახლებული გამო-

ცემა, 2018, თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

4. პაპავა, ი., 2020. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთქმედების ასპექტები N2/13 დასკვნის შემდეგ. სამართალი და მსოფლიო, 14, გვ. 96-116.
5. პაპავა, ი., 2018. ევროპის კავშირის შეერთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან:

- ობიექტური აუცილებლობა თუ შეუთავსებელი შეთავსების მცდელობა? (ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2/13 დასკვნის ანალიზი). საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 12, გვ. 97-118.
6. Czuczai, J., 2017. The Principle of Solidarity in the EU Legal Order – Some Practical Examples after Lisbon. In Czuczai, J., Naert, F., The EU as a Global Actor – Bridging Legal Theory and Practice. Leiden: Brill-Nijhoff, გვ. 145-165.
  7. Douglas-Scott, S., 2016. Autonomy and Fundamental Rights: The ECJ's Opinion 2/13 on Accession of the EU to the ECHR. *Europarättslig tidskrift*, 1, გვ. 29-44.
  8. Eeckhout, P., 2015. Opinion 2/13 on EU Accession to the ECHR and Judicial Dialogue: Autonomy or Autarky? *Fordham International Law Journal*, 38 (4), გვ. 955-992.
  9. Kaiser, J. H., 1984. Grenzen der EG-Zuständigkeit. *Europarecht Heft*, 4, 97.
  10. Klabbers, J., 2017. *International Law*. 2nd Ed. Cambridge: Cambridge University Press.
  11. Köck H. F., 1988. Die "implied powers" der Europäischen Gemeinschaften als Anwendungsfall der "implied powers" Internationaler Organisationen überhaupt. *Festschrift für J. S. Hohenveldern*. Köln.
  12. Peers, S., 2015. The EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare. *German Law Journal*, 16 (1).
  13. Spielmann, D., 2017. The Judicial Dialogue between the European Court of Justice and the European Court of Human Rights or How to Remain Good Neighbors after the Opinion 2/13. *FRAME Magazine* (29 March 2017). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.fp7-frame.eu/blog/2017/03/29/judicial-dialogue/>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].
  14. Рябова, В., О., 2016. Взаимодействие Суда Европейского союза и Европейского суда по правам человека по делам о защите прав человека после Лиссабонского договора: Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. Москва: МГИМО Университет. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova\\_diss.pdf](https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova_diss.pdf)> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].
  15. Хартли, Т. К., 1998. Основы права Европейского Сообщества. Введение в конституционное и административное право Европейского Сообщества. М.: ЮНИТИ, Закон и право.
  16. Энтин, К., 2015. Присоединение Европейского Союза к Европейской Конвенции о защите прав человека и основных свобод: анализ Заключения Суда ЕС 2/13. *Сравнительное конституционное обозрение*, 3 (106).
- ნორმატიული მასალა:**
1. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community. OJ C 306, 17 December 2007. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C:2007:306:FULL&from=EN>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].
- სასამართლო პრაქტიკა:**
1. Judgement of the European Court of Justice, Commission v. Italian Republic, 07/02/1973, Case 39-72. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61972CJ0039>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].
  2. Judgement of the European Court of Justice, Cornelis Kramer and others, 14/07/1976, Joined cases 3, 4 and 6-76. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A61976CJ0003>> [წვდომის თარიღი 28 აპრილი 2021].

## BIBLIOGRAPHY: \_\_\_\_\_

### Used Literature:

1. Aleksidze, L., 2010. *Modern International Law*. Publishing House "Innovation", Tbilisi. (in Georgian)
2. Gabrichidze, G., 2012. *European Union Law*. Institute of European and Comparative Law Publishing House, Tbilisi. (in Georgian)
3. Oppermann, Th., Classen, C. D. and Nettesheim, M., 2020. *European Law: A Textbook*. 8th, updated edition, 2018, Tbilisi. (in Georgian)
4. Papava, I., 2019. Aspects of the interaction between the Court of Justice of the European Union and the European Court of Human Rights after

- Opinion No. 2/13. *Law and The World*, 14, pp. 96-116. (in Georgian)
- Papava, I., 2018. Accession of the European Union to the European Convention on Protection of Human Rights and Fundamental Freedoms: Objective Necessity or Attempt to Reconcile the Incompatible? *Analysis of the Opinion 2/13 of the Court of Justice of the European Union*. *Constitutional Law Review*, 12, pp. 97-118. (in Georgian)
  - Czuczai, J., 2017. The Principle of Solidarity in the EU Legal Order – Some Practical Examples after Lisbon. In Czuczai, J., Naert, F., *The EU as a Global Actor – Bridging Legal Theory and Practice*. Leiden: Brill-Nijhoff, pp. 145-165. (in English)
  - Douglas-Scott, S., 2016. Autonomy and Fundamental Rights: The ECJ's Opinion 2/13 on Accession of the EU to the ECHR. *Europarättslig tidskrift*, 1, pp. 29 - 44. (in English)
  - Eeckhout, P., 2015. Opinion 2/13 on EU Accession to the ECHR and Judicial Dialogue: Autonomy or Autarky? *Fordham International Law Journal*, 38 (4), pp. 955-992. (in English)
  - Kaiser, J. H., 1984. Grenzen der EG-Zuständigkeit. *Europarecht Heft*, 4, 97ff. (in German)
  - Klabbers, J., 2017. *International Law*. 2<sup>nd</sup> Ed. Cambridge: Cambridge University Press. (in English)
  - Köck, H. F., 1988. Die "implied powers" der Europäischen Gemeinschaften als Anwendungsfall der "implied powers" Internationaler Organisationen überhaupt. *Festschrift für J. S. Hohenveldern*. Köln. (in German)
  - Peers, S., 2015. The EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare. *German Law Journal*. 16 (1), pp. 213-222. (in English)
  - Spielmann, D., 2017. The Judicial Dialogue between the European Court of Justice and the European Court of Human Rights or How to Remain Good Neighbors after the Opinion 2/13. *FRAME Magazine* (29 March 2017). [Online] Available at: <http://www.fp7-frame.eu/blog/2017/03/29/judicial-dialogue/> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  - Ryabova, V. O., 2016. The interaction between the Court of Justice of the European Union and the European Court of Human Rights in cases of protection of human rights after the Lisbon Treaty: The dissertation for obtaining the degree of candidate of legal sciences. MGIMO University, Moscow. [Online] Available at: [https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova\\_diss.pdf](https://mgimo.ru/upload/diss/2016/ryabova_diss.pdf) [Accessed 28 April 2021]. (in Russian)
  - Hartley, T. K., 1998. *The Foundations of European Community Law: An Introduction to the Constitutional and Administrative Law of the European Community*. M.: UNITI, Law and Legislation. (in Russian)
  - Entin, K., 2015. Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms: an analysis of the Opinion of the Court of Justice no. 2/13. *Sravnitel'noe konstitutsionnoe obozrenie [Comparative Constitutional Review]*, 3 (106), pp. 83-91. (in Russian)

### Normative materials:

- Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community. OJ C 306, 17 December 2007. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:C:2007:306:FULL&from=EN> [Accessed 28 April 2021]. (in English)

### Judicial practice:

- Judgement of the European Court of Justice, *Commission v. Italian Republic*, 07/02/1973, Case 39-72. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61972CJ0039> [Accessed 28 April 2021]. (in English)
- Judgement of the European Court of Justice, *Cornelis Kramer and others*, 14/07/1976, Joined cases 3, 4 and 6-76. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A61976CJ0003> [Accessed 28 April 2021]. (in English)

### REFERENCES:

- Shaw, M., 2017. *International Law*. 8th ed. Cambridge: Cambridge University Press, p. 991. (in English)
- Vienna Convention on the Law of Treaties between States and International Organizations or between International Organizations. Adopted on 21 March 1986. [Online] Available at: [https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1\\_2\\_1986.pdf](https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_2_1986.pdf) [Accessed 28 April 2021]. (in English)
- Kuijper, P. J. and others, 2013. *The Law of EU External Relations*. Oxford: Oxford University Press, p. 1. (in English)
- Kashkin, S. Y., "Ed." 2016. *Law of the European Union: In 2 volumes. Volume 1: General part: Textbook for Undergraduate and Graduate Courses*. Moscow: Yurayt Publishing House, p. 292. (in Russian)
- Lifshits, I. M., 2019. EU Membership in International Organizations in the Context of Its Personality. *Moscow Journal of International Law*. 1, p. 57. (in Russian)



6. Papava, I., 2017. Legal Basis of the Functioning of the European Union: Fundamental Acts and Comments. Tbilisi, p. 133. (in Georgian)
7. Judgment of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Council of the European Communities. - European Agreement on Road Transport, 31/03/1971, Case 22-70. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61970CJ0022> [Accessed 28 April 2021]. (in English)
8. Ibid. § 14.
9. Ibid. § 15.
10. Ibid. § 16.
11. Ibid. § 22.
12. Horspool, M. and others, 2006. European Union Law. 4th ed. New York: Oxford University Press, p. 92. (in English)
13. Judgment of the European Court of Justice, Fédération Charbonnière de Belgique v. High Authority of the European Coal and Steel Community, 16/07/1956, Case 8-55. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61955CJ0008> [Accessed 28 April 2021]. (in English)
14. Schütze, R., 2018. European Union Law. 2nd ed. New York: Cambridge University Press, p. 235. (in English)
15. Dokument 12016L/AFI/DCL/41. A.DECLARATIONS CONCERNING PROVISIONS OF THE TREATIES 41.Declaration on Article 352 of the Treaty on the Functioning of the European Union. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12016L%2FAFI%2FDCL%2F41> [Accessed 28 April 2021]. (in English)
16. Dokument 12016L/AFI/DCL/42. A. DECLARATIONS CONCERNING PROVISIONS OF THE TREATIES 42..Declaration on Article 352 of the Treaty on the Functioning of the European Union. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12016L/AFI/DCL/42> [Accessed 28 April 2021]. (in English)
17. Advisory Opinion of the International Court of Justice, Reparation for injuries suffered in the service of the United Nations, 11/04/1949. [Online] Available at: <https://www.icj-cij.org/public/files/case-related/4/004-19490411-ADV-01-00-EN.pdf> [Accessed 28 April 2021]. (in English)
18. Lifshits, I. M., 2018. Some aspects of the iInteraction of International Financial Law and the Law of the European Union. Vestnik Immanuel Kant Baltic Federal University. Series: Humanities and social Sciences, 2, p. 9. (in Russian)
19. Opinion of the European Court of Justice, Opinion given pursuant to Article 228 (1) of the EEC Treaty – “Draft Agreement establishing a European laying-up fund for inland waterway vessels”, 26/04/1977, Opinion 1/76. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CV0001> [Accessed 28 April 2021]. (in English)
20. Ibid. § 4.
21. Ibid. § 5.
22. Opinion of the European Court of Justice, Competence of the Community to conclude the new Lugano Convention on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, 07/02/2006, Opinion 1/03. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62003CV0001> [Accessed 28 April 2021]. (in English)
23. Ibid. § 133.
24. Judgment of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Federal Republic of Germany, 05/11/2002, Case C-476/98. § 83. [Online] Available at: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61998CJ0476\\_SUM](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:61998CJ0476_SUM) [Accessed 28 April 2021]. (in English)
25. Lifshits, I. M., 2019. EU Membership in International Organizations in the Context of Its Personality. Moscow Journal of International Law. 1, p. 59. (in Russian)
26. Opinion of the Court of Justice of the European Union, Opinion on the Marrakesh Treaty to Facilitate Access to Published Works for Persons who are Blind, Visually Impaired or Otherwise Print Disabled, 14/02/2017, Opinion 3/15 of the Court (Grand Chamber). § 129. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62015CV0003> [Accessed 28 April 2021]. (in English)
27. Judgment of the Court of Justice of the European Union, Federal Republic of Germany v. Council of the European Unions, 05/12/2017, Case C-600/14. § 51. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62014CJ0600> [Accessed 28 April 2021]. (in English)
28. Ibid. § 45.
29. Kashkin, S. Y., “Ed.” 2016. Law of the European Union: In 2 volumes. Volume 1: General part: Textbook for Undergraduate and Graduate Courses. Moscow: Yurayt Publishing House, p. 292. (in Russian)
30. Opinion of the European Court of Justice, Opinion given pursuant to Article 228 (1) of the EEC Treaty – “Draft Agreement establishing a European laying-up fund for inland waterway vessels”, 26/04/1977, Opinion 1/76. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CV0001> [Accessed 28 April 2021]. (in English)

- [content/EN/TXT/?uri=CELEX%3A61976CV0001>](#) [Accessed 28 April 2021]. (in English)
31. Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization. Adopted on 15 April 1994. [Online] Available at: [https://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/04-wto\\_e.htm](https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/04-wto_e.htm) [Accessed 28 April 2021]. (in English)
  32. Basic Texts of the Food and Agriculture Organization of the United Nations. Volumes I and II, 2017 edition. [Online] Available at: <http://www.fao.org/3/K8024E/K8024E.pdf> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  33. United Nations Convention on the Law of the Sea. Adopted on 10 December 1982. [Online] Available at: [https://www.un.org/depts/los/convention\\_agreements/texts/unclos/unclos\\_e.pdf](https://www.un.org/depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf) [Accessed 28 April 2021]. (in English)
  34. Article 17, Protocol No. 14 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, amending the control system of the control system of the Convention. (in Georgian)
  35. Council Decision 2006/719/EC of 5 October 2006 on the accession of the Community to the Hague Conference on Private International Law. (in English)
  36. Rules of Procedure. Hague Conference on Private International Law. [Online] Available at: <https://www.hcch.net/en/instruments/conventions/rules-of-procedure> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  37. Moiseeva, D. E., 2018. The European Union's cooperation with international organizations in the context of organizational theory. Bulletin of Perm University. Political Science. 12, (4) p. 156. (in Russian)
  38. UN General Assembly Resolution 3208 (XXIX) of 11 October 1974 on the status of the European Economic Community in the General Assembly. [Online] Available at: <https://undocs.org/en/A/RES/3208%28XXIX%29> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  39. Resolution 65/276. Participation of the European Union in the work of the United Nations, pp. 31-33. [Online] Available at: [https://undocs.org/pdf?symbol=en/A/65/49%20\(VOL.%20II\)](https://undocs.org/pdf?symbol=en/A/65/49%20(VOL.%20II)) [Accessed 28 April 2021]. (in English)
  40. Kuijper, P. J. and others, 2013. The Law of EU External Relations. Oxford: Oxford University Press, p. 208. (in English)
  41. Paveljeva, E. A., 2011. Formation of European Union's International Legal Personality. Siberian Law Herald, 2 (53), p. 130. (in Russian)
  42. Opinion of the European Court of Justice, Competence of the Community to conclude international agreements concerning services and the protection of intellectual property - Article 228 (6) of the EC Treaty, 15/11/1994, Opinion 1/94. § 108. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A61994CV0001> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  43. Arrangement between the Council and the Commission regarding preparation for Codex Alimentarius. - Meetings and statements and exercise of voting rights (Annex III to Council Decision 2003/822/EC of 17 November 2003 on the accession of the European Community to the Codex Alimentarius Commission). [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/eli/dec/2003/822/oj> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  44. Cremona, M., 2009. Member States as Trustees of the Community Interest: Participating in International Agreements on Behalf of the European Community. EUI Working Papers. LAW 2009/17. Department of Law, p. 13. [Online] Available at: [https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/12881/LAW\\_2009\\_17.pdf?sequence=1&isAllowed=y](https://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/12881/LAW_2009_17.pdf?sequence=1&isAllowed=y) [Accessed 28 April 2021]. (in English)
  45. Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Hellenic Republic, 12/02/2009, Case 45/07. § 26, 31, 38. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62007CJ0045> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  46. Judgement of the Court of Justice of the European Union, European Commission v. Kingdom of Sweden, 20/04/2010, Case C-246/07. § 103-105. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A62007CJ0246> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  47. Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Ireland, 30/05/2006, Case 459/03. § 124. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=ecli:ECLI:EU:C:2006:345> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  48. Judgement of the European Court of Justice, Commission of the European Communities v. Ireland, 30/05/2006, Case C-459/03. § 119-123. [Online] Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=ecli:ECLI:EU:C:2006:345> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  49. Memorandum of Understanding between the Council of Europe and the European Union. Signed in Strasbourg on 23 May 2007. [Online] Available at: [https://eeas.europa.eu/sites/default/files/mou\\_2007\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/sites/default/files/mou_2007_en.pdf) [Accessed 28 April 2021]. (in English)
  50. Statement of Intent for the cooperation between

- the Council of Europe and the European Commission. Signed in Brussels on 1 April 2014. [Online] Available at: <<https://rm.coe.int/168066b99e>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
51. Protocol No. 8 relating to Article 6(2) of the Treaty on European Union on the accession of the Union to the European Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. OJ C 326, 26.10.2012, p. 273. [Online] Available at: <[http://data.europa.eu/eli/treaty/tfeu\\_2012/pro\\_8/oj](http://data.europa.eu/eli/treaty/tfeu_2012/pro_8/oj)> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  52. Opinion of the Court of Justice of the European Union, Opinion pursuant to Article 218(11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 18/12/2014, Opinion 2/13. [Online] Available at: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A62013CV0002>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  53. Ispolinov, A. S., 2015. Second veto of the Court of Justice of the European Union on the EU's accession to the European Convention on Human Rights (causes and effects). *Mezhdunarodnoe pravosudie* [International Justice], 1 (13), p. 126. (in Russian)
  54. Opinion of the Court of Justice of the European Union, 18/12/2021, Opinion 2/13, § 212. (in English)
  55. Helsinki Final Act (1975). Final act of the 1st CSCE Summit of Heads of State or Government. 1 August 1975. [Online] Available at: <<https://www.osce.org/helsinki-final-act>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  56. Charter of Paris for New Europe. Adopted on 21 November 1990 by the heads of State and government of the Conference on Security and Cooperation in Europe. [Online] Available at: <<https://www.osce.org/files/f/documents/0/6/39516.pdf>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  57. Charter for European Security (Istanbul, November 1999). The Charter was adopted at the 6th OSCE Summit of Heads of State or Government in Istanbul and is part of the Istanbul Document 1999. [Online] Available at: <<https://www.osce.org/files/f/documents/4/2/17502.pdf>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  58. Rules of Procedure of the Organization for Security and Co-operation in Europe. MC.DOC/1/06. 1 November 2006. [Online] Available at: <<https://www.osce.org/files/f/documents/5/0/22775.pdf>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  59. Convention on the Organisation for Economic Co-operation and Development (Paris, 14 December 1960). [Online] Available at: <<https://www.oecd.org/general/conventionontheorganisationforeconomic-operationanddevelopment.htm>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  60. Supplementary Protocol No.1 to the Convention on the OECD (Paris, 14 December 1960). [Online] Available at: <<https://www.oecd.org/general/supplementaryprotocolno13qbxD7tbaUM3Yfo6d-Kh3puH1nMn2t7kMe.htm>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  61. Moiseeva, D. E., 2018. The European Union's co-operation with international organizations in the context of organizational theory. *Bulletin of Perm University. Political Science*. 12 (4), p. 155. (in Russian)
  62. *Ibid.* p. 155.
  63. The EC and ICAO: Celebrating accomplishments. 2009. *ICAO Journal*, 4 (64), p. 29. [Online] Available at: <[https://www.icao.int/publications/journalsreports/2009/6404\\_en.pdf](https://www.icao.int/publications/journalsreports/2009/6404_en.pdf)> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  64. Article 34 (2), paragraph 2, Treaty on European Union. [Internet] Available: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012M%2FTXT>> [Accessed 28 April 2021]. (in English)
  65. Papadimitropoulos, T., 1987. Co-operative networks for international development: Since its beginnings, the IAEA has maintained a special status with the UN... and among international organizations. *IAEA Bulletin*, 3, p. 17. [Online] Available at: <<https://www.iaea.org/sites/default/files/publications/magazines/bulletin/bull29-3/29301081418.pdf>> [Accessed 28 April 2021]. (in English)

# „უფლებრივი სახელმწიფოს“ იდეა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში

## თამარ ავალიანი

სამართლის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს იურიდიული ფაკულტეტის  
აფილირებული ასოცირებული პროფესორი  
ელფოსტა: [tamar.avaliani888@gmail.com](mailto:tamar.avaliani888@gmail.com)

### აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება „უფლებრივი სახელმწიფოს“ იდეას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში, რომელიც ნასაზრდოები იყო დასავლური ფასეულობებითა და ადამიანზე ორიენტირებული ღირებულებებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ „უფლებრივი სახელმწიფოს“ იდეა ითვალისწინებდა ყველა იმ კომპონენტს, რომელსაც თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოიაზრებს. სტატიაში გაანალიზებულია თავისუფლებისა და თანასწორობის განუყოფლობის იდეა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში და კანტისეული დოქტრინის გავლენა თანასწორობის და თავისუფლების ერთიანობის შესახებ. ნაშრომში გამოკვლეულია სეკულარიზმის პრინციპი და მისი მოწესრიგების თავისებურებანი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციასა და მოქმედ კონსტიტუციაში, შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ხარვეზები სეკულარიზმის პრინციპისა და კონფესიათა თანასწორობის გარანტირების კუთხით.

სტატიაში კონსტიტუციური დებულებები გაანალიზებულია თანამედროვე კონსტიტუციური ღირებულებების ჭრილში. ნაშრომში ხაზგასმულია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის როლი და მემკვიდრეობითი უწყვეტობა, რაც მას თანამედროვე ქართულ კონსტიტუციასთან აკავშირებს.

საკვანძო სიტყვები: თავისუფლება, თანასწორობა, სეკულარიზმი

# The Idea of „Rule of Law State” in the First Constitution of Democratic Republic of Georgia

**Tamar Avaliani**

*Doctor of Law, Affiliated Associate Professor at faculty of law at Georgian National University SEU*

Email: [tamar.avaliani888@gmail.com](mailto:tamar.avaliani888@gmail.com)

## ABSTRACT

The article demonstrates the idea of „legal state” in the first constitution of the Democratic Republic of Georgia. The western values oriented to the individual and human rights were implemented in the first constitution. The research revealed, that the idea of „legal state” envisaged all the components that the modern concept of rule of law comprise. The article analyses the idea of the unified understanding of the liberty and equality and the influence of the Kant’s doctrine (about the unity of the liberty and equality) on its constitutional reglamentation. The article analyses the principle of secular state in the first constitution of Georgia, dated February 21,1921 and its comparison with the modern reglamentation of secular state and its drawbacks.

Constitutional provisions are analyzed in article in terms of modern constitutional values. The paper underlines the role of constitution of the first democratic republic of Georgia and its hereditary wholeness that connects it to the modern constitution of Georgia.

KEYWORDS: liberty, equality, secularism

## შესავალი

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის „დამფუძნებელი მამების“ მიზანს ადამიანის უფლებებსა და სამართლის უზენაესობაზე ორიენტირებული ევროპული ტიპის დემოკრატიული სისტემის შექმნა წარმოადგენდა. გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „1921 წლის კონსტიტუციის იდეოლოგიური გეზი დაეფუძნა იმ სამართლებრივი კომპასის მაჩვენებელს, რომლითაც „კონსტიტუციის მამები“ ხელმძღვანელობდნენ და რომელიც ნამდვილად მიდიოდა დემოკრატიული და „უფლებრივი სახელმწიფოს“ დამყარებისკენ.“<sup>1</sup> კონსტიტუციის ავტორები მიუღებლად მიიჩნევდნენ უცხოური ქვეყნების გამოცდილების ქართულ სამართლებრივ სივრცეში ავტომატურ გადმოტანას ქართული სახელმწიფოს თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. დროებითი მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანიას განმარტავდა: „ისეთი კონსტიტუცია უნდა შევქმნათ, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებას შეეგუება. პირდაპირ სხვის ტანზე გამოჭრილი ტანისამოსი არ გამოგვადგება.“<sup>2</sup>

„მეორე ტალღის“ კონსტიტუციებს შორის 1921 წლის კონსტიტუცია<sup>3</sup> გამოირჩეოდა ადამიანის უფლებებისადმი მაღალი მგრძნობელობით და დაცულობის სტანდარტით, რაც კონსტიტუციის მაღალი ღირებულებით დატვირთვამეუთითებდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის მთავარი ღირებულება თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანი იყო.

ადამიანის უფლებების მომწესრიგებლმა ნორმებმა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ტექსტის ნახევარზე მეტი შეადგინა და მოაწესრიგა ყველა ის უფლება, რომლებსაც იმ პერიოდის ევროპული კონსტიტუციები ითვალისწინებდნენ. ამასთანავე, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით რეგლამენტირდა ყველა უფლება, რომელიც

კონსტიტუციაში პირდაპირ მითითებული არ იყო, მაგრამ კონსტიტუციით აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარეობდა.

## კონსტიტუციის ცნების გააზრება

კონსტიტუციის ავტორთა გენერალურ მიზანს დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება წარმოადგენდა<sup>4</sup> „თანახმად დემოკრატიული რესპუბლიკის ბუნებისა“<sup>5</sup>.

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის „დამფუძნებელი მამები“ კონსტიტუციას უპირველესად ღირებულებების დოკუმენტად მიიჩნევდნენ, რომელიც განმსჭვალულია იმ მყარი პრინციპებითა და ფასეულობებით, რომლებიც სახელმწიფოს წესწყობილებას და სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობას აწესრიგებს<sup>6</sup>. კონსტიტუციის ავტორები კონსტიტუციას ინდივიდის სახელმწიფოსთან ურთიერთობის გარანტიად და მთავარ საყრდენად თვლიდნენ. საკონსტიტუციო კომისიის წევრის - კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით: „კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს ისეთ იურიდიულ ნორმებს, რომლებიც საზღვრავენ სახელმწიფოს ფუნქციების განაწილებას ორგანოთა შორის, ორგანოთა ორგანიზაციას და სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობას.“<sup>7</sup> „დამფუძნებელი მამები“ ძირითად კანონს საზოგადოების ზოგადსამართლებრივ, მულტიფუნქციურ მოდელად მიიჩნევდნენ და მის ინტეგრაციულ ფუნქციაზე მიუთითებდნენ. დროებითი მთავრობის თავმჯდომარის - ნოე ჟორდანიას- შეფასებით: „კონსტიტუცია არის ერთიანი ძირითადი უფლებები, ნორმა, რომლის ფარგლებშიც ყოველი სახელმწიფო მუშაობს და მისი ორგანოები მოღვაწეობენ. ის არის, ასე ვთქვათ,

<sup>1</sup> კორძაძე, ზ. და ნემსინვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 23.

<sup>2</sup> სეა, სდკ-ს მასალები, ფონდი 1833, საქმე 191, ფურცელი 137; თბილისი. ასევე ქანთარია, ბ., 2012. „დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 21.

<sup>3</sup> საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2021].

<sup>4</sup> სეა, სდკ-ს მასალები, ფონდი 1833, საქმე 191, ფურცელი 137.

<sup>5</sup> იქვე. ფურცელი 138.

<sup>6</sup> გვაზავა, გ., 1920. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, ტფილისი: გვ. 44. ასევე: ქანთარია, ბ. 2012. „დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 20.

<sup>7</sup> კონსტანტინე მიქელაძე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, 1918 წელი, ტფილისი, 17.; ასევე: ქანთარია, ბ. 2012. „დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 20-21.

ერთნაირი საერთო დიპლომი, სახალხო ხარატი, რომელზედაც არის დაბეჭედილი სახელმწიფოს მთელი წესწყობილება და თითოეულმა მოქალაქემ იცის, რა უფლებანი აქვს ამ ხარატის მიხედვით და მოვალეობანი აწვეს მას სახელმწიფოს მიმართ.<sup>8</sup>

## თავისუფლების იდეა 1921 წლის კონსტიტუციაში

1921 წლის კონსტიტუცია თვალსაჩინოა იმ პროგრესულ ღირებულებათა სისტემით, რომელიც კონსტიტუციის „მამოძრავებელ და სუბსტანციურ ღერძს შეადგენს.“<sup>9</sup>

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია ნა-საზრდოები იყო ბუნებითი უფლებების იდეებით თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ, რომელსაც კონსტიტუციის ავტორები ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად მიიჩნევდნენ. ძირითადი კანონი იზიარებდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და აშშ-ის კონსტიტუციის ფასეულობებს ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვისა და სამართლის უზენაესობის შესახებ<sup>10</sup>. 1921 წლის კონსტიტუციაზე დასავლური ფასეულობების გავლენა და საქართველოსთვის მისაღები, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება იკვეთება სამსონ დადიანის განმარტებაში: „როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრმა, უნდა მოგახსენოთ, რომ კონსტიტუციის შედგენის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით უფრო თეორიული მოსაზრებით, ჩვენზე მოქმედებდა არა მარტო რეალური, არამედ ის იდეალური, რომელნიც უჩვენებია ჩვენთვის სხვა მოწინავე ქვეყნებს. ასე ვთქვათ, უმთავრესად ეს კონსტიტუცია ამოკრეფილია არსებულ კონსტიტუციათა საუკეთესო ადგილებიდან“<sup>11</sup>.

1921 წლის კონსტიტუციიდან ირეკლება ინდივიდუალიზმსა და შემწყნარებლობაზე დაფუძნებული ევროპული ფასეულობები, რომლებიც

ინდივიდის პატივისცემას ემსახურებოდა.<sup>12</sup> პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის „მოქალაქის უფლებების“ თავი ეფუძნებოდა „დასავლურ ანთროპოცენტრისტულ მსოფლმხედველობას და მთლიანად ორიენტირებული იყო ადამიანსა“<sup>13</sup> და მისი ღირსების დაცვაზე.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ერისა და პიროვნების თავისუფლებას ეფუძნებოდა<sup>14</sup> და მის დაცვას სახელმწიფოს მთავარ მიზნად განიხილავდა<sup>15</sup>. კონსტიტუცია ადამიანის მთავარი სოციალური ღირებულების იდეალს ეყრდნობოდა<sup>16</sup>, საიდანაც „გამოსჭვივოდა ძირითადი უფლება, როგორც ადამიანის სუბსტანციის შენარჩუნების მექანიზმი.“<sup>17</sup> პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის სულისკვეთებიდან ირეკლება<sup>18</sup> კანტის „კატეგორიული იმპერატივის“ დანაწესი, რომ ადამიანი უნდა იყოს მთავარი ღირებულება, თვითმიზანი და არასოდეს მიზნის მიღწევის საშუალება<sup>19</sup>. ადამიანის, როგორც მთავარი ღირებულების, აღიარების იდეას პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში სამოცდაათი მუხლი ეხება, რაც სიმბოლურია და მისი მაღალი

<sup>8</sup> სდკ-ს 1920 წლის 1 დეკემბრის პლენარული სხდომა; გაზეთი „სრ“, 1920 წლის 4 დეკემბერი.

<sup>9</sup> კორძაძე, მ. და ნემსინვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 22.

<sup>10</sup> ცანავა, ლ., 2013. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია. ( I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში). თბილისი: გვ. 60.

<sup>11</sup> გაზეთი „სახალხო საქმე“, 1921. 16 იანვარი.

<sup>12</sup> ჯანელიძე, თ., 2018. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი: გვ. 114.

<sup>13</sup> ხუბუა, გ., 2004. სამართლის თეორია. თბილისი: გვ. 90.

<sup>14</sup> გეგენაგა, დ., 2014. ქართული კონსტიტუციონალიზმის ევროპული საფუძვლები: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია, ევროპული ღირებულებები და იდენტობა. მოხსენებები, 16-17-18 ივნისი, თბილისი: გვ. 122.

<sup>15</sup> ჭგერენია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.- ები“, 2018. სადამფუძნებლო კრება, 1- ლი ქრისტეშობისთვის საღამოს სხდომა, გიორგი გვაზავას სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 586.

<sup>16</sup> Demetrashvili, A., 2010. Chronicles of Constitutionalism in Georgia. Law&Justice Review, 1 (1), September, გვ. 6 - 7.

<sup>17</sup> კორძაძე, მ. და ნემსინვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 22.

<sup>18</sup> ჭგერენია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.- ები“, 2018. სადამფუძნებლო კრება, 1-ლი ქრისტეშობისთვის საღამოს სხდომა, გიორგი გვაზავას სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 585.

<sup>19</sup> Pfordt Dietmar von der, Zur Würde des Menschen bei Kant, In Fünf Untersuchungen "Menschen würde, Recht und Staat bei Kant", 1. Aufl age, Mentis, Paderborn, Verlag C.H. Beck, 2009. გვ. 11.

ღირებულებით მნიშვნელობაზე მიუთითებს<sup>20</sup>.

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემქმნელებს ღრმად ჰქონდათ გააზრებული თავისუფლების მნიშვნელობის მასშტაბი, რომელსაც მიიჩნევდნენ დიად მიზნად, დიდ ღირებულებად, რომლისკენაც მიიღობის მთელი კაცობრიობა და რომელიც მთელი ისტორიული პროცესის შინაგან აზრს შეადგენს.<sup>21</sup>

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში თავისუფლება, როგორც მთავარი ფასეულობის გააზრება, კანტისეულ დოქტრინას იზიარებს, რომლის თანახმადაც სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა საზოგადოების წევრთა თავისუფლებით, თავისუფალი მოქალაქეების კანონისადმი მორჩილებითა და თანასწორობით არის შესაძლებელი.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის „დამფუძნებელი მამები“ ცდილობდნენ თავისუფლების კონსტიტუციური ცნების შემუშავებას და თავისუფლებას განმარტავდნენ, როგორც „უფლებას თავის თავზე“<sup>22</sup>, „თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თვითონ არის ბატონ-პატრონი თავის თავისა“<sup>23</sup>.

1921 წლის კონსტიტუცია თავისუფლებისა და თანასწორობის ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ ჯონ ლოკისეულ განმარტებას ეფუძნებოდა<sup>24</sup>. კონსტიტუციის „დამფუძნებელი მამები“ სრულად იზიარებდნენ მოსაზრებას თავისუფლებისა და თანასწორობის „განუყრელობის“ შესახებ და განმარტავდნენ, რომ „თავისუფლება, ვრცელი იქნება ის თუ ვინრო, უნდა იყოს თანასწორი ყველასთვის“<sup>25</sup>; „მე ერთნაირად ანათებს ყველასთვის, ღარიბია ის თუ მდიდარი, ძლიერია ის თუ სუსტი. ყველა თანასწორია მზისა წინაშე, როგორც ყველა თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე“<sup>26</sup> კონსტიტუციის შემქმნელები თანასწორობას მოქალაქის უდიდეს უფლებად

და პიროვნული თავისუფლების აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ<sup>27</sup>. კონსტიტუცია ეფუძნებოდა კანონისა და სამართლოს წინაშე თანასწორობის, „საპოლიტიკო, საჯარო და სამოქალაქო უფლების ერთნაირობისა“ და სახელმწიფოს წინაშე თანაბარი ვალდებულების პრინციპებს<sup>28</sup>. შესაბამისად, სიმბოლურია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის „მოქალაქის უფლებების“ თავი კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით იწყება, რაც მის დიდ კონსტიტუციურ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

1921 წლის კონსტიტუცია კრძალავდა წოდებრივ განსხვავებებს<sup>29</sup> და ორივე სქესის მოქალაქის თანასწორობას გარანტირებდა<sup>30</sup>. პირველი რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი იყო სქესობრივად ნეიტრალური და არადისკრიმინაციული პოლიტიკა<sup>31</sup>, რაც კონსტიტუციის ტექსტშიც აისახა. სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეის გამომხატველი იყო თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის თანახმადაც „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში „მოქალაქე“ ფაქტობრივად „ადამიანის“ საპირწონე იყო, ვინაიდან არ არსებობდა ადამიანების დიფერენციაცია წარმომავლობისა და ეთნიკურობის მიხედვით.“<sup>32</sup> 1921 წლის კონსტიტუცია დეკლარირებდა სარწმუნოებათა თანასწორობისა და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს<sup>33</sup>.

<sup>20</sup> დემეტრაშვილი, ა. და კობახიძე, ი., 2011. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი: გვ. 53.

<sup>21</sup> გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 218.

<sup>22</sup> იქვე. 218.

<sup>23</sup> იქვე. 219.

<sup>24</sup> კუბლაშვილი, ვ., 2019. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გვ. 309.

<sup>25</sup> გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 221.

<sup>26</sup> იქვე. გვ. 222.

<sup>27</sup> ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., რედ. - ები, 2018. თავი მესამე კონსტიტუციის პროექტისა მოქალაქის უფლებანი/19-51/ თეზისები. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 907.

<sup>28</sup> გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, თბილისი: გვ. 222.

<sup>29</sup> მუხლი 17, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>30</sup> იქვე. მუხლი 39.

<sup>31</sup> გეგენავა, დ. და სხვები, 2019. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი: გვ. 43.; კობახიძე რ., სილაქაძე, დ., ხვადაგიანი დ. და ხვადაგიანი ი., 2018. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 100 ამაგი. თბილისი: გვ. 44.

<sup>32</sup> გეგენავა, დ. და სხვები, 2019. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში. თბილისი: გვ. 43-44.

<sup>33</sup> თავი 16, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].



## „უფლებრივი სახელმწიფოს“ არსი

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის მონესრიგება წარმოადგენდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის სულისკვეთებიდან ვლინდება, რომ „დამფუძნებელი მამები“ ცდილობდნენ კონსტიტუციით „უფლებრივი სახელმწიფოს“, იგივე სამართლებრივი სახელმწიფოს, დამკვიდრებას<sup>34</sup>, სადაც „ადამიანისა და მოქალაქის ტრადიციული უფლებები პიროვნული თავისუფლების პრინციპს ემყარება“<sup>35</sup>. კონსტიტუციის შემქმნელები განმარტავდნენ, რომ „სამართალი არის მაქსიმუმი თავისუფლებისა.“<sup>36</sup> 1921 წლის კონსტიტუციის ავტორები მოქალაქეების სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვას და „თავისუფლებით თანაბრად და თანასწორად სარგებლობას“<sup>37</sup> „უფლებრივი“ სახელმწიფოს მთავარ მახასიათებლებად მიიჩნევდნენ<sup>38</sup>. მათი განმარტებით: „ყველასთვის, ვისაც კი სწამს და ვინც იღებს სახელმწიფოს, ე.ი არ უარყოფს ფორმასთან ერთად თვით იდეას სახელმწიფოსას, აუცილებელია ცნობა და მიღება იმ სისტემისა, სადაც არც ერთი ხელისუფლება კანონზე მაღლა არ დგას და მხოლოდ ასეთ სახელმწიფოს ეწოდება „უფლებრივი სახელმწიფო.“<sup>39</sup> „დამფუძნებელი მამები“ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას გამოხატავდნენ ფრაზაში: „არცერთი სახელმწიფო არ დგას კანონზე

მაღლა“<sup>40</sup>. ამასთანავე, პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშგალდებულება „უფლებრივი“ სახელმწიფოს მთავარ მახასიათებლად იყო მიჩნეული<sup>41</sup>.

1921 წლის კონსტიტუციის შემოქმედები „უფლებრივი“ სახელმწიფოს კონსტიტუციით შებოჭილ სახელმწიფოს უწოდებდნენ და მას სამართლის უზენაესობის არსებით ელემენტად განიხილავდნენ<sup>42</sup>. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი სამსონ დადიანი განმარტავდა, რომ „კონსტიტუცია არ არის ზემდგომარე, სხვა კანონების მაღლა მდგომარე, არამედ, პირიქით, იგი ფუძეა ყველა სხვა კანონისა, იგი ძირითადი კანონია და მასზე ემყარება მთელი რესპუბლიკაც“<sup>43</sup>. კონსტიტუციის უმაღლესი იურიდიულ ძალას გარანტირებდა კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედაბრის წინააღმდეგია.“<sup>44</sup>

„უფლებრივი“ სახელმწიფოს პრინციპი კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლებშია ინკორპორირებული, რომელიც ჰაბეას კორპუს აქტის არსებით გაგვლენას განიცდის და მის პრინციპებს ეფუძნება<sup>45</sup>. 1921 წლის კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის დაკავებას სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე და დაკავებულის სასამართლოში დაუყოვნებლივ წარდგენის წესს ადგენს. „უფლებრივი სახელმწიფოს“ გამოხატულებას წარმოადგენდა კონსტიტუციის

<sup>34</sup> პაპუაშვილი, გ., 2014. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. III გამოცემა. ბათუმი: გვ. 18.

<sup>35</sup> იქვე. 18.

<sup>36</sup> გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 230.

<sup>37</sup> ჭგერენია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.-ები“, 2018. სადამფუძნებლო კრება, 1- ლი ქრისტეშობისთვის სადამოსხდომი, გიორგი გვაზავას სიტყვა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 585.

<sup>38</sup> დადიანი, ს., 2016. ჩვენი კონსტიტუცია - განხილული ხალხისნური სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 273.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> განმარტება ეკუთვნის სამსონ დადიანს; სახალხო საქმე (The People's Business), 5, November 1920, 3. ასევე: Matsaberidze, M., 2014. The Democratic Republic of Georgia (1918-21) and the search for the Georgian model of democracy, The Making of Modern Georgia, 1918-2012, The first Georgian republic and its successors. edited by Stephen, F. and Jones. p. 147.

<sup>41</sup> ჭგერენია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.-ები“, 2018. დადიანი, ს., ჩვენი კონსტიტუცია (განხილული ხალხისნური სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით), პატარა განმარტება. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 558.

<sup>42</sup> იქვე. 536.

<sup>43</sup> იქვე. 536.

<sup>44</sup> მუხლი 8, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>45</sup> პაპუაშვილი, გ., 2014. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. III გამოცემა. ბათუმი: გვ. 18.

მე-19 მუხლი - სიკვდილით დასჯის აკრძალვა, რომელიც ღირსების შემლახველ სასჯელის სახედ ითვლებოდა. სიკვდილით დასჯის უპირობო აკრძალვა იმ პერიოდისთვის უპრეცედენტოდ ჰუმანურ აქტს წარმოადგენდა და ნოვატორულ ჩანაწერად მიიჩნეოდა<sup>46</sup>.

## ადამიანის უფლებების დაცვის ბარანტიები

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის „დამფუძნებელი მამები“ ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის მექანიზმებს „უფლებრივი სახელმწიფოს“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ.<sup>47</sup> ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანის უფლებების დაცვობისთვის და სახელმწიფოს მხრიდან მისი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელი იყო „საკადრისი“ კონსტიტუციური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა<sup>48</sup>. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ადამიანის უფლებათა დაცვის რეალურ და პრაქტიკულ გარანტიებს შეიცავდა<sup>49</sup>.

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ავტორები დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლად და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად, არჩეულ დამოუკიდებელ სასამართლოს და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მიიჩნევდნენ<sup>50</sup>.

1921 წლის კონსტიტუციის 81-ე მუხლით გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მძიმე სისხლის სამართლის და აგრეთვე, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულის საქმეებს იხილავდა. „დამფუძნებელ მამებს“ სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული საქვეყნო საქმეებზე საზოგადოების მიერ პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობა და თანამონაწილეობა მართლმსაჯულების პროცესში, რომელიც მათ საზოგადოებრივ კეთილდღეობას ეხებოდა.

<sup>46</sup> იქვე. გვ. 18.

<sup>47</sup> მიქელაძე, კ., 2016. დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული (ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ) რესპუბლიკა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 77.

<sup>48</sup> იქვე. გვ. 14.

<sup>49</sup> გვეგნავა, დ. და სხვები, 2019. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში. თბილისი: გვ. 43.

<sup>50</sup> არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა. ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი: გვ. 33.

ისინი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას სამართლიანობის დამკვიდრების წინაპირობად მიიჩნევდნენ<sup>51</sup>. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებისას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობის და მისი მნიშვნელობის ხაზგასასმელად, სამსონ დადიანი განმარტავდა, რომ „იქ, სადაც ხელმწიფება ხალხს ეკუთვნის და ხალხია გამგებელი და ბატონ-პატრონი თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, თავისი წევრთა მოქმედების განსჯაც მას უნდა ჰქონდეს“.<sup>52</sup> რაჟდენ არსენიძე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სვინდისის სასამართლოდ მიიჩნევდა, სადაც საზოგადოების ხმა ისმოდა, „მართალ სამართალს“ ქმნიდა, რომელიც ხმელ ხესაც კი ანედლებდა<sup>53</sup>.

1921 წლის კონსტიტუციის ავტორები კარგად იაზრებდნენ დამოუკიდებელი სასამართლოს მნიშვნელობას სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის ძირითად ფუნქციადაც კანონიერების დაცვას და სამართლის აღდგენას მიიჩნევდნენ<sup>54</sup>. საკონსტიტუციო კომისიის წევრები სასამართლოს მოწყობას „უპირველეს საკითხად“ მიიჩნევდნენ, ვინაიდან მას „სახელმწიფოს არსებობის ბურჯად“ თვლიდნენ<sup>55</sup>.

კონსტიტუციის ავტორები მართლმსაჯულების ძირითად მიზნად „უფლებრივი წესრიგის დამყარებას და განმტკიცებას“ თვლიდნენ<sup>56</sup> და სამართლის არარსებობას სახელმწიფოს

<sup>51</sup> მიქელაძე, კ., 2016. დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ. თბილისი: გვ. 56.

<sup>52</sup> ჭვრეტაია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.-ები“, 2018. დადიანი, ს., ჩვენი კონსტიტუცია (განხილული ხალხისნური სახელმწ. უფლების თვალსაზრისით), პატარა განმარტება. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 561.

<sup>53</sup> არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა. ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი: გვ. 34.

<sup>54</sup> არსენიძე, რ., 2016. დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 62- 63.

<sup>55</sup> ფუტყარაძე, ი., 2011. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით. კრებულში - ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი: გვ. 192.

<sup>56</sup> კორძაძე, მ. და ნემსიწვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 211.

არარსებობდაც მიიჩნევდნენ.<sup>57</sup> „დაფუძნებული მამები“ სასამართლოს თავისუფლების უმთავრეს გარანტიად<sup>58</sup> და „კონსტიტუციის დარაჯად“<sup>59</sup> მიიჩნევდნენ. მათი შეფასებით, სასამართლო „მონოდებულია ყოველივე ხელისუფლების უკანონო მოქმედების და განკარგულების გასაუქმებლად და უფლებრივი წონასწორობის აღსადგენად“<sup>60</sup>. დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო მათ „მიუდგომელ მსჯავრის დამდებად“, „მთავრობის გავლენისგან თავისუფლად“ და „ხალხის მაღალი ნდობით მოსარგებლედ“ წარმოედგინათ<sup>61</sup>. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის შემქმნელებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში, „მთავრობას მოსამართლის სვინდისზე ძალდატანების საშუალება“ უნდა წართმეოდა.<sup>62</sup> ქართველი განმანათლებლის ნიკო ნიკოლაძის განმარტებით: „იქ, სადაც სასამართლო და მისი განაჩენი ხალხის ნდობით სარგებლობს, მართლმსაჯულება მშვიდი ცხოვრების საფუძვლად იქცევა“<sup>63</sup>. შესაბამისად, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას სწორედ მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო წარმოადგენდა<sup>64</sup>. კონსტიტუციის მე-6 თავის

თანახმად, მართლმსაჯულება ხორციელდებოდა ისეთი ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე, როგორებიცაა: სასამართლოს დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონის წინაშე მორჩილება<sup>65</sup>; მოსამართლეთა არჩევითობა<sup>66</sup>; სასამართლოში საქმის განხილვის საჯაროობა<sup>67</sup>. დამფუძნებელი მამები მოსამართლეთა არჩევითობას სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ გარანტიად მიიჩნევდნენ.<sup>68</sup> კონსტიტუცია კრძალავდა სასამართლო განაჩენის გაუქმებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.<sup>69</sup> კონსტიტუციის 76-ე მუხლის მიხედვით, სენატი წარმოადგენდა უმაღლეს სასამართლო ინსტანციას, რომელსაც ევალებოდა კანონის დაცვისთვის თვალყურის დევნება და აღჭურვილი იყო საკასაციო სასამართლოს სტატუსით.

1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი განსაზღვრავდა, რომ „კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებიდან“<sup>70</sup>. იმავე ჩანაწერს შეიცავს საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-4 მუხლიც<sup>71</sup>, რომელიც პირველი კონსტიტუციის 45-ე მუხლის იდენტური აზრის მატარებელია, რაც კონსტიტუციებს შორის მემკვიდრეობითობასა და ღირებულებით უწყვეტობაზე მიანიშნებს. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის 45-ე მუხლი, მსგავსად მოქმედი კონსტიტუციის მე-4 მუხლისა, აღიარებდა იმ ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს ეფუძნებოდა.

1921 წლის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების

<sup>57</sup> ჯანელიძე, თ., 2002. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბილისი: გვ. 354.

<sup>58</sup> ჭგერენია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ. - ები“, 2018. სადამფუძნებლო კრება, 1- ლი ქრისტეშობისთვის საღამოს სხდომა, გიორგი გვაზავას სიტყვა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. გვ. 590.

<sup>59</sup> იქვე. 592.

<sup>60</sup> მაცაბერიძე, მ., 1996. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბილისი: გვ. 90; ასევე, ფუტყარაძე, ი., 2011. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით, კრებულში - ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი. ბათუმი: 184.

<sup>61</sup> არსენიძე, რ., 2016. დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: 63.

<sup>62</sup> არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა, ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. თბილისი: გვ. 33.

<sup>63</sup> ჯანელიძე, თ., 2018. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი: გვ. 112. ასევე: ნიკოლაძე, ნ., 2003. თხზულებანი. ტ. VIII. ქუთაისი: გვ. 444 - 445.

<sup>64</sup> მუხლი 78, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>65</sup> მუხლი 78, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>66</sup> იქვე. მუხლი 82.

<sup>67</sup> იქვე. მუხლი 80.

<sup>68</sup> არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა. ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი: გვ. 33.

<sup>69</sup> მუხლი 79, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>70</sup> იქვე. მუხლი 45.

<sup>71</sup> მუხლი 4, საქართველოს კონსტიტუცია. 1995. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

კატალოგი საპროგრამო-დეკლარაციული ხასიათის იყო, იგი არ იყო ნორმატიული ბუნების, უშუალოდ მოქმედი ობიექტური სამართალი, რადგან არ არსებობდა ისტიტუციური მექანიზმი საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვაზე კონსტიტუციურ კონტროლს განახორციელებდა.

### სეკულარიზმის პრინციპი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში

1921 წლის კონსტიტუციაში სეკულარიზაციის კონსტიტუციური იდეა სახელმწიფოსა და ეკლესიის ინსტიტუციურ-ფუნქციურ გამიჯვნას, ურთიერთაურევლობას, კონფესიათა თანასწორობას და სახელმწიფოს რელიგიურ ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ დებულებებთან დაკავშირებით 1919 წლის 24 თებერვლის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე ცხარე კამათი გაიმართა<sup>72</sup>. საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში, განიხილეს მიხეილ ნანეიშვილისა და რაჟდენ არსენიძის პროექტები. მიხეილ ნანეიშვილის პროექტი გარკვეულწილად ორიენტირებული იყო ფრანგული სეკულარიზმის (*Laïcité*) პრინციპებზე, რაც აისახა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-16 თავში. სეკულარიზმის ფრანგულ მოდელთან შეუთავსებელი იყო სახელმწიფოს ეკლესიასთან მჭიდროდ ასოცირება, რაც რწმენის თავისუფლებასა და კონფესიათა თანასწორობას ეწინააღმდეგებოდა. 1921 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო კატეგორიულად გამოირიცხავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ჩარევას ერთმანეთის საქმიანობაში და მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლობას გარანტირებდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია გვთავაზობდა კონფესიათა თანასწორობის, რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მოდელს, როგორც კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის გამოხატულებას. კონსტიტუციის 142-ე მუხლმა კონსტიტუციურ

დონეზე აიყვანა სეკულარიზმის პრინციპი, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის „განცალკევებასა და დამოუკიდებლობაში“ გამოიხატა<sup>73</sup>. კონსტიტუციის 143-ე მუხლი კი სარწმუნეობათა რეალურ თანასწორობას გარანტირებდა<sup>74</sup>. სეკულარიზმის პრინციპის მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენდა კონსტიტუციის 144-ე მუხლი, რომელიც კრძალავდა ეკლესიის დაფინანსებას სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ხარჯებიდან და არც ერთ სარწმუნოებას არ ანიჭებდა უპირატესობას<sup>75</sup>.

2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, არსებითად გაუარესდა რელიგიის თავისუფლების დაცვისა და სეკულარიზმის პრინციპის ასახვა საქართველოს კონსტიტუციაში. კონსტიტუციის მე-8 მუხლმა<sup>76</sup> რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება შემოზღუდა მართლმადიდებლური ეკლესიის წვლილის აღიარებით, რაც უფლებრივ სტანდარტს არსებითად აუარესებს და სხვა კონფესიებთან შედარებით დომინანტი რელიგიის უპირატესობას უსვამს ხაზს<sup>77</sup>. რწმენის თავისუფლებისა და დომინანტი მართლმადიდებლური რელიგიის განსაკუთრებული როლის ერთ სიბრტყესა და ერთ შინაარსობრივ კონტექსტში მოამზერება არსებითად ლახავს კონფესიათა თანასწორობის პრინციპს და სეკულარული სახელმწიფოს კონსტიტუციურ იდეას აზიანებს. კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-8 მუხლი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას დომინანტი რელიგიის განსაკუთრებული როლით პირობადადებულს ხდის, რაც თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება<sup>78</sup>.

<sup>73</sup> მუხლი, 142, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>74</sup> მუხლი 143, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>75</sup> იქვე. მუხლი 144.

<sup>76</sup> მუხლი 8, საქართველოს კონსტიტუცია. 1995. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>77</sup> ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) შეფასება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე, 2017. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvaze>> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

<sup>78</sup> იქვე.

<sup>72</sup> ჭგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.-ები“, 2015. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი I. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 184.

## დასკვნა

„დამფუძნებელი მამების“ იდეები, რომლებიც პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში ინკორპორირდა, ცხადყოფს, რომ კონსტიტუციის ერთ-ერთ პროგრესულ ნაწილს „მოქალაქის უფლებების“ თავი წარმოადგენდა. კონსტიტუცია გაჯერებული იყო მყარი დასავლური ფასეულობებით და თავისუფალი ადამიანის, როგორც მთავარი ღირებულების იდეალით. კონსტიტუციის ავტორების მთავარ მიზანს „უფლებრივი სახელმწიფოს“ დამყარება წარმოადგენდა, რომელიც სამართლის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს ეფუძნებოდა. „უფლებრივი სახელმწიფოს“ იდეა ითვალისწინებდა ყველა იმ კომპონენტს, რომელსაც თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოიაზრებს.

1921 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო სეკულარიზმის პრინციპს გარანტირებდა და კატეგორიულად გამორიცხავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ჩარევას ერთმანეთის საქმიანობაში. პირველი კონსტიტუციისგან განსახვავებით, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის სტანდარტი არსებითად

გაუარესდა სეკულარიზმის პრინციპის საზიანოდ, რომელმაც რწმენის თავისუფლება დომინანტი მართლმადიდებლური რელიგიის განსაკუთრებული როლით შემოსაზღვრა. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლმა ერთ შინაარსობრივ სიბრტყეში დააყენა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება და დომინანტი მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი, რითაც სეკულარიზმის იდეა არსებითად დააზიანა.

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში თავისუფლებისა და თანასწორობის განუყოფლობის იდეა კანტისეულ დოქტრინას დაეფუძნა, რომლის თანახმადაც - სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა საზოგადოების წევრთა თავისუფლებით, თავისუფალი მოქალაქეების კანონისადმი მორჩილებითა და თანასწორობით არის შესაძლებელი.

1921 წლის კონსტიტუციამ ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი და ხელშესახები გარანტიები შექმნა და დამოუკიდებელი სასამართლოს სტანდარტი განსაზღვრა. მყარი დასავლური ღირებულებებიდან გამომდინარე, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიაში, რომლის პრინციპებსაც მოქმედი კონსტიტუცია დაეფუძნა.

## ბიბლიოგრაფია: \_\_\_\_\_

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2021].

2. საქართველოს კონსტიტუცია. 1995. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2021].

## BIBLIOGRAPHY: \_\_\_\_\_

### Normative Materials:

1. Constitution of Georgia (21.02.1921). [online] Available at: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)

2. Constitution of Georgia. 1995. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)

## REFERENCES: \_\_\_\_\_

1. Kordzadze, Z. and Nemsitsveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution, Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi:

Publishing House of Zviad Kordzadze. p. 23. (in Georgian)

2. SEA, SDK Materials, Fund 1833, Case 191, Paper

- 137; Tbilisi. Also, Kantaria, B., 2012. TSU, - „The Principles of Western Constitutionalism and the legal Nature of Government Forms in the First Georgian Constitution”. Doctoral Dissertacion. Tbilisi: p. 21. (in Georgian)
3. Constitution of Georgia (21.02.1921). [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
4. SEA, SDK Materials, Fund 1833, Case 191, Paper 137. (in Georgian)
5. Ibid. 138.
6. Gvazava, G., 1920. Basic Principles of Constitutional Right, Tbilisi: p. 44. Also, Kantaria, B., 2012. „The Principles of Western Constitutionalism and the legal Nature of Government Forms in the First Georgian Constitution”. Doctoral Dissertation. Tbilisi: p. 20. (in Georgian)
7. Mikeladze, K., 1918. The Constitution of Democratic Country and Parliamentary State. Tbilisi: p. 17. Also, Kantaria, B., 2012. „The Principles of Western Constitutionalism and the legal Nature of Government Forms in the First Georgian Constitution”. Doctoral Dissertation. Tbilisi: p. 20-21. (in Georgian)
8. SDK, Plenary Session, 1<sup>st</sup> December, 1920, Newspaper „SR”, 1920. 4, December. p. 1. (in Georgian)
9. Kordzadze, Z. and Nemsitsveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze, p. 22. (in Georgian)
10. Tsanova, L., 2013. Democratic Republic of Georgia and 1921 Constitution (First national conference in Constitutional Law). Tbilisi: p. 60. (in Georgian)
11. Newspaper „Sakhalkho Sakme”, 1921. 16 January. p. 3. (in Georgian)
12. Janelidze, O., 2018. The Essays of the History of the First Democratic Republic of Georgia. National Library of Parliament of Georgia. Tbilisi: p. 114. (in Georgian)
13. Khubua, G., 2004. Theory of Law. Tbilisi: p. 90. (in Georgian)
14. Gegenava, D., 2014. The European Basis of Georgian Constitutionalism: Fight for Legal State. International interdisciplinary conference, European values and identity. Reports 16 - 17- 18 June, Tbilisi: p. 122. (in Georgian)
15. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., “eds.”, 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava, The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents, National Library of Georgian Parliament, Volume II. Tbilisi: p. 586. (in Georgian)
16. Demetrashvili, A., 2010. Chronicles of Constitutionalism in Georgia. Law&Justice Review, 1 (1) September. pp. 6 - 7. (in Georgian)
17. Kordzadze, Z. and Nemsitsveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze. p. 22. (in Georgian)
18. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., “eds.”, 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava, The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. p. 585. (in Georgian)
19. Pfordten Dietmar von der, Zur Würde des Menschen bei Kant, In Fünf Untersuchungen “Menschen würde, Recht und Staat bei Kant”, 1. Aufl age, Mentis, Paderborn, Verlag C.H. Beck, 2009. 11. (in German)
20. Demetrashvili, A. and Kobakhidze I., 2011. Constitutional Law. Tbilisi: p. 53. (in Georgian)
21. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: p. 218. (in Georgian)
22. Ibid. p. 218.
23. Ibid. p. 219.
24. Kublashvili, K., 2019. Basic Human Rights and Liberties. fifth edition. Tbilisi: p. 309. (in Georgian)
25. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: p. 221. (in Georgian)
26. Ibid. p. 222.
27. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., “eds.”, 2018. Section Three of The Draft of Constitution, citizens’ rights /19-51/ Thesis, The Constitution of the First Republic of Georgia (1921), Materials and Documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 907. (in Georgian)
28. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: p. 222. (in Georgian)
29. Article 17, Constitution Of Georgia, 1921, 21 of February. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
30. Ibid. article 39.
31. Gegenava, D. and others, 2019. Introduction to Constitutional Law, Tbilisi: p. 43. Also, Kobakhidze, R., Silakadze, D. and Khvadagiani, I., 2018. Democratic Republic of Georgia, 100 stories. Tbilisi: p. 44. (in Georgian)
32. Gegenava, D. and others, 2018. Democratic Republic of Georgia, 100 stories. Tbilisi: p. 43 - 44. (in Georgian)
33. Section 16, Constitution Of Georgia, 1921, 21 of February. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
34. Papuashvili, G., 2014. Georgian Constitution from the 90 Years Prospective, Democratic Constitution of Georgia 1921. third edition. Batumi: p. 18. (in Georgian)
35. Ibid. p. 18.
36. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. p. 230. (in Georgian)

37. Jgerenaia, E. and Kenchoshvili, T., eds.", 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava. The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 585. (in Georgian)
38. Dadiani, S., 2016. Our Constitution - Discussed from the Peoples Rights Prospective Chronicles of Georgian Constitutionalism. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze. p. 22. Tbilisi: p. 273. (in Georgian)
39. Ibid. 273.
40. Sakhalkho Sakme (The People's Business), 5, November 1920, 3. Also, Matsaberidze, M., 2014. The Democratic Republic of Georgia (1918-21) and the search for the Georgian model of democracy, The Making of Modern Georgia, 1918-2012, The first Georgian republic and its successors. p. 147. (in English)
41. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., "eds.", 2018. Dadiani, S., 2016. Our Constitution - Discussed from the Peoples Rights Prospective. Section Three of The Draft of Constitution, citizens' rights /19-51/ Thesis, The Constitution of the First Republic of Georgia (1921), Materials and Documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 558.
42. Ibid. p. 536.
43. Ibid. p. 536.
44. Article 8, Constitution of Georgia, 1921. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
45. Papuashvili, G., 2014. Georgian Constitution from the 90 Years Prospective, Democratic Constitution of Georgia 1921. third edition. Batumi: p. 18. (in Georgian)
46. Ibid. p. 18.
47. Mikeladze, K., 2016. Georgian Constitution and Parliamentary State. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze, p. 77. (in Georgian)
48. Ibid. p. 14.
49. Gegenava, D. and others, 2018. Democratic Republic of Georgia, 100 stories. Tbilisi: p. 43. (in Georgian)
50. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition. Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute, Tbilisi: p. 33. (in Georgian)
51. Mikeladze, K., 1918. Georgian Constitution and Parliamentary State, p. 56. (in Georgian)
52. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., "eds.", 2018. Dadiani, S., Our Constitution - Discussed from the Peoples Rights Prospective Chronicles of Georgian Constitutionalism, The Constitution of the First Republic of Georgia (1921), Materials and Documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 273. (in Georgian)
53. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition, Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute. Tbilisi: p. 34. (in Georgian)
54. Arsenidze, R., 2016. Democratic Republic, Chronicles of Georgian Constitution. Tbilisi: pp. 62- 63. (in Georgian)
55. Putkaradze, I., 2011. Court System according to the Constitution of Georgia, 1921, 21<sup>st</sup> of February, - At the Beginnings of Georgian Constitutionalism - 90 anniversary of 1921 Constitution of Georgia. Batumi: p. 192. (in Georgian)
56. Kordzadze, Z. and Nemsitveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze. Tbilisi: p. 211. (in Georgian)
57. Janelidze, O., 2002. Essays from the History of National Democratic Party. Tbilisi: p. 354. (in Georgian)
58. Jgerenaia, E. and Kenchoshvili, T., "eds", 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava, The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 590. (in Georgian)
59. Ibid. p. 592. (in Georgian)
60. Matsaberidze M., The Political Concept of 1921 Constitution, Tb., p. 90; also Putkaradze I., 2011. Judicial Branch according to the 1921 Constitution in the book - at the Foundings if Georgian Constitutionalism, 90 anniversary of 1921 Constitution, Batumi: 184. (in Georgian)
61. Arsenidze, R., 2016. Democratic Republic, Chronicles of Georgian Constitution. Tbilisi: p. 63. (in Georgian)
62. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition. Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute, Tbilisi: p. 33. (in Georgian)
63. Janelidze, O., 2018. The Essays of the History of the First Democratic Republic of Georgia. National Library of Parliament of Georgia. Tbilisi: p. 112. (in Georgian)
64. Article 78, Constitution of Georgia, 1921. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
65. Ibid.
66. Ibid. article 82.
67. Ibid. article 80.
68. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition, Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute. Tbilisi: p. 33. (in Georgian)
69. Article 79, Constitution of Georgia, 1921. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
70. Ibid. article 45.
71. Article 4, Constitution of Georgia. 1995. (in Georgian)

72. Jgerenaia, E. and Kenchoshvili, T., “eds”, 2015. The Constitution of the First Republic (1921), materials and documents. Volume 1. National Library of Parliament of Georgia. Tbilisi: p. 184. (in Georgian).
73. Article 142, Constitution of Georgia, 1921. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
74. Ibid. article 143.
75. Ibid. article 144.
76. Article 8, Constitution of Georgia, 1995. (in Georgian)
77. Assessment of TDI on the limiting of religious freedom in Georgian Constitution, 2017. [online] Available at: <http://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvaze> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
78. Ibid.



# ოჯახში ძალადობის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

## ვახტანგი მურადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ელფოსტა : [v.muradashvili@gmail.com](mailto:v.muradashvili@gmail.com)

### აბსტრაქტი

ოჯახში ძალადობა თანამედროვე სამყაროს გამოწვევას წარმოადგენს და გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა ოჯახში ძალადობის ფაქტები და მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა, აღკვეთოს ოჯახში ძალადობა, რისთვისაც არაერთი საჭირო საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, საკმარისი არ არის და სტატისტიკა სულ უფრო მზარდია. შესაბამისად მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს თანამედროვე და აქტუალური მიდგომები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის.

წინამდებარე სტატიის მიზანია, შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს და ასახოს მეტად პრობლემატური და მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ახასიათებს ოჯახში ძალადობას თანამედროვე საქართველოში. გამოკვეთოს და ახლებურად გაანალიზოს ის დადებითი და უარყოფითი ასპექტები, რომლებიც დამახასიათებელია დღევანდელი ქართული საზოგადოების, სახელმწიფო უწყებების, საკანონმდებლო ბაზისა თუ ოჯახში ძალადობის მონაწილეთათვის, რათა ეფექტურად აღიკვეთოს ოჯახში ძალადობა.

საკვლევი თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ისტორიული, მიმოხილვითი, შედარებით-სამართლებრივი, სისტემური და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა სისტემურად და შინაარსობრივად შეფასდეს საკვლევი თემის აქტუალური პრობლემები.

სტატიაში განხილულია ოჯახში ძალადობის არსი და ძალადობის ფორმები. გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებელი მიზეზები და ფაქტორები. კრიტიკულად შეფასდა არსებული საკანონმდებლო ბაზა და გამოიკვეთა არსებული ხარვეზები. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოყვანილი და გაანალიზებულია სტატისტიკური ინფორმაცია, სასამართლო გადაწყვეტილებები, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკებიდან.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, სასამართლო პრაქტიკა, პრევენცია

# Legal Regulations of Domestic Violence in Georgia

Muradashvili Vakhtangi

*PhD student at Faculty of Law at Ivane Javakishvili Tbilisi State University*

*E-mail: [v.muradashvili@gmail.com](mailto:v.muradashvili@gmail.com)*

## ABSTRACT

Domestic violence is a challenge for the modern world and Georgia is no exception. Recently, the cases of domestic violence have become quite frequent and legislative changes made by the state for the purpose of preventing domestic violence, are not enough and the statistics are growing. Therefore, it is important to analyze modern and topical approaches to effectively combat domestic violence.

The purpose of this article is to present and reflect as much as possible the most problematic and important issues that characterize domestic violence in modern Georgia. Identify and re-analyze the positive and negative aspects that are characteristic of the current Georgian society, state agencies, legislative base or participants of domestic violence, in order to effectively prevent domestic violence.

Due to the momentousness of the research topic, the research uses historical, review, comparative, systemic and formal-logical methods, which allow to systematically and substantively assess the current problems of the research topic.

The article discusses the essence of domestic violence and forms of violence. Causes and factors provoking domestic violence are analyzed. The existing legal framework was critically assessed and the existing gaps were identified. Statistical information and court decisions of the Common Courts of Georgia, as well as the case law of the European Court of Human Rights are presented and analyzed for more information.

**KEY WORDS:** Violence, Judicial practice, Prevention

## შესავალი

სამყაროს შექმნიდან მოყოლებული ადამიანთა მოდგმა ვითარდება და იცვლება დედამიწის ყოველწლიურწარწერებზე ვასთანერთად. თავისთავად წარმოიშვება და მუდმივ ცვალებადობას განიცდის ადამიანთა სოციალური ინსტიტუციები და ურთიერთობები. აღნიშნული ცვლილებების შედეგს წარმოადგენს სამოგადოების ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტის შემნა და განვითარება, რასაც ოჯახი ჰქვია. თავისთავად ოჯახი საკმაოდ რთული და მრავალმხრივი წარმონაქმნია, ვინაიდან საოჯახო ურთიერთობები დაკავშირებულია ოჯახის თითოეული წევრის ინდივიდუალურ შინაგან სამყაროსთან, სუბიექტურსა თუ ობიექტურ განცდებთან, კერძო და საერთო საკითხებთან, ინტიმურ ცხოვრებასთან და ა.შ. „ოჯახში ერთმანეთს ერწყმის ბუნებრივ-ბიოლოგიური და მატერიალურ ეკონომიკური სანყისები“<sup>1</sup>, რითაც ოჯახის სახელმწიფოს ემსგავსება. არისტოტელე წერდა, რომ „სახელმწიფო დიდი ოჯახია, რომელიც მრავალი პატარა ოჯახისაგან შედგება“.<sup>2</sup> შესაბამისად, თითოეულ მცირე ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები აისახება მთლიანად სამოგადოებასა და სახელმწიფოზე.

თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ოჯახში ძალადობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მომავალი თაობების ნორმალურ პირობებში აღზრდას, ვინაიდან ოჯახის როლი დიდა არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდისათვის, არამედ მთლიანად სამოგადოებისათვის. სამოგადოება ხომ სწორედ ინდივიდთა ერთიანობაა, ინდივიდთა, რომელნიც ოჯახში იზადებიან და ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილსაც იქ ატარებენ. სწორედ ოჯახი ბადებს ყოველგვარ ცხოველმყოფელ აღქმას სიცოცხლისა და ბედნიერებისა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის აბსოლუტური და ჭეშმარიტი განცდა ამქვეყნიური ცხოვრებისა. თავის მხრივ კი ოჯახში ძალადობა ანგრევს და მიუწვდომელ არასრულფასოვნებად აქცევს კონკრეტული ინდივიდის, ოჯახის, სამოგადოებისა თუ სახელმწიფოს სწრაფვას ღირსეული და ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

## 1. ოჯახში ძალადობის არსი

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი სერიოზული და ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმაა თანამედროვე მსოფლიოში. იგი სამოგადოების ყველა ფენას მოიცავს და ყველა დროის ნებისმიერ სამოგადოებასა და სახელმწიფოში არსებობს. ოჯახში ძალადობა არ ცნობს ინდივიდის სოციალურ წარმომავლობას, ეროვნებას, რასასა თუ რელიგიას. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სიმწვავით იჩენს თავს, რაც განპირობებულია ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ჩვეულებებით, ტრადიციებით, საკანონმდებლო ნორმებით, კულტურულ-სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური ასპექტებით. ხოლო თავად ძალადობის სიხშირესა და სიმწვავეს განაპირობებს კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და ინდივიდთა გენდერული როლი სოციუმში.

„ოჯახში ძალადობა - ძალადობის ყველა სხვა სახისაგან იმით განსხვავდება, რომ ის ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს შორის ხორციელდება. მართალია, ძალადობის ნებისმიერ შემთხვევაში მსხვერპლი ტრავმირებულია, მაგრამ ოჯახში განხორციელებული ძალადობისას ტრავმირებულობის ხარისხი მეტია, რადგან ამ შემთხვევაში მოძალადისათვის მსხვერპლი მუდმივად მისაწვდომია და მას შეუძლია ნებისმიერ დროს განახორციელოს განმეორებითი თავდასხმა“.<sup>3</sup>

ოჯახში ძალადობის მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი და საკითხი საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ საკითხის აქტუალურობამ განაპირობა, რომ 2006 წლის 09 ივლისის მივიღეთ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“<sup>4</sup>, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ოჯახში ძალადობის აღკვეთის კუთხით. აღნიშნულ კანონში არაერთი ცვლილება განხორციელდა და დღეს მოქმედ ვერსიად „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების

<sup>1</sup> შენგელია, რ. და შენგელია, ე., 2015. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, გვ.11.

<sup>2</sup> კუკავა, თ., „მთარგმნ.“ 1995. არისტოტელე, პოლიტიკა. ნაწილი პირველი. თბილისი: გვ.13.

<sup>3</sup> მებრეველი, ლ., 2017. ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ასპექტები. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2, მერიდიანი, გვ. 57.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

შესახებ” ჩამოყალიბდა, რომლის მე-3 მუხლში მოცემულია ოჯახში ძალადობის ლეგალური დეფინიცია. კერძოდ: „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულბელოყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით”.<sup>5</sup> კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში მოიაზრება ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.

ოჯახში ძალადობის აღნიშნული განმარტება სრულად შეესაბამება ოჯახში ძალადობის ცნების საერთაშორისო განმარტებას, რომელიც მოცემულია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“<sup>6</sup> მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში, ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა”.

## 2. ძალაუფლება და კონტროლი, როგორც ოჯახში ძალადობის გამომწვევი ფაქტორი

„ოჯახში ძალადობას აქვს როგორც სისხლისსამართლებრივი, აგრეთვე სოციოლოგიური განმარტება, რომლის მიხედვით, ოჯახში ძალადობა განისაზღვრება, როგორც ძალაუფლებისა და კონტროლის სისტემატიური მეთოდი, რომელსაც ახორციელებს ერთი პირი სხვის წინააღმდეგ ძალადობის სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებით”.<sup>6</sup> „ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზად ხშირად ასახელებენ

უმუშევრობას, ალკოჰოლს ან ფსიქიკურ დაავადებებს. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლებისა და დომინირებისათვის მიმართული კარგად დაგეგმილი ქმედებებია. მოძალადემ იცის, თუ როდის, რა დოზითა და საშუალებით იძალადოს მსხვერპლზე, რათა მიაღწიოს საწადელს - მოპოვოს და შეინარჩუნოს კონტროლი მსხვერპლზე”.<sup>7</sup> ძალადობა ხშირად გამოიყენება სხვა ინდივიდზე ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელების მიზნით. ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, მოიცავს ძალადობრივ და იძულებით ქცევებს, როგორებიცაა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობა. ტიპური ოჯახში ძალადობა ხშირად იწყება დაშინებით, დამცირებით, მუქარით, მათ შორის თვითდაზიანების მიყენების მუქარის ჩათვლით. ძალადობას საფუძვლად უდევს სხვა პირის ცხოვრებაზე კონტროლის დამყარება იზოლაციით, მანიპულირებით, პირადი არჩევანის თავისუფლების შეზღუდვით. ძალადობის ტიპური ფორმა შიძლება ასევე შეიცავდეს ეკონომიკურ ძალადობას, ფინანსური დამოუკიდებლობის შეზღუდვითა და ეკონომიკური გადანაცვლებების გაკონტროლებით. ამ სახის ძალადობრივი ქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს არარეგულარულ და განცალკევებულ მოვლენათა სერიად, ვინაიდან ფაქტობრივი ძალადობა ხშირად თვეების ან წლების დაშინებისა და კონტროლის საბოლოო შედეგია.<sup>8</sup>

ძალაუფლებისა და კონტროლის უკეთ წარმოსაჩვენად, 90-იან წლებში შეიქმნა ე.წ. ძალაუფლებისა და კონტროლის ბორბალი, ოჯახში ძალადობის ინტერვენციის (DAIP) პროგრამის ფარგლებში. როგორც ძალაუფლებისა და კონტროლის ბორბალი ცხადყოფს, არსებობს იძულების სხვადასხვა ფორმა და ხერხი, რომლებიც შეიძლება მოძალადემ სისტემურად გამოიყენოს მსხვერპლზე ძალაუფლებისა და დომინირების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. სამუხაროდ, იძულების მრავალი ფორმა რჩება „უხილავი“ და ძნელად ამოსაცნობი როგორც თავად მსხვერპლისათვის, ასევე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვისაც, როგორებიცაა:

- ემოციური დათრგუნვა;

<sup>5</sup> მუხლი 3, საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17#!>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].

\* აღნიშნული კონვენცია 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან არის ძალაში შესული და მოქმედებს საქართველოში.



<sup>6</sup> Okeric'-Zaid, A., 2016. Practice Guide: Domestic Violence Addendum to the Judicial Violence Case Evaluation in Bosnia and Herzegovina, Sarajevo, გვ. 9.

<sup>7</sup> Council of Europe, 2016. Preventing and Combating Domestic Violence against Women, A learning resource for training law enforcement and justice officers, გვ. 5.

<sup>8</sup> Council of Europe, Stop Domestic Violence against women. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომი: <[https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Aboutdomesticvio\\_en.asp](https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Aboutdomesticvio_en.asp)> [წვდომის თარიღი 18 ივნისი 2021].

- უკიდურესი ეჭვიანობა;
- ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა;
- ოჯახის, მეგობრებისა და საზოგადოებისაგან მსხვერპლის იზოლირება და სხვა.

კიდევ უარესი არ მოხდა. აღნიშნულის შემდეგ მოძალადე ცდილობს „გამოსწორებას“ და მსხვერპლის შემორიგებას, რასაც მე-3 ფაზა, ანუ ე.წ. „თაფლობის თვე“ ეწოდება, როდესაც მოძალადე მშვიდი და



ოჯახში ძალადობის ციკლი<sup>12</sup>

ძალაუფლებისა და კონტროლის ბორბალი<sup>9</sup>

გარდა გემოაღნიშნულისა ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელია ე.წ. ძალადობის ციკლი, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალადობას გააჩნია დინამიკური და არა სტატიკური ხასიათი, რომელსაც გარკვეული კანონზომიერებით ახასიათებს განმეორებითობა. კერძოდ 1-ლი ფაზა გულისხმობს დაძაბულობის ზრდას მსხვერპლსა და მოძალადეს შორის, რა დროსაც მცირედ ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი, რაც გამოიხატება მოძალადის აღშფოთებაში, დაძაბულობასა და ყველაფრით უკმაყოფილებაში.<sup>10</sup> აღნიშნულ ფაზაში, თუ მსხვერპლს უკვე გამოცდილი აქვს ძალადობა, შესაძლოა გარკვეული ხრიკებით სცადოს თავი დააღწიოს მე-2 ფაზას, სერიოზულ ძალადობის ინციდენტს, რომელიც შესაძლოა 2- დან 24 საათის განმავლობაში გაგრძელდეს.<sup>11</sup> სერიოზული ინციდენტის შემდეგ მსხვერპლები ხშირად მადლიერები არიან, მიუხედავად მათი დამიანების სიმძიმისა, იქიდან გამომდინარე, რომ

მოსიყვარულეა. აღნიშნულით კი მსხვერპლს მისი გამოსწორების იმედი უჩნდება და ხშირად საჩივარიც კი გამოაქვს შესაბამისი უწყებიდან. თაფლობის თვის შემდეგ კვლავ იწყება დაძაბულობის ზრდა და მეორდება ციკლი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის არ ექვემდებარება აღნიშნულ ციკლს ძალადობრივი ქმედებები.<sup>13</sup>

### 3. შემაკავებელი, დამცავი ორღონები და მათი გამოყენების სტატისტიკა

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიყენოს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. ამავდროულად მე-2 და მე-3

<sup>9</sup> ძალაუფლებისა და კონტროლის ბორბალი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://allaboutyou.ge/ძალაუფლებისა-და-კონტროლი/>> [წვდომის თარიღი 18 ივნისი 2021].  
<sup>10</sup> Preventing and Responding to Domestic Violence, Trainee’s manual for law enforcement and Justice Sectors in Vietnam, Hanoi: 2011, 2nd Ed., გვ. 31.  
<sup>11</sup> მესხი, მ., 2011. ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 65.

<sup>12</sup> Preventing and Responding to Domestic Violence, Trainee’s manual for law enforcement and Justice Sectors in Vietnam, Hanoi: 2011, 2nd Ed., გვ. 31.  
<sup>13</sup> იქვე. გვ. 32.

პუნქტები განმარტავენ დამცავი და შემაკავებელი ორდერების რაობას, კერძოდ, დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და სათანადო წერილობითი ფორმით განცხადების რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ორდერის გამოცემის, გაუქმების ან ვადის გაგრძელების შესახებ. ხოლო შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები, რომლებიც გამოცემისთანავე ამოქმედდება და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ჰბარდება მოძალადესა და მსხვერპლს. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კანონის მე-10 მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2113-ე, 2114-ე და 2115-ე პრიმა მუხლებში გათვალისწინებულია დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემისა და გასაჩივრების წესები.

ზემოაღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მიხედვით დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თანხმობით - სოციალურ მუშაკს, ან პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. გარდა ზემოაღნიშნულისა, პოლიცია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ შეიძლება დაირღვეს პირის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. ზემოაღნიშნული კანონის მე-12 მუხლი ადგენს დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ვადებს, კერძოდ, დამცავი ორდერის მოქმედების ვადა განისაზღვრება 6 - თვემდე ვადით და მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას ადგენს სასამართლო, ხოლო შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა განსაზღვრულია ერთ თვემდე ვადით. აგრეთვე სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენს დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლა და შეუძლია დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში გაახანგრძლივოს დამატებით არა უმეტეს 3 თვისა, ხოლო, თუ მხარეები შერიგდებიან,

მათ აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოსა და პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს დამცავი ან შემაკავებელი ორდერის მოქმედების გაუქმების მოთხოვნით. თავის მხრივ, სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანო საქმის ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედების გაუქმების შესახებ. ამასთან, მსხვერპლისა და მოძალადის შერიგება არ აფერხებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემასა და/ან მოქმედებას, თუ არსებობს მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის ჩადენის საფრთხე, ან წინააღმდეგობაში მოდის მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრის, განსაკუთრებით არასრულწლოვნის, კანონიერ ინტერესებთან. მისასაღებელია, რომ ზემოაღნიშნული კანონის მე-16 მუხლი ავალდებულებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მოახდინოს სათანადო რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად.

ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისა და აღკვეთის კუთხით მნიშვნელოვანია განვიხილოთ სტატისტიკური მონაცემები დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის, მოძალადისა და მსხვერპლის სქესის ჭრილში.<sup>14</sup>

შს-ის სტატისტიკური მონაცემები შემაკავებელი ორდერის გამოცემის, მოძალადისა და მსხვერპლის სქესის ჭრილში

წელი	გამოცემული შემაკავებელი ორდერები	მსხვერპლი ქალი	მსხვერპლი კაცი	მოძალდე ქალი	მოძალდე კაცი
2015	2722	2301	337	185	2283
2016	3089	2614	388	226	2574
2017	4370	3599	497	393	3492
2018	7646	5875	1018	954	5671
2019	10266	7479	1561	1524	7030
2020	10321	7573	1571	1519	7197
2021 იანვარ-აპრილის თვეები	3146	2508	524	478	2407

<sup>14</sup> სტატისტიკური მონაცემები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.police.ge/>> [წვდომის თარიღი 3 ივნისი 2021].

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან იკვთება, მზარდია შემაკავებელი ორდერების გამოცემის სტატისტიკა ბოლო შვიდი წლის განმავლობაში. მომატებულია როგორც მსხვერპლთა, ასევე მოძალადეთა რაოდენობა ორივე სქესის წარმომადგენლებში. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ოთხი თვის მონაცემები უკვე სჭარბობს 2015 და 2016 წლების 12 თვის მონაცემებს და მიახლოებულია 2017 წლის 12 თვის მონაცემებთან. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, როგორებიცაა:

- მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლება;
- სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვიანობის მატება;
- თავად გაზრდილი ოჯახში ძალადობის ფაქტები.

საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები დამცავი ორდერის გამოცემის, მოძალადისა და მსხვერპლის სქესის ჭრილში<sup>15</sup>

წელი	გამომცემი დაბრუნებული ორდერი	მსხვერპლი ქალი	მსხვერპლი კაცი	მოძალადე ქალი	მოძალადე კაცი
2018	141	140	26	25	130
2019	112	114	11	24	101
2020	104	100	13	17	93

როგორც წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა გაცილებით სჭარბობს იმავე საანგარიშო წელს გამოცემულ დამცავი ორდერების რაოდენობას, მაგალითად: 2020 წელს გამოცემულია 10321 შემაკავებელი ორდერი, მაშინ როდესაც დამცავი ორდერების რაოდენობამ 104-ს შეადგინა. აღნიშნული კი შესაძლოა რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული. კერძოდ, დამცავ ორდერს გამოსცემს სასამართლო, რაც თავის მხრივ ორდერის გამოცემისათვის უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, გარდა ამისა, დამცავი ორდერის გამოცემა შემაკავებელ ორდერთან შედარებით დროში განწელილი პროცესია და ამ პერიოდში შესაძლოა მსხვერპლმა გადაიფიქროს, აპატიოს ან იმოქმედონ მასზე, რომ არ განიროს მოძალადე მაშინ, როდესაც შემაკავებელი ორდერი გამოიცემა უშუალოდ მომხდარი

ძალადობრივი ქმედების განხორციელებიდან უმოკლეს პერიოდში, რა დროსაც მსხვერპლის პოზიცია უფრო მყარია და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვისაც მარტივია თავად ძალადობრივი ქმედების შეფასება.

#### 4. შემაკავებელი, დამცავი ორდერების ანალიზი და რეკომენდაციები

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემას, ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და გამოვლენის სამართლებრივ მექანიზმად მიიჩნევს. თუმცა, დამცავი და შემაკავებელი ორდერები რეპრესიულ ფუნქციებთან ერთად ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ცალკე საკითხია, რამდენად ეფექტურად ასრულებენ ისინი კანონმდებლის აღნიშნულ სულისკვეთებას. მიუხედავად მათი ეფექტურობის შესახებ ამრთა სხვადასხვაობისა, ცალსახაა, რომ ორდერის გამოცემა მნიშვნელოვანი მექანიზმია ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე მეორეული ძალადობის ჩადენის თავიდან აცილების კუთხით, ვინაიდან ორდერები სწორედ იმ პრევენციულ მექანიზმებს განსაზღვრავენ, რომელთაც მოძალადეს ხელი უნდა ააღებინოს განმეორებითი ძალადობის ჩადენაზე. ცალკე საკითხია, თავად დამცავ და შემაკავებელ ორდერებში განწერილ ღონისძიებათა ეფექტურობა.<sup>16</sup> რაც შეეხება თავად დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, იგი მოცემულია ზემოაღნიშნული კანონის მე-10 მუხლის მე-32 პუნქტსა<sup>17</sup> და სასკ-ის 25-ე მე-151 მუხლის მე-3 ნაწილებში.<sup>18</sup> განვიხილოთ ზემოაღნიშნული კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების

<sup>15</sup> სტატისტიკური მონაცემები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/ojaxshizaladobisstatistika/>> [წვდომის თარიღი 3 ივნისი 2021].

<sup>16</sup> Roleff, T. L., 2004. Domestic Violence, (G. McOscar - Restraining Orders May Incite Domestic Violence), გვ. 134.  
<sup>17</sup> დაწვრილებით იხ. მუხლი 10, საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17#>> [წვდომის თარიღი 26 ივნისი 2021].  
<sup>18</sup> დაწვრილებით იხ. მუხლი 2515, საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=83>> [წვდომის თარიღი 26 ივნისი 2021].

რამდენიმე პრობლემატური საკითხი, კერძოდ, პრაქტიკაში საკმაოდ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მოძალადის გარიდება მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან, განსაკუთრებით კი დამის სათეებში, ვინაიდან საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოძალადეს არ აქვს სხვა საცხოვრებელი ადგილი, რაც გულისხმობს მის დატოვებას მთელი დამით ქუჩაში, აღნიშნულმა კი შესაძლოა სხვა დანაშაულებრივი ქმედების პროვოცირება გამოიწვიოს - მხედველობაში თუ მივიღებთ მოძალადის ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნას, რაც საკმაოდ ხშირია ოჯახში ძალადობის დროს. გარდა აღნიშნულისა, შესაძლოა თავად მოძალადის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნას საფრთხე წელიწადის ცივ დროს მის უმეტესად ყურადღებამდე დამის განმავლობაში გარეთ ყოფნის პერიოდში.<sup>19</sup> გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული უხეშად არღვევს თავად მოძალადის უფლებებსაც, თუმცა თავის მხრივ იცავს მსხვერპლს, მის მიმართ განმეორებითი ძალადობის შემთხვევისაგან. სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს რაიმე ალტერნატივა თავად მოძალადესაც, როდესაც მას უკრძალავს საცხოვრებელი ადგილით სარგებლობას, მაგ: არსებობდა ე.წ. „გამოსაფხიზლებელი ოთახები“, სადაც შეიძლებოდა დროებით მოთავსებულიყო მოძალადე, თუმცა და დღეის მდგომარეობით აღნიშნული ოთახები აღარ არსებობს და არც სათანადო საცხოვრებელ ალტერნატივას არ სთავაზობს სახელმწიფო მოძალადეს, რაც ხშირად თავად მსხვერპლს ათქმევინებს უარს სათანადო რეაგირებაზე, რათა უსახლკაროდ არ დარჩეს მისი მოძალადე მეუღლე.

ოჯახში ძალადობის განმეორებითი ფაქტის პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესია თავად მოძალადის მოქმედებაზე კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელების საკითხი. რამდენადაა დამოკიდებული მოძალადის კეთილ ნებაზე დაემორჩილოს დამცავ და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნას - განერიდოს მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილს, ან არ მიუახლოვდეს მის სამსახურსა და იმ ადგილს, სადაც მსხვერპლი იმყოფება? აღნიშნული საკითხი პრაქტიკულად მოძალადის ნებას იყო მინდობილი და მასზე მკაცრ მონიტორინგს სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახორციელებდნენ. აღნიშნული კი, გარკვეული კატეგორიის დამნაშავეებისათვის

შესაძლოა ყოფილიყო ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების საფუძველი, ხოლო ნაწილისათვის კი არა. ცალსახაა, რომ ეს საკითხი საჭიროებდა სათანადო მოწესრიგებას და მხოლოდ ორდერის დარღვევით გამოწვეულ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობით მოძალადის დაშინების იმედად ყოფნა არ იყო ქმედითი და არსებითი მოძალადის ქმედების გავრცელებისათვის, ვინაიდან მას ყოველთვის შეეძლო სამართალდამცავი ორგანოებისაგან გვერდის ავლით მიახლოვებოდა მსხვერპლს და ჩაეღინა განმეორებითი ძალადობა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად 2020 წელს შ.ს. მინისტრის ბრძანებით<sup>20</sup> ქვეყანაში დაინერგა თანამედროვე მიდგომა მოძალადისათვის ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვის სახით, რაც საშუალებას იძლევა, რეალურ დროსა და სივრცეში სათანადო ორგანოებს ჰქონდეთ ინფორმაცია მსხვერპლისა და მოძალადის ადგილსამყოფელის შესახებ. თავად მსხვერპლს კი შეუძლია რეალური საფრთხის არსებობის დროს გამოიყენოს დახმარების ე.წ. „SOS“ ღილაკი, რომელიც განგაშის სიგნალს აგზავნის ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში.<sup>21</sup> აღნიშნული ფუნქცია, კი ეხმარება სათანადო ორგანოებს მყისიერ რეაგირებასა და მსხვერპლის რევიქტიმიზაციის თავიდან აცილებაში. ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვა დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების დროისა.<sup>22</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ზედამხედველობის დანერგვამ ქვეყანაში უნდა აღმოფხვრას მოძალადის მოქმედებაზე უკონტროლობისა და მონიტორინგის

<sup>20</sup> იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს №126 ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4974072?publication=0>> [წვდომის თარიღი 4 ივნისი 2021].

<sup>21</sup> იხ. მუხლი 8, პუნქტი 2, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს №126 ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4974072?publication=0>> [წვდომის თარიღი 4 ივნისი 2021].

<sup>22</sup> იხ. მუხლი 3, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს №126 ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4974072?publication=0>> [წვდომის თარიღი 4 ივნისი 2021].

<sup>19</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, გვ. 51.



განხორციელებლობის პრობლემა, გაზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობა ოჯახში ძალადობის განმეორებითი შემთხვევების თავიდან აცილებისა და მათი ფატალურად დასრულების რისკების შემცირებაზე.

გარდა ამისა, საკმაოდ პრობლემურია შემაკავებელი ორდერის ისეთი პირობა, რომელიც უკრძალავს მოძალადეს ყოველგვარ კომუნიკაციას მსხვერპლთან. ერთი მხრივ, აღნიშნული პირობა ემსახურება მსხვერპლის დაცვას ფსიქოლოგიური ძალადობის, შანტაჟისა და მექარისაგან. თუმცა, მეორე მხრივ, მოძალადისათვის ყოველგვარი კომუნიკაციის საშუალების აკრძალვა წინააღმდეგობრივია თავად ზემოაღნიშნული კანონის სულისკვეთებასთან, რომლის მიხედვითაც მთავარი არა მოძალადის დასჯა, არამედ მისი გამოსწორება, განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილება და მსხვერპლთან შერიგებაა, რაც გათვალისწინებულია კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-13 მუხლში. საინტერესო საკითხია: ელემენტარული კომუნიკაცია მსხვერპლთან და საკუთარი ნივთების მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან წამოღება უნდა ისჯებოდეს სისხლისსამართლებრივი წესით, თუ არა, მხოლოდ იმის გამო, რომ დაირღვა ორდერის პირობა? ამ კუთხით, საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>23</sup>, რომლის მიხედვითაც პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მივიდა მსხვერპლის საცხოვრებელ კორპუსთან მაშინ, როდესაც მას აკრძალული ჰქონდა 30 დღით მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილთან მიახლოება.

## 5. სისხლისსამართლებრივი რეგულირება

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის კუთხით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა განვიხილოთ სსკ-ში განხორციელებული ცვლილებები, რომელთაც გაამკაცრეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობისათვის. აღსანიშნავია, რომ კოდექსის მე-11 პრიმა მუხლი დეტალურად ჩამოთვლის იმ მუხლებს, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია ოჯახში ძალადობისას. გარდა აღნიშნულისა,

მისი შენიშვნის პირველ ნაწილში მოცემულია ოჯახის წევრთა ლეგალური განსაზღვრება და დადგენილია პირთა წრე, ხოლო წინამდებარე მუხლის მეორე ნაწილმა „არა მხოლოდ მითითებულ მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ოჯახური დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში დაუშვა არაერთგმისობა, როგორც დამამძიმებელი გარემოება, არამედ მაშინაც, როცა ამ კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულების ჩადენას წინ კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული უსწრებდა“<sup>24</sup> გარდა აღნიშნულისა, ცვლილება შეეხო სსკ-ის 53-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ დამამძიმებელ გარემოებას, რომელიც პირდაპირ უთითებს, რომ „დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით...“ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე მუხლის პირველ ნაწილში კანონმდებელმა გაითვალისწინა გენდერული ნიშნით ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებლობის დამძიმება.<sup>25</sup> რაც შეეხება კოდექსის კერძო ნაწილში განხორციელებულ ცვლილებებს, აღსანიშნავია, რომ მისი 111-ე მუხლის ჩამონათვალში მოცემული იყო 108-ე მუხლიც, ხოლო უახლესი ცვლილებების შედეგად ჩამონათვალში აღარ გვაქვს მოცემული 108-ე მუხლი, ვინაიდან ოჯახის ერთი წევრის მიერ მოერე წევრის განზრახ მკვლელობა გადავიდა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში, რითაც კანონმდებელმა აღნიშნული ცვლილებით კიდევ უფრო გაამკაცრა სასჯელი მოცემული დანაშაულისათვის. ჯერ კიდევ 2012 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კოდექსს დაემატა 1261-ე მუხლი, ოჯახში ძალადობა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას

<sup>24</sup> ხერხეულიძე, ი. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო. მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 504.

<sup>25</sup> დანვრითებით იხ. მუხლი 531, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=232>> [წვდომის თარიღი 25 ივნისი 2021].

<sup>23</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №1/723-19).

ოჯახური დანაშაულისათვის, კერძოდ: ძალადობა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობასა ან იძულებაში, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟსა და დამცირებაში, რომელსაც არ მოჰყოლია კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი. რაც შეეხება ოჯახში ჩადენილ სექსუალურ ძალადობასა და სექსუალურ იძულებას, ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება სექსობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით, 111-ე მუხლზე მითითებით.<sup>26</sup> „აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუხლით დაწესდა პასუხისმგებლობა ისეთ ქმედებაზე, როგორცაა შანტაჟი, ხოლო, რაც შეეხება სისტემატურ შეურაცხყოფასა და დამცირებას, მისთვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია სსკ-ის 1443-ე მუხლით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები გამოიწვევს ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას.“<sup>27</sup> სისტემატურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს ასეთი ქმედების დასჯას, უკეთუ ის არაა განხორციელებული ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ და აქვს სისტემატური ხასიათი. შეურაცხყოფა სისტემურია, თუკი იგი ჩადენილია დროის მცირე ინტერვალის დაშორებით და მინიმუმ სამჯერ მაინც.<sup>28</sup> „შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 1261-ე მუხლით არ დაისჯება პირი ერთჯერადი შეურაცხყოფისათვის, დამცირებისა და შანტაჟისათვის. ამდენად, პრაქტიკაში სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს შეურაცხყოფის ერთჯერადი და სისტემატური ფორმები.“<sup>29</sup> ამ კუთხით საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება,<sup>30</sup> სადაც მოძალადე ხშირად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას საკუთარ მეუღლეს როგორც პირად, ასევე საჯარო სივრცეში, ეძახდა მას დებილს, იდიოტს და თუკი მას არ მოეწონებოდა მეუღლის ქცევა საჯარო სივრცეში, ეუბნებოდა, რომ „მოხვდებოდა ყურის ძირში“ და „რადგან

გათხოვდი უნდა მოითმინო“. თავად კი ალკოჰოლის ზემოქმედებაში ყოფნის პერიოდში გაცილებით აგრესიული ხდებოდა.

აღსანიშნავია 2018 წელს განხორციელებული ცვლილებები სსკ-ში. მოცემული ცვლილებების შედეგად გამკაცრდა პასუხისმგებლობა მოძალადის მიერ დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, კერძოდ, აღნიშნულ ცვლილებებამდე მსგავს შემთხვევებში დგებოდა სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175-ე სეკუნდა მუხლის პირველი და მეორე ნაწილის საფუძველზე, რაც ითვალისწინებდა პირისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოს შეფარდებას და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კი მხოლოდ მას შემდეგ დგებოდა, როცა აღნიშნული ადმინისტრაციულსახდელ დადებული პირი განმეორებით ჩაიდენდა იმავე ქმედებას. დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ავტომატურად იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას სსკ-ის 381-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. 2020 წლის ცვლილებებით კი სსკ-ის 381-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდევ გაფართოვდა და დასჯად ქმედებად ითვლება „ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევა ანდა მოძალადის მიერ საგანგაშო, ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ანდა მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდება, ესე იგი ქმედება, რომლის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება“.<sup>31</sup> ხოლო, რაც შეეხება სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვანის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის საკითხს, ამ შემთხვევაში პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკავშირებულია ადმინის-

<sup>26</sup> ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი. მეშვიდე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 171-172.

<sup>27</sup> იხ. იქვე, გვ. 171-172.

<sup>28</sup> იხ. იქვე, გვ. 172.

<sup>29</sup> დავითაშვილი, გ., 2019. ოჯახში ჩადენილი სისტემატური შეურაცხყოფის სისხლის-სამართლებრივი ასპექტები. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 4, გვ. 61.

<sup>30</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/5497-18).

<sup>31</sup> დანვრილებით იხ. მუხლი 381<sup>1</sup>, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233>> [წვდომის თარიღი 4 ივნისი 2021].

ტრაციულ პრეიუდიციასთან, „კერძოდ, სსკ-ის 381-ე პრიმა მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175-ე სეკუნდა მუხლის შესაბამისად, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელ შეფარდებულ პირს.“<sup>32</sup> აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ქმედებები, თუ ისინი ჩადენილია არაერთგზის, სსკ-ის 381-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული.<sup>33</sup>

## 6. რისკების შეფასება და მართვა, როგორც ქალადობის ესკალაციის პრევენციის ფაქტორი სტამბოლის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

საერთაშორისო სამართალი აღიარებს სახელმწიფოს ვალდებულებას, განახორციელოს სათანადო ძალისხმევა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის განხილვისას. აღნიშნული სტანდარტი თანაბრად მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, ჯეროვნად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა ოჯახში ძალადობის პრევენციის, გამოძიების, სისხლისამართლებრივი დევნისა და ზიანის კომპენსაციის კუთხით.<sup>34</sup> ჯეროვანი ძალისხმევის კონცეფციას ე.წ. „Due Diligence,“ რომელიც გულისხმობს სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, კერძო პირთა მოქმედებების გამო, უკეთუ იგი არ გამოიჩინოს ჯეროვან ძალისხმევას, საფუძველი ჩაეყარა Velasquez Rodriguez v. Honduras<sup>35</sup> საქმის განხილვისას ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლოს (IACHR) მიერ 1988 წელს. სადაც პირველად დაეკისრა პასუხისმგებლობა სახელმწიფოს, პირის იძულებით გაუჩინარების

გამო.<sup>36</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ „უკანონო მოქმედებამ, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და რომელიც თავდაპირველად არ არის უშუალოდ სახელმწიფოზე მიკუთვნილი (მაგალითად: იმის გამო, რომ წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ ჩადენილ ქმედებას ან იმიტომ, რომ ვერ დადგინდა დამნაშავეს ვინაობა), შესაძლოა, გამოიწვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა არაუშუალოდ მოქმედების გამო, არამედ იმის გამო, რომ სახელმწიფომ არ განახორციელა ჯეროვანი ქმედებანი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან არ გასცა სათანადო პასუხი, როგორც ეს მოითხოვებოდა კონვენციის მიერ.“ სტამბოლის კონვენციის მე-5 მუხლი სწორედ სახელმწიფოს ჯეროვანი ძალისხმევის განხორციელებას ავალდებულებს, რომ სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას სათანადო ყურადღების გამოსაჩენად, რათა აღკვეთოს, გამოიძიოს, დასაჯოს და გაითვალისწინოს კომპენსაცია არასახელმწიფო პირების მიერ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების ჩადენისთვის.<sup>37</sup> ხოლო აღნიშნული კონვენციის 50-ე, 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლები კი შეეხება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ქმედებებს რისკის შეფასებისა და მართვის კუთხით.

ჯეროვანი ძალისხმევის განხორციელების კუთხით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სასამართლომ დააკისრა სახელმწიფოებს შესაბამისი კომპენსაციის გადახდა იმის გამო, რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედებები არ იყო ჯეროვანი რისკების შეფასებისა და ძალადობის ესკალაციის პრევენციისათვის. საქმეში „Opuz v. Turkey“ მომჩივანი აღნიშნავდა, რომ მისი და დედამისის მიმართ საკუთარი მეუღლე სისტემატურად ძალადობდა, რის შესახებაც არაერთხელ მიმართა შესაბამის უწყებებს. მიუხედავად მისი მოთხოვნისა, სახელმწიფო უწყებებმა ვერ შეძლეს მისი ჯანმრთელობისა და დედის სიცოცხლის

<sup>32</sup> ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ., თოდუა, ნ. და მუმლაძე, დ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი მეორე. მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 613.

<sup>33</sup> ხერხეულიძე, ი. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო. მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 507.

<sup>34</sup> Rittenhouse, R. H., 2011. The Due Diligence Obligation to Prevent Violence Against Women: The Case of Pakistan, Legal Report, New York: გვ. 4.

<sup>35</sup> ob. Velasquez Rodriguez v. Honduras, 1988 Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 4, 29/07/1988.

<sup>36</sup> Hasselbacher, L., 2010. State Obligations Regarding Domestic Violence: The European Court of Human Rights, Due Diligence, And International Legal Minimums of Protection, 8 Nw. J. Int'l Hum. Rts. გვ. 193.

<sup>37</sup> იხ. მუხლი 5, ნაწილი 2, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ka/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 23 ივნისი 2021].

დაცვის უზრუნველყოფა. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში მიიჩნია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2; მე-3; და მე-14 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევა და აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობა არ იყო მოტივირებული ძალადობის პრევენციისა და რისკების სათანადოდ შეფასებისათვის, ამასთან სახელმწიფო ორგანოებს აშკარად შეეძლოთ განეჭვრიტათ მოსალოდნელი შედეგი საქმის ჯეროვანი შესწავლის საფუძველზე და „რომ სახელმწიფომ არა მარტო უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, არამედ იზრუნოს პრაქტიკაში მის ეფექტიან იმპლემენტაციასა და აღსრულებამაც“. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ „არ შეიძლება არაპროპორციული ტვირთი დაეკისროს ხელისუფლებას... იმისათვის, რომ დადგეს პოზიტიური ვალდებულება, უნდა დამტკიცდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა პირის სიცოცხლისადმი მესამე პირის სისხლისსამართლებრივი ქმედებით გამოწვეული რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის არსებობა მოცემულ დროს და რომ მათ, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ მიიღეს ზომები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც მათ გონივრულობის ფარგლებში მოეთხოვებოდათ საფრთხის თავიდან ასარიდებლად“. გარდა აღნიშნულისა, უმნიშვნელოვანესი შეფასება მისცა სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობას, როდესაც მსხვერპლი უკან გამოიხმობს წარდგენილ სარჩელს. სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაც უფრო სერიოზულია დანაშაული ან დიდი მომავალი დანაშაულების ჩადენის საფრთხე, მით უფრო გონივრულია, რომ პროკურატურამ განაგრძოს საქმის წარმოება საჯარო ინტერესების დასაცავად იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მსხვერპლი უკან გამოიხმობს წარმოდგენილ საჩივრებს. მსგავსი სამართლებრივი პრობლემის ამსახველია ევროსასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, როგორებიცაა: „ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ“<sup>38</sup> „ბევასკუა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“<sup>39</sup> საქართველოში ოჯახში ძალადობის საქმეებზე რისკების შეფასება და მართვა ხორციელდება შ.ს.

მინისტრის ბრძანების<sup>40</sup> შესაბამისად, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქცევას, შეაფასონ და მიიღონ სათანადო ზომები, თავად განმეორებითი ძალადობის რისკებისა და რისკის სიმძიმის შეფასება ხორციელდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ასახული კითხვების საშუალებით. აღნიშნული კითხვარის შესაბამისად, შეიძლება გამოიკვეთოს განმეორებითი ძალადობის ჩადენის რისკის სამი დონე: დაბალი, საშუალო და მაღალი, რაც განაპირობებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს მიერ ჯეროვანი ძალისხმევის არ გამოჩენის კუთხით მნიშვნელოვანია, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე X და Y საქართველოს წინააღმდეგ.<sup>41</sup> მოცემულ საქმეში მომჩივანი და მისი შვილი განიცდიდნენ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას რამდენიმე წლის განმავლობაში. პოლიციაში არაერთი საჩივრის წარდგენის მიუხედავად, აღნიშნულ ფაქტებზე გამოძიება არ დაწყებულა. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ ჯეროვანად ვერ შეასრულა საკუთარი მოვალეობა, გამოეძიებინა ადამიანის უფლებების დარღვევა და დაესაჯა დამნაშავე. ეს არის პირველი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდა ოჯახში ძალადობის ფაქტზე არაეფექტური რეაგირების გამო.

## 7. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა და არსებული პრობლემები

ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხისათვის მნიშვნელოვანია, განვიხილოთ და კრიტიკულად შევაფასოთ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ოჯახში ძალადობის საქმეებზე, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს სასამართლოს მიდგომებს ოჯახში

<sup>38</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ, 23/02/2016, განაცხადი 55354/11.

<sup>39</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბევასკუა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, 12/09/2008, განაცხადი 71127/01.

<sup>40</sup> იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისი №81 ბრძანება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0>> [წვდომის თარიღი 26 ივნისი 2021].

<sup>41</sup> გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეზე X და Y საქართველოს წინააღმდეგ, 13/07/2015, განაცხადი 24/2009.

დანაშაულების განხილვისა და შეფასების კუთხით. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის საქმეები განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა, ვინაიდან ასეთი კატეგორიის დანაშაულები არ გამოირჩევა მოწმეთა და მტკიცებულებათა სიმრავლით. ხშირად ბრალდება ემყარება მხოლოდ დაზარალებულისა და მისი ახლო ნათესავების ჩვენებებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც აღნიშნული პირები სარგებლობენ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებებით<sup>42</sup> და არ აძლევენ სასამართლოს ახლო ნათესავის მამხილებელ ჩვენებას. რასაც პრაქტიკულად ჩიხში შეჰყავს სასამართლო და რეალურად მოძალადე სათანადო პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან თავს ალწევს. სწორედ, აღნიშნულ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას უზენაესი სასამართლო, 2019 წლის 3 ოქტომბრის №258აპ-19 გადაწყვეტილებაშიც.\*

გარდა აღნიშნული საკითხისა უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოებში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას შეიმჩნევა არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, ოჯახში ძალადობის საქმეებზე მოსამართლეთა მიერ მტკიცებულებათა შეფასებისა და გადაწყვეტილების დასაბუთების კუთხით. გამომდინარე იქიდან, რომ მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინდივიდუალურად განსაზღვრავენ საქმეში არსებული მტკიცებულებების სტანდარტს, რაც განაპირობებს მოსამართლეთა მიერ განსხვავებული განაჩენების დადგენას მსგავსი საქმეების შემთხვევაში. შესაბამისად, მოსამართლეთა ნაწილი გარკვეული ტიპის მტკიცებულებებს მიიჩნევს საკმარისად გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილისათვის აღნიშნული არასაკმარისია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლი უარს აცხადებს ბრალდებულის

საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს განჩინება №766აპ-19, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „სასამართლო პროცესზე საქმის არსებითი განხილვის დროს დაზარალებულის მხრიდან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ ნიშნავს მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიწოდებულ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების უარყოფას, ამიტომ ოჯახური დანაშაულის ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის ჩვენების არარსებობის ან საქმის მასალებში ბრალდებულის მიმართ დაზარალებულის პრეტენზიის არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაშიც, ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე“.

ამ კუთხით საინტერესოა განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება. 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება<sup>43</sup>, სადაც ბრალდებული გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში იმის გამო, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი და სასამართლო პროცესზე დაზარალებულებმა არ ისურვეს ოჯახის წევრის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემა. თუმცა საქმეში არსებობდა ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ადასტურებდნენ მსხვერპლთა სხეულებზე დაზიანებების არსებობას. ხოლო 2018 წლის 26 ივნისის განაჩენით<sup>44</sup> კი მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების საქმეზე სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამატყუნებელი განაჩენი. აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ აუცილებელია შემუშავდეს ოჯახში ძალადობის საქმეთა განხილვისა და მტკიცებულებათა შეფასების ერთიანი მიდგომა.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მოსამართლეთა მიერ სასჯელი ზომის შეფარდება ოჯახში ძალადობის საქმეებზე. აღსანიშნავია, რომ „მოსამართლეების მხრიდან, უმეტეს შემთხვევაში ლმობიერი და ნაკლებად მკაცრი სანქციები გამოიყენება, რაც ბადებს კითხვისნიშნებს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე არაადეკვატურ მიდგომასა და მსხვერპლის ტანჯვის შეუფასებლობასთან დაკავშირებით.“

<sup>42</sup> იხ. მუხლი 15; მუხლი 50, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „დ“; მუხლი 49, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „დ“; მუხლი 3 ნაწილი 2. საქართველოს კონონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=129>> [წვდომის თარიღი 25 ივნისი 2021].

\* „რომ ოჯახური დანაშაული, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მოწმეთა სიმრავლით არ გამოირჩევა. დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა, მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს. ამიტომ ოჯახური დანაშაულის ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე დაზარალებულის ჩვენების არარსებობისას ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.“

<sup>43</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №1/192-18).

<sup>44</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №1/209-18).

ძირითადად რეალური სასჯელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობას სისტემური ხასიათი აქვს და პირი რამდენჯერმე მიცემული პასუხისმგებლობაში<sup>45</sup> აღნიშნულს ადასტურებს უზენაესი სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაში<sup>46</sup> მსჯავრდებულისათვის სასჯელისა და კვალიფიკაციის ცვლილება. განსაკუთრებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება,<sup>47</sup> რომლითაც შეიცვალა განაჩენი მსჯავრდებულის საუარესოდ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეები გადაწყვეტილების დასაბუთებისას არ იყენებენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ნორმებს. რაც მიუთითებს იმაზე, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეები და ადვოკატები არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი კონვენციის ნორმებთან მიმართებით, არ იყენებენ მათ პრაქტიკაში და შემოიფარგლებიან მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებით.<sup>48</sup>

## 8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელმწიფოთათვის სათანადო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასა და ოჯახში ძალადობაზე ჯეროვანი რეაგირების კუთხით. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით მიუთითებს სახელმწიფოთა განსაკუთრებულ როლსა და მოვალეობაზე, რათა მათ დროული და სათანადო რეაგირება მოახდინონ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის

კუთხით, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. ამ კუთხით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ევროპული სასამართლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლებიც ეხება სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლსა და მოვალეობას - დაიცვას ადამიანის სიცოცხლის უფლება. აღნიშნულ საკითხს შეეხება ევროსასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: ოფუმი თურქეთის წინააღმდეგ,<sup>49</sup> ციციკი თურქეთის წინააღმდეგ,<sup>50</sup> დურმაზი თურქეთის წინააღმდეგ,<sup>51</sup> ჰალიმი კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ,<sup>52</sup> ბრანკო ტომაზიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ,<sup>53</sup> კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ<sup>54</sup> და ტალპისი იტალიის წინააღმდეგ.<sup>55</sup> წინამდებარე გადაწყვეტილებებში ევროსასამართლო მიიჩნია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ „კონვენციის მე-2 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს სათანადო ზომები მის იურისდიქციაში მყოფი პირების დასაცავად“.<sup>56</sup> რაც გულისხმობს, „სახელმწიფოს პირველად მოვალეობას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვა, დაანესოს ეფექტური სისხლის სამართლის დებულებანი, რათა აღკვეთოს დანაშაულის ჩადენა პირის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების ეფექტური მოქმედებით, რომელიც მიმართული იქნება მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯისაკენ“.<sup>57</sup>

<sup>45</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016. სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგი თბილისისა და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. მონიტორინგის ანგარიში N9, თებერვალი-ივლისი, გვ. 22.

<sup>46</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: 2020 წლის 10 აპრილის (საქმე №149აპ-20). 2018 წლის 13 დეკემბრის (საქმე №355აპ-18). 2018 წლის 6 ივლისის (საქმე № 50აპ-18). 2018 წლის 01 მაისის (საქმე №591აპ-17).

<sup>47</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №456აპ-16).

<sup>48</sup> ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2012. ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გენდერული ანალიზი. გვ. 62.

<sup>49</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ოფუმი თურქეთის წინააღმდეგ, 09/06/2009, განაცხადი 33401/02.

<sup>50</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ციციკი თურქეთის წინააღმდეგ, 23/02/2016, განაცხადი 55354/11.

<sup>51</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე დურმაზი თურქეთის წინააღმდეგ, 13/02/2015, განაცხადი 3621/07.

<sup>52</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ჰალიმი კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ, 28/06/2016, განაცხადი 63034/11.

<sup>53</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ბრანკო ტომაზიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ, 15/01/2009, განაცხადი 46598/06.

<sup>54</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ, 31/05/2007, განაცხადი 7510/04.

<sup>55</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ტალპისი იტალიის წინააღმდეგ, 02/03/2017, განაცხადი 41237/14.

<sup>56</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ელ.სი. ბი. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 09/06/1998, განაცხადი 23413/94.

<sup>57</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ, 06/07/2005, განაცხადები 43577/98 და 43579/98.

აღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ევროპული სასამართლოს მიდგომა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შეფასება, როგორც წამებისა და არაადამიანური მოპყრობა. თავის მხრივ, სასამართლო ადგენს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევას ზემოაღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლთან (წამები აკრძალვა) მიმართებით, როდესაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ჯეროვანი რეაგირება და მსხვერპლთა დაცვა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან.\* თავის მხრივ, სახელმწიფოს აქვს როგორც პოზიტიური, აგრეთვე ნეგატიური ვალდებულებები. ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფო თავად არ ჩაერიოს თავისუფლებათა განხორციელებაში გაუმართლებლად და საკმარისი საფუძვლის გარეშე, არ მიიღოს ისეთი კანონი, ანდა გამოიყენოს ისეთი ღონისძიება, რომელიც ასეთ ჩარევას გულისხმობს.<sup>58</sup> „რაც შეეხება პოზიტიურ ვალდებულებებს, იგი გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას იგი სხვა პირთა მხრიდან ჩარევისაგან და გაატაროს ღონისძიებები ამ თავისუფლებათა დაცვობის უზრუნველსაყოფად, უფლების აღსადგენად და ზიანის გამოსასწორებლად“.<sup>59</sup> განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გაგებულ უნდა იქნას შემდეგნაირად, რომ უზრუნველყოს მის იურისდიქციაში შემავალი პირების დაცვა წამების ან არაადამიანური მოპყრობისაგან და თუ მსგავს ფაქტს ექნება ადგლი, მოახდინოს სწრაფი და ჯეროვანი რეაგირება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ევროსასამართლოს განმარტება, კონვენციის მე-19 მუხლსა და პრინციპებზე დაყრდნობით, „რომ კონვენცია გამიზნულია, დაიცვას უფლებები არა თეორიულად და ილუმორულად, არამედ პრაქტიკულად და ეფექტურად. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება,

\* აღნიშნულ საკითხზე დანვრილებით იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: E.S. and Others v. Slovakia, 15/09/2009, Application 8227/04; E. M. v. Romania, 30/10/2012, Application 43994/05; Valiulien v. Lithuania, 26/03/2013, Application 33234/07; Eremia and Others v. The Republic of Moldova, 28/05/2013, Application 3564/11; M.G. v. Turkey, 22/03/2016, Application 646/10; Bâlşan v. Romania, 27/05/2017, Application 49645/09; D.M.D. v. Romania, 3/10/2017, Application 23022/13.

<sup>58</sup> ბურდული, ი. და სხვები, 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი: შპს პეტეტი, გვ. 56.

<sup>59</sup> იქვე. გვ. 56.

დაიცვას თავის იურისდიქციაში მყოფთა უფლებები, ადეკვატურად სრულდება“.<sup>60</sup>

## დასკვნა

ოჯახში ძალადობა თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ-სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს. წინამდებარე სტატიაც სწორედ აღნიშნულ პრობლემას შეეხება, რომელშიც შეძლებისდაგვარად არის ასახული და წარმოჩენილი ოჯახში ძალადობის პრობლემატური და მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები.

განალღებელი და თვალსაჩინოებისათვის ილუსტრირებულია მოძალადის მთავარი მამოძრავებელი ასპექტი და საშუალებები, ძალადობის გზით მოიპოვოს მსხვერპლზე ძალაუფლება და კონტროლი.

სტატიის ფარგლებში კრიტიკულად შეფასდა ოჯახში ძალადობის პრევენციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი მექანიზმები. გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგთან და თავად ამ ორდერთა ეფექტურობის საკითხი, ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით. მოყვანილი და განალღებელია სათანადო სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ადასტურებს ოჯახში ძალადობის ფაქტების მზარდ ტენდენციას. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ, ერთი მხრივ, დაიცვას დამარალებულის უფლებები და შეუქმნას მას სათანადო პირობები, იცხოვროს ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, გაატაროს აქტიური და სათანადო სარეაბილიტაციო ღონისძიებები მოძალადის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით. სახელმწიფოს ვალდებულებების უკეთ წარმოსაჩინად განალღებელია რისკების შეფასებისა და მართვის როგორც ქართული კანონმდებლობა, აგრეთვე სტამბოლის კონვენციის შესაბამისი დებულებები.

სტატიის ფარგლებში მოყვანილი და განალღებელია როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა, აგრეთვე

<sup>60</sup> იხ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნიკოლოვა და ველიჩკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, 20/12/2007, განაცხადი 7888/03.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები ოჯახში ძალადობის საქმეებზე. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ახასიათებს საერთო სასამართლოებს, კერძოდ, მკაფიოდ ჩანს მოსამართლეთა მიერ არაერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლი უარს ამბობს მოძალადის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და მოსამართლეთა შედარებით ლმობიერი დამოკიდებულება მოძალადეთათვის მკაცრი სასჯელის ზომის გამოყენების კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასების დროს

ვაითვალისწინოს გამოძიების ეტაპზე არსებული მსხვერპლის პოზიცია და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახში ძალადობის საქმეები სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას არ ხდება. მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა (განსაკუთრებით ქვედა ინსტანციისა) ინფორმირებულობის გაზრდა საერთაშორისო ნორმებისა და გადაწყვეტილებების შესახებ.

## ბიბლიოგრაფია:

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233>> [წვდომის თარიღი 4 ივნისი 2021].
2. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=232> [წვდომის თარიღი 25 ივნისი 2021].
3. საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=83>> [წვდომის თარიღი 26 ივნისი 2021].
4. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=0>> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
5. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17#!](https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17#!>)> [წვდომის თარიღი 20 მაისი 2021].
6. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის №81 ბრძანება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0>> [წვდომის თარიღი 26 ივნისი 2021].
7. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. [ინტერნეტი]

ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 23 ივნისი 2021].

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №456აბ-16).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №149აბ-20).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №355აბ-18).
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე № 50აბ-18).
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 01 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №591აბ-17).
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება (საქმე №1/723-19).
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/5497-18).
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება (საქმე №1/192-18).
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №1/209-18).
10. Velasquez Rodriguez v. Honduras, 1988 Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 4, 29/07/1988.
11. Decision of the European Court of Human Rights, Bevascua et al. V. Bulgaria, 12/09/2008, Application 71127/01.



12. Decision of the UN Committee on the Elimination of Discrimination against Women in the case of X and Y v. Georgia, 13/07/2015, application 24 / 2009.
13. Decision of the European Court of Human Rights, Opuz v. Turkey, 09/06/2009, Application 33401/02.
14. Decision of the European Court of Human Rights, Civek v. Turkey, 23/02/2016, application 55354/11.
15. Decision of the European Court of Human Rights, of Durmaz v. Turkey, 13/02/2015, application 3621/07.
16. Decision of the European Court of Human Rights, Halime Kilic v. Turkey, 28/06/2016, application 63034/11.
17. Decision of the European Court of Human Rights, Branko Tomašić and Others v. Croatia, 15/01/2009, Application 46598/06.
18. Decision of the European Court of Human Rights, Kontrovà v. Slovakia, 31/05/2007, application 7510/04.
19. Decision of the European Court of Human Rights, Talpis v. Italy, 02/03/2017, application 41237/14.
20. Decision of the European Court of Human Rights, L.C.B. v. the United Kingdom, 09/06/1998, Application 23413/94.
21. Decision of the European Court of Human Rights, Nachova and Others v. Bulgaria, 06/07/2005, applications 43577/98 and 43579/98.
22. Decision of the European Court, Nikolova and Velichkova v. Bulgaria, 20/12/2007, Application 7888/03.

## BIBLIOGRAPHY: \_\_\_\_\_

### Normative materials:

1. Law of Georgia Criminal Code of Georgia. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233>> [Accessed 4 June 2021]. (in Georgian)
2. Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=129>> [Accessed 25 June 2021]. (in Georgian)
3. Law of Georgia Administrative Procedure Code of Georgia. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=83>> [Accessed 26 June 2021].
4. Law of Georgia on Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Domestic Violence. [online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=0>> [Accessed 20 May 2021] in Georgian)
5. Law of Georgia on Prevention of Violence against Women and / or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17#>> [Accessed 20 May 2021] (in Georgian)
6. Order №81 of the Minister of Internal Affairs of Georgia of July 13, 2018. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0>> [Accessed 26 June 2021]. (in Georgian)
7. Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [Accessed 23 June 2021]. (in Georgian)

### Judicial practice:

1. Decision of the Supreme Court of Georgia, January 9, 2017 (Case №456Ap-16). (in Georgian)
2. Decision of the Supreme Court of Georgia, April 10, 2020 (Case № 149Ap-20). (in Georgian)
3. Decision of the Supreme Court of Georgia, December 13, 2018 (Case № 355Ap-18). (in Georgian)
4. Decision of the Supreme Court of Georgia, July 6, 2018 (Case № 50 Ap-18). (in Georgian)
5. Decision of the Supreme Court of Georgia, May 1, 2018 (Case №591Ap-17). (In Georgian)
6. Decision of the Tbilisi City Court, March 13, 2019 (Case №1 / 723-19). (in Georgian)
7. Decision of the Tbilisi City Court, April 10, 2019 (Case №1 / 5497-18). (in Georgian)
8. Decision of the Tbilisi City Court, August 3, 2018 (Case №1 / 192-18). (in Georgian)
9. Decision of the Tbilisi City Court, July 26, 2018 (Case №1 / 209-18). (in Georgian)
10. Velasquez Rodriguez v. Honduras, 1988 Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 4, 29/07/1988. (in English)
11. Decision of the European Court of Human Rights, Bevascua and others V. Bulgaria, 12/09/2008, Application 71127/01. (in English)
12. Decision of the UN Committee on the Elimination of Discrimination against Women in the case of X and Y v. Georgia, 13/07/2015, application 24 / 2009. (in English)
13. Decision of the European Court of Human Rights, Opuz v. Turkey, 09/06/2009, Application 33401/02. (in English)
14. Decision of the European Court of Human

- Rights, Civek v. Turkey, 23/02/2016, application 55354/11. (in English)
15. Decision of the European Court of Human Rights, Durmaz v. Turkey, 13/02/2015, application 3621/07. (in English)
16. Decision of the European Court of Human Rights, Halime Kilic v. Turkey, 28/06/2016, application 63034/11. (in English)
17. Decision of the European Court of Human Rights, Branko Tomašić and Others v. Croatia, 15/01/2009, Application 46598/06. (in English)
18. Decision of the European Court of Human Rights, Kontrovà v. Slovakia, 31/05/2007, application 7510/04. (in English)
19. Decision of the European Court of Human Rights, Talpis v. Italy, 02/03/2017, application 41237/14. (in English)
20. Decision of the European Court of Human Rights, L.C.B. v. the United Kingdom, 09/06/1998, Application 23413/94. (in English)
21. Decision of the European Court of Human Rights, Nachova and Others v. Bulgaria, 06/07/2005, applications 43577/98 and 43579/98. (in English)
22. Decision of the European Court, Nikolova and Velichkova v. Bulgaria, 20/12/2007, Application 7888/03. (in English)

## REFERENCES:

- Shengelia, R. and Shengelia, E., 2015. Family and Inheritance Law (Theory and Practice). Tbilisi: Meridian, p.11. (in Georgian)
- Kukava, T., "Translator", 1995. Aristotle, Politics. Part One. Tbilisi: p.13. (in Georgian)
- Metreveli, L., 2017. Domestic violence and aspects of the victim's psychological state. Current Issues in Criminal Law, 2, Meridiani, p. 57. (in Georgian)
- Law of Georgia on Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Domestic Violence. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=0>> [Accessed 20 may 2021]. (in Georgian)
- Article 3, Law of Georgia on Prevention of Violence against Women and / or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17#>> [Accessed 20 may 2021]. (in Georgian)
- Okeric'-Zaid, A., 2016. Practice Guide: Domestic Violence Addendum to the Judicial Violence Case Evaluation in Bosnia and Herzegovina, Sarajevo, p. 9. (in English)
- Council of Europe, 2016. Preventing and Combating Domestic Violence against Women, A learning resource for training law enforcement and justice officers, p. 5. (in English)
- Council of Europe, Stop Domestic Violence against women. [online] Available at: <[https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Aboutdomesticvio\\_en.asp](https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Aboutdomesticvio_en.asp)> [accessed 18 June 2021]. (in English)
- Power and control wheel. [online] Available at: <<http://allaboutyou.ge/ძალაუფლებებისა-და-კონტროლი/>> [Accessed 18 June 2021]. (in Georgian)
- Preventing and Responding to Domestic Violence, Trainee's manual for law enforcement and Justice Sectors in Vietnam, Hanoi 2011, 2 end Ed., p. 31. (in English)
- Meskhi, M., 2011. Domestic Violence - Moral and Legal Aspects of the Problem. Journal of International Law, 1, p. 65. (in Georgian)
- Preventing and Responding to Domestic Violence, Trainee's manual for law enforcement and Justice Sectors in Vietnam, Hanoi 2011, 2end Ed., p. 32. (in English)
- Ibid. p. 31.
- Statistical data. [online] Available at: <<https://info.police.ge/>> [Accessed 3 June 2021]. (in Georgian)
- Statistical data. [online] Available at: <<http://www.supremecourt.ge/ojaxshizaladobisstatistika/>> [accessed 03 June 2021]. (in Georgian)
- Roleff, T. L., 2004. Domestic Violence, (G. McOscar - Restraining Orders May Incite Domestic Violence). p.134. (in English)
- For details, see article 10, Law of Georgia on Prevention of Violence against Women and / or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence. [online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=17#>!> [Accessed 26 June 2021]. (in Georgian)
- For details, see article 25<sup>15</sup>, Law of Georgia Code of Administrative Procedure of Georgia. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=83>> [Accessed 26 June 2021]. (in Georgian)
- Special Report of the Public Defender of Georgia, 2015. Violence against Women and Domestic Violence in Georgia, p. 51. (in Georgian)
- Order №126 of the Minister of Internal Affairs of Georgia of August 26, 2020. On the approval of the rule of electronic supervision [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5015796?publication=0>> [Accessed 4 June 2021]. (in Georgian)
- Article 8, Paragraph 2, Order №126 of the Minister of Internal Affairs of Georgia of August 26, 2020. On

- the approval of the rule of electronic supervision [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5015796?publication=0>> [Accessed 4 June 2021]. (in Georgian)
22. Article 3, Order №126 of the Minister of Internal Affairs of Georgia of August 26, 2020. On the approval of the rule of electronic supervision. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5015796?publication=0>> [Accessed 4 June 2021]. (in Georgian)
  23. Decision of the Tbilisi City Court , March 13, 2019 (Case №1 / 723-19). (in Georgian)
  24. Kherkheulidze, I. And others, 2019. General Law in Criminal Law. Handbook. Fourth Edition. Tbilisi: Meridiani, p. 504 (in Georgian)
  25. For details, see article 53<sup>1</sup>, Law of Georgia Criminal Code of Georgia. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=232>> [Accessed 25 June 2021]. (in Georgian)
  26. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. Private part of criminal law. Book One. Seventh edition. Tbilisi: Meridian, pp. 171-172. (in Georgian)
  27. Ibid. pp. 171-172.
  28. Ibid. p.172.
  29. Davitashvili, G., 2019. Criminal aspects of systematic abuse committed in the family. Current issues of criminal law, 4, p. 61. (in Georgian)
  30. Decision of the Tbilisi City Court, April 10, 2019 (Case №1 / 5497-18). (in Georgian)
  31. For Details see Article 381<sup>1</sup>, Law of Georgia Criminal Code of Georgia. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233>> [Accessed 4 June 2021]. (in Georgian)
  32. Lekveishvili, M., Mamulashvili, G., Todua, N. and Mumladze, D., 2020. Private part of criminal law. Book Two. Sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 613. (in Georgian)
  33. Kherkheulidze, I. and others, 2019. General Law in Criminal Law. Handbook. Fourth Edition. Tbilisi: Meridiani, p. 507. (in Georgian)
  34. Rittenhouse, R. H., 2011. The Due Diligence Obligation to Prevent Violence Against Women: The Case of Pakistan, Legal Report, New York: p. 4. (in English)
  35. Velasquez Rodriguez v. Honduras, 1988 Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 4, 29/07/1988. (In English) )
  36. Hasselbacher, L., 2010. State Obligations Regarding Domestic Violence: The European Court of Human Rights, Due Diligence, And International Legal Minimums of Protection, 8 Nw. J. Int'l Hum. Rts. p. 193. (in English)
  37. Article 5, Part 2, Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [Accessed 23 June 2021]. (in Georgian)
  38. Decision of the European Court of Human Rights, Civek v. Turkey, 23/02/2016, application 55354/11. (In English)
  39. Decision of the European Court of Human Rights, Bevascua and others V. Bulgaria, 12/09/2008, Application 71127/01. (In English)
  40. Order №81 of the Minister of Internal Affairs of Georgia of July 13, 2018. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4262664?publication=0>> [Accessed 26 June 2021]. (in Georgian)
  41. Decision of the UN Committee on the Elimination of Discrimination against Women, X and Y v. Georgia, 13/07/2015, application 24 / 2009. (in English)
  42. Article 15, article 50, Part 1, Subparagraph “d”; article 49, part 1, Subparagraph “d”; article 3, Part 2. Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia. [online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=129>> [Accessed 25 June 2021]. (in Georgian)
  43. Decision of the Tbilisi City Court , August 3, 2018 (Case №1 / 192-18). (in Georgian)
  44. Decision of the Tbilisi City Court , July 26, 2018 (Case №1 / 209-18). (in Georgian)
  45. Georgian Young Lawyers Association. 2016. Monitoring of criminal trials in Tbilisi and Kutaisi city courts and courts of Appeal. Monitoring Report N9, February-July, p. 22. (in Georgian)
  46. Decisions of the Supreme Court of Georgia: April 10, 2020 (Case № 149ap-20). December 13, 2018 (Case № 355ap-18). July 6, 2018 (Case № 50 Apr-18). May 1, 2018 (Case №591App-17). (in Georgian)
  47. Decision of the Supreme Court of Georgia, January 9, 2017 (Case №456ap-16). (in Georgian)
  48. Women’s Information Center. 2012. Gender Analysis of Legislation and Judicial Practice in the Field of Domestic Violence, p.62. (in Georgian)
  49. Decision of the European Court of Human Rights, Opuz v. Turkey, 09/06/2009, Application 33401/02. (in English)
  50. Decision of the European Court of Human Rights, Civek v. Turkey, 23/02/2016, application 55354/11. (in English)
  51. Decision of the European Court of Human Rights, Durmaz v. Turkey, 13/02/2015, application 3621/07. (in English)
  52. Decision of the European Court of Human Rights, Halime Kilic v. Turkey, 28/06/2016, application 63034/11. (in English)
  53. Decision of the European Court of Human Rights, Branko Tomašić and Others v. Croatia, 15/01/2009, Application 46598/06. (in English)
  54. Decision of the European Court of Human Rights, Kontrovà v. Slovakia, 31/05/2007, application 7510/04. (in English)

55. Decision of the European Court of Human Rights, *Talpis v. Italy*, 02/03/2017, application 41237/14. (In English)
56. Decision of the European Court of Human Rights, *L.C.B. v. the United Kingdom*, 09/06/1998, Application 23413/94. (in English)
57. Decision of the European Court of Human Rights, *Nachova and Others v. Bulgaria*, 06/07/2005, applications 43577/98 and 43579/98. (In English)
58. Burduli, I. and others, 2013. *Commentary on the Constitution of Georgia*. Chapter Two. Citizenship of Georgia. Fundamental human rights and freedoms. Tbilisi: Petiti Ltd., p. 56. (in Georgian)
59. Ibid. p. 56.
60. Decision of the European Court, *Nikolova and Velichkova v. Bulgaria*, 20/12/2007, Application 7888/03. (in English)

# პირადი ცხოვრების უფლების დაცვისა და ცილისწამების რეგულირების პრობლემა თანამედროვე მედიაში

## ია მახარაძე

ფილოსოფიის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ – ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ასოცირებული პროფესორი  
ელფოსტა: [ia.makharadze@gmail.com](mailto:ia.makharadze@gmail.com)

### აბსტრაქტი

თანამედროვე მედიისთვის აქტუალურია პირადი ცხოვრების უფლებისა და ცილისწამების პრინციპების დაცვის მექანიზმების შესწავლა. შესაბამისად ნაშრომში განხილულია დაწესებული კანონები ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემაზე ჟურნალისტის საქმიანობისას: ცილისწამებლური მასალების უმეტესობა, პირადი ცხოვრების პირადული დეტალების გაშუქება დაუდევარი ჟურნალისტური მუშაობის შედეგია თუ ჟურნალისტების მხრიდან არსებული სიტუაციების ფონზე მათში ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლები. სტატიაში გაანალიზებულია ქართული მედიის სამართლებრივი რეგულაციების შედარებითი ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ მედია რეგულაციებთან ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის კონტექსტში. შემოთავაზებულია ჟურნალისტური პროფესიის ამ იდუმალი მხარის ცილისწამებლური მასალებისა და პირადი ცხოვრების დეტალების გაშუქების კუთხით არსებული საფრთხის თავის არიდების გზის ძიება.

ნაშრომში ასევე გამოკვლეულია სამართლებრივი მედიის ბუნების ცვლადი ფორმები პირადი ცხოვრების უფლებისა და ცილისწამების პრინციპების დაცვის კონტექსტში. ნამსჯელია მედიაში ჟურნალისტური მასალების გაშუქებისას პირადი ცხოვრების უფლების რეგულაციების წარმოქმნა და გაანალიზებულია ამ კუთხით ჟურნალისტების ვალდებულებების ზოგიერთი ბოლოდროინდელი ტენდენციები.

საკვანძო სიტყვები: თვითრეგულირება, ავსიტყვაობა, დიფამაცია

# The Problem of Regulating Libel and Protection of Right to Privacy in modern media

Ia Makharadze

*Doctor of Philosophy, Georgia*

*Associate Professor of Educational Bachelor's Program of Journalism at Faculty of Humanities, at National University SEU*

Email: [Ia.makharadze@gmail.com](mailto:Ia.makharadze@gmail.com)

## ABSTRACT

It is important for modern media to study the mechanisms of protection of the right to privacy and the principles of defamation. Accordingly, the paper discusses the established rules of libel and respect for the privacy during conducting journalistic operations: is the most part of the defamatory material, the coverage of personal details of personal life the result of careless journalistic work or the legitimate grounds for interference in the context of situations. The article uses the comparative analysis of Georgian legal regulations of media with legal regulations in different countries of the world in terms of libel and respect for privacy. It is suggested to find a way to avoid the danger in terms of covering the libelous materials and details of personal life of this mysterious side of the journalistic profession.

The paper studies as well the inconstant nature of the legal media in terms of right to privacy and protecting principles on defamation. Creating regulations regarding right to privacy during covering journalistic materials is discussed and recent tendencies of the journalists' obligations in this regard are analyzed.

**KEYWORDS:** Self-regulation, speechlessness, defamation

## შესავალი

თანამედროვე დასავლურ მედიაში ადამიანის უფლებები ჟურნალისტიკის ისტორიის ფასდაუდებელი მონაპოვარია და დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმთავრესი ღირებულება. მართალია, საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური და სამართლებრივი განვითარების პროცესები არ ყოფილა თანამიმდევრული, თუმცა შუა საუკუნებიდან დღემდე მსოფლიო მედიისთვის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს დამოუკიდებელ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი წარმოადგენს. მედიასამართლის თეორეტიკოსები, მედიაეთიკის მკვლევრები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სასამართლოები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ადამიანის უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებლობასა და მისი გაუმართლებლად დარღვევის ფაქტებიდან გამომდინარე საფრთხეებს.<sup>1</sup>

დღეს მედიის თავისუფლების, დამოუკიდებლობის აშკარა გაუმჯობესება ძირითადად ტექნოლოგიურ განვითარებას უკავშირდება. ეს ცვლილებები წარმოდგენილია ტრადიციულ (ბეჭდურ, ელექტრონულ,) მედიაში სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებითა და სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებით. თანამედროვე მედიაში ევოლუცია სწრაფი პროცესია ეთიკური ნორმატივების განვითარების თვალსაზრისითაც. ისტორიულ ჭრილში ცვლილებების დანახვა თვალსაჩინოა: წარსულს ჩაბარდა პარტიული გაზეთები, მთავრობისადმი ჟურნალისტების მონური მორჩილება, პიროვნების ან იდეების წინააღმდეგ მიმართული ყალბი კამპანიები. ჟურნალისტები უკვე ნაკლებად იღებენ ქრთამს. ბერლინის კედლის დანგრევამ „სოვიეტიზებული“ ჟურნალისტიკის მომხრეთა ყველა არგუმენტი გაანადგურა, მაგრამ, მეორე მხრივ, კვლავ პრობლემაა ბაზრის მედიამფლობელებსა და მედიამენეჯერებთან მიმართებაში.<sup>2</sup> სამართლებრივი თვითრეგულაციის საჭიროება ამ კონტექსტში ყოველთვის აქტუალური იქნება. ცალკეული ჟურნალისტი ვერ აგებს პასუხს მედიაში მიმდინარე პროცესებზე. მედიის მფლობელების მხრიდან მაქსიმალური მოგებისა და საზოგადოების

პასუხისმგებლიანი მომსახურების პრობლემებია. ამ მხრივ, ნებისმიერი ქვეყნის მედიასამართალი და თვითრეგულირების მექანიზმები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებათა დაცვას. ჟურნალისტიკის მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია არ უნდა ლახავდეს ადამიანის პრაივესს (პირად სივრცეს) და დაუშვებელია ყალბი ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულის მიხედვით, მედიის საქმიანობის განხორციელების პროცესში, ადამიანის უფლებათა სამართლით გარანტირებული ფუნდამენტური სფეროების დაცვა კვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება, კერძოდ, ჟურნალისტიკისთვის რთულ სფეროებად განიხილება პირადი ცხოვრება და ცილისწამება.<sup>3</sup> შუერაცხმყოფელ დებულებებს გამოხატავენ, მაგალითად, სიტყვები: მკვლეელი, მატყუარა ან ქურდი. აგრეთვე ადამიანის ღირსების შემლახველ ტიპურ ნიმუშად მიიჩნევა: უპატიოსნობის ან უღირსი საქციელის, ფინანსური უპასუხისმგებლობის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ნარკომანიის დაბრალება. კომერციულ ცილისწამებად აღიარებულია პროდუქციის ან მომსახურების მიმართ დამაჯინებელი გამონათქვამები. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლებრივი დებულებები მედია ორგანოთა ფუნქციებსა და მათ უფლებამოსილებებზე, რომელთა მიხედვითაც მედიის ინტერესების რეალიზაციის პროცესი ფუნდამენტურად სამართლის უზენაესობითაა შემზღვეული.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, კომპიუტერული ჟურნალისტიკის, ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად იურიდიულ სამეცნიერო წრეებში, მედიამკვლევრებში, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ჟურნალისტების მიერ თემების გაშუქებისას გამონგეულმა სერიოზულმა უზუსტობებმა ქვეყნის კანონმდებლობასთან, რომლებიც ზღუდავენ ამ საქმიანობას. ეს პრობლემები უპირველესად ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის ეფექტიანობას უკავშირდება. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შემზღვევა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და აკმაყოფილებდეს შემზღვევის აუცილებლობასა და გამოყენებული საშუალების

<sup>1</sup> წულუკიძე, გ., კაკაბაძე, რ. და ბერეკაშვილი, გ., 2020. გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 6.

<sup>2</sup> უიქსი, ლ. ი. და სხვები, 2006. მედიამენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე, გვ. 176.

<sup>3</sup> მახარაძე, ი., 2020. პრაივესი ქართულ და დასავლურ მედიაში. ეკონომიკა და ფინანსები. თბილისი: ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ. 137-138.

მისაღწევ მიზანთან პროპორციულობის საკითხს.<sup>4</sup> სახელმძღვანელო პრინციპად შეიძლება გამოგვადგეს ჟურნალისტების სასამართლო საქმეებთან მიმართებით საერთაშორისო სასამართლოების ეს ფორმულირება: ჟურნალისტს ან გამომცემლობას, რომელსაც სააპკარაოზე გამოაქვს პირის პირადი ცხოვრება, არ ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა და გამართლებულია მხოლოდ იმ გარემოებებში, როდესაც მოპოვებული ინფორმაციის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი, გამჟღავნებულ პირადი საკითხების ფაქტებს საზოგადოებისთვის უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე ერთი კონკრეტული პირისთვის ზიანის მიყენებაა. საკმაოდ ნათელია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევა არ დაბრალდეს. სიფრთხლეა საჭირო, როდესაც საქმე არ ეხება საჯარო მოხელეებს. საჯარო მოვლენებისას, როდესაც ახალი ამბების ობიექტად კერძო პირი იქცევა, ჟურნალისტი იურიდიული ხრიკების იმედოდ არ უნდა იყოს და ყოველთვის სრულად, სამართლიანად და ზუსტად უნდა გააშუქოს. პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა მედიის გამომწვევა და პასუხისმგებლობაა.

აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ვგალობთ, ევროპული კონვენციით უზრუნველყონ მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა პირის გარანტირებული უფლებათა დაცვა. ტრადიციულ და ახალ მედიაზე ვრცელდება ევროსაბჭოს მოცემული რეკომენდაციები. ესენია: გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციაზე წვდომა, ცილისწამება, პირადი ცხოვრების უფლება და პერსონალური მონაცემები. ამ სახელმწიფოების მედიასაშუალებებს პროფესიული მუშაობის განხორციელებისას ვგალობთ ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმ აზრის განვითარება, რომ ქართულმა მედიამ სასურველია იზრუნოს რეფორმაზე და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს მედია ადვოკატირების განვითარებას.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეათე პრინციპი კი ცალკე გამოყოფს მას - „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიტრას პირად ცხოვრებაში, თუ

<sup>4</sup> ვორპოფი, დ. და ჰოლდ-რასმუსენი, ი., 2020. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად გამოხატვის თავისუფლების შემლდვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას. სახელმძღვანელო დოკუმენტი. აშშ - ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 17.

არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი”.<sup>5</sup> ამ განმარტების თანახმად, პირადი ცხოვრების უფლება ყველას, მათ შორის საჯარო პირებსაც, აქვთ. მათაც აძლევს შესაძლებლობას დაიცვას საკუთარი ცხოვრება ჟურნალისტების არასასურველი ჩარევისგან, საზოგადოების კონტროლისგან. მედიამ არ გაასაჯაროვოს ისეთი პირადი საკითხები, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობას, პირად ურთიერთობებს, და ა.შ.<sup>6</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფართო ცნებაა და ზუსტი განმარტება არ აქვს.<sup>7</sup>

მაღალი საჯარო ინტერესისას პირადი ცხოვრების საიდუმლოს ინფორმაციის გაცხადებასა და ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა დღეს მედიის გამომწვევა და პასუხისმგებლობაა. პირად ცხოვრებაში ჩარევისას ჟურნალისტს შეუძლია, თავი იმის თქმით დაიცვას, რომ მოვლენა, როგორც ფაქტი, ამაღ ღირდა. არსებობს მკაცრი სამართლებრივი და ეთიკური ნორმები იმ ქმედებებისა, რომლებიც, ზოგადად, განიხილება არამართლზომიერ ქცევად, მაგრამ კონკრეტულ გარემოებებში მიიჩნევა ლეგიტიმურად:

- როდესაც ჟურნალისტი მას სჩადის საზოგადოების საკეთილდღეოდ;
- ბოროტება, რომლისგანაც ვიცავთ საზოგადოებას, უნდა იყოს იმის პროპორციული, რა სახის არასამართლებრივ ნაბიჯსაც ვდგამთ მის გასაცხადებლად.

ამ მეთოდების გარდა, ჟურნალისტმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს საკამათო პროფესიულ ტექნიკებს, როდესაც მათ გარეშე აბსოლუტურად შეუძლებელია საზოგადოებისთვის ეფექტიანი ინფორმაციის მოპოვება-გასაჯაროება.

კვლევის დიზაინი - ნაშრომში სამაგიდე კვლევის ფარგლებში დამუშავებული, შესწავლილი და გაანალიზებულია მედიაში პირად ცხოვრებასა და ცილისწამებასთან მიმართებით სხვადასხვა მასალები. გარდა არსებული სამეცნიერო წყაროებში მოცემული ინფორმაციისა, კვლევაში გადმოცემულია პირადი გამოცდილება, რომელიც მედიის სფეროში მუშაობის, სწავლების პროცესში

<sup>5</sup> მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. თბილისი: ევროკავშირი საქართველოსთვის. ევროპის საბჭო. გვ. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838>> [წვდომის თარიღი 15 თებერვალი 2021].

<sup>6</sup> მუხლი 10, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>> [წვდომის თარიღი 10 იანვარი 2021].

<sup>7</sup> Mencher's, M., 2008. News Reporting and Writing. USA: Columbia University, გვ. 521.



დაგროვდა.

სამიზნე ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებით და ფოკუს-ჯგუფებით სამართლებრივ ნორმებთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვასთან - პირად ცხოვრებასთან, ცილისწამებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, პროფესიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევისწავლე და გავაანალიზე შემდეგი სახის ინფორმაცია: ჟურნალისტური, იურიდიული და ამ სფეროს სამეცნიერო წრეების წარმომადგენლების დამოკიდებულება პირად ცხოვრებასთან, ცილისწამებასთან, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ასევე პროფესიული გამოცდილება სასამართლოსთან მიმართებით. თვისებრივი მეთოდოლოგიით განხორციელებული ზემოთ აღნიშნული კვლევები ეფუძნება „ქეის სტადი“ მიდგომას: ჟურნალისტების მუშაობის რეალური სიტუაციის ანალიზის მეთოდებს, პრობლემის გამოვლენას, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებასა და ოპტიმალურ გადაჭრას. დაკვირვებას, კონტენტ და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდს. კვლევა ამასთან ეყრდნობა საერთაშორისო მედიების, დამფუძნებლების, ჟურნალისტების მონაწილეობით ჩატარებულ გამოკითხვებსა და ცდებს.

თეორიული საფუძვლები - კრიტიკული გააზრება - კვლევის თეორიული საფუძველია საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმატივებითა და საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საერთაშორისო სასამართლოების იურისპრუდენციით, პრეცედენტული სამართლით, მედიაზე ჩამოყალიბებული პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები. მათი ფარგლები და შესაძლო ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლები. შედარებით მედიასამართლებრივი მიზნებისთვის გაანალიზებულია არაერთი დასავლური ქვეყნების კანონმდებლობა, პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებები. ეს საკითხები დაკავშირებულია მედიაორგანიზაციების, ჟურნალისტების საქმიანობაზე დაფუძნებულ სამართლებრივ მექანიზმებთან და თვითრეგულირებასთან.

ქვეყნების ისტორიული გამოცდილებისა და ემპირიული მასალის ანალიზით (ავტორთა განაცხადით: მათი კონცეფცია უფრო ემპირიულია, ვიდრე ნორმატიული), რაც მეტად საინტერესოა, კვლევის პროცესში დასავლური და ქართული მედიიდან (ელექტრონული, ბეჭდური, ონლაინ) მოძიებულია პირად ცხოვრებასა და ცილისწამებაზე გაშუქებული ფაქტები. ინტერნეტგამოცემებთან

დაკავშირებული მრავალი სერიოზული პრობლემა. ინტერნეტგამოცემების მიმართ შეურაცხყოფის მუხლით საქმის აღძვრა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გახდა შესაძლებელი, სადაც კი ამა თუ იმ ელექტრონულ სტატიას გავცნობიან. მართლაც, შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანაში ამ მასალებმა ვებგვერდის მომხმარებლის გალიზიანება გამოიწვიოს, მაგრამ არც ის იქნება მართებული, თუ გამოცემლები ამ მოტივით საინტერესო მასალის გამოქვეყნებას თავს აარიდებენ. პრაქტიკული მასალების ანალიზის შედეგადაც გამოვლინდა არაერთი არსებითი შინაარსის სამართლებრივი პრობლემა. აშკარაა, მედიაში მათი უმეტესობა უშუალო კავშირშია ადამიანის უფლებათა სამართლით განმტკიცებული, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ცილისწამების სათანადოდ დაცვის საკითხებთან. კვლევისას ყურადღება ექცევა მათში გამოვლენილ დადებით და უარყოფით სამართლებრივ გარემოებებს. გამოხატვის თავისუფლებისა და ცილისწამების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში განწერილი სამართლებრივი რეგულაციები ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობასა და სამართალწარმოების პრაქტიკას ემყარება. მართალია, ევროპის ქვეყნების გამოცდილება თვისობრივად განსხვავებულ ნორმატივებს ადგენს, თუმცა ქართულ რეალობასა და კონტექსტს, სწორედ რომ ამერიკული მოდელი მიესადაგება, რაც ჟურნალისტურ პრაქტიკაში არაერთგზის დადასტურდა.

კვლევის მიზნები - კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარანტიები და, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტების მხრიდან მათში ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლებია.

- კვლევის მიზანია: მედიაში პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის კვლევა, კონკრეტულად, როდესაც პიროვნება, ნებსით თუ უნებლიეთ, ახალი ამბების მოვლენებში ხდება ჩათრეული;
- პირადი ცხოვრების უფლების დაცვასთან და ცილისწამების რეგულირების პრობლემასთან დაკავშირებით არსებული- საქართველოს, აშშ-ისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ რეგულაციებზე ინფორმაციის მოძიება და მათი შედარებითი ანალიზი;
- უფრო კონკრეტულად, კვლევა მოიცავს: ჟურნალისტის პროფესიულ გადაცდომებს ცილისწამებასა და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევისთვის, როდესაც ჟურნალისტს პირის

ცხოვრება საზოგადოების სააშკარაოზე გამოაქვს. საჭაროობა, რომელიც აუდიტორიას ადამიანის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის. რა შემთხვევაში ვრცელდება „ტაიმზის დოქტრინა“\*, თუ საკითხისადმი საზოგადოების ინტერესი ჟურნალისტის მხრიდან გამართლებულია;

- ინფორმაციის მოსაპოვებლად ფარული ელექტრომონიტორინგების გამოყენება პირად ცხოვრებაში ჩარევად განისაზღვრება;
- ცილისწამების ბრალდების წინააღმდეგ ჟურნალისტის თავდაცვის ინსტრუმენტების კვლევა;
- ჟურნალისტების მუშაობის დროს გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა და არაპროპორციული შეზღუდვების დადგენა.

## მედიის თავისუფლება და ჟურნალისტის საქმიანობის საზღვრები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მედიასამართალთან მიმართებით რამდენიმე სახის მნიშვნელოვან დათქმას გთავაზობს. ნაშრომში მოცემულია ის ძირითადი დეტალები, რომლებიც ინფორმაციის თავისუფლად გასაჯაროების თვალსაზრისით მედიასამართლის ინსტიტუტს უკავშირდება. გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური და კონვენციური უფლებაა, რომელიც ქართული კანონმდებლობით ფართოდაა დაცული. გამოხატვის თავისუფლებით დაცული ინფორმაციის მოძიება და მიღება მნიშვნელოვანია დემოკრატიული მმართველობისათვის. „საქართველოს კანონის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ 24-ე მუხლით გარანტირებულია ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და ხელმისაწვდომობა ჟურნალისტის წყაროებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისთვის.<sup>8</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლებით

\* აშშ - ს შტატ ალაბამას უმენავსი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „ნოუ - იორკ ტაიმზი სალიგნის წინააღმდეგ“ - აღნიშნული იყო, რომ „კონსტიტუციური გარანტია იმისათვის შეიქმნა, რომ უზრუნველყოფს აბრთა შეუზღუდავი გაცვლა-გამოცვლა, რაც ხალხისთვის სასურველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილებების წინაპირობაა“.

<sup>8</sup> წულუკიძე, გ., კაკაბაძე, რ. დაბერეკაშვილი, გ., 2020. გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. აშშ - ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 8.

გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო. შესაბამისად, დეკლარირებულია აბრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცვა. აშშ - ს უმენავსმა სასამართლომ ინტერნეტს თავისუფლების იგივე გარანტიები მისცა, რაც მედიას.<sup>9</sup> ინტერნეტის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობით ერთი კონკრეტული კანონის საფუძველზე არ ხორციელდება. კანონმდებლობის წინაშე დადგა პრობლემა, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ცილისწამების შემთხვევაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერნეტში არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება კონკრეტულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმები.<sup>10</sup> „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონის თანახმად, მედია ნიშნავს მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვით ან ელექტრონულ საშუალებას, მათ შორის ინტერნეტს. შესაბამისად, კომუნიკაციები ინტერნეტის საშუალებით თავსდება ამ კანონის რეგულირების სფეროში. მეორე მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის #3 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა დაცვის შესახებ“, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულია პირის შეურაცხმყოფელი, ცილისწამებლური ინფორმაცია და თუ ამით პირს მიადგება ზიანი, პირს უფლება აქვს, პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა დააყენოს საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-13 მუხლის საფუძველზე. საქართველოში არ არსებობს ცალკე მოქმედი რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს ინტერნეტსივრცეში გამოთქმული მოსაზრების ან გავრცელებული ინფორმაციით ზიანის მიყენების შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობის საკითხს. ცილისწამებისას, თუ შესწორება ან უარყოფა არ ჩაითვლება საკმარის ქმედებად, მოსარჩელეს მოპასუხემ შეიძლება დააკისროს ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-3

<sup>9</sup> Mencher`s, M., 2008. News Reporting and Writing. USA: Columbia University, გვ. 197.

<sup>10</sup> ჭორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, მ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 35.

პუნქტით. ასეთი მოთხოვნისას სასამართლომ უნდა განმარტოს, რამდენად დგას ზიანის ანაზღაურების საკითხი. ასეთ დროს კი მოპასუხის მდგომარეობა/სტატუსი და დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი როლიც შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც, ზიანის ოდენობის საკითხი შეჭერდება.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, საკმაოდ ნათელია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ცილისწამება ან პირად ცხოვრებაში ჩარევა არ დაგვბრალდეს. სიფრთხილეა საჭირო, როდესაც საქმე არ ეხება საჯარო მოხელეებს. ახალი ამბების გაშუქებისას, როდესაც ობიექტად კერძო პირი იქცევა, გაშუქება სრული უნდა იყოს. პირად სივრცეში შეჭრის გარდა, პირად ცხოვრებაში ჩარევის სხვა შემთხვევებში ჟურნალისტს შეუძლია, თავი იმის თქმით დაიცვას, რომ მოვლენა, როგორც ახალი ამბავი, ამაღ ღირდა.

თანამედროვე მედიას დღეს მძიმე ტვირთი აწევს. მან თავის თავზე აიღო ახალი ამბების მოგროვების, გამოქვეყნების, ინტერპრეტაციისა და კომენტარების, ასევე უამრავ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივ ინტერესთა დაცვის ამოცანა. ჟურნალისტებისთვის ეს იმასაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ თავისუფლად მიიღონ ინფორმაცია და გადაამოწმონ სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტების ასლები, სახელმწიფო მოხელეთა, ორგანიზაციათა დოკუმენტაცია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამაც დაადგინა, რომ ინფორმაციის მიღების თავისუფლება გულისხმობს საზოგადოებისთვის ოფიციალური ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უფლებას, თუ ამ ინფორმაციის მიღება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად. ინფორმაციის წყაროების დაცვის გარანტიები გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის და მედიის თავისუფლების ხარისხის ერთგვარ მარკერად სახელდება დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>12</sup> ჟურნალისტური გაერთიანებები ყველა ქვეყანაში აღიარებენ ინფორმაციის წყაროების დაცვის განსაკუთრებულ მექანიზმს. ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ პირველი შესწორება სწორედ

წყაროს კონფიდენციალობის გამომჟღავნებისგან ათავისუფლებს მათ. მედიის წარმომადგენლები შიშობენ, რომ თუ ინფორმაციის მიმწოდებლის ანონიმურობა არ იქნება დაცული, მაშინ მასმედია გაღარიბდება და სხვა მხრივაც წააგებს. იდენტური წესები მოქმედებს საქართველოშიც. მაგალითად, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-6 მუხლის თანახმად, „ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციაურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო“.<sup>13</sup>

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია საქართველოში 2009 წელს დაფუძნდა. ამავე წელს მიღებულია ინფორმაციის დაცვის სამართლებრივი მექანიზმი - „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. ამ იურიდიული დოკუმენტის მიხედვით, „სიზუსტის უზრუნველყოფისათვის, მაუწყებელმა უნდა მოახდინოს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება. ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციის გაშუქების შემთხვევაში, მაუწყებელმა ნათლად უნდა მიუთითოს წყაროს ანონიმურობის შესახებ“ (მუხლი 14, პუნქტი 2)<sup>14</sup>. „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი“, რომელიც 2006 წლიდანაა მიღებული, მე-5 თავი ეთმობა კონფიდენციაური ინფორმაციის მოპოვებისა და დაცვის სტანდარტიზაციას. დეტალურადაა წარმოდგენილი რეკომენდაციები ინფორმაციის წყაროს ანონიმურობის მნიშვნელობასა და მათი დაცვის აუცილებლობაზე. მასში ჩამოყალიბებულია შემლუდვის წინაპირობები. პროფესიული მოღვაწეობის დროს ჟურნალისტი ვალდებულია, პატივი სცეს სამართალს, დაკანონებულ ინტერესებს, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს. კანონმა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, იმდენად გაზარდა სიტყვის თავისუფლების დაცვის საზღვრები, რომ თითქმის ხელშეუხებელი აღმოჩნდა, როგორც კეთილსინდისიერი, ისე - არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტი. ერთი მხრივ, ამ რეალობამ თავად ჟურნალისტებს შორის განსაკუთრებით აქტუალური გახადა სტანდარტების საკითხი. კეთილსინდისიერი ჟურნალისტს ბუნებრივად გაუჩნდათ სურვილი, კანონის შიგნით თავად მონიშნონ უფრო ვიწრო

<sup>11</sup> ჯორბენაძე, ს., 2019. სოციალური მედიის სამართალი.

თბილისი: გერმანიის თანამშრომლობის ფონდი, გვ. 154-155.

<sup>12</sup> კაპანაძე, ნ., 2016. რა სხვაობაა ინფორმაციის წყაროს დაცვის პროფესიულ და საკანონმდებლო გარანტიებს შორის? თბილისი: მედია მედიისთვის. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <<https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49991-ra-skhvaobaa-informaciiis-tsyaros-dacvis-profesiul-da-sakanonmdelbo-garantiabs-shoris>> [წვდომის თარიღი 11 აპრილი 2021].

<sup>13</sup> მუხლი 6, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.gartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>> [წვდომის თარიღი 10 იანვარი 2021].

<sup>14</sup> მუხლი 14, საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59>> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].

საზღვარი, რომელსაც ისინი ნებაყოფლობით დაიცავენ და არ ისარგებლებენ კანონის მერ მინიჭებული თითქმის განუსაზღვრელი თავისუფლებით. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტს, გამოხატვის თავისუფლებას ხშირად ემუქრება გაუმართლებლად შებლდვის შემთხვევებიდან მომდინარე საფრთხეები. აქედან გამომდინარე, სიტყვის თავისუფლების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა საკმაოდ წინააღმდეგობრივია. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერ მოხერხდა ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც ამ საკითხთან მიმართებით სერიოზულ გარანტიებს შექმნიდა. გამოხატვის თავისუფლების შებლდვის შესაფასებლად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შემდეგ სტანდარტებს ადგენს: 1. სიტყვის თავისუფლება იმდენად მოქმედი კანონმდებლობით; 2. გამოხატვის თავისუფლების შებლდვის მცდელობები კონკრეტულ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს; 3. დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების შებლდვა აუცილებელი უნდა იყოს ან პროპორციული იმ მიზნის, რომლის მიღწევაც ადამიანურულ ხელისუფლებას სურს. კანონით შებლდვის განსაზღვრულობის კრიტერიუმი გულისხმობს კანონის განმარტებასა და ხელმისაწვდომობას, ხელისუფლების ორგანოებს არ ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეუზღუდავ ან ძალიან ფართო დისკრეციას.<sup>15</sup> შესაბამისად, უნდა ვიმსჯელოთ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამოხატვის თავისუფლების შებლდვის კანონიერების შემოწმების წესსა და ევროპული კონვენციის შესაბამისობაზე. ასევე სიტყვის თავისუფლების შებლდვის ფაქტებიდან გამომდინარე საფრთხეებზე. აშშ - ში უმაღლესი სასამართლო კი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები არ არიან პრივილეგირებულნი და ისეთივე მოპასუხეები არიან, როგორც სხვა მოქალაქეები, თუკი მათ სასამართლო გამოიძახებს ინფორმაციისთვის. თუმცა, მედიისადმი სასამართლო უწყების მხოლოდ ასეთ ცალსახა მიდგომით ვერ შემოვიფარგლებით, რადგან ამერიკის მრავალ შტატშიც და ცივილიზებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516.542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლამა ტულუმი, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 7.

არსებობს ე.წ. დამცავი კანონები, რომლებიც გარკვეულ პროტექციას უწევს ჟურნალისტს ინფორმაციის იძულებით გამოაშკარავებისგან. ეს კანონები მსგავსია ვეჭილისა და ექიმის ინფორმაციის კანონის, აგრეთვე საეკლესიო პირთათვის აღსარების საიდუმლო სახით გამჟღავნებული ინფორმაციის დამცავი კანონისა.<sup>16</sup>

ამ კვლევაში რამდენიმე საქმეა მოცემული, რომელიც ხსნის ყველაზე პრეცედენტულ დავებს. მასში ასახულია გარემოებები, რომლებიც შეეხებოდა მედია საშუალების მხრიდან სამართლებრივ გადაცდომებს, გამოვლენილ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებსა და უფლების დაცვის საკითხებს. პრაქტიკული თვალსაზრისით, ჟურნალისტების პრეცედენტული სამართლებრივი საქმე საქართველოს რეალობისთვისაც სამართლებრივად მნიშვნელოვანია. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ 1976 წელს, საქმეში - „სანდი თაიმსი“ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ - გადაწყვეტილებით დაადგინა ის, რაც მომავალში გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე დისკუსის მთავარ თემად იქცა:

- დემოკრატიული საზოგადოებისათვის გამოხატვის თავისუფლება ძირითადი ფუნდამენტია, პირობაა თითოეული ადამიანის პროგრესისათვის;
- ის განმარტავს არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციას“ და „ხედვებს“, რომლებიც მოწონებულია და მიღებულია როგორც არაძალადობრივი ან ინდიფერენტული, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემანუხეხელი შეიძლება იყოს სახელმწიფოსათვის, ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისათვის. ასეთებია: პლურალიზმის მოთხოვნა, ტოლერანტობა და გახსნილი გონება, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს.<sup>17</sup>

დიდ ბრიტანეთში ამ დროს გაზეთებმა ჟურნალისტური გამოძიებისას აქტიურად დაიწყეს ფარული მოსაძიებელი და გადამღები აპარატურის გამოყენება. ამ გამოცემების მფლობელები თავადაც მდიდარი ბიზნესმენები იყვნენ, მათი დახმარებით ჟურნალისტები მოსაძიებელ ტექნიკას ამონტაჟებდნენ კერძო ბიზნესმენტთა ან პოლიტიკოსთა სამუშაო

<sup>16</sup> მახარაძე, ი., 2006. დემოკრატიის პრინციპები თანამედროვე მედიაში. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, გვ. 132.

<sup>17</sup> წულუკიძე, გ., ვაკაბაძე, რ., დაბერევაშვილი, გ., 2020. გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. თბილისი: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გვ. 8.

ადგილებზე, კაბინეტებში და შემდეგ მათი მაკომპრომეტირებული საუბრების სრულ მასალებს ასაჯაროებდნენ. დასავლეთის მედიაში მე-20 საუკუნის 60-იანი წლები ჟურნალისტიკისთვის, როგორც ე.წ. მეოთხე ხელისუფლების შტოსთვის, პროდუქტიული პერიოდია. ჟურნალისტები ამ ქვეყნების პოლიტიკურ ისტებლიშმენტს სერიოზულ გამოცდას უწყობდნენ. ჟურნალისტიკა ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებდა სხვადასხვა პროფესიულ იარაღებს და მეთოდებს: შანტაჟს, წყაროების მოქრთამვას, შენიღბვას (თავის სხვად გასაღებას), დანაშაულის განზრახ ჩადენას, ფარულად ფოტო, ვიდეო - აუდიო გადაღებებს და ჩანაწერებს. აშშ-ში არ არსებობს კანონი პრესის შესახებ, კონსტიტუციის პირველი შესწორება შეიცავს მედიის თავისუფლების გარანტირებას. მისი შინაარსი განსაზღვრავს ამრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების ჩარჩოებს.<sup>18</sup> დიდი ბრიტანეთი ათწლეულების განმავლობაში პრესისთვის უმკაცრეს კონსერვატიულ ჩარჩოებს აწესებდა: ბევრი კანონი არსებობდა, რომლებიც ზღუდავდნენ სიტყვის თავისუფლებას და ხელს უშლიდნენ კვლევითი, საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებას. მედიის ყველა ნაკლისგან გათავისუფლებას მისი თანამშრომლების პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას სამართლებრივ და ეთიკურ მოქცევაში ხედავდნენ. დიფამაციის კანონმდებლობა სწორედ ასეთი ამრი იყო ანგლო-საქსურ ქვეყნებში. მედიის გადარჩენა ბაზრის, სამართლებრივი ჩარჩოებისა და ეთიკის კომბინაცია უნდა ყოფილიყო. 1998 წელს ბრიტანეთი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას შეუერთდა. ამისათვის გაერთიანებულმა სამეფომ საკუთარი კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება აიღო. ეს პროცესი 2000 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ბრიტანელებმა ძალზედ გონივრულად შემოინახეს შედარებით კონსერვატიული რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესების დაცვას - და სამართლის ეთიკის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გააღვიძეს. მედიის მომხმარებელს, ფაქტობრივად, საზოგადოების სამივე კომპონენტი ესაჭიროება: კანონი, ეთიკა, ბაზარი და მედიაპროდუქტის ხარისხის კონტროლი.<sup>19</sup>

აღნიშნული პროცესის კონტექსტში ყველაზე ხშირად და ეფექტიანად ჟურნალისტიკის თავისუფლების, პრივილეგიების შეზღუდვას დიფამაციის კანონი აწესებს. დიფამაცია ინგლისის კანონმდებლობაში განიშარტება, როგორც: „არამართალი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც აზარალებს პიროვნების რეპუტაციას და ამცირებს მას საზოგადოების სადად მოაზროვნე ნაწილის თვალში“. დიფამაციურად რა შინაარსის ინფორმაცია ან განცხადება შეიძლება ჩაითვალოს, დაკონკრეტებული არაა. თუმცა ეს გარემოება ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მედიისთვის, მათ შორის ჩვენი ქვეყნისთვის, არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ასეთი უფლებრივი კომპონენტის შეუსრულებლობით აუცილებლად ირღვევა საერთაშორისო სამართლებრივი და საქართველოს კონსტიტუციის მე - 15 მუხლი.<sup>20</sup> ამ დროს გასათვალისწინებელია, მედია გამოცემაში ან ჟურნალისტმა ინფორმაციის გავრცელებისას პიროვნებას არ მიაყენოს ზიანი. ჟურნალისტური მასალის ავტორმა პირადი ცხოვრების რეგულირების კონსტრუქცია და შინაარსი დაიცვას. კანონი ამასაც არეგულირებს. პირადულზე მედიას შეუძლია გამოაქვეყნოს მხოლოდ გადამონმშებული და ამ ინდივიდთან შეთანხმებული ცნობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალისტის ქმედება თავხედობად და დაუდევრობად იქნება მიჩნეული. საზოგადო მოღვაწეთა შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა იყოს გადამონმშებული, თუმცა არა ყოველთვის შეთანხმებული. თუ გარკვეული მასალა არ შეიცავს დადასტურებულ ჭეშმარიტებას და გამოცემელმა ეს უწყის, მაშინ იგი ვალდებულია, მიუთითოს ინფორმაციის საეჭვობაზე. საპირისპირო შემთხვევაში ჟურნალისტის ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ბოროტი განზრახვა. თავხედობისა და ბოროტი განზრახვის გამიჭვნა იმიტომ მოხდა, რათა დაცულიყო დებატები საკამათო გამოცემებზე და შენარჩუნებულიყო საზოგადოებრივ მოხელეთა პასუხისმგებლობა. მხოლოდ სიყალბე რომ ყოფილიყო საყრდენი სტანდარტი, მედიის წარმომადგენლებს ალბათ იძულებით მოუწევდათ ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელშიც სულ ცოტა რამ მაინც იქნებოდა სადავო. ამ საქმეს უსაფრთხოდაც გააკეთებენ. ასეთი ტაქტიკა მათ სასიკეთოდაც იმუშავებდა და უცხო თვალისგან დამცავ ფარად

<sup>18</sup> დე ტოკველი, ა., 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გვ. 183.

<sup>19</sup> ბერტრანი, კ. ჟ., 2004. მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სიტემა. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი, გვ. 18.

<sup>20</sup> პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. 2014. ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში. გვ. 9.

გამოდგებოდა.<sup>21</sup>

სავარაუდოდ, მომავალში ცილისწამებასა და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი სერიოზული პრობლემა იქნეს თავს: ჟურნალისტიკის საქმიანობის განხორციელებისას თავისუფლების შეზღუდვის მაღალი რისკები, პირადი ცხოვრების დაცული უფლებრივი კომპონენტი, მათში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხე. ჟურნალისტური ორგანიზაციები, მედია კომპანიები, ჟურნალისტები წარმოადგენენ სახელისუფლებო ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს (მეოთხე შტოს) და შეიძლება დაექვემდებარონ სამართლებრივ და ეთიკურ დონეზე კრიტიკას. ამავდროულად, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები ქმედების უფრო ფართო ფარგლები: მოგვერ საჭირო ხდება რესპოდენტების მოტყუება, თავის სხვად გასაღება, პირად საკუთრებაში შეჭრა, კანონის დარღვევაც კი იმისათვის, რომ მასალის მოკვლევა, გამოძიება ჩატარდეს და საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამჟღავნდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მედია საქმეების მიმართ დროთა განმავლობაში შეიცვალა. ახლა მოსამართლეების მიდგომები უფრო მეტად გამოხატვის თავისუფლების დაცვისკენაა მიმართული, ვიდრე ეს ჟურნალისტების წინააღმდეგ წარმოებული საქმეების პრაქტიკის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იყო. თანამედროვე მედიაპრაქტიკა მრავალ ისეთ მოგად პრინციპსა და პროცედურას იცნობს, რომელთა გამოყენება მედიაშეზღუდვებს, ჟურნალისტებს შესაძლებლობას აძლევს, მინიმუმამდე შეამცირონ შესაძლო სამართლებრივი პრობლემები ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების თემების გაშუქებისას.

დიფამაციის ობიექტია პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ასევე პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც განუყოფელია პიროვნებისგან და არ ექვემდებარება ფულად შეფასებას; ეს ღირებულებები ექვემდებარება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას. მასთან დაკავშირებით კი წარმოიშვება მყარი და სოციალურად ერთგვაროვანი არაქონებრივი დაცვითი ხასიათის ურთიერთობები.<sup>22</sup>

საქართველოს კონსტიტუციაში განმარტებულია „რეპუტაციის“ სინონიმად და ამდენად, პატიოსანი სახელის გაგება დაქვემდებარებულია ღირსების გაგებასთან: „წინასწარი ყალბი ცნობების გავრცელება, რომლითაც ავტორიტეტს უფუჭებს მეორე ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებას ან ძირს უთხრის მის რეპუტაციას“. ამდენად, ცილისწამების გაგება შეიცავს სამ ნიშანს: 1. ღირსებისა და პატიოსნების დამცირება; 2. ამ ქმედების წინასწარგანზრახულობა; 3. გავრცელებული ცნობების სიყალბე. ამგვარად ცილისწამება - ღირსებისა და პატიოსნების ისეთი შელახვაა, რომელიც უკავშირდება წინასწარ განზრახულ სიცრუეს, მაგრამ სრულებით არ იგულისხმება უკადრისი ფორმის აუცილებლობა. დამწყობათვის ეს იდუმალი მხარეა, სადაც გზის ყველა მაჩვენებელზე წერია „ნუ იბამ“. გამოცდილი ჟურნალისტიკისთვის ცილისწამება ყურადსაღები რეალობაა. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში არსებობს ოთხი ძირითადი პრინციპი, რომელიც ჟურნალისტს იცავს ხელისუფლების ნებისმიერ ჩინოვნიკთან დაპირისპირებისას, ამათგან პირველი - „ცილისწამებაა“.<sup>23</sup> 2004 წლიდან დიფამაცია აღარაა სისხლის სამართლებრივი დასჯადი ქმედება, შესაბამისად, არც ერთი ჟურნალისტი სისხლის სამართლის კანონით არ აგებს პასუხს. ცილისწამების ბრალდებით (მაგალითად, შვედრანდის პრემიერმინისტრის გაზეთ „თრი-ალეთის“ ჟურნალისტის - საბა წინიკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული იყო სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 148 - ე მუხლით).<sup>24</sup> უპირველეს ყოვლისა ამ კანონით ცილისწამების დეკრიმინალიზაცია განხორციელდა. ცვლილების მიხედვით, ცილისწამების შესახებ კოდექსის 148-ე მუხლი გაუქმდა. ხსენებული კანონი ცილისწამებას განსაზღვრავდა როგორც დანაშაულის ბრალდებას, ცილისმწამებელი ისჯებოდა გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ასიდან ორას საათამდე.

ჟურნალისტებს არა მხოლოდ სახელმწიფოსგან, არამედ კერძო პირებისა და ორგანიზაციებისგანაც იცავს. ცილისწამება დასჯადი რომ არაა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ

<sup>21</sup> მახარაძე, ი., 2006. დემოკრატიის პრინციპები თანამედროვე მედიაში. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, 131. გვ.

<sup>22</sup> ალფაიძე, თ., 2008. მედია სამართალი. თბილისი: გვ. 229.

<sup>23</sup> მუხლი 17, საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208>> [ნვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].

<sup>24</sup> მახარაძე, ი., 2010. თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა. თბილისი: საარი, გვ. 304.

ცილისწამებისას პირი სრულად თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რა თქმა უნდა, მრავალ პუბლიკაციებსა და გამოსახულებებში ამოიცნობთ ცილისწამების ნიშნებს. ცილისწამების წინააღმდეგ საბრძოლველად დღეს მოქმედი სამართლებრივი მექანიზმია: სამოქალაქო დავა, მტკიცების ტვირთის გადანაწილება, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელეს შეუძლია ცილისწამებისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. სასამართლო განხილვებისას კერძო პირებისა და საჯარო მოხელეების გამიჯვნა მოხდა. სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს ცილისწამებად მასალა, რომელიც: ბარალს აყენებს პირის პროფესიულ საქმიანობას ან სამსახურს, ახდენს პირის დისკრედიტაციას, აღძრავს საზოგადოებრივ დაცინვას ან ზიზღს, ასევე კანონით იცავს ცილისწამებაში ბრალდებული გამოცემების ინტერესებს თუკი ავტორი დაადასტურებს, რომ მასალის მომზადებისას მნიშვნელოვანი ზომები მიიღო ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ამით ბრალდების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. უმეტეს შემთხვევაში, ცილისწამებლური მასალის გამოქვეყნება მედიაში საშიშროებას არ წარმოადგენს. აღსანიშნავია, ასევე, რომ კრიტიკული გამოხატვის თავისუფლების დაცვა გამყარებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მთელი რიგი პროგრესული პრეცედენტებითაც. ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენისას მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსარჩელისგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება. ასეთ დანაწესს კანონი ითვალისწინებს იმ მიზნით, რომ დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება უკანონო შეზღუდვისგან. აუცილებელია განვმარტოთ, რომ „აშკარად უსაფუძვლო სარჩელის“ დეფინიცია ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (მუხლი 178) ჩამოყალიბებულია სარჩელის შინაარსი, მითითებულია ის იურიდიული ფაქტები, რომლებიც ქმნის სარჩელის საფუძველს და მისი შეცვლის უფლება სასამართლოს არ აქვს. ეს მხოლოდ მოსარჩელეს შეუძლია. სასამართლო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სარჩელი. სასამართლო პრაქტიკა იცნობს უსაფუძვლობის გამო სარჩელის დაუკმაყოფილებლობის უმარავ შემთხვევას, მაგრამ მოსარჩელეს არ აკისრებს მოპასუხისთვის ფულადი ანაზღაურების გადახდას.<sup>25</sup> აშშ-ის მედიის

ამ კატეგორიის საქმეებზე *სასამართლო პრაქტიკა ასე ჩამოყალიბდა: სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას* ჟურნალისტები, რედაქტორები, პროდიუსერები და მედიამენეჯერები მზად უნდა იყვნენ იმისთვისაც, რომ ცილისწამების შესახებ საქმის განხილვისას მოსარჩელე აუცილებლად მოითხოვს მათი სულიერი მდგომარეობის შეფასებას. ამით იგი შეეცდება დაამტკიცოს, რომ ჟურნალისტები ან დაუდევრად მოიქცნენ, ან თავიდანვე იცოდნენ გამოქვეყნებული ფაქტების სიყალბის შესახებ. მედიამენეჯერებმა წინასწარ უნდა გააფრთხილონ თანამშრომლები, რომ შეინახონ სამსახურებრივი ჩანაწერები, რომლებშიც ნაჩვენებია იქნება, თუ როგორ მოიპოვა მასალა და რის საფუძველზე მიიჩნიეს, რომ იგი სამართლიანია და ზუსტი. ახალი ამბების პროგრამებში, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც ჰყავთ გამოყოფილი, რომელიც თვალყურს ადევნებს ცილისწამებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს შტატის ან ფედერალურ კანონმდებლობაში. მედიასაშუალებების ხელმძღვანელები რეპორტიორებს ავალებენ, გულდასმით ჩაიწერონ შენიშვნები და შეხედულებები, გამოიყენონ ერთზე მეტი წყარო, გადაამოწმონ მასალები და/ან მოიძიონ დამატებითი საბუთები იმ დებულებათა დასამტკიცებლად, რომლებიც მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება ცილისწამებლურად აღიქვას, აგრეთვე მოიპოვონ ანალოგიური სასამართლო დოკუმენტები (მაგ.: საჩივარი არხის საქმიანობის გაგრძელების აკრძალვის თაობაზე და დადგენილებები), რაც შეიძლება მტკიცებულებად გამოადგეთ. ასევე ავალებენ, პროცესზე, საქმის მოსმენისას, ხშირად გამოიყენონ სიტყვები - ამტკიცებენ და მტკიცებულება, თავი აარიდონ პუბლიკაციას, გადაცემებს იმის შესახებ, რომ ოფიციალური პირი საქმის აღძვრას ან გამოძიებას აპირებს (მაგრამ ჯერ არც ერთი არ გაუკეთებია და არც მეორე), აგრეთვე დაელოდონ, ვიდრე საქმე ოფიციალურად არ აღიძვრება, ასევე მასალა გაშუქებამდე ან გაგრცელებამდე წააკითხონ იურისტს, რათა დარწმუნდნენ, რომ იგი რაიმე ცილისწამებლურს არ შეიცავს.<sup>26</sup>

ხშირ შემთხვევაში ცილისწამებლური მასალის გამოქვეყნება მედიაში საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ იგი ლეგიტიმურია. „ლეგიტიმურია“ იმას ნიშნავს, რომ, თუ მასალა წარმოადგენს საჯარო ოფიციალური ორგანოს მუშაობისა და მათი სხდომებზე, თათბირებსა

<sup>25</sup> ალფაიძე, თ., 2008. მედია სამართალი. თბილისი, გვ. 233.

<sup>26</sup> უიქსი, ი., ლ. და სხვები, 2004. მედია მენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე, გვ. 174.

თუ პროცესებზე წარმოქმულის ზუსტ ანგარიშს. საჯარო დოკუმენტაციის შინაარსი უმეტესად ლეგიტიმურია.

ცილისწამების ბრალდების წინააღმდეგ ჟურნალისტის სამართლიანი თავდაცვის საშუალებებია - კომენტარი და კრიტიკა, თუკი კომენტარი უკეთდება ან გაკრიტიკებულია განუვლი სამუშაო და არა კონკრეტული პერსონა, ეს ცილისწამებად არ მიიჩნევა. ეს ბალანსი დაირღვევა სწორედ იმ შემთხვევაში, თუკი ცილისწამებისათვის ისევე ამოქმედდება სისხლისსამართლებრივი ან თუნდაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, შებრუნდება მტკიცების ტვირთი.

შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარანტიებია და, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტების მხრიდან მათში ჩარევის ლეგიტიმური საფუძვლები.<sup>27</sup> არ არსებობს იდენტური ფაქტები, წესები, რომელთაგან ყველა განურჩევლად და ერთნაირად საჭიროა მრავალი ჟურნალისტური წყაროს, სუბიექტის, საგნისა თუ მოვლენის მიმართ. ყოველი ახალი მასალა ჟურნალისტისგან პროფესიული ქცევის გადაფასებას მოითხოვს: გარკვეულ სფეროებში შესაძლებელია და ტყუილის გამოსააშკარავებლად ჟურნალისტებს უწევთ კანონის დარღვევა. მაგალითად, საზოგადოების ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, ბევრი ჟურნალისტი უსაფრდობა უარყოფით პერსონაჟებს (მონინააღმდეგეებს). ჩართული ტექნოლოგიებით აღჭურვილი შეიძლება გაუფრთხილებლად შეიჭრას ვინმეს სამუშაო ადგილზე, კომპანია და კერძო საკუთრებაში. ამ შემთხვევაში პირადი ცხოვრების უფლება ირღვევა, ადამიანის პრივატული საკითხები საზოგადოების სააშკარაოზე გამოაქვთ და ამ საჯაროობის შედეგად მედიის ობიექტივში მყოფი პერსონაჟი მორალურად მიაჩნდება. ცნება „სახელის გატეხისგან“ განსხვავებით, რომელსაც ანგლოამერიკულ სამართალში ხანგრძლივი ისტორია აქვს, პირადი ცხოვრების უფლების დაცვა მედიაში უფრო ახალი იურიდიული საკითხია და ბევრად მეტი უპასუხო კითხვაა, ვიდრე ცილისწამებისას.<sup>28</sup> სასამართლოებმა უნდა გაავლონ მკვეთრი ზღვარი საზოგადოების უფლებას და ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლებას შორის.

ჟურნალისტებისთვის პირად ცხოვრებაში

ჩარევის რამდენიმე საკითხი წარმოადგენს დილემას:

- ინფორმაციის საჯაროობა, რომელიც საზოგადოებას ადამიანის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის (ცილისწამებლურია);
- პირის შესახებ პირადული ფაქტების გამჟღავნება. ფაქტები თუ ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებული, მათი გამოქვეყნება დასაშვებია. იმ შემთხვევაში თუ მათ მიმართ საზოგადოების ინტერესი არგუმენტირებული არაა, მათი გასაჯაროება დაუშვებელია.

ჟურნალისტის უნებართვო შეჭრა ადამიანის პირად ცხოვრებაში მასალის მოსამზადებლად ან ფოტოს, აუდიო-ვიდეოს ჩასაწერად, გადასაღებად - მიყურადება და კერძო საკუთრებაში უნებართვო შეღწევა დაუშვებელია. ადამიანის სახლში ან სამსახურში ელექტრომონწყობილობების დაყენება უკანონოა. საზოგადოებრივი ინტერესი აქ გამართლებულად არ გამოდგება...<sup>29</sup>

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არასდროს იქნება და დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. ასევე თითოეული ინგრედიენტის პროპორცია რთული განსასაზღვრია: მათზე გავლენას ადგილობრივი ქვეყნის კულტურა და ისტორიული პრეცედენტები ახდენენ. რაც უფრო მაღალია საზოგადოებისათვის ინფორმაციის ღირებულება, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება პირის პირად ინტერესს და პირიქით.<sup>30</sup> ჟურნალისტმა ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გაშუქებისას კარგად უნდა გაიაზროს რის ან ვის მიმართ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი: პრობლემის, რასაც პირადი ინფორმაცია წარმოაჩენს, თუ იმ პირის ცხოვრების მიმართ, რომელიც მასალაშია წარმოდგენილი. ყოველმა ამგვარმა ჩარევამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ადამიანის ფსიქიკაზე. ამ სიტუაციაში ჟურნალისტური საქმიანობა შეიძლება კანონიერი იყოს, გამართლებულად ჩაითვალოს მხოლოდ პირველ შემთხვევაში. რაც უფრო ინტიმურ საკითხს ეხება ინფორმაცია, მით უფრო ძლიერი უნდა

<sup>27</sup> მენჩერი, მ., 2013. ახალი ამბების ჟურნალისტიკა. თბილისი: დიოგენე, გვ. 518.

<sup>28</sup> იქვე. გვ. 519.

<sup>29</sup> Larry, J. and Sabato, F. F., 1991. How Attack Journalism Has Transformed American Politics. New York: The Free Press, pp. 125-126.

<sup>30</sup> მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. ევროპის საბჭო. ევროკავშირი საქართველოსთვის, გვ. 11. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838>> [ნვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].



იყოს ავტორის მხრიდან ფაქტების წარმოდგენის არგუმენტაცია. მაგალითად, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელები, რომელთაც თან შეჰყავთ ჟურნალისტები, არღვევენ კონსტიტუციის მეოთხე შესწორებას. პოლიციელს პასუხისმგებლობა ეკისრება, ჟურნალისტს კი შეიძლება კერძო საკუთრებაში შეჭრისთვის უჩივლონ.<sup>31</sup>

ასევე ამერიკაში სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურმა სტანდარტებმა და პრაქტიკამ, მედიასამართლის იურიდიული ლიტერატურის შესწავლამ წარმოაჩინა მასმედიის მარეგულირებელი კანონების, წესებისა და ინსტრუქციების მუდმივი ცვლილებების აუცილებლობა. ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ მომენტებზე, როდესაც მედიაორგანიზაციებსა და სასამართლო ორგანოების ურთიერთობისას იურიდიული დახმარების მისაღებად სპეციალისტის კონსულტაცია ხდება საჭირო. ჟურნალისტებმა მასალების გაშუქებისას სამართლებრივ საკითხების ამ სპექტრს (ცილისწამება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.) თავი რომ გაართვან, კანონები კარგად უნდა შეისწავლონ. ამიტომ ყურადსაღებია მეოთხე ხელისუფლებისთვის იმ უმთავრესი პრინციპების ცოდნა, რომლებიც მედიის წარმომადგენლებს სამართლებრივი პრობლემების თავიდან აცილებაში დაეხმარება.

### მედიაში სამართლებრივი პრობლემების - ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის თავიდან აცილება

თანამედროვე მედიაპრაქტიკა მრავალ ისეთ ზოგად პრინციპსა და პროცედურას იცნობს, რომელთა გამოყენება ჟურნალისტებს შესაძლებლობას აძლევს, თავიდან აიცილონ ან შეამცირონ შესაძლო სამართლებრივი პრობლემები.

პირადი ცხოვრების უფლებას კანონი იცავს. ადამიანის ცხოვრების პირადული დეტალები შეიძლება გაშუქდეს, თუ მასალა საზოგადოებისთვის საინტერესო პერსონას ეხება და მეტად შეურაცხყოფელი არაა. საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული ნორმები ისეთი

ძირითადი პრინციპების რეგულირებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა: სიტყვის, ბეჭდვის, ამრის გამოხატვის თავისუფლება, უფლება ინფორმაციაზე, გამოკითხვაზე, „ცილისწამების და პირად ცხოვრებაში ჩარევის შესახებ“ განერილია ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებსა და კანონმდებლობაში მასმედიის საშუალებებზე. მაგალითად, აშშ-ის ფედერალური კანონი კრძალავს მავთულიანი თუ უმავთულო სატელეფონო საუბრების მოსმენას, თუ ისინი პირადი ცხოვრების საკითხებს ეხება. 1994 წლიდან ეს კანონი მობილურ და უმავთულო კომუნიკაციებზეც ვრცელდება. ფედერალური კანონი ასევე კრძალავს ინფორმაციის საცავებში არასანქცირებულ შეღწევას ან მათი მასალების ელექტროკომუნიკაციური მომსახურებისათვის გამოყენებას. ჟურნალისტები, რომლებიც სატელეფონო საუბრებს ჩაიწერენ, თათბირის ჩასატარებელ ოთახში მოსასმენ აპარატურას დაამონტაჟებენ ან ეცდებიან, პირადი სატელეფონო შეტყობინებები ხელში ჩაიგდონ, შეიძლება პასუხისმგებლობა მიეცნენ.<sup>32</sup> კანონმდებლობა, ერთი მხრივ, ანიჭებს დამოუკიდებლობას მასმედიის საშუალებებს, მეორე მხრივ, კი აღიარებს ადამიანის ზემოთ აღნიშნულ უფლებებს, მასმედიის საშუალებების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე და მასმედიის კონტროლს საზოგადოების მხრიდან.

სამართლის ისტორიაში ჟურნალისტიკაზე ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებებს თუ დავყრდნობით, დისკუსიები, ერთი მხრივ, პიროვნებისა და ჟურნალისტიკის, როგორც მეოთხე ხელისუფლების, როლის, ხოლო მეორე მხრივ, კერძო და საჯარო სფეროების ურთიერთგამიჭვანაბრებელ ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისის ყავის სახლებში პირველ პერიოდულ გამოცემებში აღმოცენდა. პრესის დამფუძნებლებს თავიანთ ამოცანად სწორედ სიმართლის ძიება მიაჩნდათ. გამოცემამ „პარლამენტ სკაუტმა“, რომელიც 1643 წელს გამოიცა, ჟურნალისტიკაში სიახლე შემოიტანა.<sup>33</sup> ეს იყო ინფორმაციის ძიებისა და ფაქტების აღმოჩენის მიზნით ძალისხმევის დახარჯვის აუცილებლობა. მომდევნო წელს გამოცემას, რომელსაც უკვე სპაი („ჭაშუში“) ერქვა, საზოგადოებას ამცნო, რომ გვემავდა - სამეფოში დიდ თამაშში ჩადენილი

<sup>31</sup> პიუსტონი, ბ., 2011. ჟურნალისტ გამომძიებლის სახელმძღვანელო. თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, გვ. 202.

<sup>32</sup> უიქსი, ი. ლ. და სხვები, 2004. მედია მენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე, გვ. 177.

<sup>33</sup> გოგინაიშვილი, ა. და ხაჭომია, ნ., 2003. საგამომძიებო ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები. თბილისი: ამერიკის საბჭო. ავტოგრაფი, გვ. 20.

თაღლითობები გამოეწვინა. კომპრომატების მოსაძიებლად შეიძლება გამოეყენებინათ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: შენიღბვა, საიდუმლო ქმედებები, ჩარეულიყვინენ საჯარო პირების პირად ცხოვრებაშიც, თუ ამისი საჭიროება იქნებოდა. სიმართლის ძიების ჟურნალისტური მეთოდების გამოყენების ეს ადრეული მაგალითები ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ პრესას სრული კონსტიტუციური თავისუფლება მიენიჭა. „სკაუტისა“ და „სპაის“ მსგავსი პერიოდული გამოცემები მთავრობის ქმედებებს მანამდე არნახულ გამჭვირვალებას სძენდნენ. ამ ჟურნალების გამოჩენამდე მთავრობის საქმიანობა ცნობილი იყო მხოლოდ პრივილეგირებული ფენებისთვის, მათთვის, რომლებსაც სახელმწიფოსთან კერძო კომერციული საქმიანობა აკავშირებდათ ან უშუალოდ იყვნენ ჩართულნი მთავრობის საქმეებში. დანარჩენი საზოგადოების ცოდნა თავისი მმართველობის შესახებ უსაფუძვლო ჭორებსა და მთავრობის ოფიციალურ განცხადებებს ემყარებოდა. ეს ახალი პერიოდული გამოცემები იმ პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ, თუ რას აკეთებდა მთავრობა რეალობაში. ამ გამოცემებმა ჩამოაყალიბეს ჟურნალისტური გამოძიება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ადრეული პრინციპი, რომელმაც ჟურნალისტიკა საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა საშუალებებისგან განაცალკევა. სწორედ სოციალური მაკონტროლებლის ფუნქციამ აქცია ჟურნალისტიკა, ჯემს ედისონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისუფლების ბასტიონად“, ხოლო სიმართლე პრესის საუკეთესო დამცველი გახდა. ჟურნალისტიკის ეს ტენდენცია ჯონ პიტერ ბენგერის საქმეშიც გამოიკვეთა. მომდევნო წლებში კონსტიტუციურად დაცულ პრესასა და სამთავრობო ინსტიტუტებს შორის გამწვავებულ კონფლიქტის პირობებში უზენაესი სასამართლო სწორედ პრესის მაკონტროლებელ როლს ემყარებოდა. სასამართლოს არაერთხელ მოუხდა ამერიკული საზოგადოებისთვის პრესის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე ხაზგასმა - დანყებული საქმიანობის მინესოტის შტატის წინააღმდეგ, რომლის დროსაც მთავრობას აკრძალა ნებისმიერი ჟურნალის გამოქვეყნების შეზღუდვა იმ შემთხვევების გარდა, როცა პუბლიკაცია უშუალო და ძლიერ საფრთხეს უქმნის შეერთებული შტატების უსაფრთხოებას. 1964 წელს საქმემ „ნიუ-იორკ ტაიმზი სალივენის წინააღმდეგ“ რადიკალურად შეცვალა კანონმდებლობა ცილისწამებაზე: ეს პრესას შესაძლებლობას აძლევდა საჯარო მოხელეთა თავისუფალი გაშუქებითა და

კომენტარების გზით წინ წამოეწია საზოგადოების აქტუალური პრობლემები. სასამართლო კანონის ფარგლებში მეთოდურად აგებდა უსაფრთხო და საიმედო თავშესაფარს ჟურნალისტებისთვის, რათა ამ უკანასკნელთ უშიშრად შესძლებოდათ საზოგადოებისთვის საჭირო ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც ამ საზოგადოების კეთილდღეობას შეეხებოდა. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰოვო ბლევი რეგულაციიდან ორასი წლის შემდეგაც კი განაგრძობდა პრესის მაკონტროლებელ ფუნქციის მნიშვნელობაზე ლაპარაკს, როცა წერდა: „პრესა ისე იყო დაცული, რომ მთავრობის საიდუმლოებების გამოჩვენება და ხალხის ინფორმირება შეძლებოდა“. მხოლოდ თავისუფალ, შეუზღუდავ პრესას შეუძლია მთავრობაში მიმდინარე უკანონო საქმიანობის გამოვლინება. თუმცა, კვლევის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ ჟურნალისტიკაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული ჟურნალისტების ვალდებულებებია და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დარღვევის ლეგიტიმური საფუძვლები<sup>34</sup>. დღეს პირადი ცხოვრების უფლების არსი - არსებული სამართლებრივი კატეგორიის სახით- მე - 19 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. აშშ-ს კონსტიტუციის მეოთხე შესწორება იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას, რომელიც მოიცავს საკუთარი სხეულის, სახლის, საბუთებისა და ქონების დაცულობის უფლებას. აშშ-ის სასამართლოები განსაზღვრავენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, როგორც შეჭრის ნებისმიერ აქტს, რომელიც განხორციელდა პირის უნებართვოდ, მის საკუთრებაში უნებართვოდ შეჭრისა და უსიამოვნო პირადული ფაქტების (თუნდაც ჭეშმარიტების) გამოქვეყნების ჩათვლით. ამით ირღვევა პირის გონივრული მოლოდინი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. ამერიკის კონსტიტუციის მეოთხე შესწორება იძლევა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული შტატისა და ფედერალური კანონების დარღვევის შემთხვევაში ჟურნალისტს შეიძლება ბრალი წაუყენონ პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის, უკანონო შეჭრის, მიყურადებისა და უნებართვოდ

<sup>34</sup> Benedict, H., 1996. Reporting Crime can Risk Further Victimization of the Victim. USA: Newspapercoverage of Rape: Dilemmas on Dradline. გვ. 10. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches when reporting on rape victims.

თვალთვალის მუხლით.<sup>35</sup> ჟურნალისტების პირადი ცხოვრების უფლებებთან დაკავშირებით აშშ-ის მეოთხე შესწორებას ბევრი მსგავსება აქვს ცილისწამებასთან. არსებითი განსხვავებაა, კერძოდ, ესაა: ცილისწამების მუხლით სარჩელის შეტანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჟურნალისტური მასალა სიცრუეს შეიცავს.

პირადი ცხოვრების ხელყოფაში ჟურნალისტს შეიძლება ბრალი დასდონ მაშინაც კი, თუ რეპორტაჟში ყველაფერი სიმართლეა. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევებშია, როდესაც ინფორმაცია უკვე საჯარო და ხელმისაწვდომია ან, თუ გაშუქებული მასალა ეხება საჯაროდ მომხდარ ქმედებებს. ასეთი, თუნდაც, მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნებისას პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ ჟურნალისტებს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მოპოვებულ ინფორმაციას გადმოსცემენ სრულად და ზუსტად.<sup>36</sup> მაგალითისთვის, ცილისწამების დაცვის მნიშვნელობაზე ჟურნალისტიკაში იმ პერიოდისთვის ერთ-ერთ აღიარებულ კვლევად მიიჩნევა 1721 წელს ჯეიმს ფრანკლინის დაფუძნებულ გამოცემაში ასახული კრიტიკული სტატიების სერია. მაგალითად, 1721 წელს ჯეიმს ფრანკლინმა თავის დაფუძნებულ გაზეთში „New - England Courant“ კრიტიკულ სტატიათა სერიალი გამოაქვეყნა. სტატიების თემა ეხებოდა პურიტანული ეკლესიის ლიდერებს, რომლებიც ბოსტონში ყვითელას ეპიდემიას ახალადმოჩენილი ვაქცინით ებრძოდნენ. ფრანკლინი ირწმუნებოდა, რომ ამ ვაქცინით აცრილ ადამიანებს ავადმყოფობა უმძიმდებოდათ. მან ასევე წარმოადგინა მასალები, როდესაც ცალკეულ ადამიანებს ყვითელა სწორედ აცრის შედეგად დაემართათ. ფრანკლინის გამოძიებამ საზოგადოებაზე დიდი გავლენა მოახდინა, რამაც ვაქცინაციის პროგრამის შეჩერება გამოიწვია. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ვაქცინა მართლაც კურნავდა ავადმყოფებს, რამაც ფრანკლინის რეპუტაცია შეარყია. ბოსტონის ადმინისტრაციამ 1722 წელს ფრანკლინი დააპატიმრა, ხოლო მასაჩუსეტის ასამბლეამ მას გაზეთის გამოცემის ლიცენზია ჩამოართვა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შემქნელი პირველი ჟურნალისტი გახდა.<sup>37</sup> სწორედ ფაქტების შეცვლით

თუ დამახინჯებით ჟურნალისტმა თავისი აზრი შესძინა რალაც გარკვეულ გავლენას.

აღმასრულებელ შტოს ნაცადი აქვს მედიის საქმიანობის შეზღუდვა. 1991 წელს სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებისას, საბრძოლო ველზე შეღწევა ლიმიტირებული იყო და ინფორმაცია მანამ არ ქვეყნდებოდა, სანამ საბოლოოდ არ აღმოიფხვრა ის საფრთხე, რომელსაც შეეძლო, დამუქებოდა როგორც საბრძოლო ოპერაციების წარმატებას, ასევე იქ მყოფთა სიცოცხლეს. მშვიდობიანობის დროსაც კი მთავრობა იყენებს კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც ინფორმაციის მიღებას ამკაცრებს, თუ კი გახდება რა ეს ინფორმაცია საჯარო, ზიანს მიაყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. მას მერე, რაც ინფორმაციის დახარისხება წავიდა ხელისუფალთაგან არა აუცილებლობის, არამედ მატერიალური კუთხით, ჟურნალისტები დღენიდაც ცდილობენ მიმდინარე პრობლემების სიმწვავე დაანახონ მაღალჩინოსნებს, რათა ამის თაობაზე მიიღონ მრავალფეროვანი ცნობები, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ როგორც მედიის წარმომადგენლებს ინფორმაციის მიღება ესაჭიროებათ და ამის უფლება აქვთ.

## კვლევის უფლება

მედიაში ცილისწამება და პირადი ცხოვრების დარღვევა ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

კვლევის ფარგლებში მომზადებული სიღრმისეული, სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგად მიღებული პასუხებით, მოსაზრებებით, დაკვირვებით და სამაგიდე კვლევებიდან გამომდინარე ჩანს, რომ კანონმდებლობა ცილისწამებასა და პირადი ცხოვრების უფლებაზე ჟურნალისტის საქმიანობას საზღვრებს უწესებს. ისინი მაინც სპეციფიკურ სამართლებრივ პრინციპებს ეფუძნება და ამავდროულად ფუნდამენტურად განსხვავდება. ცილისწამება ადამიანის პიროვნებასა და რეპუტაციას ეხება. პირადი ცხოვრების უფლება კი ადამიანის სულიერ სიმშვიდეს, გრძნობებსა და გუნება-განწყობილებას იცავს. ზოგადად პირადი ცხოვრების უფლება იცავს თავად ინდივიდს ან მის საქმეებს არასასურველი საჯარო გამომხვეურებისგან, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი გაუმართლებელია.

სახელმძღვანელო პრინციპად გამოდგება აშშ-ის ფედერალური სააპელაციო სასამართლოს განმარტება: „ჟურნალისტს ან გამომცემლობას,

<sup>35</sup> Mencher's., M., 2008. News Reporting and Writing. USA: Columbia University, გვ. 523.

<sup>36</sup> Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. USA: Allyn & Bacon, გვ. 145.

<sup>37</sup> Franklin, J., 1721. New-England Courant. Aug. 10., Boston: Mr. Sheaf's School in Queen-Street. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm>> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].

რომელსაც სააშკარაოზე გამოაქვს პირის პირადი ცხოვრება, არ ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისთვის, თუ მასალა ეხება საზოგადოებისთვის საინტერესო პირს - და არაა აუცილებელი, რომ იგი არჩევითი თანამდებობის პირი ან სახელგანთქმული ადამიანი იყოს; არაა „მეტად შეურაცხყოფელი ზომიერად მგრძობიარე, გონიერი ადამიანისთვის და საზოგადოების სამართლიან დაინტერესებას იწვევს“.

ხშირად უნებართვო შეჭრა უნებლიეთ ხდება. ვინმე, ვისაც აქვს იმ სიტუაციაში აშკარა უფლებამოსილება, გრთავთ რაიმე შემთხვევის ადგილას შესვლის ნებას; შემდეგ კი სხვა ვინმე, ვისაც უფრო ფართო უფლებამოსილებები აქვს, მოითხოვს თქვენგან, რომ დატოვოთ იქაურობა და გემუქრებათ, რომ სასამართლოში გიჩივლებთ. რა სახის კომპენსაცია შეიძლება მოგთხოვონ სხვის სახლში უნებართვო შეჭრის გამო? ერთი - დოლარიდან - თქვენ მიერ დასვრილი ხალიჩის გასანმენდად - საკმაოდ მსხვილ თანხამდე - „მორალური სტრესის“ ასანაზღაურებლად.<sup>38</sup>

პირად სივრცეში შეჭრის გარდა, პირად ცხოვრებაში ჩარევის სხვა შემთხვევაში ჟურნალისტს შეუძლია, თავი იმის თქმით დაიცვას, რომ მოვლენა, როგორც ახალი ამბავი, ამაღ ღირდა. საჯარო ღონისძიებების დროს მისი მონაწილეების ქმედებები საჯაროა. თუმცა ჟურნალისტს არა აქვს უფლება შეიჭრას ადამიანის სახლში ან სამსახურში, რომ რაიმე ცნობები მოიპოვოს და პირადული სააშკარაოზე გამოიტანოს.<sup>39</sup> ადამიანის სახლსა და სამსახურში შესაღწევად არც ინფორმაციის მოპოვების ნამდვილი მიზნების დამალვა შეუძლია. არ იკრძალება ადამიანზე დაკვირვება, გაყოლა ან ფოტოს გადაღება საჯარო სივრცეში, მაგრამ ჟურნალისტმა არ უნდა შეაწუხო რესპოდენტი.

ჟურნალისტებისთვის საშიშროებას წარმოადგენს უნებლიე ცილისწამების შემთხვევები, რომლებიც ხშირად ხდება მაშინ, როდესაც მასალებში შინაარსობრივი დატვირთვა, ძირითადად, ვიზუალურ მასალას ეხება.<sup>40</sup> ქვევით მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, რომლებიც შეიძლება შეფასდეს პირადი ცხოვრების უფლების

ხელყოფად. კონკრეტულად კი გაშუქებად, რომელიც საზოგადოებას პირის შესახებ მცდარ წარმოდგენას უქმნის.

ჟურნალისტების მხრიდან ცილისწამების ბრალდებათა ხშირი მიზეზია; სიჩქარე, უსაფუძვლო კომენტარები, ანალიზი და დასკვნები. მაგალითად, როდესაც „ნიუ-იორკ პოსტამ“ განაცხადა, რომ უიტნი ჰიუსტონი მაიმის საავადმყოფოში მოხვდა გასახდომი ამბების ჭარბი დოზის მიღებისას. გაზეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. კომპენსაციის სახით 60 მილიონ დოლარს ითხოვდნენ. ამ მასალაზე მომუშავე ჟურნალისტებს საავადმყოფოში რომ დაერეკათ და ეკითხათ, აქვთ თუ არა რაიმე ჩანაწერები მომღერლის მიღებაზე ან მკურნალობაზე, მიხვდებოდნენ, ეს ტყუილი იყო. გამოცემამ მეორე დღესვე აღიარა თავისი შეცდომა.

ერთ-ერთი გაზეთის ტექსტის რედაქტორმა მასალას რესტორნის დახურვაზე ასეთი სათაური დააწერა: „სანიტარული სამსახური „ბანდილოს“ ხურავს; ინსპექციამ რესტორანში ვირთხები და მწერები აღმოაჩინა. რესტორნის მეპატრონემ გაზეთს უჩივლა. იგი ამტკიცებდა, რომ ინსპექციას ვირთხები არ უპოვია. რედაქტორმა სასამართლოზე განაცხადა: „როდესაც წავიკითხე სიტყვა „მღრნელი“, ვიფიქრე, რომ ეს „ვირთხას“ ნიშნავდა. ნაფიცმა მსაჯულებმა რესტორნის მეპატრონეს 985000 დოლარი მიაკუთვნეს და გაზეთმა ვერდიქტი გაასაჩივრა. აქედან გამომდინარე, ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოს დონეზე საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე პირადი ცხოვრების, ცილისწამების დაცვის საკმაოდ ბევრი სამართლებრივი აქტი მოქმედებს.

მაგალითებში განხილულია სიტუაციები, რომლებშიც ჟურნალისტები თითქმის ყოველდღე ხვდებიან. ჟურნალისტური გამოძიება მრავალ ხიფათს შეიცავს ჟურნალისტებისთვის. თავის დასაცავად, ისევე, როგორც წარმატებული გამოძიებისთვის, ჟურნალისტმა ზედმინივით უნდა იცოდეს საკანონმდებლო მოთხოვნები. ამ საკანონმდებლო ნორმატივების დარღვევას მედიის ამ მნიშვნელოვანი სფეროს საგამოძიებო მოქმედებები შეიცავს. ჟურნალისტს საგამოძიებო ჟურნალისტური მეთოდების გამოყენებისთვის პასუხი ხშირად როგორც ეთიკურად, ასევე სამართლებრივადაც მოეთხოვებათ. ამ მეთოდებით ბრძოლა დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად სახელდება. განსაკუთრებით, როდესაც განვიხილავთ ჟურნალისტების მხრიდან ფარულ

<sup>38</sup> მენჩერი, მ., 2013. ახალი ამბების ჟურნალისტიკა. თბილისი: დიოგენე, გვ. 505.

<sup>39</sup> ჯორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, მ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 79.

<sup>40</sup> შუკი, ფ., ლარსონი, ჯ. და დეარსიო, ჯ., 2014. სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 120.

მიყურადებსა და ინტერნეტურთიერთობების კონტროლს. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ახალი მედია ტექნოლოგიების პროგრესის ტემპები. დავას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ჟურნალისტების საზოგადოებასთან, სხვადასხვა ტიპის პირად წყაროებთან კომუნიკაციის მზარდი წილი სწორედ ელექტრონულ საშუალებებზე დაფუძნებულ, დისტანციურ ურთიერთობებზე მოდის. ჟურნალისტური საქმიანობისას ასეთი ღონისძიებების გამოყენება ადამიანის უფლებათა სამართლის პერსპექტივით, დღეს თანამედროვე მედიაში განსაკუთრებით მეტად სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს. ასეთი სახის მეთოდების გამოყენებით პოტენციურად ყველაზე მეტად იჭრება ჟურნალისტი თავისი მასალის პერსონაჟის (თუ სხვა პირის) პირად ცხოვრებაში.

სწორედ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობითაა განპირობებული ის გარემოებაც, რომ დემოკრატიულ საზოგადოებებში კანონი ჟურნალისტებს სიმუსტით ვერ განუსაზღვრავს თავისი საქმიანობის შესრულებისას ღონისძიებათა სამართლებრივ პრინციპებს, ამოცანებს, სახეებს და მათი ჩატარების ფაქტობრივ მექანიზმებს. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად სერიოზულია თავად დარღვევა, ან ამისთვის გათვალისწინებული სასჯელი. კანონის გადაცდომა ჟურნალისტის რეპუტაციისთვის დამანგრეველია და ძირს უთხრის აუდიტორიის ნდობის მანდატს. ამ მანდატის გარეშე გაშუქებულ მასალას არანაირი შედეგი არ აქვს. ამ მოვალეობების წესების მთავარი მიზანი არა მხოლოდ ჟურნალისტიკის დახვეწა, არამედ საზოგადოებისთვის მისი რწმენის დაბრუნებაცაა. პატივისცემა, ნდობა ჟურნალისტებს სჭირდებათ, რათა იბრძოლონ პოლიტიკური და ეკონომიკური ჩაგვრის წინააღმდეგ. საზოგადოების ნდობა ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა. ჟურნალისტის უფლებაა მოიპოვოს ნებისმიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ინფორმაცია და გამოიძიოს დანაშაული ან ანტისაზოგადოებრივი ქმედება, კარგად აწონ-დაწონოს, გამართლებულია თუ არა დამატებითი ფაქტების მოსაპოვებლად ტყუილის გამოყენებით პირად ცხოვრებაში შეჭრა ან ფარულად ჩაწერა. ჟურნალისტებს უწევთ მუშაობა საზოგადოებისთვის, რომელსაც სულ უფრო მეტად აინტერესებს მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების ყველა შესაძლო ასპექტი.

ინფორმაციის მოსაპოვებლად ჟურნალისტს უწევს როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო ტერიტორიაზე შესვლა. არის თუ არა ეს

ერთადერთი სამოქმედო გზა, რათა გააანალიზოს ამ გამოძიების საგარეულო შედეგები? პირად ცხოვრების სფეროში ჩარევის ლეგიტიმაცია, როგორც ზემოთ განხილულ მაგალითების ანალიზისას აღვნიშნეთ, როგორც წესი, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროფესიული ვალდებულებაა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვეობის ისეთ დანაშაულებებთან ბრძოლაში, როგორებიცაა: ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ადამიანის უფლებების დარღვევის ასპექტები.

## დასკვნა

კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე ყველაზე გავრცელებული გარემოება, რომელშიც ჟურნალისტი ხვდება და რომელიც სახიფათოა კანონის დარღვევის თვალსაზრისით. ცხადი ხდება, რომ პირადი ხელშეუხებლობის საკითხი დღეს ახალი და მეტად რთული გამოწვევების წინაშე დგება. როგორც წესი, აღნიშნული საკითხები ყველაზე მწვავედ საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში იჩენს ხოლმე თავს, რაც თავად დარგის სპეციფიკური ბუნებითაა განპირობებული. ამ სფეროზე წარმოდგენას მხოლოდ თავად გამოძიებელი ჟურნალისტების დაწერილი კვლევითი მასალები ქმნიდა. ჟურნალისტები აღწერდნენ, როგორ ჩაუვარდათ ხელში საგამოძიებო ფაქტი და ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, რა დიდი წარმატებით გამოიძიეს და გამოააშკარავეს დანაშაული. ასეთი შინაარსის ტექსტები მხოლოდ აძლიერებდა საგამოძიებო ჟურნალისტიკის იდეალიზებულ ბუნებას.

ჟურნალისტური გამოძიება შემდეგი ფაქტორების შედეგად მკვიდრდება, ესენია: პროფესიული ეთიკა, რომელიც მედიამენეჯერების, რედაქტორებისა და ჟურნალისტების წრეში მკვიდრდება. ეს პროფესიული ნორმატივები ამ სფეროს წარმომადგენლებს ავალდებულებს, შეენიანაღმდეგონ კომერციულ ინტერესებს და ყველაზე მაღლა საზოგადოების ინტერესები დააყენონ. მეორე ფაქტორი - სწორი სამართლებრივი ბაზაა, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მედიას დამოუკიდებლად მუშაობის პირობებს უქმნის. ჟურნალისტი ვალდებულია, ზედმინწევით დაიცვას კანონის მოთხოვნები - მიუკერძოებელი და გონივრული ფარდობა გამოიძიებულ მასალაზე საზოგადოების მოთხოვნილებასა

და ჟურნალისტის მიერ გადაცემულ აღწერილ ფაქტებს შირის. ასევე არსებობს ისეთი ობიექტური მიზეზები, გარემოებები, როდესაც ავტორის მიერ აღნიშნული ძიების გაშუქებას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული უზუსტობები ქვეყნის კანონმდებლობებთან, რომლებიც ზღუდავენ ამ საქმიანობას. ამ საკითხის განხილვის კონტექსტში მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის სამართლებრივი საკითხები, ადამიანის პირადი უფლებები, ცილისწამება, რომლებიც სისტემატურად მწვავედ დგება ჟურნალისტების წინაშე, და ზოგადი პრინციპები, რომლებიც ჟურნალისტს დაეხმარება იმის გარკვევაში, თუ როდის შეიძლება დასჭირდეს იურიდიული კონსულტაცია იურისტისგან.

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების განხილვისას გამოიკვეთა, რომ მედია არა მხოლოდ ცვლის კანონებს, არამედ ზნეობრივ

ნორმებსაც. ამ მოსაზრებას უნდა დავემატოთ კიდევ უფრო მეტად დამაჯერებელი, ძლიერი არგუმენტი: მედიის თავისუფლებით დამკვიდრებული ამრები ბევრად უფრო მყარი და მდგრადია, ვიდრე მკაცრი ცენზურით შექმნილი შეხედულებები. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მედიას მსოფლიოში მოქმედების და გაგრძელების ფართო სივრცე აქვს. მას დღეს მაღალი ხარისხით ეკისრება ვალდებულება და პასუხისმგებლობა გადასცეს გადამონმებული ინფორმაცია და არ შეიყვანოს სამოგადოება შეცდომაში.

იმედი მაქვს, რომ წარმოდგენილი სტატია წაადგება მედია თეორიითა და პრატიკით დაინტერესებულ მკითხველს, ის განსაკუთრებით გამოადგება უმაღლესი მედია სკოლების პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

## ბიბლიოგრაფია:

1. ალფაიქი, თ., 2008. მედია სამართალი. თბილისი, გვ. 229.
2. ბერტრანი, კ. ჟ., 2004. მედიაეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემა. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
3. გოგინაიშვილი, ა. და ხაჭომია, ნ., 2003. საგამოძიებო ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები. თბილისი: ამერიკის საბჭო. ავტოგრაფი.
4. დე ტოკველი, ა., 2011. დემოკრატია ამერიკაში. თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
5. ვორპოფი, დ. და ჰოედ-რასმუსენი ი., 2020. სახელმძღვანელო დოკუმენტი. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას. თბილისი: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID).
6. კაპანაძე, ნ., 2016. რა სხვაობაა ინფორმაციის წყაროს დაცვის პროფესიულ და საკანონმდებლო გარანტიებს შორის? თბილისი: მედია მედიისთვის.
7. მენჩერი, მ., 2013. ახალი ამბების ჟურნალისტიკა. თბილისი: დიოგენე.
8. მახარაძე, ი., 2020. „პრაივესი ქართულ და დასავლურ მედიაში.“ ეკონომიკა და ფინანსები (ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).
9. მახარაძე, ი., 2010. თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა. თბილისი: საარი.
10. მახარაძე, ი., 2006. დემოკრატის პრინციპები თანამედროვე მედიაში. თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.
11. მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები. თბილისი: ევროკავშირი საქართველოსთვის. ევროპის საბჭო. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838>> [წვდომის თარიღი 15 თებერვალი 2021].
12. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. 2014. ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.
13. უსენაშვილი, ჯ., 2012. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას“. თბილისი: სამართლის ჟურნალი, 2.
14. უიქსი, ლ.ი. და სხვები. 2006. მედიამენეჯმენტი. თბილისი: დიოგენე.
15. შუკი, ფ., ლარსონი, ჯ. და დეარსიო, ჯ., 2014. სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
16. ცხვედიანი, თ., 2013. სიძულვილის ენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა. სტატიათა კრებული. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

17. წულუკიძე, გ., კაკაბაძე, რ. და ბერეკაშვილი, ვ., 2020. გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).
18. ჯორბენაძე, ს., ბახტაძე, უ. და მაჭარაძე, ზ., 2014. მედიასამართალი. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
19. ჯორბენაძე, ს., 2019. სოციალური მედიის სამართალი. თბილისი: გერმანიის თანამშრომლობის ფონდი.
20. ჰიუსტონი, ბ., 2011. ჟურნალისტ გამოძიებლის სახელმძღვანელო. თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.
21. Benedict, H., 1996. Reporting the Crime can Risk Further Victimized the Victim. USA: Newspaper coverage of Rape:Dilemmas on Dradline. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches when reporting on rape victims.
22. Brooks, S. B., Kennedy, G., Moen, R. D. and Ranly D., 2008. News Reporting and Writing. New York: School of Journalism University of Missouri.
23. Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. USA: Allyn & Bacon.
24. Franklin, J., 1721. New-England Courant <https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm> Aug.10., BOSTON: Mr. Sheaf's School in Queen-Street. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ushistory.org/franklin/courant/>> [წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].
25. Larry, J. S. and Feeding, F., 1991. How Attack Journalism Has Transformed American Politcs. New York: The Free Pres.
26. Muncher's, M., 2008. News Reporting and Writing. USA. Columbia University.
27. Shapiro, B., 2003. 200 Years of Investigative Journalism in America. USA: New York: United Scates of America. Group West.

**BIBLIOGRAPHY:**

**Used Literature:**

1. Alpaidze, T., 2008. Media Law. p. 229. (in Georgian)
2. Bertrand, K. J., 2004. Media Ethics and the Accountability System. Tbilisi: Freedom Institute. (in Georgian)
3. Brooks S. B., Kennedy, G., Moen, R. D. and Ranly, D., 2008. News reporting and writing. New York:

**ნორმატიული მასალა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 1 ივნისი 2021].
2. საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32548?publication=4>> [წვდომის თარიღი 6 ივლისი 2021].
3. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/63556?publication=0>>[წვდომის თარიღი 2 ივნისი 2021].
4. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>>[წვდომის თარიღი 12 ივნისი 2021].
5. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. (1948, 10 დეკემბერი). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [წვდომის თარიღი 8 მაისი 2021].
6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>>[წვდომის თარიღი 8 მაისი 2021].
7. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. 2009. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>> [წვდომის თარიღი 1 მაისი 2021].

**სასამართლო პრაქტიკა:**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 7.

School of Journalism University of Missouri. (in English)

4. Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing in Journalism. USA: Allyn & Bacon. (in English)
5. Benedict, H., 1996. Reporting Crime can Risk Further Victimized the Victim. USA: Newspaper coverage of Rape: Dilemmas on Dradline. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches

- when reporting on rape victims. (in English)
6. De Tocqueville, A., 2011. Democracy in America. Tbilisi: Grigol Robakidze University. (in Georgian)
  7. Gogichaishvili, A. and Khajomia, N., 2003. Fundamentals of Theory and Practice of Investigative Journalism. Tbilisi: Autograph. Council of America. (in Georgian)
  8. Franklin, J., 1721. New-England Courant Aug.10., Boston: Mr. [Online] Available at: <https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm> [Accessed 12 June 2021].
  9. Guidelines for the protection of privacy in the media space. Tbilisi: European Union for Georgia. Council of Europe. p. 8. (in Georgian)
  10. Houston, b., 2011. Journalist Investigator Guide. Tbilisi: Eurasia Partnership Foundation. (in Georgian)
  11. Jorbenadze, S., Bakhtadze, U. and Macharadze, Z., 2014. Media Law. Tbilisi: Davit Batonishvili Law Institute Publishing House. (in Georgian)
  12. Jorbenadze, S., 2019. Social Media Law. Tbilisi: German Cooperation Foundation. (in Georgian)
  13. Kapanadze, N., 2016. What is the difference between professional and legislative guarantees for the protection of the source of information? Tbilisi: Media for Media [Online] Available at: <https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49991-ra-skhvaobaa-informaciis-tsyaros-dacvis-profesiul-da-sakanonmdablo-garantiebs-shoris>. [Accessed 12 June 2021]. (in English)
  14. Larry, J. S. and Feeding, F., 1991. How Attack Journalism Has Transformed American Politcs. New York: The Free Pres. (in English)
  15. Light, f., Larson, J. and Dearcio, J., 2014. Preparation of TV Reportage and TV Journalism. Tbilisi: University of Georgia Publishing House. (in Georgian)
  16. Makharadze, I., 2006. Principles of Democracy in Modern Media. (in Georgian)
  17. Makharadze, I., 2020. "Drive in Georgian and Western Media." Economics and Finance (Institute for Economic Research and Development. Georgian Technical University). (in Georgian)
  18. Makharadze, I., 2010. Theory and Practice of Modern Journalistic Investigation. Tbilisi: Saari. (in Georgian)
  19. Mencher, M., 2013. News Journalism. Tbilisi: Diogenes. (in Georgian)
  20. Muncher's, M., 2008. News reporting and writing. USA: Columbia University. (in English)
  21. Shapiro, B., 2003. 200 Years of Investigative Journalism in America. USA. New York: United States of America. Group West. (in English)
  22. Tskhvediani, T., 2013. Hate Speech in the Practice of the European Court of Human Rights. Human rights and the rule of law. Collection of articles. (Korkelia, K. Red) Tbilisi. Office of the Public Defender of Georgia. Tbilisi state university. (in Georgian)
  23. The right to privacy and family life. 2014. In the framework of the project "Support to Strengthening Human Rights in Georgia" funded by the Government of the Kingdom of the Netherlands. (in Georgian)
  24. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of expression and protection of the independence and impartiality of the judiciary. United States Agency for International Development (USAID). p. 6. (in Georgian)
  25. Usenashvili, J., 2012. "The Problem of Exercising the Right to Privacy Under the Control of the Court." Law Journal (Tbilisi University). (in Georgian)
  26. Wicks, L.I. and others. 2006. Media Management. Diogenes. (in Georgian)
  27. Warhoff, D. and Hoyed-Rasmussen I., 2020. Handbook. Ensuring the independence and impartiality of the court in the consideration of cases of restriction of freedom of expression. Tbilisi: United States Agency for International Development (USAID). (in English)
- ### Normative materials:
1. Constitution of Georgia. 1995. [online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 1 June 2021]. (in Georgian)
  2. Law of Georgia "About the Press and Other Mass Media" [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32548?publication=4> > [accessed 6 July 2021].
  3. Law of Georgia "On the Approval of the Regulation on Provision of Services in the Field of Electronic Communications and Consumer Rights". [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/63556?publication=0> > [Accessed 2 June 2021].
  4. Law of Georgia "on Freedom of Speech and Expression." [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6> > [Accessed 3 June 2021].
  5. Universal Declaration of Human Rights (1948, December 10). [Online] Available at: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf> > [Accessed 8 May 2021].
  6. European Convention on Human Rights. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> > [Accessed 8 May 2021].
  7. Charter of Journalistic Ethics of Georgia. 2009. [Online] Available at: <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> > [Accessed 1 May 2021].
- ### Judicial Practice:
1. Decicion of the Constitutional Court of Georgia, 14 May 2013, Citizens of Georgia Alexander Baramidze, Lasha Tugushi, Vakhtang Khmaladze and Vakhtang Maisaia v. Parliament of Georgia", N2 / 2 / 516,542 , II, par. 7.



## REFERENCES:

1. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of Expression and Protection of Judicial Independence and Impartiality. United States Agency for International Development (USAID), p. 6. (in Georgian)
2. Wicks, L. I., and others. 2006. Media Management. Tbilisi: Diogenes, p. 176. (in Georgian)
3. Makharadze, I., 2020. Privacy in Georgian and Western media. Economics and Finance. Tbilisi: Institute for Economic Research and Development, Georgian Technical University, pp. 137-138. (in Georgian)
4. Warhoff, D. and Hoyed-Rasmussen, I., 2020. In reviewing cases involving restrictions on freedom of expression to ensure the independence and impartiality of the judiciary. Guidance document. United States Agency for International Development (USAID), p. 17. (in English)
5. Guiding principles for the protection of privacy in the media space. Tbilisi: European Union for Georgia. The Council of Europe. [Online] Available at: <https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838> [Accessed 15 February 2021]. (in Georgian)
6. Article 10, Charter of Journalistic Ethics. [Online] Available at: <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> [Accessed 10 January 2021]. (in Georgian)
7. Mencher's, M., 2008. News Reporting and Writing. Usa: Columbia University, p. 521. (in English)
8. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of Expression and Protection of Judicial Independence and Impartiality. United States Agency for International Development (USAID), p. 8. (in Georgian)
9. Mencher's, M., 2008. News Reporting and Writing. Usa: Columbia University, p. 197. (in English)
10. Jorbenadze, S., Bakhtadze, U., and Macharadze, Z., 2014. Media Court. Tbilisi: Davit Batonishvili Institute of Law Publishing House, p. 35. (in Georgian)
11. Jorbenadze, S. 2019. Social Media Law. German Cooperation Foundation, pp. 154-155. (in Georgian)
12. Kapanadze, N., 2016. What is the difference between professional and legislative guarantees for the protection of the source of information? Tbilisi: Media for Media. [Online] Available at: <https://www.mediachecker.ge/ka/blogio/article/49991-ra-skhvaobaa-informaciis-tsyaros-dacvis-profesiul-da-sakanonmdeblo-garantiebs-shoris> [Accessed 11 April 2021]. (in Georgian)
13. Article 6, Charter of Journalistic Ethics of Georgia. [Online] Available at: <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> [Accessed 1 May 2021]. (in Georgian)
14. Article 14, Law of Georgia On Broadcasting. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=59> [Accessed 12 June 2021]. (in Georgian)
15. Decision of the Constitutional Court of Georgia, 14 May 2013, Citizens of Georgia Alexander Baramidze, Lasha Tugushi, Vakhtang Khmaladze and Vakhtang Maisaia v. Parliament of Georgia”, N2 / 2 / 516,542 , II, par. 7. (in Georgian)
16. Makharadze, I., 2006. Principles of Democracy in Modern Media. Georgian National University, p. 132. (in Georgian)
17. Tsulukidze, G., Kakabadze, R. and Berekashvili, V., 2020. Freedom of Expression and Protection of Judicial Independence and Impartiality. United States Agency for International Development (USAID). p. 8. (in Georgian)
18. De Tocqueville, A., 2011. Democracy in America. Tbilisi: Grigol Robakidze University, p. 183. (in Georgian)
19. Bertrand, K. J., 2004. Media Ethics and the Accountability System. Tbilisi: Freedom Institute, p. 18. (in Georgian)
20. The right to privacy and family life. 2014. In the framework of the project “Support to Strengthening Human Rights in Georgia” funded by the Government of the Kingdom of the Netherlands, p. 9. (in Georgian)
21. Makharadze, I., 2006. Principles of Democracy in Modern Media. Georgian national university, p. 131. (in Georgian)
22. Alfidze, T., 2008. Media Law. Tbilisi: p. 229. (in Georgian)
23. Article 17, Law of Georgia on Freedom of Speech and Expression. [Online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208> [Accessed 12 June 2021]. (in Georgian)
24. Makharadze, I., 2010. Theory and Practice of Modern Journalistic Investigation. Tbilisi: Saari, p. 304. (in Georgian)
25. Alfidze, T., 2008. Media Law. Tbilisi: p. 233. (in Georgian)
26. Wicks, I. L. and others. 2004. Media Management. Tbilisi: Diogenes, p. 174. (in Georgian)
27. Mencher, M., 2013. Journalism of New Mbes. Tbilisi: Diogenes, p. 518. (in Georgian)
28. Ibid. p. 519. (in Georgian)
29. Larry, J. and Sabato, F. F., 1991. How Attack Journalism Has Transformed American Politcs. New York: The Free Pres, pp. 125 -126. (in English)
30. Guidelines for the protection of privacy in the media space. Council of Europe. European Union for Georgia. p. 11. [online] Available at: <https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838> [Accessed 12 June 2021]. (in Georgian)
31. Houston, B., 2011. Journalist Investigator Handbook. Tbilisi: Eurasia Partnership Foundation, p. 202. (in Georgian)
32. Wicks, I. L., Sylvie, J., Holyfield, S. A. and others. 2004. Media Management. Tbilisi: Diogenes, p. 177. (in Georgian)
33. Gogichashvili, A. and Khajomia, N., 2003.

- Fundamentals of Theory and Practice of Investigative Journalism. Tbilisi: Council of America. Autograph., p. 20. (in Georgian)
34. Benedict, H., 1996. Reporting Crime can Risk Further Victimized the Victim. USA: Newspapercoverage of Rape: Dilemmas on Dradline, p. 10. Benedict urges reporters not to use colorful adjectives and cliches when reporting on rape victims. (in English)
35. Mencher's, M., 2008. News Reporting and Writing. Usa: Columbia University, p. 523. (in English)
36. Black, J., Steele, B. and Barney, R., 1997. Doing Ethics in Journalism. Usa: Allyn & Bacon, p. 145. (in English)
37. Franklin, J., 1721. „New-England Courant“ Aug.10., Boston: Mr. Sheaf's School in Queen-Street. [online] Available at: <<https://www.ushistory.org/franklin/courant/anti.htm>> [Accessed 12 June 2021]. (in English)
38. Mencher, M., 2013. News Journalism. Tbilisi: Diogenes, p. 505. (in Georgian)
39. Jorbenadze, S., Bakhtadze, U. and Macharadze, Z., 2014. Media Court. Tbilisi: Davit Batonishvili Institute of Law Publishing House, p. 79. (in Georgian)
40. Shuki, F., Larson, J. and Dearcio, J., 2014. Preparation of TV Reportage and TV Journalism, Tbilisi: University of Georgia Publishing House, p. 120. (in Georgian)

# განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თავსებადობის საკითხი საფრთხის დელიქტებში

## გიორგი გამხიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
დოქტორანტი, ადვოკატი

ელფოსტა: [ggamkhitashvili2@gmail.com](mailto:ggamkhitashvili2@gmail.com)

გიორგი გამხიტაშვილი

### აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ურთიერთმიმართება საფრთხის დელიქტებთან. საფრთხის დელიქტები გამოიწვევიან თავიანთი განსაკუთრებული ხასიათით. მათი განსაკუთრებულობა კი, პირველ რიგში, გამომდინარეობს იმ როლიდან, რომლის შესასრულებლადაც გახდა საჭირო მათი დანერგვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, კერძოდ, აქ ხაზგასასმელია, საფრთხის დელიქტების მიერ დასაცავი ობიექტების ღირებულება და სახელმწიფოს მიერ მათი უსაფრთხოდ არსებობის უპირობოდ უზრუნველყოფა. მათ მიერ დასაცავი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი ობიექტური მხარის აგებულება გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება, კერძოდ, კლასიკური დელიქტებისაგან განსხვავებით, მათი დისპოზიცია გამოიხატება ქმედების განხორციელებით, რომელიც ნიშანდობლივ საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ სიკეთეს (კონკრეტული საფრთხის დელიქტები) ან საზოგადო საფრთხის შემცველი ქმედების ჩადენით (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები).

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გაანალიზდა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო ელემენტების ურთიერთმიმართება საფრთხის დელიქტების სახეებთან. გასარკვევია, რამდენად სრულადაა წარმოდგენილი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ნიშნები კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა განზრახვის ან გაუფრთხილებლობის რომელი სახე შეიძლება გამოვლინდეს საფრთხის დელიქტების კონკრეტულ სახეებში.

საკვანძო სიტყვები: საშიშროება, შეგნებულობა, უპასუხისმგებლობა

# The Issue of the Compatibility of Intent and Negligence in Torts of Danger

Giorgi Gamkhitashvili

*PhD student at Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Attorney*

Email: [ggamkhitashvili2@gmail.com](mailto:ggamkhitashvili2@gmail.com)

## ABSTRACT

The relationship between intent / negligence and torts of danger is analyzed in the present article. As it is known, due to their special nature, torts of danger play a significant role in criminal code. Their special feature firstly comes from its role, implementation of which was the reason for its introduction to criminal legislation. In particular, the value of the objects to be protected by the torts of danger and an unconditional provision of their safe existence by the state should be highlighted. The structure of their objective part is characterized by some specificity consequent from the legal goodness to be protected by them. In particular, different from the classical torts, their disposition is expressed by taking action that is dangerous for goodness (specific torts of danger) defended by the Criminal code or by committing an action, which is intrinsically connected to creation of danger (abstract torts of danger).

That is why it is important to discuss the issue of the compatibility of intent and negligence in the context of the types of torts of danger. It is necessary to find out to what extent the elements of intent and negligence are fully represented in specific and abstract torts of danger. In this regard, it is interesting which form of intent or negligence can be revealed in specific forms of torts of danger.

**KEYWORDS:** Peril, Consciousness, Irresponsibility

## შესავალი

საფრთხის დელიქტები, თავისი არსითა და დანიშნულებით, მკვეთრად განსხვავდებიან სხვა დანაშაულებისაგან. მათი სპეციფიკურობა, პირველ რიგში, გამოიხატება სწორედ მათ საკანონმდებლო აგებულებაში, რომელიც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს დასაცავი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობას, ადრეულ ეტაპზე მისი დაცვის საჭიროებას. საფრთხის დელიქტების საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებენ კონკრეტულ, აბსტრაქტულ და აბსტრაქტულ კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს. თითოეულ მათგანს ახასიათებს საერთო და, ამავდროულად, ერთმანეთისაგან მკაფიოდ განმასხვავებელი ნიშნები. აქედან გამომდინარე, საინტერესოა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიმართება საფრთხის დელიქტების სახეებთან. სტატიაში განხილულია განზრახვის სახეები, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნიშნები. დადგენილია მათი საერთო და, უფრო მეტად, ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნების - განსაკუთრებით ვოლუნტატიური (ნებელობითი) მომენტის განსაზღვრება პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვაში. ამის შემდგომ კი უშუალოდ გამოკვლეულია განზრახვის თითოეული სახის შეთავსების თავისებურების საკითხი კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში. გაანალიზებულია, რამდენად შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ორივე სახით - თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით - საფრთხის ცალკეულ დელიქტთა განხორციელება. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა სწორედ დაუდევრობით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა და, რა თქმა უნდა, ამ კუთხითაც განხილულია განსხვავებული პოზიციები. აქვე აღვნიშნავ, რომ წინამდებარე სტატია ეფუძნება ჩემს სამაგისტრო ნაშრომს - „განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში“.

## პირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში

„განზრახვა არის გადაწყვეტილების შედეგად ადამიანში აღმოცენებული მზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტი - ნაკლები სიცხადით, თუ სად რა უნდა გაკეთდეს“. <sup>1</sup> ინგლისური სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად,

<sup>1</sup> თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 226.

„განზრახვა სხვა არაფერია, თუ არა მიზანდასახული გადაწყვეტილება და მის განსახორციელებლად კონკრეტული ხერხით მოქმედება“. <sup>2</sup>

ქართულ სისხლის სამართალში განზრახვა ორი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. თითქმის მსავსადაა აღნიშნული საკითხი მონესრიგებული ინგლისურ სისხლის სამართალშიც, კერძოდ, „პირდაპირი განზრახვით ქმედებას ჩადენილად მიიჩნევენ მაშინ, როდესაც მართლწინააღმდეგო შედეგი რეალურად მისაღებია ბოროტმოქმედისათვის“. <sup>3</sup> პიროვნებას პირდაპირი განზრახვა გააჩნია მაშინ, როდესაც იგი განახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას მისთვის სასურველი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად“. <sup>4</sup> ფაქტობრივად, აღნიშნული დეფინიცია უტოლდება პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას. თუმცა, რაც შეეხება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას, აქ არ იკვეთება თანხვედრა ქართულ და ინგლისურ სისხლის სამართალს შორის, კერძოდ, ინგლისური სისხლის სამართალი არ იცნობს მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის ცნებას და ამიტომ ამგვარ შემთხვევებს, ჩვენგან განსხვავებით, აფასებს არაპირდაპირ განზრახვად. მეტი თვალსაზრისისათვის განვიხილოთ ინგლისურ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მოყვანილი შემდეგი მაგალითი: „დ-ს სურს ვ-ს მოკვლა, რომელიც დგას ფანჯრის უკან. ამ დროს დ-ს განზრახული აქვს ფანჯრის ჩამტვრევაც, რადგან ეს არის აუცილებელი წინაპირობა ვ-ს მკვლელობისა. მან იცის, რომ მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას აუცილებლად მოჰყვება ფანჯრის ჩამტვრევა. ინგლისელი ავტორების აზრით, ამ სიტუაციაში ფანჯრის ჩამტვრევა დ-სთვის არის დაქვემდებარებული, მეორე მიზანი, რის გამოც ფანჯრის დაზიანების მიმართ

<sup>2</sup> Michael G. A. and Christie, M.A., 1996. Criminal Law. Sixth Edition. Edinburg: Oxford University Press, გვ. 51.

<sup>3</sup> Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition. გვ. 22.

<sup>4</sup> Simester, A. P., Spencer, J. R., Sullivan, G.R. and Virgo, G. J., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition. გვ. 168.

მას გააჩნია არაპირდაპირი განზრახვა“. <sup>5</sup> ჩვენი კანონმდებლობით კი ანალოგიური შემთხვევა, ფანჯრის დაზიანებასთან მიმართებით, შეფასდება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვად, ვინაიდან დ-ს ქმედებას - ფანჯრის მიმართულებით სროლას - გარდუვალად მოჰყვებოდა მისი დაზიანება. ამ შემთხვევაში, არაპირდაპირი განზრახვა გამოირიცხება.

ამრიგად, ქართველი კანონმდებელი პირდაპირი განზრახვის განსაზღვრისათვის იყენებს ფსიქიკის ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს, სახელდობრ, ეს ელემენტები ასეა ჩამოყალიბებული: პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება; მართლწინააღმდეგო შედეგის გარდუვალობა ანდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა; მათი განხორციელების სურვილი. აქვე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რომ ნებელობითი მომენტის დადგენა აუცილებელია სწორედ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, რადგან მისი საკანონმდებლო დეფინიციიდან ნათლად იკვეთება პირის სურვილი მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომისა. ეს გახლავთ ის კონსტიტუციური ნიშანი, ურომლისოდაც არ არსებობს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი განმსაზღვრელია არა ნებელობითი მომენტი, არამედ გაცნობიერებულად ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტი, რომელსაც გარდაუვლად მოსდევს მართლწინააღმდეგო შედეგი. „არაა გამორიცხული, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც უტყუარად დადგინდეს, რომ პირს არ სურდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომა. თუმცა, არაპირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, ამის დადგენა არაა სავალდებულო. მთავარია, დადგინდეს, რომ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედებით მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობა და, ამის მიუხედავად, მაინც განახორციელა ეს ქმედება“. <sup>6</sup> ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ნებელობითი მომენტის არსებობა-არარსებობის საკითხი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად: „ვინც დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდაუვალობაში, მას აქვს ქმედების

შემაღვენლობის განხორციელების ნებელობაც, მაშინაც კი, როცა ეს მისთვის არასასურველია“. <sup>7</sup> „ნებელობა მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ორი მნიშვნელობით - დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური და ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით უნდა იყოს გამოყენებული. ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება კი გულისხმობს იმას, რომ პირს შედეგის დადგომა, მართალია, გამიზნულად არ სურს, მაგრამ მის დადგომას გარდაუვალად მიიჩნევს. აქ ნებელობა არა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად უნდა დასაბუთდეს“. <sup>8</sup> მეორე მოსაზრების თანახმად კი, ასეთი დაშვების შემთხვევაში შემდეგი დასკვნა უნდა გაკეთდეს: მართალია, სურვილს ნორმატიული გაგებაც აქვს, მაგრამ კანონმდებელმა სს კოდექსში რატომღაც უპირატესობა მაინც მის ფსიქოლოგიურ გაგებას მიანიჭა“. <sup>9</sup> „ცოდნა, რომ რაღაც გარდაუვალად დადგება, მოსალოდნელ შედეგს სასურველად ვერ აქცევს“. <sup>10</sup> სურვილი მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა, რომლის დადგენას სისხლის სამართალში - ნორმატიულ დარგში- გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სურვილს ეს ვერ აქცევს ნორმატიულ კატეგორიად. არის ცნებები, რომლებიც მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას, ესენია, მაგალითად: სურვილი, მიზანი, მოტივი, გადანწყვეტილება. გარდა ამისა, სურვილი არც დესკრიფციული შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი ადამიანის შინაგან მხარეს წარმოადგენს, იგი არ არის გარეგანი, რომელიც აღწერას ექვემდებარება, რომელსაც რაღაც ფორმა აქვს, რომელსაც ჩვენ გარეგნულად დავინახავთ. იქ, სადაც გარკვეული შედეგის გამომწვევის სურვილი თავისი ბუნებრივი მნიშვნელობით არ არსებობს, მისი არსებობა ნორმატიულად ვერ დასაბუთდება“. <sup>11</sup> „პირველი ორი ნიშანი ახასიათებს სუბიექტის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს და შეადგენს პირდაპირი

<sup>7</sup> ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 132.

<sup>8</sup> მალააკელიძე, ლ., 2012. „განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 165.

<sup>9</sup> თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 270.

<sup>10</sup> გეგელია, თ., 2018. „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“. სადოქტორო დისერტაცია. კავკასიის უნივერსიტეტი. თბილისი: გვ. 111.

<sup>11</sup> ცქტიშვილი, თ., 2014. ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. მართლმსაჯულება და კანონი, 4 (43), გვ. 105.

<sup>5</sup> Smith, J., 2002. Criminal Law, Butterworths. Tenth Edition. გვ. 50.

<sup>6</sup> თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 269.

განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტს. მესამე ნიშანი, რომელიც გამოიხატება შედეგის სურვილში, შეადგენს პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტს.<sup>12</sup> როგორც მემოთაც აღინიშნა, პირდაპირი განზრახვაც დასრულებულ შემადგენლობებზეა გათვლილი. ამრიგად, საინტერესოა მისი ურთიერთმიმართება როგორც კონკრეტულ, ასევე აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებთან, კერძოდ, რამდენად შესაძლებელია პირდაპირი განზრახვის მოცემული დეფინიცია გამოყენებულ იქნეს კონკრეტული საფრთხის დელიქტებში? „გამომდინარე ბრალის პრინციპიდან, რომლის თანახმად ბრალი უნდა ვრცელდებოდეს შესაბამისი ობიექტური მხარის ყველა რგოლზე, რაც კი შემადგენლობას განეკუთვნება, საკითხი ასე გადაწყდება: ინტელექტუალური მხრივ პირდაპირმა განზრახვამ უნდა მოიცვას ობიექტური მხარის ყველა ის რგოლი, რომლითაც საფრთხის დელიქტის ობიექტური მხარე ამოიწურება მისი საკანონმდებლო აღწერილობის მიხედვით. ნებელობითი მომენტი კი ობიექტური მხარის უკანასკნელ რგოლთან მისი დამოკიდებულების მიხედვით განისაზღვრება“.<sup>13</sup> პირდაპირი განზრახვით მოქმედი პირი უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული საფრთხის დელიქტის ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს, ხოლო რაც შეეხება ნებელობით ელემენტს, მას სურვილი უნდა ჰქონდეს, რომ თავისი ქმედების შედეგად შეიქმნას კონკრეტული საფრთხე. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობასიცოცხლისათვის საშიშდგომარეობაში იმ პირის ჩაყენებისთვის, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ე.ი. პირისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მნიშვნელოვანია, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. ქმედების როგორც ფაქტობრივი, ისე სოციალური ხასიათი. შესაბამისად, გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არის მართლწინააღმდეგო და, ამასთანავე, სხვა პირის სიცოცხლეს შეექმნება საფრთხე. რაც შეეხება ნებელობით მომენტს, აუცილებელია, რომ

დამნაშავეს სურდეს იმ პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელსაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად. პროფესორ მინდია უგრეხელიძის სწორი შეხედულებით, „ვინაიდან რეალური შედეგი არ წარმოადგენს დანაშაულის კონსტიტუციურ ნიშანს, ამიტომ მის ადგილს იჭერს წინარე ეტაპი ობიექტური მხარის განვითარებისა - რეალური საფრთხის შექმნა.“<sup>14</sup> შესაბამისად, განსახილველ საფრთხის დელიქტში პირდაპირი განზრახვის მესამე ნიშანი - ნებელობითი ელემენტი - ესადაგება უკვე შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს, როგორც შედეგის სახესხვაობას, რომელიც მოცემული შემადგენლობის კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს. ქართველი მეცნიერი თინათინ წერეთელი შესაძლებლად მიიჩნევს პირდაპირი განზრახვით კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენას და აღნიშნავს, რომ „საფრთხის შექმნის განზრახვის დროს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ადამიანს წარმოდგენილი ჰქონდეს დანაშაულის ყველა ნიშანი, მათ შორის თავისი ქმედების მიზეზობრივი კავშირი იმ საფრთხესთან, რომელიც ამ დელიქტის თავისებურ შედეგს წარმოადგენს“.<sup>15</sup> რაც შეეხება აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს, მათი ჩადენაც თავისუფლად შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, ე.ი. პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო კონსტრუქცია, გარკვეული თავისებურებით, მაინც შეესაბამება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის საკანონმდებლო ნიშნებს. გარკვეული თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ ვინაიდან ისინი შედეგარეშე, ანუ ფორმალურ შემადგენლობებზე გვევლინება, პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელი სამივე ნიშანი მიესადაგება საკუთრივ დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას. „თუ შემადგენლობაში შეტანილი არ არის მატერიალური შემადგენლობის დამახასიათებელი ნიშანი, მაშინ, როგორც ჩანს, ბრალის ამა თუ იმ ფორმის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ელემენტები საკუთრივ ქმედების ნიშნებს უნდა შეეხოს.“<sup>16</sup> პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, მისი ფაქტობრივი და სოციალური ხასიათი, კერძოდ, ის რომ სჩადის საშიში თვისებების მქონე ქმედებას, რომელსაც იმანენტურად თან სდევს საფრთხე და,

<sup>12</sup> გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 129.

<sup>13</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 13.

<sup>14</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 13.

<sup>15</sup> წერეთელი, თ., 2010. სისხლის სამართლის პრობლემები. მეოთხე ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 217.

<sup>16</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 15.

ამავდროულად, უნდა სურდეს კიდევ ამგვარი ქმედების განხორციელება. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტთან განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებას არ ეწინააღმდეგება. ამის მაგალითად მოხმობილია შემდეგი გამონათქვამები: „პაპიროსის მოწვევის სურვილი, ან ნდომა, დასვენების ან მუშაობის სურვილი ან ნდომა და ა.შ.<sup>17</sup> „რაც, იმას ადასტურებს, რომ ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტის მიმართ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.“<sup>18</sup> მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა: „ბირთვული მასალის, ან მოწყობილობის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების, აგრეთვე ნებისმიერი სახისა და დანიშნულების მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყო ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებას, უკანონო შექმნა, შენახვა, ფლობა ან განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, მოცდა, გადაცემა, გადაზიდვა, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა ან მათდამი სხვა უკანონო მოპყრობა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა გარიგება“. განსახილველი შემადგენლობის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. შესაბამისად, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა დადგინდეს, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. მისი ფაქტობრივი და სოციალური მხარე, კერძოდ, ის რომ იგი „საქმეს იჭერდა“ ისეთ იარაღთან ან მოწყობილობასთან, რომელიც საშიში თვისებების შემცველია და, ამასთანავე, მან, თავისი ნება-სურვილის შესაბამისად, განახორციელა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება. მაგალითად, გამოსცადა ბირთვული მოწყობილობა.

## არაპირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტუში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა

ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“.<sup>19</sup> „არაპირდაპირი განზრახვა მსგავსია პირდაპირი განზრახვისა ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით, კერძოდ იმით, რომ აქაც კანონით აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება. მაგრამ ინტელექტუალური ელემენტის მეორე ნიშნის - მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინების მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირდაპირი განზრახვის შესაბამისი ნიშნისაგან. უპირველეს ყოვლისა, არაპირდაპირი განზრახვისას გამორიცხულია მართლწინააღმდეგო შედეგის განხორციელების აუცილებლობის გათვალისწინება, რადგანაც ასეთი გათვალისწინება წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დამახასიათებელ ნიშანს“.<sup>20</sup> ე.ი. ისინი ინტელექტუალური ელემენტის მხრივაც არ ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა, მათ უმთავრესად ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახვის მესამე - ნებელობითი ნიშანი. ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირს არ სურს თავისი მართლწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა, თუმცა, იმდენად ძლიერია გარკვეული მიზნის მიღწევის სურვილი, რომ იგი ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას ან კიდევ საერთოდ შეგნებულად უშვებს მის დადგომას. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც „არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს დესკრიფციულ-ფსიქოლოგიურად არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ ნორმატიულ-შერაცხვითი მნიშვნელობით აქვს შედეგის დადგომის სურვილი“.<sup>21</sup> „პირდაპირი განზრახვისაგან ევენტუალური განზრახვა ნების არარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ იმით, რომ ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი არ მისწრაფვის ასეთი საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, მას ამ შედეგის მიმართ რაიმე

<sup>17</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>18</sup> ცქიტინი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 143.

<sup>19</sup> მუხლი 9, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999, # 2287.

<sup>20</sup> გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 132.

<sup>21</sup> ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 130 -131.



ემოციური განცდები არ აქვს“. <sup>22</sup> ზემოაღნიშნული მოსაზრება ცალსახად განიცდის გერმანული დოგმატიკის გავლენას, რადგან „გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ თუ პირი შედეგის განხორციელების ცოდნას ფლობს და მაინც მოქმედებს, მაშინ მას ამ შედეგის დადგომა სურს კიდევ, ამიტომაც გერმანული კრიმინალისტიკები ევენტუალური განზრახვის სუსტი ვოლუნტატიური ელემენტის არსებობაზე მიუთითებენ. გერმანულ სისხლის სამართალში განზრახვის საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს და ევენტუალური განზრახვის ამდაგვარი გაგება დოგმატიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ დასაშვებია“. <sup>23</sup>

ფიქრობთ, აღნიშნული პოზიცია არაა გასაზიარებელი და გარკვეულ დაკონკრეტებასაც საჭიროებს. კერძოდ, ზემოაღნიშნული მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში გამოდის, რომ პირდაპირი განზრახვის ორივე სახის დროს პირი მიისწრაფვის საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, რაც არაა სწორი. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისას დამნაშავე მართლაც უშუალოდ მიისწრაფვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისაკენ, ვინაიდან მას სურს იგი. ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია კი პირდაპირ ხაზს უსვამს მართლსაწინააღმდეგო შედეგის არ დადგომის სურვილს, ჩვენს შემთხვევაში კი, „სისხლის სამართლის დოგმატიკის საფუძველი და მისი საზღვარი მოქმედი კანონმდებლობაა“, <sup>24</sup> რის გამოც ეს უკანასკნელი სწორედ ნების არარსებობით განსხვავდება პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი, დამნაშავე უშუალოდ მიისწრაფვის სხვა მთავარი მიზნისაკენ, ხოლო დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი კი წარმოადგენს ამგვარი მიზნის განსახორციელებლად ჩადენილი ქმედების გარდაუვალ ნაყოფს. ესე იგი გამოდის, რომ პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის გასამიჯნად მოყვანილი ნიშანი - მოქმედი პირის სურვილის არ ქონა, დადგეს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, წარმოადგენს არა მეორე ხარისხის

პირდაპირი განზრახვისა და ევენტუალური განზრახვის განმასხვავებელ, არამედ მათ საერთო ნიშანს. ორივე შემთხვევაში პირი არ მიისწრაფვის ამ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, უბრალოდ მათ შორის განსხვავება მდგომარეობს შედეგის გარდაუვლად დადგომის, როგორც ფაქტის, გათვალისწინების მომენტში. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად: „ არაპირდაპირ განზრახვაში შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება გულისხმობს ამ ცნებაში ნებელობითი მომენტის აღიარებას. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, ნებელობა განმარტებული უნდა იქნეს ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით“. <sup>25</sup>

აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს პირს სურს ძირითადი მიზნის განხორციელება, ხოლო სავარაუდო თანმდევი შედეგის მიმართ კი გააჩნია გულგრილი დამოკიდებულება. ანუ დამნაშავეს საერთოდ არ სურს სავარაუდოდ თანმდევი კონკრეტული შედეგის დადგომა, მაგრამ თუ დადგა, უდარდელად შეეგუება მას. აქ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ევენტუალური განზრახვისას, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, გვერდითი შედეგი არის სავარაუდო და არა გარდაუვალი. შესაბამისად, შესაძლო გვერდითი შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება და შედეგის გარდაუვლად დადგომასთან შეგუება არსებითად განსხვავებული ცნებებია და მათი ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია. ევენტუალური განზრახვისას შედეგისადმი ნებელობითი მომენტის დამტკიცება გულგრილ დამოკიდებულებაზე მითითებით არ არის მართებული. ზემოთ აღნიშნული პოზიციის გაზიარებით, გამოვა, თითქოს ამგვარი დანაწესით კანონმდებელმა გვითხრა: უფლებას გაძლევთ, სადაც მე ვიტყვი „არ სურდა“, იქ სამართალშემფარდებელმა იგულისხმოს „სურდა“, სადაც მე ვიტყვი „არას“, იქ სამართალშემფარდებელმა იგულისხმოს „კი“. ასეთი რამ კი ნამდვილად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ გონიერი კანონმდებლის ნებას, არამედ

<sup>22</sup> მაღლაკელიძე, ლ., 2012. „განზრახვა და მართლსაწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 166.

<sup>23</sup> მჭედლიშვილი-შედრინი, ქ., 2010. კამუსისამოხსნისმეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 90.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>25</sup> მაღლაკელიძე, ლ., 2012. „განზრახვა და მართლსაწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 169.

სამართლებრივ ლოგიკასაც<sup>26</sup> „ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება, რომ პირს არ სურს შედეგის დადგომა, ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს გაგებული, ესაა კანონმდებლის ნება. ასე რომ არ ნდომოდა, არც გაითვალისწინებდა“. <sup>27</sup> „სისხლის სამართლის დოგმატიკოსმა სისხლის სამართლის კანონის განმარტებისას (de lege lata) სიტყვასიტყვით განმარტების ფარგლებს არ უნდა გადააბიჯოს და თუ იგი კანონის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნორმის შეცვლა აუცილებელი, მას მხოლოდ და მხოლოდ de lege ferenda წინადადების წამოყენების უფლება აქვს“. <sup>28</sup> „კანონის ამგვარი განმარტება კანონის აზრის საწინააღმდეგო (contra legem) განმარტებამდე მიგვიყვანს. ამგვარ განმარტებას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება მართალი სამართლის განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა. არსებობს სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი სიტყვები, რომელთა განმარტებაც იურისპრუნდენციაში მიუღებელია“<sup>29</sup> და გამოთქმა - „არ სურს“ სწორედ ამგვარ სემანტიკურად ერთმნიშვნელოვან გამონათქვამს მიეკუთვნება. <sup>30</sup> პროფესორ ნონა თოდუას აზრით, „თუ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირს შედეგის დადგომის სუსტი სურვილი აქვს, მაშინ ძლიერი და სუსტი სურვილის ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმიც უნდა მოვძებნოთ, რაც შეუძლებელი იქნება“.<sup>31</sup> „თუ დავუშვებთ, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობის სურვილი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი, როდესაც მოცემულია ამ შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობის გათვალისწინება, მივიღებთ ისეთ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც პირი, რომელიც გაუფრთხილებლობით უსპობს სიცოცხლეს სხვა პირს, უნდა დაგვესაჯა არა საკუთრივ გაუფრთხილებლობისათვის, არამედ

განზრახვისათვის“.<sup>32</sup> პროფესორ ვ. მაყაშვილის მართებული შეხედულებით, ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი ნასიამოვნების კი დარჩებოდა, თუ მის მიერ გათვალისწინებული სამოგადობრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა.<sup>33</sup>

ანალოგიური მსჯელობაა განვითარებული არაპირდაპირი განზრახვის საკითხთან დაკავშირებით, ინგლისის სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც, რომელშიც ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა დაფიქსირებული იმის თაობაზე, რომ არაპირდაპირი განზრახვისას შედეგი არ არის სასურველი. ამდროს ბრალდებული შესაძლოა მოწადინებულიც კი ყოფილიყო, რომ არ დამდგარიყო ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც რეალურად დადგა, თუმცა ამის მიუხედავად, იგი მაინც ახორციელებს საშიანო ქმედებას. ეს მიდგომა უბიძგებს ინგლისის მეცნიერებს იმისაკენ, რომ მსგავსება დაინახონ არაპირდაპირ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის, სწორედ მართლსაწინააღმდეგო შედეგის არ დადგომის სურვილის ასპექტში.<sup>34</sup>

ამდენად, საინტერესოა ევენტუალური განზრახვის სამართლებრივი ბუნების კონკრეტულ საფრთხის დელიქტებთან შეთავსების საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო ცნებაც, პირდაპირი განზრახვის მსგავსად, შედეგიან, ე.ი. დასრულებულ შემადგენლობებზეა გათვლილი. „კონკრეტულ საფრთხის დელიქტებში კონკრეტული საფრთხე ისეთივე ელემენტია, როგორც რეალურად განხორციელებული შედეგი“.<sup>35</sup> შესაბამისად, თავისუფლად შესაძლებელი, რომ პირი აცნობიერებდეს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას, ითვალისწინებდეს, რომ თავისი ქმედებით სამართლით დაცულ ობიექტს კონკრეტული საფრთხის ზონაში აყენებს, რაც მას არ სურს, თუმცა გულგრილია კონკრეტული საფრთხის შექმნისადმი ან შეგნებულად უშვებს მას. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული

<sup>26</sup> თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 270.

<sup>27</sup> გველია, თ., 2018. „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“. სადოქტორო დისერტაცია. კავკასიის უნივერსიტეტი. თბილისი: გვ. 111.

<sup>28</sup> მჭედლიშვილი-შედრიხი, ქ., 2010. კამუსისამოხსნისმეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 90.

<sup>29</sup> ხუბუა, გ., 2015. სამართლის თეორია. თბილისი: მერიდიანი, გვ. 200.

<sup>30</sup> მჭედლიშვილი-შედრიხი, ქ., 2010. კამუსისამოხსნისმეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 91.

<sup>31</sup> იქვე. გვ. 92.

<sup>32</sup> კუტალია, ლ., 2000. ბრალი სისხლის სამართალში (ექვს ტომად). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 642.

<sup>33</sup> ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 144.

<sup>34</sup> Keenan, D. and Smith, K., 2001. English Law. Longman. Thirteenth Edition. გვ. 23.

<sup>35</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 17.

- შიდსის შეყრა, რომლის პირველი ნაწილითაც დასჯადადაა გამოცხადებული სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა. მოცემული დისპოზიციის იმგვარადაა ფორმულირებული, რომ თავისუფლადაა შესაძლებელი მისი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენა, კერძოდ, საგნებით შესაძლებელია, რომ შიდსით ინფიცირებულ პიროვნებას საერთოდ არ უნდოდეს ამ დაავადების შეყრა თავისი სქესობრივი პარტნიორისთვის, თუმცა იმდენად სურდეს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, რომ გულგრილად ეკიდებოდეს ამ შესაძლო შედეგებს ან შეგნებულად უშვებდეს მათ. ანალოგიურად, შესაძლებელია, სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა).

რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენას, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ამრთა სხვადასხვაობა არსებობს ქართველ მეცნიერთა შორის. კერძოდ, ვლ. მაყაშვილი ევენტუალური განზრახვის არსებობას შესაძლებლად მიიჩნევდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში და აღნიშნავდა: „იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედობის ჩადენის ფაქტს უკავშირდება, ეს უკანასკნელი ალტერნატიული უნდა იყოს გარკვეული თვისებებით, რომლებიც მას საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს ანიჭებენ. ამიტომ განზრახვის დასაბუთებისათვის აუცილებელია, რომ ამ თვისებებსა თან იყოს დაკავშირებული სუბიექტის ფსიქიკური განცდები. თუ ქმედების ჩამდენ პირს შეგნებული არა აქვს მოცემულ შემადგენლობაში შემავალი ნიშნები, რომლებიც ქმედებას ახასიათებენ როგორც დანაშაულს, მაშინ განზრახვის საკითხი ვერც კი დაისმება, თუნდაც ამა თუ იმ მიზნით ჩადენილი ქმედება, თავისთავად, ნებით იყოს წარმართული. განზრახვა გვექნება მაშინ, როცა ქმედების ჩამდენი სუბიექტი დარწმუნებულია (იცის), რომ ეს ქმედება ხასიათდება აღნიშნული ნიშნებით (პირდაპირი განზრახვა), ან კიდევ ეჭვობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს მათი არსებობის შესაძლებლობა (ევენტუალური განზრახვა).<sup>36</sup>

შეგნება ნიშნავს იმას, რომ პირს დაზუსტებული,

<sup>36</sup> მაყაშვილი, ვ., 1965. ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. საბჭოთა სამართალი, 4, გვ. 19. ნანახია სახელმძღვანელოში: ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 144.

უტყუარი და არა საეჭვო, მხოლოდ თავის ამრებში წარმოდგენილი, ინფორმაცია უნდა გააჩნდეს ქმედების შემადგენლობის ნიშნების შესახებ, თუ იგი ეჭვობს რაღაცა გარემოების შესახებ, მაშინ გამოდის, რომ მას შეგნებული არ აქვს იგი. გარდა ამისა, ავტორის მსჯელობის ლოგიკური გაანალიზების შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი ერთმანეთისაგან აცალკევებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებასა და მის დამახასიათებელ საშიშ თვისებებს, კერძოდ, მისი შეხედულებით, პირმა, ერთი მხრივ, ზუსტად იცის დისპოზიციის აღწერილი ქმედების შესახებ, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა ეჭვობდეს, თუმცა მაინც წარმოდგენილი ჰქონდეს მისი საშიში ნიშნების თვისებები. ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება და მისი დამახასიათებელი საშიში ნიშნების თვისებები, ერთ მთლიანობად წარმოსდგება და მათი განცალკევება დაუშვებელია. შეუძლებელია, რომ პირმა, ერთი მხრივ, იცოდეს დისპოზიციის აღწერილი ქმედების შესახებ თუმცა, ამავედროულად, ეჭვის დონეზე ფლობდეს ინფორმაციას მისი საშიში თვისებების შესახებ. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული მოსაზრების თანახმად, „განზრახვა სხვა არაფერია, თუ არა შეგნებულობის სინონიმი“.<sup>37</sup> შესაბამისად, აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში განზრახვა არსებობს მაშინ, როდესაც პირს შეგნებული აქვს ქმედების ნიშნები (პირდაპირი განზრახვა), რაც იმთავითვე ნიშნავს, რომ მას სრული ინფორმაცია გააჩნია ამ ქმედების დამახასიათებელი საშიში თვისებების თაობაზეც და, მიუხედავად ამისა, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის თანახმადაც „სიტყვა „უშვებს“ არ უნდა იყოს ნახშიარი ინტელექტუალური მნიშვნელობით, როგორც წარმოდგენა გარკვეული ნიშნების შესაძლებლობის არსებობისა. „დაშვება“ ზუსტი იურიდიული მნიშვნელობის და სრულიად გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთული ტერმინია. იგი გამოიყენება ადამიანის ნებელობითი დამოკიდებულების გამოსახატავად მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი“.<sup>38</sup> აქ ავტორს მხედველობაში

<sup>37</sup> ნაჭყებია, გ., 2011. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: ინოვაცია, გვ. 380.

<sup>38</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 16.

აქვს დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან შექმნილი კონკრეტული საფრთხე. მართლაც, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილი პირდაპირ უთითებს, რომ დაშვებაში იგულისხმება შედეგი ან კონკრეტული საფრთხე. ჩვენ თუ „დაშვებას“ გამოვიყენებთ ქმედების დამახასიათებელი საშიში თვისებებისადმი, მაშინ ძალაუფლებურად ვაცალკევებთ ქმედებასა და მასზე იმანენტურად მიბმულ საფრთხეს, რაც გულისხმობს იმას, რომ ქმედების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები უნდა ჩავთვალოთ შედეგად და დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი, რაც აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში გაუმართლებელია.

ამიტომაც, პროფესორი მინდია უგრეხელიძე გაუმართლებლად მიიჩნევს საკითხის დასმას ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა ან მისი განმსაზღვრელი თვისებების დაშვების შესახებ. მისი მართებული შეხედულებით, ეს გარემოებანი შეიძლება მხოლოდ იცოდეს ან არ იცოდეს დამნაშავემ, შეგნებული ჰქონდეს მას, ან არ ჰქონდეს შეგნებული. აქედან გამომდინარე, ევენტუალური განზრახვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში წარმოუდგენლად მიაჩნია.<sup>39</sup> აღნიშნულ საკითხზე ანალოგიურად მსჯელობს პროფესორი ნონა თოდუაძე, „რომელიც აღნიშნავს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ყოველთვის პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი“.<sup>40</sup>

## თვითიმედოვნება საფრთხის დელიქტებში

განზრახვის საკითხის განხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია, შევჩერდეთ გაუფრთხილებლობის მნიშვნელობაზე საფრთხის დელიქტებში. სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. „თვითიმედოვნებას მეორენაირად შეგნებულ ანუ გაცნობიერებულ გაუფრთხილებლობასაც

უნოდებენ“.<sup>41</sup>

„კანონის მიხედვით, თვითიმედოვნების ინტელექტუალური მომენტი წააგავს განზრახვისთვის - როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელ ინტელექტუალურ მომენტს. ორივე ამ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს თავისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, მაგრამ პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინების ცნება არსებითად განსხვავდება გაუფრთხილებლობის ორივე სახისათვის დამახასიათებელი გათვალისწინებისაგან“.<sup>42</sup> ამდენად, საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენა, ჩათვლება თუ არა კონკრეტული საფრთხე კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგად? როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კონკრეტული საფრთხის შექმნა კონკრეტული საფრთხის შექმნილი დელიქტების ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია, ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის, შესაბამისად, კონკრეტული საფრთხეც ითვლება კანონით გათვალისწინებულ შედეგად, ამ სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით.

„თვითიმედოვნების დროს დამნაშავე დარწმუნებულია, რომ დანაშაულებრივ შედეგს თავიდან აიცილებს, რაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში გულისხმობს იმას, რომ დამნაშავე დარწმუნებულია კონკრეტული საფრთხის, როგორც გარკვეული შედეგის თავიდან აცილებაში“.<sup>43</sup> „თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენას მხარს უჭერს პროფესორი მინდია უგრეხელიძეც და აღნიშნავს, რომ სუბიექტი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ რეალურ საფრთხეს ქმნის თავისი ქმედობით, მაგრამ ქარაფშუტულად იყოს დარწმუნებული, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს მოპირისპირე გამანეიტრალებელი ძალები, რომლებიც ხელს შეუშლიან საფრთხის წარმოშობას“.<sup>44</sup>

<sup>41</sup> ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 245.

<sup>42</sup> გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 135-136.

<sup>43</sup> ცეტიტოვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნილი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 154.

<sup>44</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 24.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 16-17.

<sup>40</sup> თოდუა, ნ., 2007. საფრთხის შემქმნილი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. მართლმსაჯულება და კანონი, 2 (3), გვ. 154.

სისხლის სამართლის კოდექსი მრავლად ითვალისწინებს ისეთი სახის კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, რომელთა ჩადენა გაუფრთხილებლობითაა შესაძლებელი. ზოგიერთ შემთხვევაში გაუფრთხილებლობაზე პირდაპირი მითითება თავად მუხლის შემადგენლობაშია მოცემული. მაგალითად, სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ზოგჯერ კი თავად ქმედების შემადგენლობის ხასიათი მიუთითებს გაუფრთხილებლობაზე, კერძოდ, სისხლის სამართლის 2291 (პრიმა) მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ელექტროენერგიით ან თბოენერგიით, გაზით, ნავთობით ან ნავთობპროდუქტებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ისეთი საშუალების გამოყენებით, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. განსახილველ შემთხვევაში, დისპოზიციის ფორმულირებიდან გამომდინარე, მისი ჩადენა შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ორივე სახით - როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობითაც. მოცემული დელიქტი ბლანკეტური ხასიათისაა, ვინაიდან ეს წესები დადგენილია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც გამოიყენებიან აღნიშნულ სფეროებში სამუშაოების წარმართვისას. რაც შეეხება მის ჩადენას თვითიმედოვნებით, ამის მაგალითია შემდეგი შემთხვევა: გამგასამართ სადგურზე მომუშავე პირმა ავტომობილში ბუნებრივი ენერჯის ჩასატვირთად გამოიყენა მის მიერ კუსტარულად დამზადებული ხელსაწყო, რასაც აალებდა და მანქანის აფეთქება მოჰყვა, რის შედეგადაც გვერდზე მდგომ ავტომანქანის მფლობელებს შეექმნათ სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში, პირმა იცოდა, რომ ამგვარი ხელსაწყოს გამოყენება აკრძალულია და იწვევს მავნე შედეგებს, მაგრამ იგი დარწმუნებული იყო მის მიერ შექმნილი ხელსაწყოს საიმედოობაში და ამიტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხავდა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა მისი ქარაფშუტული მოლოდინები არ გამართლდა. თუ ადამიანი ასეთ ობიექტზე განზრახ გამოიყენებს აკრძალულ საშუალებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა ამ კონკრეტული საფრთხის დელიქტით, არამედ დამდგარი შედეგის მიხედვით სხვა განზრახი დანაშაულის მუხლით. რაც შეეხება თვითიმედოვნებით აბსტრაქტული

საფრთხის დელიქტების ჩადენას, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. მეცნიერთა ნაწილს აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში თვითიმედოვნება ლოგიკურად, წარმოუდგენლად მიაჩნია, თუ სუბიექტი ახორციელებს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას და შეგნებული აქვს ეს გარემოება, მაშინ ცხადია, მას არ შეუძლია, თუნდაც, ქარაფშუტულად ივარაუდოს, რომ თავიდან აიცილებს მას ან ივარაუდოს, რომ მისი ქმედება დაკარგავს საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს (ვინაიდან ქმედება და მისი დამახასიათებელი მავნე ნიშან-თვისებები ლოგიკურად ერთ მთლიანობას წარმოადგენენ). აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება წარმოადგენს ყველაზე უფრო ზოგად, აბსტრაქტულ ნიშანს მის სხვადასხვა გამოვლინებებში. იგი გვევლინება, როგორც ქმედების იმანენტური თვისება. ამიტომ მისი შეგნება არ ტოვებს ადგილს რაიმე ვარაუდისათვის, რომ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ქმედების ფაქტობრივი მხარე რაღაც მომენტში დაჰკარგავს თავის სოციალურ თვისებას.<sup>45</sup> მართლაც, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაფუძნებულია დისპოზიციაში აღწერილ, საზოგადოდ საყოფაცხოვრებო გამოცდილებიდან გამომდინარე საზიანო შედეგების მომტან ქმედების ჩადენასთან, ხოლო მისი ჩადენის შემდგომ განვითარებული გვერდითი მოვლენები მეორეხარისხოვანია, ვინაიდან ისინი შემადგენლობის მიღმაა. აქედან გამომდინარე, ბრალის საკითხის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას დისპოზიციაში აღწერილი ქმედებისადმი. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისა და თვითიმედოვნების ბუნებიდან გამომდინარე, ალოგიკურია, რომ პირს, ერთი მხრივ, შეგნებული ჰქონდეს საშიში თვისებების მქონე ქმედება, რომელსაც სჩადის, ხოლო, მეორე მხრივ, კი უსაფუძვლოდ იმედოვნებდეს, რომ, გარკვეულ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა ძალით, მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად რეალიზებული არ იქნება მასთან ორგანულ კავშირში მყოფი საფრთხე. მაგალითად, პირი, რომელიც შექმნის უკანონო შეიარაღებულ ბანდას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად, ალოგიკურია, ამავდროულად გამორიცხავდეს საზოგადოებრივი მართლწესრიგის საფუძ-

<sup>45</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 25.

ვლებისათვის საფრთხის შექმნას.

„უსაფრთხოების ნორმის დარღვევის გაცნობიერებასთან ერთად ადამიანს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქცევა ხელყოფის ობიექტისათვის ქმნის ისეთი ხარისხის საფრთხეს, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხის შექმნის სამოგადობრივად საშიშ ხასიათს უზრუნველყოფს. რასაკვირველია, თუკი ადამიანი შეიცნობს, რომ არღვევს წინდახედულობის ნორმას, ამით ის საზოგადოდ საფრთხის შექმნის სამოგადობრივ საშიშროებასაც აცნობიერებს“.<sup>46</sup>

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი თვითიმედოვნებას აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში შესაძლებლად მიიჩნევს და მის დასასაბუთებლად მიუთითებენ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების გამორჩეულ ტიპზე, რომელსაც აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების სახელწოდებით მოიხსენიებენ. მაგალითისთვის მიუთითებენ სსკ-ის 242-ე მუხლზე.<sup>47</sup> აღნიშნული მუხლით დასჯადადაა გამოცხადებული აფეთქებასაშიშსაწარმოშიანსაამქროშისაწარმო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი. მოცემული მუხლის შემადგენლობა მართლაც შესაძლებელია განხორციელდეს თვითიმედოვნებით, რადგან დამნაშავე შესაძლოა აცნობიერებდეს, რომ არღვევს საწარმოო წესებს და, ამავდროულად, იმედს ამყარებდეს თავის გამოცდილებაზე და ვარაუდობდეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიქმნება მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობა. სწორადაა აღნიშნული, რომ „ამ შემთხვევაში თვითიმედოვნება სწორედ შედეგის დადგომის შესაძლებლობისადმი დამოკიდებულებით დგინდება“.<sup>48</sup> თუმცა, როგორც აღინიშნა, ჩვენ განსხვავებით, ისინი აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად განიხილავენ.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე მუხლთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მძიმე შედეგის განხორციელების

კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან.<sup>49</sup> ვფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრება ოდნავ დაზუსტებას საჭიროებს, რადგან განსახილველი მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მოცემული დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს არა მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან (ეს დამახასიათებელია კლასიკური, კონკრეტული საფრთხის დელიქტებისათვის), არამედ მაშინ, როდესაც შეიქმნება საფრთხის იმგვარი ხარისხი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე. აღნიშნული თავისთავად გამომდინარეობს მოცემული მუხლის დისპოზიციიდან, რომელიც მიუთითებს მძიმე შედეგის შესაძლო და არა უთუოდ გამოწვევაზე. აღნიშნული კი იმთავითვე მოწმობს, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობა და არა მძიმე შედეგის გამოწვევის კონკრეტული საფრთხის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუხლის დისპოზიცია იქნებოდა ამგვარი: აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით შექმნა მძიმე შედეგის განხორციელების საფრთხე ან შესაძლებლობა.

ამდენად, თვითიმედოვნებით შესაძლებელია კლასიკური კონკრეტული საფრთხის დელიქტებისა და ამ უკანასკნელის განსაკუთრებული გამოვლინების - აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. კლასიკურ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში კი, მათი ბუნებიდან გამომდინარე, თვითიმედოვნება შეუძლებელია.

## დაუდევრობა საფრთხის დელიქტებში

გაუფრთხილებლობის მეორე სახეს წარმოადგენს დაუდევრობა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით შემდეგნაირად განიმარტება: ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას

<sup>46</sup> წერეთელი, თ., 2010. სისხლის სამართლის პრობლემები. მეოთხე ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 218.

<sup>47</sup> ცქიტაშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და განმრთელობისათვის საფრთხის შექმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 155-156.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 156.

<sup>49</sup> ლევევიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი. მე-7 გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 791.

ევალებოდა და შეეძლო კიდევ. როგორც ვხედავთ, დაუდევრობის დროს, თვითიმედოვნებისაგან და განზრახვისაგან განსხვავებით, ინტელექტუალური ნიშანიც არ გვაქვს სახეზე - კერძოდ, არ გვაქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერება. შესაბამისად, გამოირიცხება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინებაც. ამდენად, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ არც ნებელობითი ნიშანია სახეზე - მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილი. „ვინაიდან შეუძლებელია გსურდეს ის, რაც არ იცი“.<sup>50</sup> დაუდევრობა შეიძლება სხვანაირად იწოდოს, როგორც გაუცნობიერებელი, ანუ შეუგნებელი გაუფრთხილებლობა.<sup>51</sup> ვინაიდან დაუდევრობაც, როგორც წესი, შედეგიან დელიქტებზეა გათვლილი, ამიტომ საინტერესოა, მისი საფრთხის დელიქტებთან თავსებადობის საკითხი. კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა დაუდევრობით სავსებით შესაძლებელია, კერძოდ, სსკ-ის 2291 მუხლის დისპოზიციამდე დაყრდნობით განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა: ელექტრომონტორმა იმოქმედა ძველი ინსტრუქციით, მაშინ როდესაც ახალი წესი მოქმედებდა, თუმცა, იგი არასაპატიო მიზეზით არ გაეცნო მას. ამის გამო მას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ არღვევდა უსაფრთხოების წესებს და, შესაბამისად, არც ითვალისწინებდა ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას. მისი ქმედებით ადამიანის სიცოცხლე დადგა კონკრეტული საფრთხის წინაშე. როგორც ვხედავთ, მართლსაწინააღმდეგო შედეგის ადგილს იკავებს კონკრეტული საფრთხე, ამიტომ დაუდევრობით სავსებით შესაძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. „დაუდევრობის დროს სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი ქმედებით კონკრეტული საფრთხის შექმნას სამართლით დაცული ობიექტისათვის, თუმცა მოვალე იყო და შეეძლო ამის გათვალისწინება. ამ მხრივ დაუდევრობის საგნობრივი შინაარსის თვალსაზრისით სრული ანალოგია არსებობს შედეგიან და კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შორის“.<sup>52</sup> მეტად საკამათოა დაუდევრობის საკითხი აბსტრაქტულ საფრთხის

დელიქტებში. ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები არც შედეგს გულისხმობს და, შესაბამისად, არც მიზეზობრივ კავშირს, მაშინ გამოდის, რომ პირს გათვალისწინებული არ აქვს მის მიერ განხორციელებული ქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და საშიშროება. ე.ი. დაუდევრობა შესაძლებელია დასაბუთდეს საკუთრივ ქმედებისადმი, კერძოდ, ყოველთვის არაა შესაძლებელი, დასაბუთდეს დაუდევრობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტში. მართებულად აღნიშნავს პროფესორი მინდია უგრეხელიძე, რომ „დაუდევრობის დასაბუთება საკუთრივ ქმედებისადმი შეუძლებელი იქნება, თუ ვერ დასაბუთდა, რომ კანონს შეუძლია დაავალდებულოს მოქალაქე გააცნობიეროს საკუთარი ქმედება“.<sup>53</sup> აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დისპოზიციის უმეტესწილად ითვალისწინებს ისეთი საზოგადოებრივად საშიში თვისებების შემცველ ქმედებებს, რომლებიც, საზოგადოდ, საზოგადოებაში დამკვიდრებული ყოფა-ცხოვრების წესებისა და ყოფითი პირობებიდან გამომდინარე, ცნობილია სოციუმში მცხოვრები საშუალო ინტელექტის მქონე ნებისმიერი ადამიანისათვის. აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევებში შესაძლებელია ვამტკიცოთ კიდევ, რომ პირს შეეძლო და ევალებოდა გაეცნობიერებინა მის მიერ განხორციელებული საშიში თვისებების შემცველი ქმედების ფაქტობრივი და სოციალური მხარე, მისი ცხოვრების მანძილზე შეძენილი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, სახეზე იყოს გამონაკლისი ვითარება. ეს ყოველივე ინდივიდუალურად, ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით უნდა შეფასდეს.

## დასკვნა

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ პირდაპირი განზრახვით თავისუფლადაა შესაძლებელი საფრთხის დელიქტების განხორციელება. ვინაიდან კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემთხვევაში შედეგის ადგილს იკავებს კონკრეტული საფრთხე, აბსტრაქტულის დროს კი - განზრახვის სამივე ელემენტი მიმართულია საკუთრივ ქმედებისადმი. რაც შეეხება არაპირდაპირი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების

<sup>50</sup> ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 157.

<sup>51</sup> ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 246.

<sup>52</sup> უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 31-32.

<sup>53</sup> იქვე, გვ. 36 - 37.

განხორციელების საკითხს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივად შეუძლებელია სწორედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ბუნების გათვალისწინებით, ვინაიდან მასში ქმედება თავისთავად შერწყმულია საფრთხესთან. ამიტომ, თუ დამნაშავე აცნობიერებს ქმედების ნიშნებს და, მიუხედავად ამისა, მაინც ახორციელებს მას, ე.ი. მას სურს საფრთხის შექმნაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ არ განახორციელებდა აღნიშნულ ქმედებას.

რაც შეეხება თვითიმედოვნებას, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ამ დროს დამნაშავე გაცნობიერებულად არღვევს წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქცევას, თუმცა, ქარაფშუტულად იმედოვნებს, რომ მისი ქმედებით არ შეიქმნება კონკრეტული საფრთხე. თვითიმედოვნებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა ფაქტობრივად შეუძლებელია, რამეთუ წარმოუდგენელია, ადამიანს, ერთი მხრივ, გაცნობიერებული

ჰქონდეს, რომ სჩადის წინდახედულობის ნორმით აკრძალულ, საშიში თვისებების შემცველ ქმედებას, რომლის განხორციელებაც იმთავითვე საფრთხის შექმნას გულისხმობს, და ამავდროულად, უსაფუძვლოდ ამყარებდეს იმედს სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებზე, რომ საფრთხეს თავიდან აცილებს. აღნიშნული შეუძლებელია, ვინაიდან, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დისპოზიციამოცემული ქმედების განხორციელება თავისთავადად საფრთხის შექმნას წარმოადგენს. რაც შეეხება დაუდევრობას, იგი სავსებით შესაძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტებში, ვინაიდან ისინი შედეგიან დანაშაულებადაა მიჩნეული, დაუდევრობა კი, განზრახვასა და თვითიმედოვნების მსგავსად, შედეგიან დელიქტებზეა გათვლილი. დაუდევრობით აგრეთვე თავისუფლადაა შესაძლებელი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. განსახილველ შემთხვევაში, დაუდევრობის ელემენტები უნდა დასაბუთდეს საკუთრივ ქმედებისადმი.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი.
2. გამხიტავი, გ., 2019. განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://openscience.ge/bitstream/1/1087/1/samagistro%20gamkhitashvili.pdf>> [წვდომის თარიღი 30 ივნისი 2021].
3. ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი.
4. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2010. კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი.
5. ნაჭყებია, გ., 2011. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: ინოვაცია.
6. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.

7. უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. წერეთელი, თ., 2010. სისხლის სამართლის პრობლემები. თბილისი: მერიდიანი.
9. ლეკვიშვილი, მ., მამულაშვილი გ. და თოდუა ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი. მე - 7 გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.
10. Michael, G.A. and Christie, M.A., 1996. Criminal Law. Sixth Edition. Edinburg: Oxford University Press.
11. Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition.
12. Simester, A. P., Spencer, J. R., Sullivan, G.R. and Virgo, G.J., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition.

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)

2. Gamkhitashvili, G., 2019. Intention and Carelessness in the Delicts of hazard. [Online] Available at: <<https://openscience.ge/bitstream/1/1087/1/samagistro%20gamkhitashvili.pdf>> [Accessed 8



- May 2021]. (in Georgian)
3. Tseretheli, Th. 2010. The Problems of Criminal Law. Fourth volume. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
  4. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. ninth edition. Tbilisi: publishing house Meridiani. (in Georgian)
  5. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
  6. Nachkebia, G., 2011. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: innovation. (in Georgian)
  7. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university. (in Georgian)
  8. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: Meridiani (in Georgian)
  9. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. The Special Part of Criminal Law. Book first. seventh edition. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
  10. Elliot, C. and Quinn, F., 2014, Criminal Law. Tenth Edition. (in English)
  11. Simester, AP., Spencer, JR., Sullivan, GR. and Virgo, GJ., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition. (in English)
  12. Smith, J., Hogan., 2002. Criminal Law. Butterworths, Tenth Edition. (in English)

### Normative materials:

1. Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999, #2287. (in Georgian)
13. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 13. (in Georgian)
14. Ibid.
15. Tseretheli, Th., 2010. The Problems of Criminal Law. Fourth volume, Tbilisi: Meridiani, p. 217. (in Georgian)
16. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 15. (in Georgian)
17. Ibid. p. 14.
18. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, p. 143. (in Georgian)
19. Article. 9, Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
20. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. p. 132. (in Georgian)
21. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani, pp. 130-131. (in Georgian)
22. Maghlakelidze, L., 2012. „Intention and consciousness of misconduct according to criminal law of Georgian and Germany”. Doctoral dissertation. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 166. (in Georgian)
23. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 90. (in Georgian)
24. Ibid. p. 90.
25. Maghlakelidze, L., 2012. “Intention and consciousness of misconduct according to criminal law of Georgian and Germany. Doctoral dissertation. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p.

### REFERENCES:

1. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 226. (in Georgian)
2. Michael, G. A. and Christie, M.A., 1996. Criminal Law. Sixth Edition. Edinburg: Oxford University Press, p. 51. (in English)
3. Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition. p. 22. (in English)
4. Simester, A. P., Spencer, J. R., Sullivan, G. R. and Virgo, G. J., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition. p. 168. (in English)
5. Smith, J. H., 2002. Criminal Law. Butterworths. Tenth Edition. p. 50. (in English)
6. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 269. (in Georgian)
7. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition. Tbilisi: Meridiani, p. 132. (in Georgian)
8. Maghlakelidze, L., 2012. „Intention and consciousness of misconduct according to criminal law of Georgian and Germany”. Doctoral dissertation. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 165. (in Georgian)
9. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 270. (in Georgian)
10. Gegelia, T., 2018. „The problems of unaccomplished crimes”. Doctoral dissertation. Caucasus University. Tbilisi: p. 111. (in Georgian)
11. Tsqitishvili, Th., 2014. for the questions of indirect intension. justice and law, 4 (43), p. 105. (in Georgian)
12. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. p. 129. (in Georgian)

169. (in Georgian)
26. Mtchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 270. (in Georgian)
27. Gegelia, T., 2018. „The problems of unaccomplished crimes“. Doctoral dissertation. Caucasus university. Tbilisi: p. 111. (in Georgian)
28. Mtchedlishvili-Hedrikhi, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 90. (in Georgian)
29. Khubua, G., 2015. theory of law. Tbilisi: Meridiani, p. 200. (in Georgian)
30. Mtchedlishvili-Hedrikhi, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 91. (in Georgian)
31. Ibid. p. 92.
32. Kutalia, L., 2000. blame in criminal law. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 642. (in Georgian)
33. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, p. 144. (in Georgian)
34. Keenan, D. and Smith, K., 2001. English Law. Longman. Thirteenth Edition. p. 23. (in English)
35. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 17. (in Georgian)
36. Maqhashvili, V., 1965. for the questions of indirect intension. Soviet law, 4, p.19. Seen at textbook: Tsqitishvili, T., 2015. The hazard delicts against of human life and health. Tbilisi: Meridiani, p. 144. (in Georgian)
37. Nachkebia, G., 2011. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: publishing house innovation. p. 380. (in Georgian)
38. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 16. (in Georgian)
39. Ibid. pp. 16-17.
40. Todua, N., 2007. the hazard crimes according to Law of Georgia Criminal Code of Georgia. Journal justice and law, 2/3, p. 154. (in Georgian)
41. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition. Tbilisi: Meridiani, p. 245. (in Georgian)
42. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian) pp. 135 - 136. (in Georgian)
43. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: publishing house Meridiani, p. 154. (in Georgian)
44. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of university, p. 24. (in Georgian)
45. Ibid. p. 25.
46. Tseretheli, Th., 2010. The Problems of Criminal Law. Fourth volume, Tbilisi: Meridiani, p. 218. (in Georgian)
47. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, pp. 155-156. (in Georgian)
48. Ibid. p. 156.
49. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. The Special Part of Criminal Law. Book first. seventh edition. Tbilisi: Meridiani, p. 791. (in Georgian)
50. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, p. 157. (in Georgian)
51. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. ninth edition. Tbilisi: Meridiani, p. 246. (in Georgian)
52. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, pp. 31-32. (in Georgian)
53. Ibid. pp. 36-37.

# სამართლის მანჯა HERALD OF LAW

სამართლის მეცნიერთა კავშირის  
საერთაშორისო სამეცნიერო ხელახიხებადი და  
ხელახიხებადი ჟურნალი

International Scientific refereed and peer-  
reviewed Journal of Union of Law Scientists



ტექნიფორმი

E ISSN 2667-9434

[www.heraldoflaw.com](http://www.heraldoflaw.com)

Email: [info@heraldoflaw.com](mailto:info@heraldoflaw.com)